საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ნათია ხიზანიშვილი

კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნო“
(სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მონასტრების ისტორია VIII-XVI საუკუნეებში)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ბუბა კუდავა, ისტორიის დოქტორი

თბილისი

2022

შინაარსი

შესავალი.....6

თავი 1. კლარჯეთის ათორმეტი უდაბნო

(მონასტრის რაოდენობათა პრობლემა, ერთობის საკითხი 18

თავი 2. კლარჯეთის მონასტრები და საერო ხელისუფლება.....26

თავი 3. კლარჯეთის ათორმეტი უდაბნო (მონასტრები)

§3.1. ოპიზა.....30

§3.2. ხანცთა.....47

§3.3. შატბერდი.....65

§3.4. წყაროსთავი.....76

§3.4.1 ნუკა-საყდარი..... 82

§3.5. მიძნაძორი.....87

§3.6. ჯმერკი.....93

§3.7. ბერთა.....94

§3.8. ბარეთელთა.....97

§3.9. დაბა..... 99

§3.10. მერე 100

§3.11. დოლისყანა 102

§3.12.პარეხთა.....110

§3.13 სვეტი..... 123

თავი 4. ანჩის საეპისკოპოსო 128

დასკვნა.....152

დამოწმებული ლიტერატურა.....155

ანოტაცია

კლარჯეთი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარეა კლარჯეთის უდაბნოები, აშენებულ-განახლებულია VIII-IX საუკუნეებში. „ათორმეტ უდაბნოში“ შედის შემდეგი მონასტრები: ოპიზა, ხანცთა, შატბერდი, ბერთა, ბარეთელთა, დაბა, წყაროსთავი, მერე, ჯმერკი, მიძნაძორი, პარეხი და მერე. გრიგოლ ხანცთელმა ჩაუყარა საფუძველი ამ მხარეში ქართულ ბერმონაზვნობას და სამონასტრო ცხოვრებას. იგი იყო ამ მონასტერთა პირველი არქიმანდრიტი.

კლარჯეთის მონასტრები ანჩის ეპარქიის დაქვემდებარებაში იყი. ანჩელი ეპისკოპოსი აკურთხევდა ამ სავანეების მღვდლებსა და დიაკვნებს. იგი მოგვიანებით „ათორმეტ უდაბნოთა“ არქიმანდრიტობასაც ითავსებს.

ამ მხარეში არსებული ათორმეტი უდაბნოს მონასტრების მეცნიერული შესწავლა XIX-XX სს-ში იწყება. კლარჯეთის ძეგლების შესახებ ცნობები, ძირითადად, მოგვეპოვება მოგზაურთა ჩანაწერებსა და დღიურებში. ამ მოგზაურთაგან გამორჩეული იყო ნიკო მარი, რომელმაც 1904 წელს იმოგზაურა შავშეთ-კლარჯეთში და აღწერა ეს სავანეები.

უმეტესწილად, კლარჯეთის თორმეტი სავანე შესწავლილია ხელოვნებათმცოდნეების მიერ.

სადღეისოდ ეს თემა აქტუალურია, რადგანაც ზემოთ დასახელებული სავანეები არ არის შესწავლილი ისტორიული კუთხით.

ჩვენი ამოცანაა, ნაშრომში განვიხილოთ თითოეული მონასტერი ცალ-ცალკე და გავარკვიოთ, თუ რაზე იყო დაფუძნებული ამ მონასტერთა ერთობა, მონასტერთა რაოდენობის საკითხი, მათი დამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებისადმი.

Summary

Klarjeti is one of the regions of the historical southwest of Georgia. The deserts of Klarjeti are built and renewed in VIII-IX centuries. Twelve monasteries consist of Opiza, Khandzta, Shatberdi, Berta, Baretelta, Daba, Tskarostavi, Mere, Jmerki, Midznadzori, Parekhi and Mere. Grigol khatsteli established monasticism and monkhood life in this area of Georgia. He at the same time was the very first archimandrite of these monasteries.

Monasteries of klarjeti were under control of Achy's cathedral. Bishop of anchy at the same time consecrate of the priests and deacons of this monasteries. After that bishop of anchy combine archimandrites of twelve monasteries.

Scientific studies of the twelve monasteries which are located in this region begin in XIX-XX centuries. The information about Klarjeti churches are basically kept in travelers' notes and diaries. Among these travelers N. Mary was the prominent one. Who was traveling in shavshet-klarjerti and described and explored these monasteries

Mostly, twelve monasteries of Klarjeti are studied by Art Critics.

Nowadays, this subject is extremely interesting as recently mentioned monasteries are not studied in Historical way. The main goal of our work is to discuss each monastery one by one, to find out what the cornerstone of the monasteries unity was and exactly how many monasteries were included in Klarjeti desert.

შესავალი

კლარჯეთი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარეა. ის მოიცავს მდინარე ჭოროხის ქვემო დინების აუზს არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე, მდინარეების – იმერხევისა და არტანუჯისწყლის ხეობების ჩათვლით. პროვინციის სახელწოდება ბოლო დრომდე შემორჩა არტანუჯიდან 10-ოდე კმ-ით სამხრეთით მდებარე სოფელ კლარჯეთს, რომელიც დღესაც არსებობს (ახლანდელი ბერექეთ ქოი) (ხოშტარია 2009: 13).

ლეონტი მროველის მიხედვით, პირველი ფართომაშტაბიანი მშენებლობა კლარჯეთში თუხარისის ციხის აგებაა. ეს მშენებლობა ლეგენდარულ ოძრხოს უკავშირებდა: „ოძრჯოს აღაშენნა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრჯე და თუხარისი“ (ლეონტი მროველი 2008: 30). ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ თუხარისი მდებარეობდა მდ. ჭოროხის ხეობაში, კლარჯეთისა და ამიერ ტაოს საზღვრის მიდამოებში (ხოშტარია 2009: 24). კლარჯეთის პირველ საეკლესიო ცენტრადაც თუხარისი იქცა. ლეონტი მროველი ხაზს უსვამს, რომ „დაჯდა მეფედ ძე მისი მირდატ, და მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შინა, და მან აღაშენნა ეკლესიანი თუხარისისა ციხესა შინა, რამეთუ ჯევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესიაჲ, და მუნ შინა დაადგინნა მღდელნი მოძღურად კლარჯთა, და ჰმატა შენებაჲ ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა“ (ლეონტი მროველი: 2008: 146).

V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის დავალებით, კლარჯეთში არტავაზმა ააშენა მონასტერი[1] და სამი ეკლესია – მერეს, შინდობის

[1] საისტორიო მასალის შესწავლამ წარამოშვა კითხვა, შესაძლოა თუ არა, შეესაბამებოდეს სინამდვილეს არტავაზის მიერ ოპიზის მონასტრის დაარსების ფაქტი. ამ მოსაზრების დასადასტურებლად თუ ცალსახად უარსაყოფად საკმარისი საფუძვლიანი ცნობები არ გვაქვს. „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. „ძველი რედაქციის“ ნუსხების (ანასეული, მარიამისეული, მაჩაბლისეული, კლიმიაშვილისეული) გაცნობის შემდეგ, გაგვიჩნდა ვარაუდი, რომ, ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ტექსტის იმ მონაკვეთში, რომელშიც საუბარია კლარჯეთში საეკლესიო მშენებლობის შესახებ, საუბარი უნდა იყოს მის მიერ არტანუჯში აშენებულ მონასტერზე. 2008 წელს როინ მეტრეველის რედაქტორობით გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაშიც“ არტავაზის მიერ არტანუჯის მონასტრის აშენების ფაქტია მოხსენიებული (ჯუანშერი 2008: 192), არტანუჯში მონასტრის არსებობას აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილიც. თუმცა არაფერს წერს მის დამაარსებელზე. იგი აღნიშნავს, რომ მონასტრის ეკლესია

და ახიზის. ბერთის (I) სახარების გვიანდელი (სავარაუდოდ, XV საუკუნის) მინაწერი ვახტანგ გორგასალს უკავშირებს თუხარისის წმ გიორგის ეკლესიის აშენებას (ხოშტარია 2009: 29).

კლარჯეთში პირველი საეპისკოპოსო ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა დააარსა: „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა“ (ჯუანშერი 2008: 215).

VI-VII საუკუნეებში კლარჯეთში ჩატარებული მშენებლობების შესახებ, ფაქტობრივად, ცნობები არ მოგვეპოვება. მეცნიერთა ნაწილში არსებობს აზრი, რომ სამონასტრო ცხოვრება პარეხთას მონასტერში VI საუკუნეში დაიწყო. დიდი საეკლესიო მშენებლობა კლარჯეთში VIII ს.-ში იწყება, როდესაც იქ სამოღვაწეოდ მიდის გრიგოლ ხანცთელი.

კლარჯეთის ათორმეტი უდაბნოს ისტორიის შესწავლა სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროს ემყარება. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი პირველწყაროა ქართული საეკლესიო მწერლობის უძვირფასესი ძეგლი, გიორგი მერჩულეს თხზულება – „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდის აღმშენებლისაჲ, და მის თანა ჴსენება მრავალთა მამათა ნეტართაჲ“ (გიორგი მერჩულე 2006: 148).

გრიგოლის ცხოვრება 951 წელს[2] ხანცთაში გიორგი მერჩულემ, მონასტრის წინამძღვრის თეოდორეს და მისი ძმის იოანეს დახმარებით, დაწერა. 958-966 წლებში ეს ცხოვრება ადარნასე III კურაპალატის ვაჟმა ბაგრატ ერისთავთერისთავმა განაახლა რამდენიმე სასწაულის ჩართვით, რაც გიორგი მერჩულესეულ თხზულებაში არ ყოფილა.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დაწერის თარიღთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს ციალა კახაბრიშვილს. მისი ვარაუდით, გიორგი

ჯვარგუმბათიანი უნდა ყოფილიყო: „არს არტანუჯს ეკლესია-გუმბათიანი, კეთილ დიდ შუენიერ ნაგები, ესე იყო მონასტერი და აწ არს უქმი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 682).

[2] „ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა“ (გიორგი მერჩულე 2006: 213).

მერჩულემ თხზულება X საუკუნის 30-იან წლებში დაწერა. ხოლო 951 წელს ხანცთის წინამძღვრის და მისი ძმის იოანეს დახმარებით გადაწერეს ბაგრატ ერისთავთერისთავის მიერ ჩამატებული სასწაულებით განვრცობილი ტექსტი. ციალა კახაბრიშვილი წერს, რომ „ცხოვრების“ ანდერძის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აქ მოხსენიებული დიდი ადარნასე კურაპალატი არ შეიძლება იყოს ადარნასე III, რადგან მას არ დასცალდა კურაპალატობა და ამ ტიტულის მიღების შემდეგ ვაჟებმა დავითმა და ბაგრატმა ხელისუფლება წაართვეს და ბერად აღკვეცეს. ასევე „დიდი ჴელმწიფე“ არ შეიძლება იყოს ბაგრატ IV ერისთავთერისთავი. მკვლევრის დასკვნით, ადარნასე კურაპალატსა და მის ვაჟში, ბაგრატში უნდა მოვიაზროთ ადარნასე II კურაპალატი, რომელმაც შემდგომ ქართველთა მეფის ტიტული მიიღო და მისი ვაჟი ბაგრატ ერისთავთერისთავი, იგივე ბაგრატ მაგისტროსი, ბაგრატ I ქართველთა მეფე. ციალა კახაბრიშვილის მოსაზრებით, ბაგრატს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ უნდა განევრცო 937-945 წლებს შორის (კახაბრიშვილი 2001: 305-306). პავლე ინგოროყვას მსჯელობით, ძეგლის ანალიზი ადასტურებს, რომ გიორგი მერჩულის თხზულება, როგორც საისტორიო წყარო, დიდ ნდობას იმსახურებს. აგიოგრაფიული ძეგლი მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას ძველი საქართველოს ისტორიული ვითარების შესახებ და მას გვერდს ვერ აუვლის ისტორიკოსი, შუა საუკუნეების საქართველოში ქართული სინამდვილის რომელ მხარესაც არ ეხებოდეს იგი. გიორგი მერჩულის თხზულება ასახავს საქართველოს სინამდვილეს 8-10 საუკუნეებში (ინგოროყვა 1954: 5-6).

აგიოგრაფიული თხზულება გადმოგვცემს კლარჯეთში სამონასტრო კოლონიზაციის ინიციატორის წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებას და მის მიერ მონასტრების დაარსებას, „ამ ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსჱ, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღვდელი და კეთილად განმგებელი მოღუაწჱ და უდაბნოთა ქალაქ მყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ, სულიერი მამაჲ და წინამძღუარი და მაშენებელი ხანცთისა და შატბერდისაჲ, ორთა ამათ დიდებულთა მონასტერთაჲ, რომელი ექმნა სახე

კეთილის ყოველთა მის ჟამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლად შენებასა მათსა“ (გიორგი მერჩულე 2006: 149). გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში დაწვრილებითაა აღწერილი ხანცთის მონასტრის აშენების ეტაპები, შატბერდის აშენება და კლარჯეთის უდაბნოთა აღორძინება. თხზულებაში დაცულია ცნობები იმ საერო პირთა შესახებ (აშოტ კურაპალატი, ბაგრატ კურაპალატი, გაბრიელ დაფანჩული), რომელთა ფინანსური დახმარებით შენდება ეს სავანეები.

ანჩის საეპისკოპოსოსა და მის მღვდელმთავრებზე პირველ ცნობებსაც ამ ნაწარმოებში ვკითხულობთ: „ფრიად ურიცხვნი ჟამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღშენებისანი და ეპისკოპოსნიცა მრავალნი კეთილად სასწაულთა მოქმედნი ყოფილ არიან, არამედ პატივ-სცა ქრისტემან წმიდათა მათ უდაბნოთა, რაჲთა იყოს წინამძღვრად მათდა ეპისკოპოსი უმიზეზოჲ, წმიდაჲ და ღირსი...“. (გიორგი მერჩულე 2006: 199).

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ შემდგომ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. თხზულებამ შემოგვინახა ცნობები ოპიზის მშენებლობის ერთ-ერთი ეტაპის და მასში მოღვაწე სასულიერო პირთა შესახებ.

მეცნიერებაში დღემდე სადავოა, თუ როდის დაიწერა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა შორის არსებობს ორი განსხვავებული მოსაზრება. აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე ცხოვრების ერთადერთმა, სავარაუდოდ, მეტაფრასულმა ტექსტმა მოაღწია, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ტექსტს XVI-XVII საუკუნეებში გადაწერილი კრებული (A-69) შეიცავს (A ფონდის აღწერილობა 1973: 241).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტში არსად გვხვდება მითითება მისი დაწერის ზუსტი დროის შესახებ, ირიბი ცნობები ტექსტიდან კი მეცნიერებს შორის პოლემიკის მიზეზიც გახდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ემხრობა მოსაზრებას, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ დაწერილია VII საუკუნეში, ხოლო მეორე ნაწილი მას X საუკუნის ძეგლად მიიჩნევს.

თხზულებას მიაკვლია და პირველმა გამოსცა მოსე ჯანაშვილმა. მანვე პირველმა მიაპყრო ყურადღება ნაწარმოების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სერაპიონი იყო მიქაელ პარეხელის, ხოლო ეს უკანასკნელი – შიო საკვირველთმოქმედის მოწაფე.

მოსე ჯანაშვილი ძეგლის დათარიღებისას, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტის ამ ადგილის გარდა, ემყარებოდა ზარზმის ფერისცვალების ხატის 886 წლის წარწერას: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა შეიმოსა ხატი ესე მწედ ამ˜სა გიორგისა, ოჯფალთა ფარსმან ერისთავისა, ივანესა, ტკი... მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა მათისა მამასახლისობასა პავლწსა, ქორონიკონი იყო რ˜ვ (886 წ.)“. ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, ვინმე პავლე ხუცესი იხსენიება ბასილი ზარზმელის თხზულებაში. აქედან გამომდინარე, მოსე ჯანაშვილი ვარაუდობდა, რომ „პავლე მამასახლისი თუ ჩვენი პავლე ხუცესია და თუ იგი ჩანს ამ ხანს (886 წ. – ნ. ხ.), თვით სერაპიონი ზარზმის აშენებას დაახლოებით შეუდგებოდა არჩილის მეფობაში (718 წ.), ზარზმის ფერისცვალების ხატი 886 წელს განუახლებია ვინმე პავლეს. ეს უკანასკნელი კი აღნიშნული მონასტრის მეოთხე თუ მეხუთე მამასახლისი იყო. მაშასადამე, ასკვნის მკვლევარი, „ხატის შემზადება და ზარზმაში მოსვენება რამდენიმე საუკუნით ამას წინად მოხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს VII საუკუნის დასასრულისა“ და თუ ზარზმა სერაპიონის მიერ ამ საუკუნეშია აშენებული, მაშინ დასაშვებია, რომ ბასილი ზარზმელს არაფერი ჰქონდა ნათქვამი VIII-IX საუკუნეების. კლარჯეთ-აფხაზეთის მონასტრების აღმშენებლის - გრიგოლ ხანცთელის შესახებ. მოსე ჯანაშვილი ასევე შენიშნავს, რომ თხზულებაში გიორგი ჩორჩანელი დიდ მთავრად არის მოხსენიებული და არსად იხსენიება მეფე (ჯანაშვილი 1909: LII-LV).

ცნობილია, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულია გრიგოლ ხანცთელის მეგობარი, ბერთის პარეხში დამკვიდრებული მიქელი. ვინმე მიქაელ პარეხელი ნახსენებია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც, მაგრამ ისინი, მოსე ჯანაშვილის მსჯელობით, სხვადასხვა პირები ჩანან, რადგან შიო მღვიმელის მოწაფის, მიქელის დროიდან (VI საუკ.) ხანცთელამდე (760-861) ორი-სამი

თაობის მანძილი მაინც არის. შიო მღვიმელის მოწაფე მიქელი პარეხში ოპიზიდან, გრიგოლ ხანცთელის მეგობარი კი მიძნაძორიდან მივიდა და მერე ბერთის ს პარეხთაში (უდაბნოს) დამკვიდრდა.

ამგვარად, მოსე ჯანაშვილს სერაპიონ ზარზმელი არჩილ მეფის (668-718) თანამედროვედ მიაჩნია, ხოლო მისი ცხოვრების ამსახველი თხზულების ავტორი, ბასილი – მერვე საუკუნის მეორე მეოთხედის მოღვაწედ (ვაჩნაძე 1975; 5-7). მოსე ჯანაშვილი პირველი მეცნიერია, რომელმაც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დაწერის თარიღად VII საუკუნე ივარაუდა. მომდევნო პერიოდის მკვლევრები იზიარებენ მის მოსაზრებას და ცდილობენ, დამატებითი არგუმენტებით გაამყარონ ეს დასკვნა.

პავლე ინგოროყვა და ანრი ბოგვერაძე VII საუკუნით ათარიღებენ თხზულებას. მათი არგუმენტებია: IX საუკუნის კლარჯეთში გაჩაღებული დიდი სამონასტრო მშენებლობების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის – გრიგოლ ხანცთელის და კლარჯეთის სავანეთა მოუხსენებლობა, არაბთა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ ცნობების უქონლობა.

ანრი ბოგვერაძე ბასილი ზარზმელის თხზულების დათარიღებისათვის დამატებით იყენებს სამცხის სამონასტრო მშენებლობას, რომელიც ვრცლადაა აღწერილი „სერაპინ ზარზმელის ცხოვრებაში“. მკვლევარი აღნიშნავს „არ შეიძლება ძველი არ გვეჩვენოს, აგრეთვე, სამონასტრო მშენებლობის ის სურათი, რომელსაც „ცხოვრებაში“ ვხედავთ. სამშენებლო ქვის უქონლობის გამო „საღვთოჲ შური მონასტრის შენებისაჲ“ სერაპიონს და მის „ძმებს“ აიძულებს „წყლისაგან რასმე ღობიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს“. როგორც იქნა, „შემდგომად სამისა წლისა სრულ იქნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეჰგუანდა ჟამსა მას. „ეს ჟამი“, როგორც ვხედავთ, ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების გაშლისა და აყვავების ხანა არ ყოფილა. მაშინ, როცა კლარჯეთი დიდებული ეკლესია-მონასტრებითაა მოფენილი, რამდენად სარწმუნოა, მეზობელ სამცხეში მდინარისაგან გამოღებული „უშუერი“ ქვით შენდებოდეს პატარა მონასტერი, ისიც დიდი მთავრის მზრუნველობით და ხელშეწყობით? ჩანს, ქვეყანა ამ დროს ჯერ კიდევ

ადრეფეოდალური ურთიერთობის იმ საფეხურზე იმყოფება, როცა მის საზოგადოებრივ ძალებს არ მოსდევთ საშუალება ნივთიერი სახსრების გამოღებისა“. ანრი ბოგვარაძის ვარაუდით „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ VI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და VII საუკუნის დამდეგის სამცხის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას ასახავს (ბოგვერაძე 1964: 60-69; ვაჩნაძე 1975; 25-26) .

ბასილ ზარზმელის თხზულებას სარგის კაკაბაძეც VII საუკუნეში დაწერილად მიიჩნევს. იგი აგიოგრაფიული ძეგლის იმ ადგილს ეყრდნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სერაპიონ ზარზმელის მოძღვარი, მიქაელ პარეხელი იყო მოწაფე შიო საკვირველთმოქმედისა (კაკაბაძე 1924: 54).

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დათარიღებას ეხება პოლ პეეტერსი იმ გამოკვლევაში, რომელიც უძღვის ძეგლის მისეულ ლათინურ თარგმანს და რომელშიც საუბარია ბასილი ზარზმელის თხზულების დაწერის თარიღზე, უფრო ზუსტად, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება-მოღვაწეობის ხანაზე. მკვლევარს ეჭვმიუტანელ ფაქტად მიაჩნია ცნობა იმის შესახებ, რომ სერაპიონ ზარზმელი იყო მიქაელ პარეხელის მოწაფე, მიქაელი კი – შიო მღვიმელისა, რომელიც საქართველოში VI საუკუნეში მოვიდა (Paul Peeters, Histoires monastiques Géorgiennes, Brüxelles, 1923, p. 317; ვაჩნაძე 1975: 11).

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას VII საუკუნით ათარიღებს მარინა ჩხარტიშვილი. იგი წერს, რომ პარეხის დამაარსებელი არა მიქაელია, არამედ ოპიზის ოთხი ბერიდან ერთ-ერთი (ჩხარტიშვილი 1993: 167-173).

განსხვავებული მოსაზრება აქვთ ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს და ედიშერ ჭელიძეს. თხზულების ჯანაშვილისეულმა დათარიღებამ ივანე, ჯავახიშვილის კრიტიკა დაიმსახურა. ეს უკანასკნელი ბასილის თხზულებას ათარიღებდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების მონაცემების მიხედვით, კერძოდ, ორივე თხზულების გიორგი მაწყვერელისა და მიქელის გაიგივების გზით. მისი აზრით, მცდარია მოსაზრება, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და გიორგი მერჩულის თხზულების მიქელი სხვადასხვა პირია.

ივანე ჯავახიშვილის წერს, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დიდი ნაკლი თხზულების უთარიღობაა. ნაწარმოების ანალიზის შედეგად, მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ ბასილის თხზულება მხოლოდ დაახლოებით შეიძლება დათარიღდეს, რადგანაც თხზულებაში არსადაა თარიღი დასახელებული. ბასილი ზარზმელისთვის სერაპიონის სასწაულთმოქმედებათა შესახებ მოუყოლია გიორგი მაწყვერელს. ვინმე გიორგი მაწყვერელი მოხსენიებული ჰყავს გიორგი მერჩულესაც იმ პირებს შორის, რომელთაც შეეძლოთ გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღწერა, ივანე ჯავახიშვილმა ორივე თხზულებაში მოხსენიებული გიორგი მაწყვერელი ერთი და იმავე პიროვნებად მიიჩნია (ჯავახიშვილი 1977: 139-140).

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დასრულების თარიღია 951 წ., მაგრამ უცნობია, თუ როდის დაიწყო მისი წერა გიორგი მერჩულემ, 951 წლისთვის კი გიორგი მაწყვერელი უკვე გარდაცვლილი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ბასილ ზარზმელს ცნობები სერაპიონ ზარზმელის შესახებ 951 წელზე ადრე უნდა ჰქონოდა შეკრებილი. მკვლევარი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას X საუკუნის I ნახევრით ათარიღებს (ჯავახიშვილი 1977: 133).

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ეპოქას IX საუკუნის II ნახევრით ათარიღებს ედიშერ ჭელიძე. იგი წერს, რომ მეცნიერები, რომლებიც VII საუკუნით ათარიღებენ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას, ძირითადად, ეჭიდებიან იმ ფაქტს, რომ მიქაელ პარეხელი იყო შიო მღვიმელის მოწაფე. თუმცა, ის მიუთითებს, რომ ეს არის ზეპირი გადმოცემა (ხოლო ,,ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩვენდა“), რის გამოც ეჭვქვეშ დგება მისი ისტორიული ღირებულება. ეს კი, თავის მხრივ, თითქმის საფუძველს აცლის ,,სერაპიონის ცხოვრების“ VII საუკუნით დათარიღებას.

რაც შეეხება ,,მოწაფეობის“ იდეას, ედიშერ ჭელიძე აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში სრულიად არ არის აუცილებელი ისტორიულ დროში თანხვედრა. აგიოლოგიის თანახმად, ესა თუ ის წმინდანი შეიძლება დაკავშირებული იყოს

მასზე რამდენიმე საუკუნით დაშორებულ პირთან და მხოლოდ სულიერად ემოწაფებოდეს მას (ჭელიძე 1991: 188-213).

მოწაფეობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა თეიმურაზ ჯოჯუამ. მისი მსჯელობით, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, უფრო ზუსტად კი, თხზულების თავდაპირველ ტექსტში, XI საუკუნის უცნობი მწიგნობრის მიერ შეტანილ მოგვიანო ჩანართში, მიქაელ პარეხელის მისამართით ნათქვამ ფრაზაში „მოწაფე დიდისა შიოჲსი“ ტერმინი „მოწაფე“, ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“ და შიომღვიმის მონასტრის კრებულის დაწერილის მსგავსად, კონკრეტული წმიდანის საფლავის ეკლესიასა თუ მონასტერში ამ წმიდანის გარდაცვალებიდან ათწლეულებისა თუ საუკუნეების შემდეგ სამოღვაწეოდ დამკვიდრებული სასულიერო პირის მნიშვნელობით არის გამოყენებული და არა უშუალო მოსწავლისა თუ შორეული სულიერი მოსწავლის მნიშვნელობით, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული... მიქაელ პარეხელი კლარჯეთში, ოპიზის მონასტერსა და პარეხში დამკვიდრებამდე შიო მღვიმელის განსასვენებელ სავანეში ანუ ქართლში, შიომღვიმის მონასტერში მოღვაწეობდა და ამ მიზეზის გამო, შიო მღვიმელის „მოწაფედ“ იწოდებოდა.“[3] აღნიშნული მსჯელობა მყარი არგუმენტია იმ მეცნიერთათვის, რომლებიც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დაწერის პერიოდად X საუკუნის I ნახევარს მიიჩნევენ.

კლარჯეთის უდაბნოთა ისტორიის შესწავლისათვის ასევე მნიშვნელოვანია წყაროთა ერთი ჯგუფი, რომელშიც ერთიანდება ეპიგრაფიკა, ისტორიული დოკუმენტები და ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები. წარწერები უმეტესად ქტიტორთა მოსახსენებელია. წარწერები აქვს ოპიზის, დოლისყანის და ხანცთის სავანეებს. ხოლო ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში დაცულია ცნობები ამ

[3] თეიმურაზ ჯოჯუა, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ დადასტურებული ფრაზის `მოწაფე დიდისა შიოჲსი“ მნიშვნელობისათვის და `მამა სერაპიონის, ზარზმისა აღმაშენებლის უცნობი საგალობელი 1573 წლის ჟამნ-გულანიდან (A-84); სტატია ჯერჯერობით არ დაბეჭდილა და ავტორმა მოგვცა მისი გამოყენების უფლება. აღსანიშნავია, რომ სტატიაში მკვლევარს ფუნდამენტურად აქვს შესწავლილი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დათარიღებასთან დაკავშირებული კვლევები. მოწაფეობასთან დაკავშირებით მოგვიანებით იგივე მოსაზრება გამოთქვა შოთა მათითაშვილს (მათითაშვილი 2018: 139).

მონასტერში მოღვაწე პირთა, შეწირულობების შესახებ. ანდერძ-მინაწერები მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენთვის იმის შესასწავლად, თუ რა სამწიგნობრო საქმიანობას ეწეოდნენ კლარჯეთის ეს მონასტრები.

ისტორიული წყაროების გარდა, კლარჯეთის ათორმეტი უდაბნოს ისტორიის და ძეგლების შესწავლისთვის მნიშვნელოვანია იმ მოგზაურთა ჩანაწერები და დღიურები, რომელებმაც XIX-XX სს.-ში იმოგზაურეს კლარჯეთში და შეისწავლეს ამ ისტორიული მხარის კულტურული მემკვიდრეობა.

კლარჯეთში ექსპედიციები XIX ს.-ის 70-იანი წლებიდან იწყება. 1873 წელს გიორგი ყაზბეგმა იმოგზაურა კლარჯეთში. მის მოგზაურობის ჩანაწერებში – „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, აღწერილია ოპიზის მონასტერი. მან ასევე აღნიშნა, რომ ბერთასა და ფორთაში არის დიდ სავანეთა ნაშთები (ყაზბეგი 1995).

1879 წელს (ე. ი., კლარჯეთის მხარის თურქთაგან დაბრუნების მეორე წელს) კლარჯეთში იმოგზაურა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელიც გადმოგვცემს დამატებით ცნობებს ოპიზის შესახებ, ხოლო კლარჯეთის დანარჩენ სავანეთაგან იგი ეხება დოლისყანას. დიმიტრი ბაქრაძემ პირველმა გადმოიღო ოპიზის და დოლისყანას წარწერები. იგი კლარჯეთში ასევე ეძებდა შატბერდის ადგილმდებარეობას, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო (Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878).

1888 წელს კლარჯეთში იმოგზაურა ანდრეი პავლინოვმა, რომელმაც მოგვცა კლარჯეთის იმ ძეგლების ხუროთმოძღვრული აღწერილობა, რომლებიც უკვე ცნობილი იყო გიორგი ყაზბეგისა და დიმიტრი ბაქრაძის შრომებით, სახელდობრ, ოპიზის, სვეტის, დოლისყანის, ფორთის უსახელო სავანის და ბერთის (Павлинов 1893).

1904 წელს ნიკო მარმა იმოგზაურა კლარჯეთში, რათა დაედგინა იმ მონასტრების ადგილმდებარეობა, რომლებიც მოხსენიებული იყო გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში ნიკო მარმა მოინახულა კლარჯეთის მონასტრები,

დაადგინა მათი ადგილმდებარეობა (შატბერდის და ხანცთის მონასტრების გარდა), აღწერა და შეისწავლა ისინი (Mapp 1911).

1954 წელს პავლე ინგოროყვამ გამოსცა დიდი მონოგრაფია „გიორგი მერჩულე“, წიგნის პირველ ნაწილში მკვლევარმა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ განიხილა, როგორც საისტორიო წყარო. ხოლო კვლევის მეორე ნაწილი მიუძღვნა გრიგოლ ხანცთელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ძველ ქართულ პოეზიას V-XI საუკუნეებში (ინგოროყვა 1954).

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით ძლიერდება ინტერესი ამ რეგიონის მიმართ. 2004 წელს ირინე გივიაშვილისა და ირაკლი კოპლატაძის ავტორობით გამოიცა წიგნი – „ტაო-კლარჯეთი“, რომელშიც აღწერილია ტაო-კლარჯეთის ძეგლები, მათ შორის კლარჯეთის სავანეები.

2006 წელს ვალერი სილოგავასა და კახა შენგელიას ავტორობით დაიბეჭდა მონოგრაფია – „ტაო-კლარჯეთი“, სადაც განხილულია კლარჯეთის მხარის საეპისკოპოსო კათედრები – ახიზისა და ანჩის ეპარქიები (სილოგავა… 2006: 16-18; 46-66).

2005, მეორედ კი 2009 წელს, ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარიამ გამოსცა „კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები“, რომელშიც წარმოჩენილია კლარჯეთში მიმდინარე საეკლესიო მშენებლობა და გაშუქებულია კლარჯეთის არქიტექტურის ისტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სულიერი, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ფონზე.

2015 წელს მალხაზ ჩოხარაძემ გამოსცა – მონოგრაფია „ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები“. ნაშრომში წარმოჩენილია კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა (ჩოხარაძე 2015).

2016 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა გამოაქვეყნა მონოგრაფია – „კლარჯეთი“ (ავტორები: მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე,

ჯემალ კარალიძე). წიგნში მოთხრობილი და აღწერილია კლარჯეთის ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ლიტერატურული და სამწიგნობრო სკოლები, კლარჯთა სოფლები თანამედროვე თურქეთში, ყოფა, ფოლკლორი, მეტყველება და ტოპონიმიკა (კლარჯეთი 2016).

2018 წელს, მზია სურგულაძის რედაქტორობით, (ავტორები: მზია სურგულაძე, ნესტან ჩხიკვაძე, ლელა შათირიშვილი, მაია კარანაძე, ნიკოლოზ ჟღენტი, ეთერ ედიშერაშვილი) დაიბეჭდა მონოგრაფია – „ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა“. აღნიშნულ ნაშრომში თავმოყრილი და განზოგადებულია არსებული ცოდნა ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობის შესახებ. წიგნში განხილულია ოპიზის, შატბერდის, ანჩის, ხანცთის, მიძნაძორის, ბერთას, პარეხთას, წყაროსთავის, სვეტის მონასტრების ხელნაწერი მემკვიდრეობა (ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა 2018).

თავი 1. კლარჯეთის ათორმეტი უდაბნო (მონასტრის რაოდენობათა პრობლემა, ერთობის საკითხი)

დიდი სამონასტრო მშენებლობა კლარჯეთში VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში დაიწყო და მას საფუძველი გრიგოლ ხანცთელმა ჩაუყარა. თავდაპირველად წმინდა მამა, საბა იშხნელთან, ქრისტეფორესა და თეოდორესთან ერთად ოპიზაში დამკვიდრდა, ორი წლის შემდეგ ხანცთაში ხის ეკლესია ააშენა. აქედან ეყრება საფუძველი ამ მხარეში დიდი სამონასტრო ცხოვრების აღორძინებას.

გრიგოლ ხანცთელმა სთხოვა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ბაგრატიონ მმართველებს, რომ მისულიყვნენ და მოენახულებინათ მის მიერ დაარსებული და კლარჯეთის სხვა უდაბნოებიც. ამის შემდეგ ბაგრატ კურაპალატმა ძმებთან, დიდებულებთან და ზაქარია ანჩელ ეპისკოპოსთან ერთად კლარჯეთის მონსტრები მოიარა. ისინი ესტუმრნენ ოპიზას, ხანცთას, შატბერდს, ბერთას, ბარეთელთას, დაბას, ჯმერკს, მიძნაძორს, წყაროსთავს; რაც შეეხება დოლიყანას, იქ სამონასტრი ცხოვრება შედარებით გვიან დაიწყო. აქვე აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯეთის ხელმწიფეთა მოგზაურობის მარშრუტში გიორგი მერჩულე არ ახსენებს პარეხთასა და მერეს მონასტრებს. როგორც პარეხთას მონასტრის ისტორიის შესწავლამ გვიჩვენა, სავარაუდებელია, რომ აქ სამონასტრო ცხოვრება დაიწყო მიქელისა და ბასილის გარდაცვალების შემდეგ, IX საუკუნის II ნახევარში. რაც შეეხება მერეს, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ დიდებულთა მიერ მონასტერთა მონახულების პერიოდში, მერეში სამონასტრო ცხოვრება უკვე აქტიურად მიმდინარეობდა. ამის დასადასტურებლად აშოტ კურაპალატისა და „სიძვის დიაცი“ სიყვარულის ისტორიის ამბის გახსენებაც საკმარისია. თუ რატომ არ მოინახულეს მეფე-მთავრებმა მერეს მონასტერი, – ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ გვაქვს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მერე არ შედიოდა კლარჯეთის უდაბნოთა ერთობაში და სწორედ ამიტომ არ მოიხსენიებს მას გიორგი მერჩულე ამ კონკრეტულ ეპიზოდში? შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ

რადგანაც მერე დედათა მონასტერი იყო, ამიტომ არ მივიდა მის მოსალოცად მამაკაცებისაგან შემდგარი დელეგაცია. ეს საკითხი ღიად რჩება და არსებული წყაროებით პასუხის გაცემა, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ისმის კითხვა: თუ მერეს მონასტერს კლარჯეთის უდაბნოთა ერთობის ნაწილად მოვიაზრებთ, რატომ არ შეიძლება, ამ ერთობაში ვიგულისხმოთ გუნათლის დედათა მონასტერიც, რომელიც გრიგოლმა ააშენა და ჟამისმწირველი მღვდელი ამ მონასტრისთვის მერეს მსგავსად ხანცთიდან დაადგინა?! ამ ეტაპისთვის ამ კვითხვაზე პასუხის გაცემა, ვფიქრობთ, შეუძლებელია, ერთადერთ ვარაუდად გვესახება ის, რომ გუნათლის მონასტერი დღესდღეობით ლოკალიზდება შავშეთის მხარეში (ტაო-კლარჯეთის ექსპედიციები (2015) 2016: 40) და ამიტომ შეიძლება არ მოიაზრებოდეს კლარჯეთის სამონასტრო ერთობაში.

კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოში“ მოაზრებული მონასტრები ერთად მოხსენიებულია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტის ამ მონაკვეთში. თხზულების ამ ნაწილში მოხსენიებულია ისეთი მონასტრები, რომლებიც „ცხოვრების“ დანარჩენ ტექსტში არ გვხვდება და, სამწუხაროდ, მათ შესახებ ცნობები სხვა ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებშიც არ მოგვეპოვება (მაგ.: ჯმერკი, ბარეთელთა, დაბა). ამ მონასტერთა ერთობის ყველა უდაბნო, მერეს გარდა, მამათა სავანეა.

ანჩელი მღვდელმთავრისა და წმ. მამათა განზრახვით, გრიგოლ ხანცთელი კლარჯეთის უდაბნოების არქიმანდრიტად დაადგინეს (სავარაუდოდ, IX ს.-ის მეორე მეოთხედში.. (გიორგი მერჩულე 1963: 276) გრიგოლ ხანცთელის არქიმანდრიტად დანიშვნის დროიდან სათავეს იღებს კლარჯეთის მონასტრების ერთობა.

კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოს“ ერთობის ჩამოყალიბება ძნელად გვესახება მის სათავეში არქიმანდრიტის[4] გარეშე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სავანეთა

[4]„ არქიმანდრიტი“ (ბერძ. ἀρχιμανδρίτης, ნაწარმოებია ἄρχω „თავი, მეთაური“, და μάνδρα „სამწყსო, ფარა“) VI საუკუნიდან გამოიყენება რეგიონის ან ქალაქის სამონასტრო გაერთიანებების, რამდენიმე მონასტრის წინამძღვრის აღსანიშნავად. თუ მანამდე აუცილებელი არ იყო, არქიმანდრიტს მღვდლობის ხარისხი მიეღო, VIII საუკუნიდან საბოლოოდ მკვიდრდება მღვდლობის ხარისხის აუცილებლობა (A.M. Tablot, "Archimandrite" in Oxford dictionary of

პირველ არქიმანდრიტად გრიგოლ ხანცთელი დაადგინეს. ჩვენთვის ცნობილი „ათორმეტ უდაბნოთა“ არქიმანდრიტებიდან ის ერთადერთი იყო, რომელსაც არ ჰქონია ეპისკოპოსის ხარისხი. შემდგომ ცნობილი არქიმანდრიტები, როგორც ეს ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, ამავდროულად ანჩელი ეპისკოპოსებიც იყვნენ.

კლარჯეთის მონასტერთა ერთობის წინამძღვარი, არქიმანდრიტი, მონასტერთა სულიერ ცხოვრებასა და, სავარაუდოდ, ადმინისტრაციულ საკითხებსაც განაგებდა: „და მრავალგზის მოვიდიან წმიდანი იგი მამანი, წინამძღუარნი მონასტერთანი, მრავალთათჳს მიზეზთა და სიბრძნითა მისითა პოვიან განსუენებაჲ ყოველსა ზედა საქმესა“ (გიორგი მერჩულე 1963: 282)

გრიგოლ ხანცთელი განაგებდა კლარჯეთის ყველა უდაბნოს. მონასტრის წინამძღვრები, წმინდა მამები, ხშირად მიდიოდნენ მასთან მრავალი მიზეზის გამო, მისი სიბრძნით კი ყველა საქმეში მოსვენებას პოულობდნენ. გრიგოლ ხანცთელის სიცოცხლეში წმინდა მამები მარხვას ხანცთის მონასტერში იღებდნენ. დიდი მარხვის პირველი შვიდეულის ორშაბათს კი აქვე იღებდნენ მარხვაში შესასრულებელ კანონს და მიდიოდნენ. (გიორგი მერჩულე 1963: 282).

გრიგოლი, როგორც კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტი, იმის გამო, რომ ოპიზის მონასტრი კლარჯეთის უდაბნოთა შორის ყველაზე ადრინდელია, უარს ამბობს მის წინამძღოლობაზე. მაგრამ ოპიზის წინამძღვართან საუბრის შემდეგ ეს უძველესი სავანეც კლარჯეთის უდაბნოთა ერთობის წევრი ხდება (გიორგი მერჩულე 1963: 282)..

გრიგოლ ხანცთელის შემდგომ კლარჯეთის უდაბნოთა არქიმადნრიტის შესახებ პირველად 1204-1207 წლის ანჩის სახარების ანდერძით ხდება ცნობილი (სილოგავა.. 2006: 59). რა დროიდან იღებს ანჩელი ეპისკოპოსი ამავდროულად კლარჯეთის უდაბნოთა არქინდანრიტის პატივს, უცნობია. აღსანიშნავია, რომ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტის ანდერძში გიორგი მერჩულე

Byzantium, Vol. I, ed. A. P. Kazhdan, Oxford 1991, 156; C. Korolevskij, "Archimandrita", in Enciclopedia Italiana di scienze lettere ed arti, Vol. IV, Milano 1929, 48).

ასახელებს მის თანამედროვე სასულიერო თუ საერო პირებს, თუმცა არ უთითებს, თუ ვინ იყო იმ პერიოდის კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტი (გიორგი მერჩულე 1963: 317). ამ პატივის მფლობელი პირი არც ოპიზისა და მიძნაძორის სამამულო დავის დოკუმენტშია (XI ს. ხეც, Sd-1201) ნახსენები (ენუქიძე... 1984: 32-34).

სავარაუდოდ, კლარჯეთის ათორმეტ უდაბნოში შედიოდა შემდეგი სავანეები: ოპიზა, ხანცთა, შატბერდი, პარეხი, ბერთა, ბარეთელთა, დაბა, მერე, მიძნაძორი, წყაროსთავი, დოლისყანა, ჯმერკი. აღნიშნული ნუსხა დადგენილია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მიხედვით. პავლე ინგოროყვაც, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტი საისტორიო ასპექტების ჩათვლით, „ათორმეტ უდაბნოში“ ზემოთ ჩამოთვლილ მონასატრებს მოიაზრებს.

კლარჯეთის მონასტრების „ათორმეტ უდაბნოდ“ მოხსენიების პირველი შემთხვევა 1204-1207 წლებში გადაწერილ წალკის, იგივე ანჩის სახარების ანდერძში გვხვდება. კოლოფონში ანჩელი ეპისკოპოსი თეოდორე, ათორმეტ უდაბნოთა არქიმანდრიტად მოიხსენიება: „...ადიდენ წმიდაჲ მღდელთმოძღუარი თეოდორე ანჩელ მთავარეპისკოპოსი და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი“ (სილოგავა... 2006: 59). კლარჯეთის მონასტრებს „ათორმეტ უდაბნოდ“ მოიხსენიებს ჟამთააღმწერელიც: „ამისი უდაბნო შენ არს და არა უცნაურ მთათა შინა ღადოსათა, ოპიზა, უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა“ (ჟამთააღმწერელი 2008: 601). ვახუშტი ბატონიშვილიკი წერს: „ამ შავშეთის-წყლისა და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთასავე, არს მონასტერი ნათლისმცემლისა. ამას შინა იყო ჴორპი ნათლისმცემლისა, და იყო დიდ-ჴელოვნებით ქმნული და შენებული. ამისნი შედეგნი იბ (12) მონასტერნი, და თავი იყო“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 678). გიორგი მერჩულე, ზოგადად, „კლარჯეთის უდაბნოებს“ უწოდებს: „ვითარმედ არსება-დაუბადებელისა კაცთ-მოყუარისა სამებისა წმიდისა მადლითა, მიუწდომელად ჩუენგან დაწერილთა – საუკუნოდ ზეცათა შინა ანგელოზთა თანა – წიგნსა მას ცხოველთასა, და ჯუარითა წმიდითა მოქადულთა დიდთა მათ მეუდაბნოეთა, კლარჯეთისა დიდებულთა

უდაბნოთა შინა პირველად დამკჳდრებულთა მათ წმიდათა მამათა“ (გიორგი მერჩულე 1963: 249).

პირველად კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოს“ გაერთიანებაში შემავალ მონასტერთა რაოდენობაში 1940 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში („გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა – ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული“) ეჭვი შეიტანა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. დავით გარეჯის მონასტრებთან შედარების საფუძველზე, იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოს“ სახელი სიმბოლურია და შეიძლება მასში თორმეტზე მეტი მონასტერიც შედიოდეს. ნინოწმინდელი ეპისკოპოსიც ატარებს არქიმანდრიტის წოდებას და დავით გარეჯის მონასტრებიც „ათორმეტ უდაბნოდ“ იწოდება (მელიქსეთ-ბეგი 1940: 154-156) (დავით გარეჯში, პლატონ იოსელიანის მიხედვით, შედის 11 მონასტერი; ბაბილინა ლომინაძის მოსაზრებით კი – 7 მონასტერი; ლადო მირიანაშვილი 19 მონასტერს ასახელებს და სხვ. (სილოგავა 1999: 11)). ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიხედვით, ტერმინი „ათორმეტი უდაბნო“ სიმბოლურად ქრისტეს თორმეტ მოციქულს უნდა უკავშირდებოდეს

ლეონ მელიქსეთ-ბეგის დაკვირვებით, „ათორმეტი უდაბნონი“ ერთგავრი ტექნიკური ტერმინია (Termini technici), რომელიც ერთმანეთთან ახლოს მდებარე მონასტრების კომპლექსს აღნიშნავს (ლეონ მელიქსეთ-ბეგი 1940: 156)

ვალერი სილოგავა ემხრობა მოსაზრებას, რომ აქ რიცხვ 12-ს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. იგი მიიჩნევს, რომ კლარჯეთში სხვა მონასტრებიც არსებობდა, მაგრამ ანჩელი ეპისკოპოსები ბოლომდე „კლარჯეთის ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტებად“ იწოდებოდნენ. ამ რიცხვს სიმბოლური მნიშვნელობა და დატვირთვა მაცხოვრის 12 მოწაფის შესაბამისად ჰქონდა. თუმცა მკვლევარი არ უთითებს, ზემოთ ჩამოთვლილ მონასტერთა გარდა, კიდევ რომელი უდაბნო შემოდიოდა ამ გაერთიანებაში (სილოგავა… 2006: 65). ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ათორმეტ უდაბნოს“ ერთობაში რიცხვობრივად თორმეტზე მეტი მონასტერი შედიოდა. დღემდე საინტერესო საკითხად რჩება მათი რაოდენობის დადგენა. სავარაუდოდ, „ათორმეტ უდაბნოს“ ერთობის ნაწილი სვეტის უდაბნოც უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს კვირიკე ნადუღის მიერ XI

საუკუნეში გადაწერილი სახარების XV საუკუნის მხედრულით შესრულებულ მინაწერი: „ღმერთო და თორმეტ უდაბნოთა მადლო შეუნდვენ ხოსაშვილთ: მ(ა)თნი ცოდვ(ა)ნი ფეროზს: და ლალფეროზს და იმირინდოს როვინს და ჯვანშერს მეუღლეს მირინდოს : ან(ა)ს : ამინ“ (ხეც, A-844).[5] როგორც ცნობილი ხდება, ეს ხელნაწერი, გარკვეული პერიოდის მანძილზე, სვეტის უდაბნოში ინახებოდა (კლდიაშვილი 2017: 200, 202). რამდენადაც ხელნაწერი ინახებოდა სვეტის მონასტერში და მინაწერში სავედრებელი ლოცვა თორმეტ უდაბნოს მადლს ერთად მიემართება, კოლოფონი გვაფიქრებინებს, რომ სვეტი კლარჯეთის მონასტერთა ერთობის ნაწილი შეიძლება ყოფილიყო.

კლარჯეთის მონასტრები საგანგებოდ უგზო და მიუდგომელ ადგილებში ააშენეს, რომ საერო პირებისთვის მიუვალი ყოფილიყო. გრიგოლ ხანცთელი აფხაზეთის მეფე დიმიტრისთან საუბარში კლარჯეთის უდაბნოების ტერიტორიას ასე ახასიათებს: „...და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს მკჯდრობაჲ მათი...“ (გიორგი მერჩულე 1963: 269) .„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტს და სხვადასხვა წყაროზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კლარჯეთის უდაბნოების ნაწილი

[5] კოლოფონში მოხსენებული ხოსაშვილები ასევე იხსენიებიან XI საუკუნის მიძნაძორული სვინაქსარის ერთ-ერთ მინაწერშიც: „ს(უ)ლსა : მეფ(ე)ს : კოსტანტინ : ყოფილსა კირილს შეუნდნეს ღმერთმან ციციშვილს შალვას და თაყას შეუნდნეს ღმერთმან : ხოსაშვილს : ფერს : მათსა მეუღლესა ლალფეროზს იმირინდოს რამინს ჯუანშერს შეუნდვნეს ღმერთმან“. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე II 1467 წელს შავშეთიდან ქართლში გადასულ ზაზა ფანასკერტელს ორბოძლელისეული მამული უბოძა, რომელიც იმ დროს ბაღათარ ხოსაშვილს ეჭირა: „და გქონდეს თქუენ, ჩუენთა ერთგუ|ლსა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქუენთა შვილთა: ქაიხოსროს, გ(იორგ)ის, სიაოშს, მერაბს და ზაქარიას, შვილის შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთა: ჴუედურეთს ორბოძლელისეული თქუენი ნასისხლი მამული, რაცა ხოსაშვილსა ბაღათარს ანუ £უედურეთს ჰქონია და ანუ კ ე ხ ი სჯუარს , და ამა სიგელშიგა გიწერია, სრულად და უკლებად. ამას გარეთ მამული ქვაჴურელი, უფლისციხე და კარალეთი სრულად და უკლებად, რაგუარაცა თქუენსა მკუიდრსა მამულსა მართებს, აგრე. ჴელგეწიფების გასყიდვად, გაზითვებად, შეწირვად, თანა-შეტანად და, რაცა ფერად გინდა” (ენუქიძე... 2014: 167-168).

ლავრის ტიპის[6] მონასტრები, ხოლო ნაწილი, სავარაუდებელია, ჰიბრიდული კვინობის ტიპის მონასტრები იყო.

გრიგოლ ხანცთელის ოპიზაში მისვლისას იქ მცირე რაოდენობის ბერი დახვდა. თუმცა ნელ-ნელა ის დიდ მონასტრად ჩამოყალიბდა. IX საუკუნის მეორე ნახევრისთვის ოპიზას ფილიალები, დაქვემდებარებული მონასტრები ჰქონდა. 913 წელს ოპიზაში გადაწერილი სახარების ანდერძში ოპიზა უკვე ლავრად იწოდება. ოპიზა ლავრად იხსენიება ასევე 1093 წელს გადაწერილი პარაკლიტონის (A-93) ანდერძში: „დაიწერა ქრონიკონსა ტიგ, დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზას“ (A ფონდის აღწერილობა 1973: 346). ხანცთა, სავარაუდოდ, ჰიბრიდული ანუ შერეულის ტიპის კვინობი მონასტერი უნდა ყოფილიყო. ძმათა სენაკებიდან მოშორებით იყო გრიგოლის, თეოდორესა და ქრისტეფორეს სენაკები, რაც დამახასიათებელია ჰიბრიდული კვინობის ტიპის მონასტრისათვის.

შატბერდი ლავრის ტიპის მონასტერი იყო. XI საუკუნეში გადაწერილი კრებულის (A-73) ანდერძის მიხედვით, ხელნაწერი „დაიწერა **დიდსა ლავრასა** შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისა“ (A ფონდის აღწერილობა

[6] ლავრის ტიპის მონასტრებში იღვწოდნენ მარტომყოფელები, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულ სენაკებში ცხოვრობდნესენაკებში ისინი მთელ კვირას ლოცვასა, მარხვასა და ხელსაქმეში ატარებდნე შაბათ-კვირას კი ყველა ანაქორეტი, სნეულთა და განსაკუთრებით მკაცრი ასკეტური წესით მცხოვრებთა – დაყუდებულთა გარდა, ლავრის მთავარ ეკლესიაში საერთო წირვა-ლოცვაში მონაწილეობისათვის იკრიბებოდა. კვინობის ტიპის მონასტრებში ბერებს ერთმანეთთან ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი ყოველდღე იკრიბებოდნენ ეკლესიებში სხვადასხვა საეკლესიო მსახურებაზე, ჰქონდათ ყოველდღიური საერთო ტრაპეზი (დღეში ორჯერ). კვინობის ტიპის მონასტრებში მცხოვრები ბერები დღის უმეტეს ნაწილს სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოს: მეღვინეობას, მიწათმოქმედებას, სახელოსნო საქმეს უთმობდნე ბერების ხელსაქმის ერთ-ერთ სახეობას კალიგრაფია და ხელნაწერის გადაწერა წარმოადგენდა (ცერაძე 2001: 139).

ლავრის ტიპის მონასტრების ქვესახეობად გამოიყოფა ე.წ. ჰიბრიდული ტიპის, ანუ ბიზანტიური ლავრები – ნახევრად კვინობიტური დასახლებები, რომლებიც აერთიანებს უშუალოდ კვინობში მცხოვრებ ბერებსა და ანაქორიტებს, რომლებიც ემორჩილებიან მონასტერის (კვინობის) წინამძღვარს და მონასტერში მიღებულ წესებს, მაგრამ ცხოვრობენ კვინობისაგან დაცილებით მდებარე ხელით ნაკეთებ სენაკებსა თუ გამოქვაბულებში, შაბათ-კვირას კი უერთდებოდნენ კვინობში მცხოვრებ ბერებს კვინობის ეკლესიაში ჩატარებულ საერთო წირვა-ლოცვაში მონაწილეობის მისაღებად და საერთო ტრაპეზის გასაზიარებლად (ცერაძე 2001: 140).

1973: 259); 1085 წელს აქვე გადაწერილი „საწელიწდო საწინასწარმეტყველო“ (H-1350) ხელნაწერის ანდერძში კი ვკითხულობთ: „მე, სულითა საწყალობელმან ეგნატი დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი საწინასჲსწარმეტყუელოჲ **დიდებულისა ლავრისა** შატბერდისათჳს“ (H ფონდის აღწერილობა 1948: 306).

ლავრად იხსენიება ბერთის მონასტერიც. X საუკუნის ბერთის (I) ოთხთავის ანდერძში აღნიშნულია: „მე გლახაკი გაბრიელ და მეუღლე ჩემი ღირს ვიქმენით დაწერად წმიდისა ამის სახარებისა **ლავრასა** შინა **დიდსა ბერთას**, საყოფელსა წმიდისა ღმრთისშობელისასა, სალოცველად მეფეთა ჩუენთა: სუმბატ ერისთავთა ერისთავისათჳს და შვილთა მათთათჳს – დავითისთჳს და ბაგრატისთჳს... (კარანაძე... 2018: 25).

არც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტიდან და არც რომელიმე სხვა ისტორიული წყაროდან მერეს მონასტრის ლავრად მოხსენიების შემთხვევა არ გვხვდება. თუმცა, გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ჩანს, რომ ამ მონასტერს ჰყავდა დაყუდებული ანუ მკაცრი ასკეტიზმით მცხოვრები მონაზონი: „ხოლო ჟამსა გარდაცვალებისა მისისასა (იგულისხმება მერეს ხუცესი მატოი, – ნ. ხ.) ჩუენებაჲ იხილეს მერეს შინა სანატრელთა მათ დედათა – თემესტია დეკანოზმან და ანატოლე, რომელსა უწოდეს ანტომიოს, დაყუდებულმან (გიორგი მერჩულე 1963: 285); აქედან გამომდინარე, სავარაუდებელია, რომ მერე ჰიბრიდული ანუ შერეული ლავრის ან ჰიბრიდული კვინობის ტიპის მონასტერიყოფილიყო.

თავი 2. კლარჯეთის მონასტრები და საერო ხელისუფლება

კლარჯეთის მონასტრები თავიდანვე ტაო-კლარჯეთის მმართველთა მფარველობა-შემწეობაზე იყო დამოკიდებული. აშოტ კურაპალატმა ხანცთას სააგარაკოდ შატბერდის მიწა შესწირა: „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა – ადარნესე, და ბაგრატ, და გუარამ შეწირეს თითოეულად, რაჲცა საჴმარი მონასტერსა მისსა უჴმდა, ყოველი უხუებით“ (გიორგი მერჩულე 1963: 262). აშოტ კურაპალატმა ოპიზის მონასტერიც განაახლა. სავარაუდებელია, რომ სწორედ მან ააშენა ოპიზაში ის ნაგებობა, რომელიც იმ დროს მონასტერს ყველაზე მეტად სჭირდებოდა – დიდი ეკლესია (ხოშტარია 2009: 86).

მისი გარდაცვალების შემდეგ კლარჯეთის მონასტრებზე ზრუნვა არ შეუწყვეტიათ მის მემკვიდრეებსაც. მისი შუათანა ვაჟის, ბაგრატ კურაპალატის, დახმარებით, გრიგოლ ხანცთელმა შატბერდის მონასტერი ააშენა: „მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენებაჲ მისი და მისცა ყოველივე საჴმარი საშენებლად“ (გიორგი მერჩულე 1963: 273). ხოლო კლარჯეთის მონასტრების მონახულებისას, ბაგრატმა და მისმა ძმებმა, მონასტრებისათვის უხვი შესაწირავი გაიღეს (გიორგი მერჩულე 1963: 275-276). გუარამ მამფალმა განაახლა ოპიზის მონასტერი და მიწებიც შესწირა მას. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეს მონასტერი მისი სამუდამო განსასვენებელიც გახდა (ენუქიძე... 1984: 33; მატიანე ქართლისა 2008: 258; სუმბატ დავითს ძე 2008: 366).

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა კლარჯეთისა და ტაოს შტოებად გაყოფის შემდეგაც, კლარჯეთის უდაბნოები მათ საერთო საზრუნავს წარმოადგენდა. შავშეთში დამკვიდრებყულმა აშოტ კუხმა (გარდ. 918) დაიწყო ხანცთის მესამე ეკლესიის მშენებლობა, ხოლო დაასრულა გურგენ ერისთავთ-ერისთავმა. ხანცთაში დაკრძალეს აშოტ კუხიც. „მას ჟამსა გარდაიცვალა ღმრთის მსახური

იგი ჴელმწიფე, წმიდათა ეკლესიათა მაშენებელი და მონაშებთა(?) შემწირველი და გლახაკთა მოღუაწე და დაემარხა ხანცთას არსენის გზითა (არსენი ხანცთის წინამძღვარი იყო - ნ.ხ) და ძისა მისისა მცხუედისაჲთა“ (გიორგი მერჩულე 1963: 276-277). „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტიდან ცნობილია, რომ ხანცთაში დაკრძალეს გურგენ კურაპალატი ადარნასეს ძე და აშოტ კუხის მამა, რომელიც იყო გრიგოლ ხანცთელის ნათლული. მან ანდერძად დაიაბარა, დაეკრძალათ ხანცთაში, გრიგოლ ხანცთელის ძვლებთან ახლოს (გიორგი მერჩულე 1963: 276).

ქართველთა მეფე აშოტ IV კურაპალატმა (გარდ. 954) ჩაატარა მშენებლობები ოპიზის მონასტერში, ხოლო ადარნასე II ქართველთა მეფის (888-923) უმცროსმა ვაჟმა სუმბატ I კურაპალატმა (954-958) გაანახლა დოლისყანის მონასტერი. (ხოშტარია 2009: 87-88, 123)

საქართველოს გაერთიანების შემდეგ კლარჯეთის უდაბნოები საქართველოს ერთიან მეფეთა მფარველობაში გადავიდნენ. ოპიზასა და მიძნაძორის მონასტრებს შორის სამამულო დავა ბაგრატ IV კურაპალატმა (1027-1072) განიხილა. საბუთის მიხედვით, მონასტრებს შორის დავამდე მიძნაძორის მონასტერს სადავო ტყეები და „ზღვარნი“ შესწირა გურგენ ერისთავთ-ერისთავმა (გარდ. 941 წ.), რომლის შეწირულობაც როგორც ჩანს, შემდგომ განუახლებიათ გურგენ მეფეთა-მეფეს (გარდ. 1008), ბაგრატ მესამეს (978-1014) და გიორგი პირველს (1014-1027). დოკუმენტში აღნიშნულია: „და ჩ(უე)ნ ესე შფოთი მათი გუიმძიმდა, რავდენ იგი წ(მი)დანი უდაბნონი მშუიდობისა და დაწყნარებისა და ჩ(უე)ნ მეფეთა ლოცვისათუის აღშენებულნი არიან. მონასტრების მიერ წარდგენილი საბუთების საფუძველზე, დავა მიძნაძორის მონასტრის სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა მეფემ არც ოპიზის მონასტრის ბერები დატოვა გულდაწყვეტილი: „ნაცვლად, რაითამცა ოპიზარნიცა გულსავსე ვყვენ, სალოცველად სულისა ჩემისა თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ. და გარდავსწყუიდე მათ შორის საზიდი და სარჩელი, რაითა ესე

ორნივე წმიდანი უდაბნონი მშუიდობით და უშფოთველად იყუნენ და მეფობასა ჩემსა და ძესა ჩემსა გ(იორგ)ი კურაპალატსა გუილოცვიდენ და მათ პირველთა მეფეთა მაშენებელთა და შემწირველთაცა ულოცვიდენ“ (ენუქიძე... 1984: 32-34).

სავარაუდებელია, რომ ბაგრატ IV-მ განაახლა შატბერდის მონასტრის მთავარი ეკლესიაც (კუდავა 2019: 255-270).

კლარჯეთის მონასტრები 1080 წელს თურქ-სელჩუკებმა გადაწვეს. „და დღესა ივანობისასა ასისფორი და კლარჯეთი ზღჳს პირამდის, შავშეთი, აჭარაჲ, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქოჲ და ჭყონდიდი აღივსო თურქითა; მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი. და მასვე და ერთსა დღესა დაწუნეს ქუთათისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თუ|რქთა ვიდრე მოს[ლვ]ადმდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანაჲ და მოსწყჳდეს, თუ სადამე ვინ დაშთომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა“ (დავითის ისტორიკოსი 2008: 302-303). როგორც ჩანს, მონასტრები მალევე აღადგინეს, ამას ადასტურებს მონასტრებში გაგრძელებული მწიგნობრული საქმიანობა. 1085 წელს მოსე ხანცთელმა შატბერდისთვის გადაწერა საწელიწდო საწინასაწარმეტყველო, ხოლო 1093 წელს ოპიზაში გადაიწერა პარაკლიტონი.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედში ავაგ მხარგრძელმა კლარჯეთის უდაბნოები ხარაჯისაგან გაათავისუფლა. ამ დამსახურებისთვის ათაბაგ-ამირსპასალარისთვის 20 დეკემბერს აღაპი განუწესებიათ: „ამასვე დღესა ავაგ ათაბაგისა აღაპი გარდაიჴდების, ხარაჯაჲ გაგუშუა უდაბნოთა, დიდებულ ყავნ ღმერთმან სული მათი“ (კლდიაშვილი 2005: 297; A ფონდის აღწერილობა 1973: 433). დარეჯან კლდიაშვილი ვარაუდობს, რომ ავაგ ათაბაგმა არამხოლოდ მიძნაძორის მონასტერი გაათავისუფლა გადასახადებისაგან, არამედ კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნო“, რომლებიც ჯერ კიდევ სამეფო მონასტრები იყო. მკვლევარი წერს: „ეს ცნობა სავარაუდებელს ხდის, რომ სამეფო მონასტრების გადასახადებისაგან გათავისუფლება ათაბაგ-ამირსპასალარის უფლებას წარმოადგენდა“. მას ამ მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს ცნობა სადუნ მანკაბერდელის მიერ გარეჯის

სამეფო მონასტრების გათავისუფლების შესახებ მონღოლთა მიერ დადებული ყალამისა და მალისაგან (კლდიაშვილი 1999: 443-444).

XIII საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-საათაბაგო გამოეყო ერთიან საქართველოს. კლარჯეთის მონასტრები ბექა ჯაყელის პატრონობაში გადავიდა. ჟამთააღმწერლის ასწლოვან მატიანეში ვკითხულობთ: „მაშინ დაიპყრა ბექამან ქუეყანა ტასისკარითგან კარნუქალაქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი, ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითი დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბაღას და მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის“ (ჟამთააღმწერელი 2008: 612-613).[7]

XIII საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი სამართლებრივი ძეგლის „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, დიდ დარბაზობაზე „გელათელნი, ძმანი გარესჯელნი და თორმეტნი უდაბნოთანი, ვითარცა მართებს, ქვემო სწერია, ესენი მარცხენა მჴარს სუფრასა.. გელათური ძღენი: საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სატალახე ცხენი ფიცხლავ მოაგებონ საქრისტისშობით მომავალსა. გარეჯული ძღვენი: კაპარი, კალამი და ცოტა ძღვენი, ცოცხი კარგად დაწყობილი. ამ ცოცხთ ფარეშთ-უხუცესი აიღებს, პურობას უკანით ნოხსა გარდმოგჴს მეფის წინაშე, ოდეს წესია. და უდაბნოთა საწელიწდისთაო არ მართენს“ (დოლიძე 1965: 94).

[7] დარეჯან კლდიაშვილის მოსაზრებით, კლარჯეთის მონასტერი სამეფო მონასტრებად ითვლებოდა XV საუკუნემდე, მაგრამ ჟამთააღმწერელის ეს ცნობა ამ მოსაზრების მცდარობას გვაფიქრებინებს.

თავი 3. კლარჯეთის ათორმეტი უდაბნო (მონასტრები)

§ 3. 1 ოპიზა

კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოს“ შორის უძველესი ოპიზის მონასტერი ამჟამად თურქეთში, ართვინის მხარეში, ართვინის რაიონში, სოფელ ბაღჯილარში / ოპიზაში (Artvin İli, Artvin İlçesi, Bağcılar köyü) მდებარეობს (ბაგაური... 2017: 37).

„ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეული ნუსხის მიხედვით, ოპიზის მონასტერი V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დავალებით, კლარჯეთის ერისთავმა არტავაზმა ააშენა: „ვითარ წარმოვიდა იხილა კლდე შუა კლარჯეთსა რომელი სოფელსა ერქვა არტანუჯი. მოუწოდა არტ[ა]ვაზს ძუძუს მტესა მისსა და დაადგინა იგი ერისთ[ა]ვად და უბრძანა, რათა აღაგოს ციხე არტანუჯსა და მისთანა, რათა გამონახოს ჴევსა მას სამონასტრე და აღაშენა ეკლესია და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი... ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელ არს ოპიზა და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა“ (ხეც, Q-207, 131r; ყაუხჩიშილი 1955: 178).

ჯუანშერის ამ ცნობამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. აღნიშნული ფაქტი კორნელი კეკელიძეს, ლევან მენაბდეს და ვახტანგ ჯობაძეს საეჭვოდ მიაჩნდათ. კ. კეკელიძის დაკვირვებით, არტავაზის მიერ ოპიზის მშენებლობის შესახებ ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ერთ, ჭალაშვილისეულ ნუსხაში, სხვა ნუსხებში კი ოპიზა ნახსენები არსად არისო: „თუ ამ ციტატაში ნაჩვენებია სახელი ციხისა (არტანუჯის - ნ. ხ.) და სამი ეკლესიისა (იგულისხმება მერეს, შინდობის და ახიზის ეკლესიები - ნ. ხ.), რატომ მონასტრის სახელიც არ უნდა ყოფილიყო ნაჩვენებიო, და მან თვით „უჩვენა“ ის“. უნდა აღინიშნოს, რომ კორნელი კეკელიძე არ უარყოფს არტავაზის მიერ მონასტრის აშენების ფაქტს, რადგანაც „ქართლის ცხოვრების“ ყველა სხვა ხელნაწერში გვხვდება ეს ცნობა (კეკელიძე 1980: 147).

ლევან მენაბდე ეჭვით უყურებდა ჯუანშერის ამ ცნობის სანდოობას. იგი წერდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეულ ნუსხაში უსაფუძლო ცნობა ოპიზის შესახებ სხვა წყაროებით არ დასტურდებოდა და მას გადამწერის ან რედაქტორის გლოსად მოიხსენებდა. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ამ ცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მინიჭებოდა, რადგანაც, მისი თქმით, საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას საფუძველი ასურელ მამათა მოღვაწეობით ჩაეყარა (მენაბდე 1962: 425).

ვახტანგ ჯობაძის მოსაზრებით, ოპიზა VIII საუკუნის შუა ხანებში უნდა აშენებული: „VIII საუკუნის შუა ხანებში უნდა იყოს დაფუძნებული წინამძღვარ სამოელის მიერ... ამ თარიღს ემხრობა მონასტრის შემორჩენილი კედლის სამშენებლო ტექნიკაც“ (ჯობაძე 2006: 30).

დავით ხოშტარია კი სტატიაში – „ოპიზის აშენების დათარიღებისათვის“ ცდილობს დაამტკიცოს ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ცნობის უტყუარობა. მას მცდარად მიაჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოში სამონასტრო მშენებლობის დაწყების თარიღი დაკავშირებულია ჩვენში ასურელი მამების საქართველოში მოღვაწეობის დროსთან და მაგალითად მოაქვს VI საუკუნის ერთი სირიული დოკუმენტი – ბეით მარ ისააკ გაბულელის მონასტრის წინამძღვრის წერილი თავისი მომხრეებისადმი, რომლის მიხედვითაც, VI საუკუნის I ნახევარში საქართველოში უკვე ფუნქციობდა ტანას მონასტერი, რომელსაც გ. აბრამიშვილი აიგივებს ატენთან. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ატენის მონასტერი V საუკუნის შუა ხანებში უნდა იყოს დაარსებული. დავით ხოშტარია წერს: „ვფიქრობ, საკმარისი საფუძველი გვაქვს, დავუჯეროთ „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“-ს ცნობას ოპიზის მონასტრის აშენების შესახებ. ის, როგორც ჩანს, მართლაც V საუკუნის II ნახევარში დაარსდა და ატენთან ერთად, ჩვენთვის ცნობილ უძველეს მონასტრად უნდა ჩაითვალოს ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე“ (ხოშტარია 1999: 31-33).

პავლე ინგოროყვა მონოგრაფიაში „გიორგი მერჩულე“ ოპიზის ისტორიას მეხუთე საუკუნიდან იწყებს (ინგოროყვა 1954: 340). ეს მონასტერი V საუკუნეში დაარსებულად მიაჩნია მარინე ჩხარტიშვილსაც (ჩხარტიშვილი 1993: 172).

ოპიზაში მონასტრის დაარსების თარიღის დაზუსტებას შეეცადა შოთა მათითაშვილი. მისი მსჯელობით, ბიზანტიაში წასვლამდე ვახტანგი ოცდაორი წლის იყო ანუ ლაშქრობა 453 წელს დაიწყო და, შესაბამისად, 456 წელს დამთავრდა. ჯუანშერისეული ქრონოლოგიისადმი არსებული ეჭვის მიუხედავად, ოპიზის მონასტრის დაარსების მიახლოებით თარიღად მკვლევარი 456 წელს მიიჩნევს (მათითაშვილი 2018: 129).

ოპიზის ლავრის V საუკუნეში აშენების ცნობა, როგორც აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ერთმა, ჭალაშვილისეულმა ნუსხამ შემოგვინახა ციტატაში: „გამონახოს ჴევსა მას“ თანაბრად შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც კლარჯეთის, ისე საკუთრივ არტანუჯის ხევი. თუმცა უფრო სავარაუდებელია, რომ ვახტანგ გორგასლის დავალებით, არტავაზმა არტანუჯის ხევში უნდა მოძებნოს სამონასტრო ადგილი და იქ ააშენოს მონასტერი. ოპიზა არტანუჯის ხეობაში კი არა, შავშეთ-იმერხევის წყლის ხეობაში მდებარეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ არტავაზის მიერ აშენებული სამი ეკლესიიდან ორი არტანუჯის სიახლოვეს ლოკალიზდება (შინდობი არტანუჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, ახიზა კი - არტანუჯთან ახლოს, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი 2013: 80, 569). მერეს ადგილმდებარეობა დღემდე დაუდგენელია. აქედან გამომდინარე, არტავაზის მიერ აშენებული მონასტერი, ვფიქრობთ, არტანუჯის სიახლოვეს უნდა ვეძებოთ. ოპიზა, როგორც საისტორიო თხზულებებში მოიხსენიებენ, იყო უპირველესი ათორმეტ უდაბნოს შორის. წყაროებში ხაზგასმულია ამ მონასტრის სიმდიდრე და გამოჩეულობა. გადამწერმა, რომლისთვისაც გაურკვეველია ვახტანგის მიერ აშენებული მონასტრის სახელი, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ უცნობი მონასტერი ოპიზასთან დააკავშირა. შესაბამისად, ოპიზის აქ მოხსენიება გადამწერის შეცდომა შეიძლება იყოს.

ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში საუბარია არტავაზის მიერ მხოლოდ სამი მონასტრის მშენებლობაზე. მარიამისეულში კი - არტანუჯში მონასტრისა და კიდევ სამი მონასტრის მშენებლობაზე. „და: ვითარცა:

წარმოვიდა: შუა: კლარჯეთს: იხილა: კლდე: რომელსა: სოფლისა: ერქ[უ]ა: არტანუჯი: და: მოუწოდა: არტანავაზს: ძუძუს: მისსა: და: დადგინა: ერისთავად: და: უბრაძანა: რათა: აღესრულოს: ციხე: არტანუჯისა: და: უბრძანა: რათა: გამოატანოს: ჴევსა: მას: შინა: სამონასტრე: და: აღაშენოს: ეკლესია: და: ქმნეს: მონასტერად: ვითარცა: ე[ხ]ილვნეს: მონასტერნი: საბერძნეთისანი: და: ჰქუა: ა[რ]ტავაზს: უკუეთუ: განძლიერდნენ: სპანი: ჩუენზედა: საყუდელი: ჩუენი: აქა: ყოფად: არს: ხოლო: არტევაზ: აღაშენა არტანუჯსა: მონასტერი: და: სამნი: მონასტერნი: დაბასა: მერისა: ბიდონიასა: და: ახიზისა: და: ქმნა: იგი: ქუაბად:“ (ხეც, S-30: 183v-184r).

მარიამისეული ნუსხის ამ ფრაგმენტს ზუსტად იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ „ძველი ციკლის“ ორი ხელნაწერი ე. წ. კლიმიაშვილისეული (ხეც, Q-1219) და მაჩაბლისეული (ხეც, H-2135) რედაქციის გადამწერები. ჭალაშვილისეული ნუსხის ვერსიას არ ადასტურებს არც ვახუშტი ბატონიშვილი, მაგრამ იცის არტანუჯში მონასტრის არსებობის შესახებ. ის არ ახსენებს არტავაზს,აღნიშნავს მხოლოდ, რომ ვახტანგმა იქვე, არტანუჯში ააშენა მერეს, შინდობისა და ახიზის მონასტრები (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 682).

ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს გიორგი მერჩულის ცნობაც, რომ გრიგოლ ხანცთელის ოპიზაში მისვლის დროს მონასტერს ჰყავდა მესამე წინამძღვარი – ამბა გიორგი. თუ მონასტერი V საუკუნეში დაარსდა, VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში მონასტერს სამზე ბევრად მეტი წინამძღვარი უნდა ჰყოლოდა, გიორგი მერჩულე კი აკონკრეტებს წინამძღვრის რიგითობას და სახელებით მოიხსენიებს მის წინამორბედ მამასახლისებსაც. გრიგოლ ხანცთელი ოპიზის წინამძღვართან საუბრისას აღნიშნავდა, რომ ოპიზა კლარჯეთის დანარჩენ მონასტრებთან შედარებით, „უწინარესაა აღშენებულიო“ ანუ კლარჯეთის მონასტრებს შორის პირველად ოპიზა აშენდა. „უწინარეს აღშენებულში“ თანაბრად შეიძლება მოიაზრებოდეს მისი როგორც V საუკუნეში, ისე VIII საუკუნეში დაარსება.

წყაროები სიმწირე არ იძლევა საშუალებას, გადაიჭრას ოპიზის მონასტრის დაარსების დროის საკითხი. არსებული ისტორიული ცნობების საფუძველზე

სავარაუდებელია, რომ „ათორმეტ უდაბნოს“ უპირველეს სავანეში სამონასტრო ცხოვრება VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება,

ოპიზის სამონასტრო კომპლექსი შედგებოდა იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებული ეკლესიისგან, სამრეკლოს, სატრაპეზოსა და სხვა სამონასტრო ნაგებობებისაგან. მთავარი ტაძარი „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპის თავისებური ნიმუში იყო უჩვეულოდ დაგრძელებული დასავლეთის მკლავით. ძირითად ჯვრულ კორპუსს საკურთხევლის ორივე მხარეს ემატებოდა დამხმარე სათავსები – პასტოფორიუმები, ისინი უფრო მოკლეა, ვიდრე აღმოსავლეთის მკლავი და ამის გამო საკურთხეველი მართკუთხა მოცულობის სახით წინ იყო გამოშვებული აღმოსავლეთ ფასადზე. პასტოფორიუმები გეგმით მართკუთხაა, უაფსიდო. ისინი თითო კარით უკავშირდებოდა შესაბამის განივ მკლავს.

ეკლესიას შესასვლელი დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელში ჰქონდა. მის წინ კარიბჭე იყო, რომლისგანაც ჩრდილოეთ ნაწილი შემორჩა. ანდრეი პავლინოვის გეგმაზე მხოლოდ ეს ერთი კარია დატანილი, ხოლო ნიკო მარი ორ სხვა შესასვლელსაც ახსენებს, რომლებიც დასავლეთის მკლავის სამხრეთ კედლის მეორე და მესამე უბეებში იყო გაჭრილი (ხოშტარია 2009: 84-85).

ოპიზაში, სამხრეთ ფასადზე ორ ფილაზე ამოკვეთილი ყოფილა ერთადერთი სკულპტურული რელიეფური კომპოზიცია: მარცხენაზე – ქტიტორი, რომელსაც ხელში უჭირავს გუმბათიანი ტაძრის მოდელი, მარჯვენაზე – ტახტზე მჯდარი ქრისტე, რომლის მარჯვნივაც გამოქანდაკებული იყო მამაკაცი ვედრების მდგომარეობაში (ალადაშვილი 1954: 553). დასახელებულ ფილებზე, კომპოზიციის თითოეულ შემადგენელ ნაწილს ახლდა ამოღარული ასომთავრული წარწერა: ,,1. აშ(ო)ტ; 2. ეკლ(ე)ს(ია)ჲ; 3) ჲ(ეს)უ||ქ(რისტ)ე; 4. დ(ა)ვ(ი)თ“ (შოშიაშვილი 1980: 286).

რელიეფი შეისწავლა და მასზე წარმოდგენილი პირების ვინაობა დაადგინა ექვთიმე თაყაიშვილმა. მისი აზრით, ერთ-ერთ ფილაზე გამოსახულია აშოტ I კურაპალატი, ხოლო მეორეზე – დავით წინასწარმეტყველი, რომლის შთამომავლად მიიჩნეოდნენ ქართველი ბაგრატიონები. რელიეფს IX საუკუნის პირველი მეოთხედით ათარიღებს აშოტ კურაპალატის გამოსახულება. ექვთიმე თაყაიშვილის მსჯელობით, ამ დათარიღებას მხარს უჭერს რელიეფის წარწერების

პალეოგრაფიული ხასიათიც (Такаишвили 1905: 56-59; თაყაიშვილი 1949: 76-77). მოსაზრებას, რომ მარცხენა ფილაზე გამოსახული პირი აშოტ I კურაპალატია, იზიარებს დავით ხოშტარია. მკვლევარი წერს: „საფუძველი არ გვაქვს გადავსინჯოთ ტრადიციული შეხედულება, რომლის მიხედვითაც იგი ასახავს აშოტ I კურაპალატს ეკლესიით ხელში იესო ქრისტეს წინაშე, ხოლო მეორე მხარეს – დავით წინასწარმეტყველს, ბაგრატიონთა ბიბლიურ წინაპარს.[8] შესაბამისად, მისი შექმნის თარიღი უნდა შემოიფარგლოს 813-826 წლებით. რადგანაც აშოტ I წარმოდგენილია როგორც ქტიტორი, ცხადია, რომ მას ოპიზაში რაღაც სამუშაო ჩაუტარებია. საფიქრებელია, რომ აშოტმა ოპიზაში ააშენა ის, რაც იმ დროს მონასტერს ყველაზე მეტად სჭირდებოდა – დიდი ეკლესია. აშოტის კლარჯეთში დამკვიდრების წინა ხანებში ოპიზაში, გიორგი მერჩულის მიხედვით, მხოლოდ მცირე ეკლესია იყო“ (დ. ხოშტარია 2009: 86).

განსხვავებული აზრი გამოთქვა ნოდარ შოშიაშვილმა. მან ოპიზის რელიეფი X საუკუნის I ნახევრით დაათარიღა. მეცნიერის დასკვნით, დავითი აშოტის ძმაა და არა დავით წინასწარმეტყველი, ორივე კი ადარნასეს ძეები იყვნენ: აშოტ IV კურაპალატი (გარდ. 954) და დავით I ქართველთა მეფე (923-937) (შოშიაშვილი 1980: 286). ვახტანგ ჯობაძე იზიარებს ნოდარ შოშიაშვილის მოსაზრებას, რომ რელიეფზე გამოსახულია აშოტ IV და მისი ძმა დავით I. იგი წერს, რომ „რელიეფი შესრულებულია დაახლოებით X საუკუნის მეორე მეოთხედში, როდესაც თავდაპირველი ბაზილიკა უკვე გადაკეთებული იყო გუმბათიან ნაგებობად და მშენებლობა დასრულდა. ასეთ დასკვნას არც რელიეფის სტილური ნიშნები ეწინააღმდეგება და არც წარწერების პალეოგრაფია, მაგალითად, ზოგიერთი ასოს ბოლოს გაყოფა, რაც მოგვიანო თარიღზე მიგვითითებს“ (ჯობაძე 2007: 29-30).

დავით ხოშტარიას მსჯელობით, დღეისათვის ძნელი სათქმელია, თუ რა მოუვიდა აშოტ კურაპალატის მიერ აშენებულ ეკლესიას. მისი ვარაუდით,

[8] გრიგოლ ხანცთელი მიმართავს აშოტ კურაპალატს: „დავით წინაწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჴელმწიფეო, მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკჳდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათჳსცა ამას მოგაჴსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათესავთა მათთაჲ ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“ (გიორგი მერჩულე 1963: 262).

შესაძლოა აშოტისეული ეკლესიის კედლები ახალ ეკლესიაში ჩართეს და ამის სასარგებლოდ მოწმობს ის ფაქტი, რომ აშოტის საქტიტორო რელიეფი ახალი ეკლესიის სამხრეთ ფასადზე აღმოჩნდა (ხოშტარია 2009: 87).

IX საუკუნეში ოპიზის მონასტერი გუარამ მამფალმა განაახლა (მატიანე ქართლისა 2008: 258). მან ოპიზას მიწებიც შესწირა (ქართულ ისტორიული საბუთების კორპუსი 1984: 33). სავარაუდოდ, ოპიზის მონასტრის ამ განახლების მონაწილე იყო სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებული ოთხი მონაზონი: ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი[9] (ბასილი ზარზმელი 1963: 322). 882 წელს გუარამი გარდაიცვალა. იგი ოპიზაში დაკრძალეს (მატიანე ქართლისა 2008: გვ 258; სუმბატ დავითს ძე 2008: 366). დავით ხოშტარიას აზრით, გუარამ მამფლის ეკლესიაა ის შენობა, რომლის ნანგრევებმაც დღემდე მოაღწია. მისი გეგმა და საერთო სივრცობრივი მოცულობითი კომპოზიცია სწორედ IX საუკუნის II ნახევარში ჩატარებულ მშენებლობას უნდა უკავშირდებოდეს (ხოშტარია 2009: 87).

ოპიზის არქიტექტურა ცხადად მოწმობს, რომ იქ კიდევ ერთი დიდი სამშენებლო პერიოდი X საუკუნის შუა ხანებია. ამ დროს მთლიანად განაახლეს გუმბათქვეშა კონსტრუქცია და გუმბათი, ნაწილობრივ კი – საფასადო წყობა. ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს სამხრეთის სარკმლის მძლავრი თავსართი და ალბათ აღმოსავლეთის ფასადის გაფორმებაც (ხოშტარია 2009: 87). ამავე პერიოდში აშოტ IV კურაპალატმა (945-954), ადარნასე ქართველთა მეფის ძემ, მონასტერში სატრაპეზო ააშენა. საოსტიგნეზე დაცული იყო წარწერა: ,,ეს მ|ე ა(შო)ტმ(ა)ნ დ წელსა|ა გ(ა)ვა(სრულე)“ (შოშიაშვილი 1980: 287)[10]. დავით ხოშტარია ვარაუდობს, რომ აშოტ IV იყო ეკლესიის განახლების თაოსანიც (ხოშტარია 2009: 87).

დავით ხოშტარიას მსჯელობით, არ დასტურდება მოსაზრება, თითქოს ოპიზის ეკლესიის გრძელი დასავლეთის მკლავი ადრინდელი სამნავიანი

[9] პავლე ინგოროყვას და მარინა ჩხარტიშვილის მოსაზრებით, ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი არტავაზის მიერ ჩატარებული მშენებლობის მონაწილეები იყვნენ (პავლე ინგოროყვა 1954, ჩხარტიშვილი 1994).

[10] ოპიზის ეკლესიის საოსტიგნის სამშენებლო წარწერა პირველად დიმიტრი ბაქრაძემ გამოსცა, შემდეგ კი – ნიკო მარმა. ნოდარ შოშიაშვილის გამოცემა წინამდებარე გამოცემებს ემყარება.

ბაზილიკის ნაშთი იყო, რომელიც აშოტ IV-მ გუმბათიან შენობად გადააკეთა[11]. დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელზე ორი პილასტრის ჩამონგრევისას, გამოჩნდა მათ უკან ერთიანი უწყვეტი წყობა. უეჭველი გახდა, რომ ჯერ კედელი ამოიყვანეს და შემდეგ ზედ პილასტრები მიაშენეს. ეს კონსტრუქცია მთლიანად გუარამ მამფლის დროინდელი უნდა იყოს, ეკლესიის გეგმა X საუკუნის შუახანების რეკონსტრუქციას არ შეუცვლია (ხოშტარია 2009: 88).

გიორგი ყაზბეგის მოგზაურობისას (1873 წლისათვის - ნ. ხ.) ოპიზის მოხატულობის დიდი ნაწილი უკვე განადგურებული იყო (ყაზბეგი 1995: 102). ნიკო მარის აღწერით, გუმბათის ყელში გამოსახული იყვნენ წინასწარმეტყველები: მელქისედეკი, ისაია, იოველი. მან კამარაში ორი ანგელოზის შარავანდი გაარჩია, აგრეთვე მცენარეული ორნამენტი სარკმელში და ექვსი ფიგურა სარკმლის აღმოსავლეთით, რომლის ქვემოთაც იკითხებოდა წარწერა:

„აშოტ კურაპალატი | მეორედ მაშენებელი | ოპიზისაჲ და წ˜ისა ამის | ს˜ყდრისაჲ“

მისი აზრით, ოპიზის მოხატულობა თამარის ეპოქით, XII-XIII საუკუნეებით, უნდა დათარიღდეს (Марр 1911: 158-160; მარი 2012: 362). ტჲერი, რომელმაც მოასწრო ოპიზის ნახვა გუმბათის ჩამოქცევამდე ცოტა ხნით ადრე, აღნიშნავდა, რომ გადარჩენილი ნაშთებით მხატვრობის თარიღის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. თუმცა იგი XI საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა ყოფილიყო (Thierry 1984: 134;. ხოშტარია, 2009: 88).

კლარჯეთში მოღვაწეობას გრიგოლ ხანცთელი ოპიზიდან იწყებს: „მაშინ ერთითა მით ერთობითა აღიბეჭდნეს თავნი თჳსნი ძლიერებისა ბეჭდია მით ნიშისა საუფლოჲსა პატიოსნისა ჯუარისაჲთა და სიხარულით წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ არა უმეცარ იყვნეს, რამეთუ უფალი მხოლოჲ უძღოდა მათ, ხედვიდა რაჲ გულსა მათსა წმიდასა და წყაროებრ დაუწყეუდელსა ლოცვასა და ცრემლთა მათთა ნაკადულსა. და მოიყვანნა იგინი ქართლით ოპიზას პირველად“ (გიორგი მერჩულე 1963: 252). იმ დროისთვის კლარჯეთში ოპიზა იყო

[11] ნიკო მარი კი ვარაუდობდა, რომ ბაზილიკა გუმბათიან ეკლესიად XII-XIII საუკუნეებში გადაკეთდა (Марр 1911: 161).

ერთადერთი მოქმედი მონასტერი. ლევან მენაბდეს მიხედვით, გრიგოლი კლარჯეთში VIII საუკუნის 80-იან წლებში მივიდა (მენაბდე 1962: 402), პავლე ინგოროყვას მოსაზრებით კი – 780 წლის ახლო ხანებში (ინგოროყვა 1954: 341). ხანცთის მონასტრისადმი მიძღვნილ ქვეთავში ვახტანგ ჯობაძე აღნიშნავს, რომ კლარჯეთში გრიგოლი 782 წელს ახლოს მივიდა, თუმცა იქვე ამბობს, რომ ხანცთის ეკლესია პირველად VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში ააშენეს. ოპიზის თავში ავტორი განსხვავებულ თარიღს გვთავაზობს. აქ ის უთითებს, რომ გრიგოლი კლარჯეთში 794 წლის ახლოს ჩავიდა (ჯობაძე 2007: 30, 40). ორივე შემთხვევაში მკვლევარს მერჩულის თხზულებიდან ერთი და იგივე ადგილი აქვს დამოწმებული.

ჩვენ ვიზიარებთ ვახტანგ ჯობაძის ერთ-ერთ მოსაზრებას, რომ გრიგოლ ხანცთელი საბა იშხნელთან, თეოდორესა და ქრისტეფორესთან ერთად კლარჯეთში 794 წლის ახლოს, VIII საუკუნის 90-იან წლებში მივიდა. სამწუხაროდ, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მეხუთე თავში, სადაც მოთხრობილია მამათა ქართლიდან კლარჯეთში გამგზავრების შესახებ, რაიმე ქრონოლოგიური ხასიათის მონაცემი არ მოიპოვება. თუმცა ერთი ფრაგმენტი შესაძლოა ირიბ ცნობად გამოგვადგეს. კლარჯეთში მიმავალ გრიგოლს უკვე სამღვდელო ხარისხი აქვს. ნეოკესარიის ადგილობრივი კრების მე-11 და VI მსოფლიო (იგივე ტრულის) კრების მე-14 კანონების მიხედვით, მღვდლად კურთხევის ასაკი ასეა განსაზღვრული: „ხუცესი უწინარეს ოცდაათთა წელთაჲსა არა ჴელთდასხმულ იქმნებოდის, დაღათუ ყოვლად ღირს იყოს კაცი იგი, არამედ განიცადებოდედ ესე, რამეთუ უფალმან ჩუენნმან იესუ ქრისტემან ოცდაათისა წლისამან ნათელ იღო და იწყო სწავლად“ (დიდი სჯულისკანონი 1975: 379). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გრიგოლი ყველაზე ადრე 30 წლის ასაკიდან ატარებდა სამღვდელო ხარისხს. 30 წლის კი 789 წელს უნდა ყოფილიყო. გიორგი მერჩულე აღნიშნავს, გრიგოლი კლარჯეთში მიდის მას შემდეგ, რაც მის მღვდელმთავრად კურთხევას მოინდომებენ. ამ დროს გრიგოლი 35 წლის მაინც უნდა ყოფილიყო („რომელსა იგი ჴელნი დაესხმოდიან... ეპისკოპოსი – ოცდაათხუთმეტისაჲ“ (დიდი სჯულისკანონი 1975: 133)) თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, კლარჯეთის უდაბნოთა

არქიმანდრიტი VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში, კერძოდ, 794 წლის შემდეგ, უნდა ჩასულიყო კლარჯეთში.

გრიგოლის მისვლის დროს, ოპიზის წინამძღვარი ამბა გიორგი ყოფილა. გრიგოლ ხანცთელმა, საბა იშხნელმა, ქრისტეფორემ და თეოდორემ კლარჯეთის ამ სავანეში ორი წელი დაჰყვეს. ორი წლის შემდეგ გრიგოლმა ოპიზელი ბერების დახმარებით ააშენა ხანცთის ხის ეკლესია (გიორგი მერჩულე 1963: 252-253).

მას შემდეგ, რაც გრიგოლ ხანცთელი კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტი გახდა, თავდაპირველად უარი თქვა ოპიზის მონასტრის წინამძღოლობაზე. გრიგოლმა მიზეზად დაასახელა ის, რომ ოპიზა პირველი აშენდა კლარჯეთის უდაბნოებს შორის: „მამაო პატიოსანო, არა თუ შეურაცხებისაჴს თანა-წარგ[ჴე]დ შენ, არამედ ამის მიზეზისათჴს, რამეთუ ამათ ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზაჲ, არა განვაგენ ოპიზასა ზედა, არცა წინამძღუარ[სა] მისსა ზედა“. ოპიზის წინამძღვარმა (გიორგი მერჩულე ამ წინამძღვრის სახელს არ ახსენებს - ნ. ხ.) დაიყოლია გრიგოლი მის წინამძღლობაზეც(გიორგი მერჩულე 1963: 282).

VIII საუკუნის 90-იანი წლებში ოპიზაში ბერები ცოტანი იყვნენ, მაგრამ IX საუკუნის I ნახევარში მონასტერი გაფართოვდა და გაიზარდა. 861 წლისთვის კლარჯეთის ამ უძველეს სავანეს რამდენიმე ფილიალი ანუ მცირე მონასტერი უნდა ჰქონოდა, ამას მოწმობს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ ერთი ცნობა: „მაშინ უბრძანა ძმათა თჴსთა შესაქმე კერეონთა სანთელთაჲ შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა, რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი“ (გიორგი მერჩულე 1963: 313). თუ რომელი ანაქორეტული მონასტრები ექვემდებარებოდა ოპიზას, დღეისათვის უცნობია და წყაროების არარსებობის გამო მათი იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ცნობით, IX საუკუნის II ნახევარში ოპიზის მონასტრეში მოღვაწეობდნენ: მიქაელ პარეხელი, აწყურის ეპისკოპოსი გიორგი მაწყვერელი, ზარზმის მონასტრის დამაარსებელი სერაპიონ ზარზმელი და მისი ძმა იოანე (ბასილი ზარზმელი 1963: 319-347).

ოპიზის ლავრა კლარჯეთის მონასტერთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მწიგნობრულ კერას წარმოადგენდა. ჩვენამდე შემორჩენილი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული თარიღიანი ოთხთავი (913 წ.) სწორედ ოპიზაშია გადაწერილი. ხელნაწერი დღეისათვის ათონის ივერთა მონასტერში ინახება (ჟორდანია 1892: 85-86). გრიგოლ ოპიზელის მიერ გადაწერილი ოთხთავი ადრეულ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამწერლობო ტრადიციაში ჯრუჭ-პარხლის რედაქციის სახელწოდებით ცნობილ ოთხთავთა ჯგუფს განეკუთვნება (ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა 2018: 53-54).

ოთხთავს დართული აქვს რამდენიმე კოლოფონი. გადამწერ-მომგებელი გრიგოლის ვრცელი ანდერძი მოთავსებულია ხელნაწერის 248v-249r-ზე: „დაიწერა წ(მიდა)ჲ ესე ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბ(ა)ჲ ლავრასა შინა წ(მიდ)ისა ნ(ა)თლის მცემელისასა უპიზას დედისაგ(ა)ნ უცთომელისა სიტჯთ და ზანდუკით გამოწმედილისა .: და ქორონიკონი იყო რლგ (913 წ)“ (Ath 83); აღსანიშნავია, რომ ამ ანდერძში გვხვდება მონასტრის სახელწოდების განსხვავებული ფორმა: უპიზა.

260v-ზე XI საუკუნის ნუსხურით შესრულებული მინაწერი, რომლის მიხედვითაც ბასილს ხელნაწერი მოუგია: „წმიდანო მახარებელნო და წ(მიდა)ო [ღმრთის]შობელო, მეოხ ეყვენით წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა მთავარმამასა ბასილის მომგებელსა წმიდისა ამის სახარებისა და სულთა კურთხეულთა მშობელთა და ძმათა მისთასა, ამინ, იყავნ“ (Ath 83).

XI საუკუნეში კლარჯეთის ორ უდაბნოს ოპიზასა და მიძნაძორს შორის სამამულო დავა ყოფილა, რომელიც ბაგრატ IV-მ (1027-1072) გაარჩია. მან მიძნაძორის მონასტერს დაუტოვა ძველადვე შეწირული მამულები და დაუდგინა საზღვრები: სამხრეთით – სამწყრის წყალი შავშეთის წყლის შესართავამდე, ტიხარის კლდე, დასავლეთით – ეჟუანთა ქედი, ჩრდილოეთით – დიდუბის ხერთვისი და საქათმის კარი. ხოლო ოპიზელებს სატრაპეზოდ უბოძა სოფელი ბარევანი თავისი სამამასახლისო სამსახურებელიდან. საბუთი დათარიღებულია 1054-1072 წლებით (ენუქიძე... 1984: 32-34).

ანტონ კათალიკოსის ცნობით, XI საუკუნის 80-იან წლებში ოპიზაში მოღვაწეობდა იოანე პეტრიწი. მას ეს ცნობა დაცული აქვს თავის „სპეკალში“,

რომლის ერთ-ერთი თავი ,,იოანესთვის პეტრიწისა ფილოსოფოსისა მოკლედ მოჴსენებაჲ თუ ვინ იყო იგი, ანუ ვითარ იყო“ ეძღვნება იოანე პეტრიწის ბიოგრაფიას: „და თავად მან ... ოპიზას, მონასტერსა წმიდისა იოანე წინამორბედისასა მიიწია ძმათა თანა“. (ანტონ I, 1991: 331).

1093 წელს ათანასე არვანდ-ყოფილმა ოპიზის მონასტერში გადაწერა გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის პარაკლიტონი (ხეც, A-93). ხელნაწერი 207-ფურცლიანია, ნუსხური დამწერლობით, ერთვის რამდენიმე ანდერძი (A ფონდის აღწერილობა 1973: 332-347).

აბუსერიძე ტბელის თხზულებაში „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ მოთხრობილია, რომ ერთ-ერთი ხილვის დროს, ბოლოკ-ბასილს წმ. გიორგისაგან ეუწყა ოპიზელი ბერის სტეფანეს შესახებ, რომელიც დიდი სნეულებით იყო შეპყრობილი. წმინდანმა ბოლოკ-ბასილის დახმარების სანაცვლოდ ბერს კურნება აღუთქვა. ბოლოკ-ბასილი მივიდა ოპიზის მონასტერში და სტეფანეს უამბო დიდმოწამის გამოცხადების შესახებ. ბერმა მას ,,მოსცა რაჲ კარაული თჳსი და რკინაჲ შესაქმნელი ქვისსათლელთა ჭურჭელთაჲ, და მეყსეულად განიკურნა სიტყჳსაებრ წმიდისა ახოვანისა“. ბერი სტეფანე, რომლის დახმარებითაც ბოლოკ-ბასილმა ააშენა წმ. გიორგის ეკლესია ოპიზაში, სავარაუდოდ, XII საუკუნეში მოღვაწეობდა (აბუსერიძე ტბელი, 1941: გვ. 57-58).

კლარჯეთის უპირველეს სავანეში მოღვაწეობდნენ ცნობილი ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენი. მათი ნამუშევრების გაცნობა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ოპიზის, როგორც ქართული კულტურის დიდი ცენტრის, მნიშვნელობაზე. ბეშქენ ოპიზარს ეკუთვნის ბერთის (II) სახარების (ხეც, Q-906) მოჭედილობა. ოთხთავის ოქროჭედურ ყდაზე გამოსახულია ვედრება და ჯვარცმა. შესრულების ტექნიკით ბეშქენის ნახელავი XII საუკუნის I ნახევარს ეკუთვნის.

ბექა ოპიზრის მოჭედილია ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ძეგლი - ანჩისხატის ჩარჩო. ხატის ერთ-ერთი წარწერის მიხედვით, იოანე ანჩელმა ხატი მოაჭედინა ბექას, თამარ მეფის ბრძანებით და ,,ნივთისა ბოძებით“. შალვა

ამირანაშვილის მსჯელობით ანჩისხატის წარწერაში თამარი მარტო მოიხსენიება, რაც საფიქრებელს ხდის, რომ მისი მოჭდილობა შესრულებულია თამარის ქორწინებამდე, ყოველ შემთხვევაში, ლაშა-გიორგის დაბადებამდე ანუ 1193 წლამდე. (ამირანაშილი 1956: 6, 8, 12) მოოქრული ვერცხლით ბექას მოჭედილია აგრეთვე ვედრება და ჯვარცმა წყაროსთავის სახარების (ხეც, Q-907) ყდაზე. ოთხთავი 1195 წლით თარიღდება და, სავარაუდოდ, მოჭედილობაც იმ დროის უნდა იყოს. ბექასვე მოუჭედავს კიდევ ანჩის ან წალკის სახარების ყდა, რომელიც დღეისათვის დაკარგულია. ეს ხელნაწერიც წყაროსთავის მონასტრიდან იყო (მენაბდე 1962: 393-394).

XII საუკუნეში ოპიზაში მოძღვრად იოვანე მთვარაჲსძის დისწული იოვანე ყოფილა. მან ბერთის მონასტერს შესწირა ოქროს ჯვარი, ბეშქენ ოპიზრის მიერ მოჭედილი სახარება და ვენახი. აღნიშნული ხელნაწერი მის ძმას, სიმონს იოვანე მთვარაჲსძემ უბოძა, სიმონმა კი შემდეგ მას (იოვანე ოპიზის მოძღვარს) დაუტოვა. ოთხთავი იოვანემ მახარებლების მინიატიურებით შეამკო. ვენახი მან თავის დროზე იმავე ბერთის მონასტრისგან შეიძინა. მოძღვარი მინაწერში აღნიშნავს, რომ ამ ვენახის გაშენებისას დიდად უღვაწია: „...ვენაჯი მეყიდა ბერთისაგანვე სამეოცდაათ ბოტოტინად და დიდი ჭირი მენახა ვენაჯისა აშენებასა და ზედა სახლისა აგებასა - მოვაჯსენე იგი ვენაჯიცა. და კ[უ]ალად მოვიგონე რომელ უმიწოჲ საუკუნოჲ აღაპი არა დამტკიცდებოდა, მოვაჯსენე თორმეტი ბოტინატი და მათ მიბოძეს წისქულის-ჯევის აგარაჲ, კარსა ზედა, ნაფუზრითა სამსთჯსა ყანებითა“. აღნიშნული შეწირულობების საფუძველზე, იოვანეს ბერთის მონასტერში მირქმის საუფლო დღესასწაულზე აღაპი განუჩინეს: „მსგავსი ჩემისა გულსმოდგინებისაჲ და სასოებისა და სიყუარულისათჯს გამიკუჱთეს აღაპი: დღესასწაული დიდებული - მიგებებაჲ უფლისა ჩ˜ნისა იესუ ქრისტესი, რომელ არს ლამპრობაჲ“... (Q ფონდის აღწერილობა 1958: 319-320).

XIII საუკუნეში ოპიზაში მოღვაწეობდა დავით ნარინის მოძღვარი ილარიონი. სვანეთში, ლაბსყალდის ეკლესიაში, 1860 წელს დიმიტრი ბაქრაძემ ნახა სახარება, რომელიც გადაუწერიათ იოანესა და სვიმეონს. ხელნაწერის ანდერძში

ვკითხულობთ: ,,დავწერე ანდერძი ამა წმიდასა სახარებასა შინა მეფისა მოძღუარმან ბერმან ილარიონ სოფრომის ძემან, მას ჟამსა, ოდენ პატრონმან დავით მეფემან, ძემან რუსუდანისამან ოპიზით წამომიყვანეს და გელათს ქედსა წმინდათა მთავრ-ანგელოზთა წინაშე მამყოფეს, ესე წმიდაჲ სახარებაჲ მიბოძეს და ვითა მმართებდა მათათ სადიდებლად და სალოცავად ქედსა წმინდათა მთავარ ანგელოზთა შევსწირე და მათსა ეკლესიასა დავდე და რომელი ჩემგან ეგებოდა მათითა ნაბოძვრითა რაჲცა აკლდა, ესე სახარებაჲ შევკაზმე“. (მენაბდე 1962: 394-395).

XIII საუკუნის 60-იანი წლებში ოპიზის სავანის აოხრება მოინდომა მონღოლმა სარდალმა თეგუდარმა, რომელსაც გაგონილი ჰქონდა მონასტერის სიმდიდრისა და სიდიადის შესახებ. ჟამთააღმწერელი ოპიზას უწოდებს ,,უპირველესს ათორმეტ უდაბნოთა“ შორის, რომელიც სასწაულთა ნიშთა მიერ იყო გაბრწყინებული. იმხანად მონასტერში ინახებოდა იოანე ნათლისმცემლის ხორხი. თეგუდარმა ოპიზის მოსაოხრებლად გაგზავნა 1000 მხედარი. „[წმ. იოანე ნათლისმცემელმა] დაიცვა საყოფი თჳსი და მოუვლინა ნისლი და სიბნელე, და ვერღარა ვიდოდეს ფეჴითა საძაგელითა, რამეთუ მოახლოებულ იყვნეს უდაბნოსა, და დადგეს მთისა მის ძირსა, რომლესა ეწოდების ძეგლი, რომელსა ზედა შენ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი... მაშინ მოხედნა წყალობით სამკჳდრებელსა თჳსსა იოანე ნათლისმცემელმან, მსგავსად ყოვლად უბიწოსა ვლაქერნისა ღმრთისმშობელისა, და მოავლინა ქარი სასტიკი მთისა ღადოსა და ხოშკაკალა სეტყუა და წჳმა მძაფრი, და აღდგეს ღელვანი ვითარცა შუა ზღუასა, და წარმოეცა წყალი მძაფრი და იქმნა მდინარე დიდი, რომელი განსწორდა ვიდრე წვერადმდე ძეგლისა, რომელიც აწცა იხილვების დიდი იგი ნაღვარევი, რომელი შევალს მართლ ზედა-ზედა წყალსა შავშურსა“. წყალმა მთლიანად წაიღო მონღოლთა ლაშაქრი (ჟამთააღმწერელი 2008: 601-602).

ჩვენთვის ცნობილია სხვადასხვა დროს ოპიზაში მოღვაწე პირები: მარტვილის ტაძრის ერთი ეკვდერის წარწერაში (996 წ.) მოხსენებულია მიქელ გალატოზი ოპიზარი, ათონის მთაზე დაცული ზატიკის გადამწერი სჳმეონ ოპიზარი (მენაბდე 1962: 396). XI საუკუნის სვინაქსარზე (ხეც, A-97) არის მინაწერი, რომელშიც

იხსენიება ოპიზის მოძღვარი დავითი: ,,სულსა ოპიზის მოძღვარისა დავითისა შეუნდნენ ღმერთმან, და მისსა დასა მართა ყოფილსა მარიამს...“ (A ფონდის აღწერილობა 1973: 434). ოპიზის მოძღვარი მათე იხსენიება გამოკრებილი სახარების (N160, გადაწერილია XV საუკუნის ხელით) მინაწერში: „სულსა ოპიზისა მოძღვრის ახალაძესა მათეს შეუდვნეს ღმერთმან“ (კაკაბაძე 1949: 158). XI საუკუნეში გადაწერილ მიძნაძორული სვინაქსარის (A-97) არშიაზე დაცულია, ოპიზის მოძღვართ-მოძღვარ გერმანე შილასძის მოსახსენებელი: „სულსა შილასძესა, ოპიზის მოძღუართ-მოძღუარსა გერმანე ყოფილსა გრიგოლს შეუდნეს ღმერთმან. მის ცოლყოფილსა ელისაბედს შეუდნეს ღმერთმან“ (231v) (A ფონდის აღწერილობა 1973: 442).[12]

XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი ხაზს უსვამს მონასტრის სიმდიდრესა და შემკულობას. ის ადასტურებს, რომ ოპიზის მონასტერში ესვენა იოანე ნათლისმცემლის ხორხი. ,,იდგნეს მონაზონი მოწესენი მრავალნი, და იყო ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიო წესითა და მამულითა შეწირულობითა, და აწცა არს დიდ-შენებულებანი, არამედ უქმ-ცარიელ არს“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973).

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტიდან ჩვენთვის ცნობილია ოპიზის ხუთი წინამძღვარი: ამბა სამოელი, ამბა ანდრია, ამბა გიორგი („იყო წმიდაჲ იგი მცირე ეკლესიაჲ წმიდისა ნათლის-მცემელისაჲ. და იგი წინამძღუარისა მათისა სახელი ამბა გიორგი, რამეთუ მესამე მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჲთგან სამოელ და ანდრია გარდაცვალებულ იყვნეს“); უცნობი წინამძღვარი, რომლის სახელიც არ

[12] ივანე სურგულაძის მსჯელობით, მოძღვართ-მოძღვარი სწავლულ ბერად ითვლებოდა, რომლის სახელი მეცნიერული წოდების აღმნიშვნელი უფრო იყო, ვიდრე თანამდებობის (სურგულაძე 2003: 258). ექვთიმე თაყაიშვილი წერდა, რომ მოძღვართ-მოძღვარი იყო არა მარტო გელათში, არამედ მოგვიანებით საქართველოს სხვადასხვა მხარეშიც ჩნდება. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ყოველ სამეფოს თუ სამთავროს თავისი მოძღვართ-მოძღვარი უნდა ჰყოლოდა (თაყაიშვილი 1920: XXXIII). XVI-XVIII საუკუნეებში მოხსენიებული მოძღვართ-მოძღვრები დიდი ეკლესია-მონასტრების ბერები იყვნენ, მათი ასეთი წოდება ნიშნავდა, რომ ისინი საეკლესიო სწავლთა „მეცნიერები“ იყვნენ (მჭედლიძე 2006: 13). ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „დიდი სათნოებითა და მეცნიერებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი დიდი მონასტრების მოძღვართ-მოძღვარი, რომელიც მთელი ორგანიზაციის ცხოვრებას წარმართავდა“ (ბერძენიშვილი 1971: 333).

არის მოხსენიებული ნაწარმოებში („და იყო ოდესმე ერთად შეკრებაჲ ამათ ნეტართაჲ წმიდისა ამის წინაშე თჳნიერ ოპიზის წინამძღურისა ყოველთა მათ ასწავებდა კეთილთა მათ სიტყუათა სულისა ცხორებისათა მამაჲ გრიგოლ. ხოლო ოპიზელი მამაჲ შეწუხნა“) მაკარი („და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაჴსა გაშენებულსა მისსა კეთილად ნაყოფიერსა. და ჟამსა მას შინა მოვიდა სანატრელი მამაჲ მაკარი ოპიზელი, ხილვად მოძღვრისა თჳსისა, მამისა გრიგოლისა“ (გიორგი მერჩულე 1963: 252, 282, 311). რადგან მაკარი იწოდება ოპიზელად და მას გიორგი მერჩულე მოიხსენებს, როგორც „მამაჲ“, ის უნდა იყოს ოპიზის წინამძღვარი. „მამაჲ“ არის შემოკლებული ვარიანტი მამასახლისისა და თან გიორგი მერჩულე ასე მოიხსენიებს მხოლოდ იმ მამებს, რომლებიც მონასტრის წინამძღვარნი იყვნენ (გრიგოლი – „მამაჲ ხანცთელი“, ბასილი – „მამაჲ ხანცთელი“, თევდორე – ნეძვის მაშენებელი და „მამაჲ“, მიძნაძორის წინაძღვარი – „დიდი მამაჲ სანატრელი დავით“ და სხვ.).

შემდგომი წინამძღვრები ჩვენთვის ცნობილია ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან. ტბეთის სახარების (ხეც, Q-929, გადაწერილი 1161 წ.) ანდერძში იხსენიება ოპიზის წინამძღვარი ანტონი (Q ფონდის აღწერილობა 1958: 356). პოლიევქტოს ცხვილოელის მართებული მოსაზრებით, ოპიზის წინამძღვარი ანტონი იყო ანტონ საღირისძე, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, რომელმაც თამარ მეფეს კორონაციისას გვირგვინი დაადგა თავზე (ცხვილოელი 1900: 2).

XII საუკუნის ბერთის II ოთხთავის (Q–906) მინაწერში იხსენიება ოპიზის წინამძღვარი დავით [...]ლასიძე, რომელსაც ბერთის მონასტრისათვის შეუწირავს ვენახი და ყანა, და გაუჩენია აღაპი ხარების დღესასწაულზე (Q ფონდის აღწერილობა 1958: 321). პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე, დავითი XV საუკუნის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ.

XI საუკუნის გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის სვინაქსარის მინაწერში იხსენიება ოპიზის წინამძღვარი იოვანე, რომელიც კავკასიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი იყო: „სულსა კავკასიძესა ალექსანდრეს ყოფილსა ალსის და მისა მეცხედრესა ქეთეონს შეუნდნენ ღმერთმან. მათსა ძესა

ოპიზ[ი]ს წინამძღურსა იოვანეს შეუნდნენ ღმერთმან“ (360r) (A ფონდის აღწერილობა 1973: 447).

ამრიგად, ჩვენთვის ცნობილი ოპიზის წინამძღვრების ქრონოლოგიური რიგი ამგვარად გამოიყურება:

- ამბა სამოელი – VIII ს-ის 50-იანი წლები
- ამბა ანდრია – VIII ს-ის მესამე მეოთხედი
- ამბა გიორგი – VIII ს-ის ბოლო მეოთხედი
- უცნობი წინამძღვარი – IX ს-ის I ნახევარი
- მაკარი ოპიზელი – IX ს-ის II ნახევარი
- ანტონ საღირისძე – XII ს-ის 60-იანი წლები
- დავით [..] ლასიძე (?) – XV ს.
- იოვანე კავკასიძე – XVI ს.

ოპიზაში მოღვაწე პირები წყაროებში „ოპიზელად“ და „ოპიზრად“ იწოდებიან. ოპიზელის მაგალითი გვხვდება ,,გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ – ,,მამაჲ მაკარი ოპიზელი“. ხოლო ოპიზარი გვხვდება ხელნაწერების მინაწერებსა და ჭედურ წარწერებში. დავით ნარინის მოძღვარი ილარიონი იწოდება ,,ოპიზრად“, აგრეთვე ,,ოპიზრებად“ იწოდებიან ბექა და ბეშქენი: ,,ოპიზარმან ილარიონ იყიდა მეფის მოძღვარმან“ (H -2336-ის მინაწერი); ,,მოიჭედა ჴელითა ბეშქენ ოპიზრისაითა“; „ქრისტე შეიწყალე ოქრომჭედელი ბექაჲ ოპიზარი“ (მენაბდე 1962: 393-395).

მაკარის შემთხვევაში ვიცით, რომ ის არის ოპიზის წინამძღვარი. რაც შეეხება ილარიონსშეიძლება ვიფიქროთ ილარიონზეც, რადგანაც ის სასულიერო პირი იყო. რაც შეეხებათ ოქრომჭედლებს, ბექას და ბეშქენს, რთულია მათი მონასტრის წინამძღვრებად მოაზრება, რადგანაც ჩნდება კითხვა: იყვნენ თუ არა ისინი საერთოდ სასულიერო პირები? „ოპიზრად“ მოხსენების საკითხი გადაჭრილი არ არის და მოითხოვს შემდეგ კვლევა-ძიებას.

§ 3. 2. ხანცთა

ხანცთის მონასტერი მდებარეობს ართვინის მხარეში, ართვინის რაიონის სოფელ ფორთაში (Artvin İli, Artvin İlçesi, Pırnallı köyü) (ბაგაური... 2017: 45). მონასტერი დიდმოწამე გიორგის სახელობაზე იყო აშენებული (გიორგი მერჩულე 1963: 261).

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ხელნაწერის არსებობის შესახებ 1845 წელს პირველად აღნიშნა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (Цагарели 1894: 49-50). 1889 წელს გაზეთ „ივერიის“ 70-ე ნომერში გამოქვეყნდა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ნაწყვეტი. ამ ტექსტის მიხედვით ცნობილი გახდა, რომ ძველი ქართული სავანეები ხანცთა და შატბერდი დაარსდა გრიგოლ ხანცთელის მიერ და ექვემდებარებოდა ანჩის საეპისკოპოსოს (ქუთათელაძე 1889: 3).

გიორგი მერჩულეს თხზულების ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში დაისვა საკითხი ხანცთის ადგილმდებარეობის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ხანცთის მონასტრის მდებარეობა სავარაუდებელია არა კლარჯეთში, არამედ ევფრატის ხეობაში (თაყაიშვილი 1890: LXXI-LXXII). გიორგი მერჩულეს თხზულების სრული ტექსტის აღმოჩენის შემდეგ საბოლოოდ დადასტურდა, რომ ხანცთის მონასტერი კლარჯეთში მდებარეობდა.

გიორგი მერჩულეს თხზულების სრული დედანი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში აკად. ნ. მარმა 1902 წელს მოიპოვა (ინგოროყვა 1954: 306). 1904 წელს ნიკო მარმა იმოგზაურა კლარჯეთში, რათა დაედგინა იმ მონასტრების ადგილმდებარეობა, რომლებიც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაშია“ მოიხსენებული. მან შეძლო კლარჯეთის უდაბნოს თითქმის ყველა მონასტრის ლოკალიზება, გასარკვევი დარჩა ხანცთის სავანის და შატბერდის ადგილმდებარეობა. ნიკო მარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ხანცთა უნდა ყოფილიყო ის ძეგლი, რომელიც მდებარეობდა სოფელ ფორთის ჩრდილოეთ ზონაში და ცნობილი იყო ნუკა-საყდრის სახელწოდებით (მარი 2012: 62).

ხანცთის ადგილმდებარეობის დადგენას შეეცადა პავლე ინგოროყვა. მან წყაროების ანალიზის შედეგად გამოთქვა მოსაზრება, რომ ხანცთა არის ის უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის სამხრეთ ზონაში, ე. ი. ის სავანე, რომელიც ნ. მარმა შეცდომით შატბერდად მიიჩნია. მკვლევარს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ამტკიცებს, რომ ხანცთა არის ქვემო ფორთის უსახელო სავანე: 1) წყაროების ანალიზის შედეგად, ყურადღება მიაქცია, რომ ხანცთა მდებარეობს ოპიზის მოსაზღვრედ, ხოლო ფორთის სამხრეთ ზონის (ქვემო ფორთის) უსახელო სავანეც მდებარეობს ოპიზის მოსაზღვრედ; 2) მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობაში აღნიშნულია, ერთმანეთის მოსაზღვრე პუნქტებს – ხანცთასა და ოპიზას შორის მდებარეობდა ადგილი, რომელსაც ერქვა დახატულა. ნ. მარს თავის მოგზაურობაში კი აღნიშნული აქვს, რომ ადგილს, რომელიც მდებარეობს ქვემო ფორთის უსახელო სავანის ტერიტორიასა და ოპიზას შუა, დახატულა ეწოდება; 3) ქვემო ფორთის უსახელო სავანე რომ იგივე ხანცთაა, ამას სრულიად უდავოდ და დოკუმენტურად ამტკიცებს ამ სავანის გუმბათის ერთი წარწერა, რომლის ცნობა ეთანხმება სინის მთის „სულთა მატიანის“ მონაცემს ხანცთის მაშენებელთა შესახებ. ქვემო ფორთის სავანის ტერიტორიაზე, სავანის მთავარი ტაძრის გვერდით, აგებულია სამრეკლოს გუმბათიანი შენობა. სამრეკლოს გუმბათზე დაცულია წარწერა, რომელშიც იხსენიება მარკოზი. როგორც ირკვევა, ის ყოფილა სამრეკლოს მაშენებელი. სინის „სულთა მატიანეში“ დაცულია ცნობა, რომ „ხანცთისა აღმაშენებელი“ არის გრიგოლ ხანთელი, ხოლო მარკოზი – „ხანცთისა სამრეკლოსა აღმშენებელი“, ეს მარკოზი და სამრეკლოს წარწერაში მოხსენებული მარკოზი ერთი და იგივე პიროვნებაა (ინგოროყვა 1954: 311-313).

ვახტანგ ჯობაძის მოსაზრებითაც, ქვემო ფორთის მონასტერი არის ხანცთის სავანე (ჯობაძე 2006: 53-54).

არგუმენტების სიმრავლის მიუხედავად, მეცნიერთა ნაწილი არ იზიარებს მოსაზრებას ფორთის ხანცთასთან გაიგივების შესახებ. მამია ფაღავა იზიარებს ნიკო მარის მოსაზრებას, რომ ნუკა-საყდარია იგივე ხანცთის მონასტერი (ფაღავა 2007: 148). ხოლო როლანდ თოფჩიშვილის დასკვნით, გრიგოლ ხანცთელის ეს

მონასტერი შავშეთში უნდა ყოფილიყო: „ჩვენი აზრით, ხანძთა არც ფორთის მონასტერია და არც ნუკას საყდარი. ხანძთის სავანემ, ისევე როგორც სხვა არაერთმა სასულიერო-საგანმანათლებლო კერამ, უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ხანძთის მონასტერი იმერხევში, სოფელ უბის სიახლოვეს არსებობდა, სადაც ადგილის სახელწოდება „ხანძთა“ დღემდეა შემონახული. ვფიქრობთ, მომავალი კვლევა-ძიება, განსაკუთრებით კი არქეოლოგიური, ჩვენს მოსაზრებას ხანძთის მდებარეობის შესახებ მატერიალურად დაადასტურებს“ (თოფჩიშვილი 2013: 80).

ვფიქრობთ, დღეისათვის სამეცნიერო პოლემიკის საგანი აღარ უნდა იყოს ხანცთის ადგილმდებარეობის საკითხი. ხანცთის ქვემო ფორთის სავანესთან გაიგივებას არაერთი არგუმენტი ამყარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვემო ფორთის მონასტრის მთავარი ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება წინამძღვარი იოანე. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტიდან კი ცნობილია, რომ ხანცთის მესამე ეკლესიის მშენებლობა დასრულდა წინამძღვარ იოანეს დროს (გიორგი მერჩულე 1963: 277).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 794 წლის ახლოს კლარჯეთში ჩასული გრიგოლი დამკვიდრდა ოპიზის მონასტერში, სადაც მან ორი წელი დაჰყო. თუმცა გრიგოლ ხანცთელს სურდა განდეგილობა. შემდეგ სულიწმიდამ იგი ხანცთაში მიიყვანა, სადაც მარტომყოფი ბერი ჯუედიოსი დახვდა. ხუედიოს წმინდა მამასთან შეხვედრამდე ეუწყა: „ვითარმედ აღეშენოს წმიდაჲ ეკლესიაჲ ადგილსა ამას ჯელითა გრიგოლ მღდელისა, კაცისა ღმრთისაჲთა. და სულნელებაჲ ლოცვათა მისთაჲ და მოწაფეთა მისთაჲ, ვითარცა კეთილი საკუმეველი აღიწეოდის წინაშე ღმრთისა“. გრიგოლმა თავდაპირველად ააგო ხის ეკლესია და სენაკები. მოგვიანებით აშენდა დიდი დარბაზი სატრაპეზოსათვის. IX საუკუნის დასაწყისში გრიგოლი ხანცთის მეორე, ქვის ეკლესიას ადგილობრივი დიდებულის – გაბრიელ დაფანჩულის მატერიალური მხარდაჭერით აგებს (გიორგი მერჩულე 1963: 253, 256, 260-261).

ხანცთის რიგით მესამე ტაძარი კი, რომელიც დღეს კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს, აგებულია X საუკუნის I ნახევარში ერისთავთ-ერისთავის

აშოტ კუხისა (გ. 918 წ.) და გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის (გ. 941 წ.) დროს, ხუროთმოძღვარ ამონას მიერ (გიორგი მერჩულე 1963: 260, 276-277).

ეკლესია აღმართულია აღმოსავლეთ ნაწილში შექმნილ სუბსტრუქციაზე. ძირითად ფორმებში ის დღემდე შემონახული, მაგრამ ძლიერ დაზიანებულია. აღმოსავლეთ მხარეს ეკლესიის ფასადის ქვემოთ სუბსტრუქცია 4-5 მეტრის სიმაღლეზე აღიმართება. ეს კედელი ამოყვანილია უხეშად დამუშავებული ლოდების ცხრა რიგით. ეკლესიის ძირს სუბსტრუქციისაგან გამოყოფს თლილი ბაზალტის კარნიზი.

განადგურებულია საფასადო წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩანგრეულია ოთხივე მკლავის კამარები საბჯენი თაღებითურთ, კონქის ზედა ნაწილი და ალაგ-ალაგ კედლების ზედა ნაწილებიც. გუმბათი კვლავ დგას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ორი საყრდენი ბურჯი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს – ისინი აშკარად შეგნებულად დააზიანეს შენობის დანგრევის მიზნით. ჩრდილოეთის ლურჯი მთლიანად მონგრეულია, სამხრეთისა – თითქმის მთლიანად. გუმბათის ასეთი საოცარი მდგრადობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ მშენებლობის ძალიან მაღალი ტექნიკური ხარისხით, კერძოდ, განსაკუთრებით ძლიერი მაკავშირებელი ხსნარის გამოყენებით.

გარედან ეკლესიას მთლიანად თლილი ქვის პერანგი მოსავს. ამასთან, გუმბათის ყელზე გამოყენებულია მაღალხარისხიანი მკვრივი მოწითალო ქვიშაქვა, ხოლო ძირითადი კორპუსის ფასადები მოპირკეთებულია უფრო რბილი მოყვითალო-ქვიშისფერი ფოროვანი ქვით. ქვების თანაბარზომიერი ჰორიზონტული რიგები თითქმის უგამონაკლისოდ ერთი სიმაღლის, დაახლოებით 40 სანტიმეტრისაა.

ეკლესია „ჩახაზული ჯვრის" ტიპისაა. გუმბათი ეყრდნობოდა აღმოსავლეთით აფსიდის კედლების კუთხეებსა და დასავლეთით ორ დღეისათვის გამქრალ ბურჯს. დასავლეთის მკლავი, კლარჯული სამონასტრო არქიტექტურის ტრადიციისამებრ, წაგრძელებულია. გუმბათქვეშა ბურჯების დასავლეთით აქ კიდევ ერთი წყვილი ბურჯია. მათზე გადადის ორი წყვილი თაღი, რომლებიც გამოყოფს დასავლეთის მკლავს სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ

კუთხის ნაწილებისაგან. აღმოსავლეთით აფსიდის წინ არის მიდიდო ბემა. საკურთხევლის ორივე მხარეს ორი ერთნაირი უაფსიდო დამატებითი სათავსია, ისინი თითო კარით უკავშირდება მხოლოდ შესაბამის განივ მკლავებს.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, სიმეტრიულად გაჭრილი სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნაწილებში შიდა სივრცეს ანათებდა რვა სარკმელი – ოთხი გუმბათის ყელში თითო აფსიდსა და მკლავებში. პასტოფორიუმებს აღმოსავლეთიდან თითო სარკმელი აქვს (ხოშტარია 2009: 98-100).

კედლების უხეში წყობა, როგორც ჩანს, თავიდანვე შელესილი იყო. ბათქაშის ფრაგმენტები აქ დღემდე შემონახულია. 1904 წელს ნიკო მარმა სატრიუმფო თაღზე ნახა კედლის მხატვრობის გადარეცხილი ნაშთი – ტოლმკლავა ჯვარი და წმინდათა თუ ანგელოზთა ფიგურების შარავანდები ფრესკული წარწერებით (ხოშტარია 2009: 104; Марр 1911: 146-147) .

გარედან განვითარებული არქიტექტურული გაფორმებით გამოირჩევა გუმბათი. მის თორმეტწახნაგა ყელს შემოწერს დეკორაციული თაღნარი, რომელიც წიბოებზე აყოლებულ შეწყვილებულ ნახევარსვეტზე გადადის. ნახევარსვეტების ბაზისები და კაპიტელები ფაქიზად არის დამუშავებული.

ჩრდილოეთის კარის წინ ეკლესიას აქვს ცუდად ნაგები სამკუთხა გეგმის მინაშენი, სავარაუდოდ, გვიანი პერიოდის (ხოშტარია 2009: 104)

დავით ხოშტარია წერს, რომ ხანცთის ეკლესია თვალნათლივ გვიჩვენებს კლარჯეთის არქიტექტურის განვითარების ახალ ეტაპს. მთელი რიგი სიახლეებით ის წინამორბედია არა მხოლოდ ოპიზისა და დოლისყანის, არამედ დავით კურაპალატის მიერ ტაოში აგებული დიდი ტაძრებისაც. აღსანიშნავია, რომ ხანცთა კლარჯეთის ერთადერთი შემორჩენილი ეკლესიაა, რომელიც „ჩახაზული ჯვრის" გეგმაზეა აშენებული (ხოშტარია 2009: 106).

მორთულობით გამორჩეული გუმბათისაგან განსხვავებით, ტაძრის სხვა მასები სადაა, მხოლოდ აღმოსავლეთის სარკმელს აღნიშნავს წითელი ქვის გვერდებ-გადანაკეციანი თავსართი და მასზე წითელი ქვის სადა ჯვარი. ტაძარი აღმოსავლეთით ხევის პირას, სპეციალურად ქვის კედლით ამოყვანილ

სუბსტრუქციაზე დგას და, ამდენად, ეს კომპოზიცია ადამიანის თვალისათვის ძნელად აღსაქმელია (გივიაშვილი... 2006: 122).

მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დგას ძლიერ დანგრეული სატრაპეზო. ის ნაგებია დიდი, უხეშად დამუშავებული ქვებით. სატრაპეზო წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებულ მართკუთხა ნაგებობას ერთი ვრცელი დარბაზით, რომელსაც თაღების მწკრივი ორ ტოლი სიგანის ნავად ჰყოფდა. თაღები ეყრდნობოდა ოთხ ჯვრისებრი გეგმის ბურჯს. ნავები ცილინდრული კამარებით იყო გადახურული. ორკალთიანი სახურავის ქვეშ კამარებს ზემოთ ალბათ სხვენის სათავსი იქნებოდა. სატრაპეზოს იატაკის ქვეშ სუბსტრუქციაში მოწყობილია დიდი ოთახი. ვ. ჯობაძის აზრით, ეს ოთახი უნდა იყოს საკუჭნაო (ჯობაძე 1995: 64; ხოშტარია 2009: 109).

ვ. ჯობაძის თქმით, სატრაპეზო აგებული უნდა იყოს VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში (ჯობაძე 1995: 64). მის ამ მოსაზრებას არ იზიარებს დ. ხოშტარია: „თუ იმხანად გრიგოლ ხანცთელს შეეძლო ამხელა შენობა აეგო ქვით, რაღა გაუჭირდა, რომ ეკლესია ხით ააშენა. სატრაპეზო არც პირველი განახლების დროინდელი (820 წლის ახლოს) ჩანს, მისი არქიტექტურა უფრო განვითარებულ სამშენებლო კულტურას მოწმობს. მე მგონია, რომ სატრაპეზო აშენდა X საუკუნეში, შესაძლოა იმავე ამონას ხელმძღვანელობით“ (ხოშტარია 2009: 109).

ეკლესიასა და სატრაპეზოს შორის ჩაშენებულია, სავარაუდოდ, X საუკუნის, მცირე ზომის სამლოცველო და სენაკები (ხოშტარია 2009: 109). ვახტანგ ჯობაძის მოსაზრებით, სენაკები სამ სართულად იყო განლაგებული: „ჩემმა კვლევა-ძიებამ მიმიყვანა აზრამდე, რომ ეს ზედა სართულებია სამსართულიანი საძინებლებისა, რომლებიც მეტწილად ჩამარხულია ნანგრევების ქვეშ“ (ჯობაძე 1995: 65).

მონასტრის გალავნის გარეთ არის არქიტექტურულად გაფორმებული წყარო. მასზე დაშენებულია პატარა დარბაზული სამლოცველო, რომელსაც ამჟამად გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები მონგრეული აქვს. სამლოცველო ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვით და შიგნითაც და გარეთაც სრულიად სადაა (ხოშტარია 2009: 110).

ვახტანგ ჯობაძის აზრით, სამშენებლო მეთოდისა და ადრეული შუა საუკუნეების სამლოცველოებთან მსგავსების საფუძველზე წყაროს ეკლესია, სავარაუდოდ, აშენებული უნდა იყოს VIII საუკუნის მიწურულს. იგი უარყოფს პავლე ინგოროყვას ვარაუდს, თითქოს ეს სწორედ გაბრიელ დაფანჩულის ეკლესია იყოს. როგორც ვ. ჯობაძე შენიშნავს, ასეთი გაიგივება მცდარია რამდენიმე მიზეზის გამო: „ჯერ ერთი, ის აგებულია შედარებით სწორ ადგილზე და მისთვის სამშენებლო მოედნის მოსწორება შრომას არ მოითხოვდა, როგორც ეს აღწერილი აქვს გიორგი მერჩულეს; მეორე, ის მდებარეობს მონასტრის ზღუდის გარეთ; მესამე, ეს არ არის ეკლესია, არამედ მხოლოდ მცირე სამლოცველოა, საეკლესიო მსახურებისათვის შეუფერებელი: და მეოთხე, ეკლესიის მშენებლობის პროცესის აღწერისას მერჩულე არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ ის წყაროს თავზე აიგო" (ჯობაძე 1995: 66-67).

ხანცთის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი იყო წყლის რეზერვუარი, რომელიც ბუბა კუდავამ შეისწავლა 2012 წელს. იგი დაფერდებულ კლდეზეა დაშენებული და, შესაბამისად, არათანაბარი სიმაღლის კედლები აქვს. გარედან მისი სიმაღლე 10 მეტრამდე, შიგნით კი 7,5 მეტრამდე აღწევს. სამეურნეო ნაგებობამ ჩვენამდე თითქმის პირვანდელი სახით მოაღწია.

ბუბა კუდავას დაკვირვებით, დიდი ზომის ქვების გამოყენება და სამშენებლო ტექნიკა მოწმობს, რომ რეზერვუარი უნდა აეგოთ ხანცთის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ადრეულ პერიოდში, ალბათ უფრო X საუკუნეში, იმ დროს, როცა მთავარმა ტაძარმა და კომპლექსის ძირითადმა ნაწილმა (სატრაპეზო, სენაკები, გალავანი...) საბოლოო სახე მიიღო. იგი საკმაოდ მყარად ნაშენებია. გადახურვის დაზიანების მიუხედავად, ნაგებობა არ ჩამოქცეულა. შენობა უჩვეულო კონსტრუქციისაა. მასში მოხვედრა მცირე კარით ყოფილა შესაძლებელი. შიგნით რეზერვუარს კედელზე მიკრული ორთაღოვანი „ხიდი“ ჰქონია, რომლითაც შიდა სივრცეში მოხვედრა და გადაადგილება ყოფილა შესაძლებელი (კუდავა 2016: 50-55).

ეკლესიის დასავლეთით დგას კარგად შემონახული სამრეკლოს შენობა. ის ორიარუსიანია. ქვედა იარუსს შეადგენს კუბური მოცულობა შიგ ერთი

სათავსით, ზედა - რვათაღიანი ფანჩატური, საკუთრივ სამრეკლო. ფანჩატურს აქვს ქვის ლორფინით დაბურული დაბალი კონუსური სახურავი (ხოშტარია 2009: 109).

სამრეკლოს კედლებზე შემორჩა ორი წარწერა, რომლებშიც იხსენიებიან სამრეკლოს მშენებლობის ქტიტორი მარკოზი, ხანცთის მონასტრის დეკანოზი ანტონე და კალატოზები აბესალმა კლდელი, ქამირი, ყაზანი და მსახურა. პირველი წარწერა ექვსსტრიქონიანია:

„ქ(რისტ)ე: შ(ეიწყალ)ე: ამისი: ოსტ(ატ)ი: გ(ა)ლ(ა)

ტ(ო)ზნი: კლდელი: აბეს

ალმას: მისნი: ამხ(ა)ნ(ა)გ

ნი: ქამ(ი)რსა: ყაზ(ა)ნსა: მს

ახ(უ)რსა: შ(ეუნდვე)ნ: ღ(ღმერთმა)ნ: ვ(ი)ნცა: შენ

დობა: ბარ[ძანონ]“ (ჯობაძე 2006: 55) .

მეორე წარწერა სამსტრიქონიანია, ამოკვეთილია ერთ ქვაზე სამრეკლოს ფანჩატურის დასავლეთ მხარეს:

„ქ(რისტ)ე: შ(ეიწყალ)ე: მ(ა)რკ(ო)ზ: | დედა: მამა: | მისი: შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ:“ (ჯობაძე 2007: 55).

ვახტანგ ჯობაძე ფიქრობს, რომ წარწერები სამრეკლოს აშენების თანადროულია. იგი წარწერებს და სამრეკლოს XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებს (ჯობაძე 2007: 54).

ხანცთის სამრეკლოს მაშენებელი მარკოზი[13], ასევე მოხსენიებულია სინის „სულთა მატიანეში“[14], სადაც ის წმ. გრიგოლ ხანცთელის ყმად და ხანცთის სამრეკლოს აღმშენებელად წარმოგვიდგენს თავს.[15] მისი მოღვაწეობა მხოლოდ

[13]მარკოზი კლარჯეთიდან იყო წარმოშობით მოსახსენებლებში იგი თავის გვარს მარკოზისძე/მარაკისძედ მოიხსენიებდა (კლდიაშვილი 2008: 136).

[14] პ. ინგოროყვამ პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ხანცთის სამრეკლოს მაშენებელი მარკოზი და სინის „სულთა მატიანეში“ მოხსენიებული მარკოზი ერთი და იგივე ისტორიული პირია. ეს ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია, რომლის საფუძველზეც მეცნიერმა სოფელ ქვემო ფორთაში არსებული სავანე გააიგივა ხანცთის მონასტერთან (ინგოროყვა 1954: 311-312).

[15] მაყვლოვანის ღვთისმშობლისადმი მიმართულ ვედრებაში მარკოზი გრიგოლ ხანცთელის კურთხევის შემდეგ, როგორც ხანცთის სამრეკლოს აღმშენებელი, შენდობას ითხოვს: „ჴანცთასა აღმაშენებელსა სულკურთჴეულსსა მამასა გრიგოლსა სულკურთხეულ ყოს ღმერთმან და

ხანცთის სამრეკლოს აგებით არ ამოწურულა. სინის სულთა მატიანიდან ირკვევა, რომ კლარჯეთში, ხანცთის სამრეკლოს აგების შემდეგ, დაახ. XVI ს-ის 40-იან წლებში, იგი სინაზე წასულა და წმ. ეკატერინეს მონასტერში დამკვიდრებულა, სადაც მის ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია. მარკოზი სინას სულთა მატიანის ბოლო შემავსებელი იყო. მის მიერ მატიანეში შეტანილი მოსახსენებლებიდან გამომდინარე, დარეჯან კლდიაშვილი ვარაუდობს, რომ მას საკმაოდ დიდი რაოდენობის შეწირულობა უნდა ჩაეტანა სინას მთაზე, რაც იმ ძნელბედობის პერიოდში წმ. ეკატერინეს მონასტრის გაჭირვებაში მყოფ მცირერიცხოვან ქართველობას დიდად უნდა გამოსდგომოდა (კლდიაშვილი 2008: 145-146).

მარკოზის მიერ სინას მატიანეში შეტანილი მოსახსენებლები ქრონოლოგიურად ერთი პერიოდისაა. აშიებზე შესრულებულ მოსახსენებლებში დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა სიმრავლე შეინიშნება, რაც პოლიტიკური ვითარების და იმ ურთიერთობის გამოხატულება უნდა ყოფილიყო, რაც სამცხე-საათაბაგოს გარკვეულ ნაწილსა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს უნდა ჰქონოდათ (კლდიაშვილი 2008: 146).

სინას „სულთა მატიანის“ მარკოზისეულ ფენაში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის და ჯაყელთა შორის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ურთიერთდაპირისპირების პერიოდია ასახული(კლდიაშვილი 2008: 146-147).

მარკოზი სინაზე XVI საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში უნდა ჩასულიყო. ეს ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს ხანცთის სამრეკლოს აგების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს – 1540-იან წლებს (კლდიაშვილი 2008: 147).

ხანცთის სამრეკლოს წარწერა მოიხსენიებს დეკანოზ ანტონეს. ნიკო მარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სახელი ანტონი ანტონეს სახით არის გადმოცემული, ხოლო საგვარეულო სახელში – ნოკაძე – ქარაგმის გახსნა ძნელდება. წარწერის მიხედვით, არ ჩანს, თუ რომელი ეკლესიის დეკანოზია

მაყოვნისა ღმრთისმშობელმან მისსა ყმასა მარკოზ ჴანცთასა სამრეკლოსა აღმშენებელსა ღმერთმან შეუნდოს“ (კლდიაშვილი 2008: 136).

ანტონე, თუმცა A-97 მიძნაძორული სვინაქსარის ერთ-ერთი კოლოფონის მიხედვით, იგი ყოფილა ხანცთის დეკანოზი (კლდიაშვილი 2008: 141).

ხანცთაში წარწერები მრავლად უნდა ყოფილიყო, მაგრამ მათგან ექვსი წარწერიანი ფილაა ცნობილი. ოთხი დაკარგულია, ხოლო ორი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ამ წარწერებიდან ხუთი პირველად ნიკო მარმა გამოსცა 1911 წელს[16] შავშეთ-კლარჯეთის მოგზაურობის დღიურში, ერთი წარწერა კი – 1905 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა[17] (ხოშტარია 2009: 107). ხანცთის წარწერები ნოდარ შოშიაშვილმა შეიტანა ლაპიდარული წარწერების I ტომში.

ხანცთის ერთ-ერთ წარწერას, რომელიც ფოტოგრაფმა დიმიტრი ერმაკოვმა ხანცთიდან თბილისში ჩამოიტანა, ნ. შოშიაშვილი პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე X საუკუნით ათარიღებს და „ნასყიდობის აქტს“ უწოდებს:. „სახელითა ღ(მრთისა)ჲთა [და მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდი)სა] | მთ(ა)ვ(ა)რმ(ო)წ(ა)მისა | [გ(იორგ)ისითა შ(ეიწყალე)ნ ღ(მერთმა)ნ] | მ(ა)მ(ა)ჲ იოვ(ა)ნე ყ(ოველ)ი ერ[ი მ(ი)სი... ანჩ(ელმა)ნ(?)] | მ(ა)ს მ(ი)ვყ(ი)დ(ე)თ ესე ტ(ა)ძ(ა)რი [და ავ(ი)ღ(ე)თ] | ფ(ა)სი ს(რულა)დ. ს(ა)ჯ(უა)რ(ე)ჲ ჩ(უენ)ი. გაუს[რ(უ)ლ(ე)თ ყ(ოველ)ი. ა(დი)დ(ე)ნ ღ(მერთმა)ნ] | [ძ(ლიერმა)ნ ს(უ)მბ(ა)]ტ ერ(ი)სთ(ა)ვთა-ერ(ი)ს[თ(ა)ვი, რ(ომელმა)ნ აღ(ა)შ(ენ)ა ესე] | [ს(ალო)ც(ა)]ვი წ(მიდა)ნი ეკლეს[იანი, საჴსრ(ა)დ] | [ს(უ)ლ(ის)ა და შ(ესანდო)ბ(ე)ლ(ა)დ] ც(ო)დვ(ა)თ[ა მ(ა)თთა, ა(მე)ნ]“ (შოშიაშვილი 1980: 296). დავით ხოშტარია ფიქრობს, რომ იოვანე უთუოდ მონასტრის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო (ხოშტარია 2009: 108). მისი ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს, რადგან „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ ხანცთის მესამე ეკლესიის მშენებლობის დასრულების დროს, მონასტრის წინამძღარი იოვანე ყოფილა („სანატრელი იოვანე, ახლისა ეკლესიისა განმასრულებელი“) (გიორგი მერჩულე 1963: 277). სავარაუდოდ, წარწერაში მოხსენიებული იოვანე და ხანცთის სავანის მამასახლისი იოვანე ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო.

ხანცთის მონასტერში ნიკო მარმა მიაკვლია თეთრი ქვის ფილაზე ამოკვეთილ რვასტრიქონიან ასომთავრულ წარწერას. ფილა ჩადგმული ყოფილა მონასტრის

[16] Марр Н., Дневник поездки в Шавшию и Кларджию, С. Петербург, 1911 ст. 140, 143, 145-146, 202

[17] Е. Такаишвили, Грузинские надписи на археологических предметах, хранящихся в Кавказском музее в Тифлисе, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II, Тифлис, 1905, 59-61;

მეზობლად, ბაღში ამბარის ერთ-ერთი კუთხის საყრდენად. წარწერას ნოდარ შოშიაშვილი X საუკუნით ათარიღებს: „[წ(მიდა)ო] გ(იორგ)[ი მთ(ა)ვ(ა)რმ(ო)წ(ა)მ(ე)ო] ხნ˜[ც]... (ხანცთისაო?), [მ(ეო)ხ ექმ(ე)ნ | ი[(ო)ვ(ა)ნ(ე)ს და ანჩელ] თ(ეოდორ)ეს. (ე) შ(ეე)[წ(ი)ე ყ(ოველ)სა ერ] | სა [მ(ი)სსა: მივ(ი)]ღ(ე)თ მისგ(ა)ნ [ესე ტ(ა)ძ(ა)რი წ(მიდა)ჲ, | რ(ომე)ლ[ი აღ(ა)შ(ენ)ა ს(უ)მბ(ა)ტ, ს(ალოცვე)ლ(ა)]დ მ(ე)ფ(ო)ბ(ი)სა მი[სისა და...] | ვს [---- თ]სა. უ(ფალ)ო ქთ (ქრისტე?), [ვ(ი)ნ] | ი(ოვან)ე გ(ა)ნი[კ(ი)თხ(ო)ს იგ(ი)ცა] ღირს ყოს ღ(მერთმა)ნ [ს(ა)ს(უ)ფ(ე)ვ(ე)ლს] | ა, ა(მე)ნ. ესე მოსე დავწერე, ლოცვა | ყ(ავ)თ“ (შოშიაშვილი 1980: 297).

კიდევ ერთი წარწერიანი ქვა, რომელიც ხანცთაში აღმოჩნდა, ჩაშენებული იყო კერძო სახლის კედელში. ხანცთიდან ის 1902 წ., მხარის უფროსის შუბინსკის განკარგულებით, ართვინში გადაიტანეს. ართვინიდან კი წარწერიანი ფილა 1904 წელს ნიკო მარმა თბილისში ჩამოიტანა.

წარწერა დაზიანებულია. ნ. შოშიაშვილი მას პალეოგრაფიული ნიშნებით (კიდურწაისრულობა, განკვეთილობის ნიშნების გარეშე წერა, სიტყვების ერთმანეთისაგან დაცილება) და, დიდი ალბათობით, დავით კურაპალატის მოხსენების საფუძველზე, 979/1001 წწ. ათარიღებს.

ნოდარ შოშიაშვილის აზრით, ამ წარწერის ნაწილი უნდა იყოს ნიკო მარის მიერ მიკვლეული და გამოცემული ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერა კიდურწაისრული იყო. სიტყვებიც დაცილებული ყოფილა ერთმანეთისაგან და ქარაგმის ნიშნად დასმული ჰქონდა კიდურწაისრული განივი ხაზი.

ნოდარ შოშიაშვილს ასომთავრული ტექსტი მოჰყავს ნ. მარის გამოცემის მიხედვით და მისი მხედრული ტრანსკრიპციით აღდგენა პირობითია: „1. დ(ავი)თ კ(უ)[რ(ა)პ(ალა)ტ(ი)ს]...|| [შ(ე)წ(ევნი)თა ღ(მრ)]თ(ისა)ჲ[თა] 2. და სი?... // [წ(მი)]დ(ის)ა 3. ს(ა)მ(ებისაჲთ)ა მე... // [მ(ა)შ(ენებელ)მ(ა)ნ [ამ(ი)ს] 4. სტ(ოჲსა)ჲ... // [ს(ალო)]ც(ველა)დ [ს(ული)] 5. სა მ(ა)[თ(ისათჳ)ს]. // [ღ(მერთმა)ნ ა]კ(ურთ)ხ(ე)ნ. უ(ფალ)ო 6. შ(ეი)წ(ყალე)ნ... // ...მმ˜დძ(?)... 7. [ა](მენ)[ნ] (ქართული წარწერების კორპუსი 1980). წარწერის მიხედვით, დავით III კურაპალატმა ხანცთაში სტოა

ააშენა, თუმცა დ. ხოშტარიას ეს რეკონსტრუქცია უსაფუძვლოდ მიაჩნია, რადგან მონასტერში X საუკუნის II ნახევარის სტოა არსად ჩანს.

ხანცთის მონასტერში დ. ერმაკოვმა მიაკვლია ორ წარწერიან ქვას. ორივე ფრაგმენტი მან მიიჩნია ერთი წარწერის ნაწილად, რის დასადასტურებლადაც ერთმანეთზე მიდგმულ ფრაგმენტებს გადაუღო ფოტოსურათი. ქვების მოყვანილობის, ზომებისა და დამწერლობის მსგავსება, წარწერათა სტრიქონების რაოდენობის დამთხვევა ამყარებს დ. ერმაკოვის თვალსაზრისს წარწერის ერთიანობის შესახებ.

1904 წელს აღნიშნული ორი ფრაგმენტიდან ნიკო მარმა ადგილზე მხოლოდ ერთი ნახა. მანვე გამოსცა როგორც პირველი, ისე მეორე ფრაგმენტი. წარწერას ნ. შოშიაშვილი ათარიღებს X საუკუნით. „1. [ნ(ე)ბ(ი)თა და შ(ე)წ(ევნი)თა] // ღ(მრთ)ის(აჲ)[თა და 2. [იდ]ვა [აღაპი(?)] // აბა[ზ ერ(ი)სთ(ა)ვის(ა)ჲ?] 3. გარდ[აიჴდიდეს] // ჴელშ[ეუვ(ა)ლ(ა)დ] 4. ერი სიო[ნისაჲ]... // ს ავ(ი)[ღ(ე)თ აბაზ ერისთ] 5. ავ(ი)ს ს(უ)[ლ(ი)სა სა] // [ა]ღ(აპე)თ [და ს(უ)] 6. ლ(ი)სა... // და კე... (კჳრიკესი?) 7. ტ. დრა[ჰკ(ა)ნი]... // ლოც[ვ(ა)სა მო 8. მიჴსე[ნეთ]“. ნოდარ შოშიაშვილის მიერ წაკითხული წარწერები პირობითადაა აღდგენილი (შოშიაშვილი 1980: 198-299).

პავლე ინგოროყვას მოსაზრებით, ხანცთის წარწერა, რომელიც დიდი მოცულობის უნდა ყოფილიყო, ოთხ ქვაზე იყო მოთავსებული. მკვლევარმა შეაერთა განცალკევებული ნაწილები და შემდეგნაირად წაიკითხა:

ქარაგმების გასხით:

1. ქ. სახელითა ღმრთისაჲთ||(ა)----------|| გ---------ხანც||(თისა წმიდისა) ||

2. მთავარმოწამისა || (გიორგისითა)------|| ი----------თეოდორეს ეშ || ----------||

3. მამაჲ იოვანე ყოფილი ერ||(ისთავთა-ერისთავი)- || სა----(მი)ვიღეთ მისგან || ---------||

4. მას მივყიდეთ. - ესე ტაძარი ||----------|| რომელ -----ლად მეფესა მი ||----------||

5. ტ˜რი(?) არამედ საჯუარეჲ ჩემი გაუს||(რულე)-------||ვს----თსა უფალო ქთ(?) ||-------||

6. (ლიპარი?)ტ ერისთავთა-ერის||(თავი)---------||იე(?)გნი---ღირს ყოს ღმერთმან ||----------||

7. ---- ვიწნე (?) ეკლეს||(ია)----------|| ა, ამენ. ესე მოსე დავწერე, ლოცვა || (ყავთ ყოველთათჳს)

8. (და ჩემ) ცოდვილი||(სათჳსცა ლოცვა) || ყავთ (ინგოროყვა, 1954: 313)

„გრიგოლ ხანცთლის ცხოვრების“ მიხედვით, ხანცთის სავანე VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში ააშენა გრიგოლ ხანცთელმა. გრიგოლი წარჩინებული ოჯახის შვილი იყო და ნერსე ერისთავის კარზე იზრდებოდა. იგი იყო ნერსეს ცოლის ძმისწული. მას საკმაოდ კარგი განათლება მიუღია. დედამისისა და ქართლის დიდებულთა ნებით, დაახლოებით 789 წლის ახლო პერიოდში მღვდლად აკურთხეს, ხოლო შემდეგ განიზრახეს მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა. ხოლო გრიგოლმა, რაკი დაინახა საკუთარი თავი ხორციელ დიდებაში, ფარულად გაპარვა გადაწყვიტა. მას თან გაჰყვნენ საბა – მომავალში იშხნის მეორედ მაშენებელი, თევდორე – მომავალში ნეძვის მაშენებელი და ქრისტეფორე – მომავალში კვირიკეთის მაშენებელი. ისინი წავიდნენ კლარჯეთში და ოპიზის მონასტერში დამკვიდრდნენ. ორი წლის შემდეგ გრიგოლი ღვთის შთაგონებით ხანცთაში მივიდა, სადაც დახვდა მარტოდმყოფი ბერი ხუედიოსი, რომელსაც ჰქონდა ხილვა, რომ მღვდელი გრიგოლის ხელით ხანცთაში აშენდებოდა ეკლესია.

გრიგოლი ოპიზელი ბერების დახმარებით ჯერ ხის ეკლესიას აშენებს, ხოლო შემდეგ, გაბრიელ დაფანჩულის[18] ფინანსური მხარდაჭერით, – ხანცთაში ქვის ეკლესიას. ხანცთის ეკლესია დიდმოწამე გიორგის სახელობის იყო (გიორგი მერჩულე 1963: 261). ხანცთის გარდა, გრიგოლმა ააშენა შატბერდის სავანე,

[18] გაბრიელ დაფანჩული აშოტ კურაპალატის კარზე დაწინაურებული ფეოდალი იყო. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ გაბრიელ დაფანჩულის მეუღლეს მარიამი რქმევია და რომ მას ჰყოლია ოთხი ვაჟი: პატრიკი, გუარამი, არშუშა და აბულასათი (გიორგი მერჩულე 1963: . დაფანჩულთა საგვარეულოს წევრები იყვნენ ანჩელი ეპისკოპოსი ეზრა და, სავარაუდოდ, ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელი. საფიქრებელია, რომ X საუკუნეში დაფანჩულები კლარჯეთიდან ტაოში გადავიდნენ (გიორგი მერჩულე 1963: 307; მეტრეველი 1996: 167).

გუნათლეს დედათა მონასტერი, რომელიც დაფანჩულთა საგვარეულოს ქალთა საძვალე იყო (ხანცთა იყო დაფანჩულების საგვარეულოს მამაკაცთა საძვალე) და აფხაზთა მეფის თხოვნით – უბისა. იგი დაახლოებული იყო ტაო-კლარჯეთის მმართველებთან. მას ურთიერთობა ჰქონდა როგორც აშოტ კურაპალატთან, ისე მის მემკვიდრეებთან: ადარნასე, ბაგრატ და გუარამთან. მოგვიანებით, ზაქარია ანჩელისა და წმ. მამათა განზრახვით, გრიგოლი კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტად დაადგინეს. მან 102 წელი იცოცხლა და გარდაიცვალა 861 წელს, დაკრძალეს ხანცთის სავანეში (გიორგი მერჩულე 1963: 248-319).

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანცთელის შესახებ წერს: „ამათ ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსჱ, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღდელი და კეთილად განმგებელი მოღუაწჱ და უდაბნოთა ქალაქ მყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ, სულიერად მამაჲ და წინამძღუარი...“ (გიორგი მერჩულე 1963: 249).

გიორგი მერჩულეს ცნობით, გრიგოლ ხანძთელმა სულიწმიდის შთაგონებით საწელიწდო იადგარი დაწერა. ეს არის მთელი წლის კალენდარულ სისტემაზე გაწყობილი ჰიმნოგრაფიული კრებული. მერჩულეს ეს სიტყვები მკვლევართა ნაწილს გრიგოლის ავტორობის დადასტურებად ესმის. ეს მოსაზრება პირველად პავლე ინგოროყვამ გამოთქვა. მისი მოსაზრებით, გრიგოლ ხანცთელმა პირველმა შეადგინა საგალობელთა მთელი წლის („საწელიწდო“) კრებული, მანამდე არსებობდა მხოლოდ მოკლე იადგარი („დღესასწაულთანი“). ამ მოსაზრებას არსებითად ეთანხმებოდა კორნელი კეკელიძე (კეკელიძე 1980: 135), ედიშერ ჭელიძე კი – ნაწილობრივ. იგი პავლე ინგოროყვას ეთანხმება იმაში, რომ გრიგოლ ხანცთელამდე საწელიწდო იადგარის სრული ჩანაწერი არ უნდა არსებულიყო, მაგრამ უარყოფს დასკვნას, რომ გრიგოლ ხანცთელი თავად არის ორიგინალური საგალობლების ავტორი. ედიშერ ჭელიძის დასკვნით, გრიგოლი უნდა ყოფილიყო მთელი წლის იმ ჰიმნოგრაფიული მასალის ჩამწერი, რომელიც ქართულ ენაზე მანამდეც არსებობდა (ჭელიძე 2008: 819). ელენე მეტრეველსაც გრიგოლ ხანცთელის ავტორობა შეუძლებლად მიაჩნდა. მისი მსჯელობით, რადგან იადგარი ქართული ღვთისმსახურების განვითარების ადრეული, იერუსალიმური

პერიოდისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. გრიგოლ ხანცთელს მხოლოდ უნდა გადაეწერა უკვე არსებული „საწელიწდო იადგარი“ – საგალობელთა კრებული, რომლის ანალოგი, ასეთივე სახელწოდებით, არსებობდა გიორგი მერჩულის დროსაც (უძველესი იადგარი 1980: 683; ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა 2018: 66-67).

გრიგოლ ხანცთელის ღვაწლით, კლარჯეთი საქართველოს ერთგვარ რელიგიურ და კულტურულ ცენტრად იქცა. XI საუკუნეში გადაწერილ სვინაქსარში (A-97) იგი უკვე წმიდათა დასშია და მის ხსენების დღედ 5 ოქტომბერია (ძველი სტილით - ნ.ხ) დაწესებული: „და წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ხანცთელისაჲ“ (6r-ს კიდეზე წვრილი ნუსხურით, ტექსტისვე ხელით მიწერილი) (A ფონდის აღწერილობა 1973: 397).

რაც შეეხება ხანცთაში მონაზვნების ცხოვრების წესს, ამის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. აქაც ჩვენთვის უმთავრესი წყარო გიორგი მერჩულეს თხზულებაა. გრიგოლის მოღვაწეობის პირველ დღეებში მისი მოწაფეებისათვის კანონი მეტად მკაცრი იყო. მათ სენაკებში ჰქონდათ პატარა საწოლი, უბადრუკი საგები, ერთი ჭურჭელი წყლისათვის და ის, რასაც ტრაპეზზე ერთობლივად იხმევდნენ. ბევრი მათგანი საერთოდ არ სვამდა ღვინოს და ისინიც, რომლებიც იღებდნენ, ნ. მხოლოდ მცირე ოდენობით. მათ სენაკებში საკვამური არ იყო, რადგან ცეცხლი არ ინთებოდა. ღამითაც სანთელს არ ანთებდნენ; სანაცვლოდ ღამით იყო ფსალმუნება, დღისით კი წერილის კითხვა და მუდამჟამს ლოცვა (ჭელიძე 2008: 533).

ხანცთაში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი მამები, როგორებიც იყვნენ: საბა იშნელი, თევდორე ნეძველი, ქრისტეფორე კვირეწმინდელი, არსენ დიდი – ქართლის კათალიკოსი, ზენონ ხანცთელი, ეფრემ მაწყვერელი, არსენ საბაწმინდელი, ილარიონ იერუსალიმელი, გიორგი მერჩულე და სხვ. (ინგოროყვა 1954: 347-351).

პავლე ინგოროყვას მოსაზრებით, არსენ საბაწმინდელი ეკუთვნოდა გრიგოლ ხანცთელის იმ მოწაფეთა რიცხვს, რომლებიც იერუსალიმში მოღვაწეობდნენ. მკვლევრის თქმით, მან განათლება ხანცთაში მიიღო, შემდეგ იერუსალიმში

გადავიდა და საბაწმინდის მონასტერში დამკვიდრდა. საბაწმინდიდან გრიგოლ ხანცთელისთვის გამოგზავნილი წერილის ავტორად, რომლის ტექსტი გიორგი მერჩულეს მოჰყავს თხზულებაში მაკარი ლეთეთელთან ერთად არსენ საბაწმინდელსაც მოიაზრებს (ინგოროყვა 1954:350).

ხანცთის სავანის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები კარგა ხანს გრძელდებოდა. ხანცთის ლიტერატურულ სკოლასთანაა დაკავშირებული საბაწმინდაში მოღვაწე მაკარი ლეთეთელი. მაკარი გრიგოლის მოწაფე იყო და საბაწმინდაში მოღვაწეობის დროსაც არ შეუწყვეტია მასთან კავშირი. გიორგი მერჩულეს ცნობით, მაკარი იყო „კაცი შუენიერი, კეთილი მონაზონი, სრული სიბრძნითა“. მან მონაწილეობა მიიღო საბაწმინდაში 864 წლის მრავალთავის გადანუსხვაში: „მე მაკარი ლეთეთელი, ძე გიორგი გრძელისაი, ცოდვილი ფრიად, ღირს მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა თანაშეწევნითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისაითა და ხელთწერილითა დედის ძმისწულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისაითა... დაიწერა ესე წიგნი იერუსალემს, ლავრასა დიდსა წმიდასა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაისა… ქორონიკონი იყო პდ“ . მან ხელნაწერი გადაწერისთანავე სინას მთას შესწირა (მენაბდე 1980: 33).

X საუკუნეში ხანცთაში მოღვაწეობდა ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე, რომელსაც ეკუთვნის ქართული კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ძეგლი: „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდის აღმშენებლისაჲ, და მის თანა ჴსენება მრავალთა მამათა ნეტართაჲ”. აღნიშნული თხზულება ავტორს დაუწერია ხანცთაში გრიგოლ ხანცთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, ე. ი. 951 წელს.

XI საუკუნის ხანცთელი მოღვაწეებიდან ჩვენთვის ცნობილია მოსე ხანცთელი, რომელსაც 1085 წელს საწელიწდო საწინასწარმეტყველო გადაუწერია. ანდერძის ბოლოს ვკითხულობთ: „დაიწერა მოსე ხუცისა ხანცთელისა ჴელითა“ (H ფონდის აღწერილობა 1948: 306).

XII საუკუნის ხანცთელი მოღვაწე უნდა იყოს სტეფანე, რომელმაც ხანცთაში, სვეტის უდაბნოსათვის, ამავე მონასტრის ხარჯებით გადაწერა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის დეკემბრის „თვენი“. ხელნაწერი 332 ფურცლიანი, ნუსხური დამწერლობით შესრულებული, ხელნაწერი წარმოადგენს პალიმფსესტს. ხელნაწერს დართული აქვს გადამწერის კოლოფონი: „დაიწერა ესე თუენი დეკემბერი უდაბნოსა ხარძთისასა (!), ჴელითა სტეფანე დიაკონისაჲთა უდაბნოჲსა სუეტისათჳს...“ (S ფონდის აღწერილობა 1969: 319).

XIII-XIV საუკუნეებში ივანე-გიორგიმ ხანცთის მონასტერში გადაწერა ოთხთავი: „დაიწერა სახარებაჲ ესე ოთხთავი ხანცთას, საყოფელსა წმიდისა მთავარმოწამისა გ˜ისსა, ჴელითა ივ˜ნე გ˜ი (სიც) ხოცისა შჳლისაჲთა...“ (309v). სახარება გიორგი ჯინჭარაძეს შეუმოსავს. ხელნაწერი ამჟამად დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში (E 45) (ცერაძე...2016: 266-271).

ხანცთელი მოღვაწე უნდა იყოს აგრეთვე ვინმე გიორგი, რომელსაც გამოუსყიდია XI საუკუნის ალავერდის სახარება (A-484) და ხანცთისათვის შეუწირავს: „მე გლახაკმან და უღირსმან და სულითა საწყალობელმან გიორგი მოვიგე წმიდაჲ ესე სახარება დიდითა გულსმოდგინებითა. მრავალთაგან განსყიდული იყო... მე ვიყიდე და შევწირე უდაბნოსა ხანცთისასა, საყოფელსა წმიდა გიორგისსა“ (A ფონდის აღწერილობა 1980: 215). თედო ჟორდანიას მოსაზრებით, ეს მინაწერი XV საუკუნის ხელითაა შესრულებული (ჟორდანია 1892: 98), ხოლო A ფონდის აღწერილობის მიხედვით, მინაწერი XI საუკუნითაა დათარიღებული (A ფონდის აღწერილობა 1980: 215). დარეჯან კლდიაშვილის მსჯელობით კი, ალავერდის სახარების შემწირველი გიორგი მარკოზისძე/მარაკისძეთა საგვარეულოსთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ოთხთავის კოლოფონების[19] მიხედვით, ხელნაწერი კლარჯეთში XVI ს-ის 30-იან წლებში უნდა მოხვედრილიყო (კლდიაშვილი 2008: 156).

[19] დარეჯან კლდიაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხელნაწერი ხანცთისათვის შეწირვის დროს „მრავალთაგან განსყიდული“ და კაცხისაგან „გამოჴუებულ იყო“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბაგრატ III-ის მიერ აბულსახარისათვის კაცხის ბოძების მომენტში მონასტერი და მისი ქონება უკეთურ კაცთა მიზეზით იავარქმნილი ყოფილა. ხელნაწერის მინაწერებში იხსენიებიან ოპიზის

ხანცთის წინამძღვრებზე ცნობებს ვკითხულობთ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“. თხზულებიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება მონასტრის 6 მამასახლისი/წინამძღვარი:

- პირველი წინამძღვარი იყო გრიგოლ ხანცთელი, რომელიც, სავარაუდოდ, არქიმანდრიტად დადგინებამდე განაგებდა მონასტრის საქმეებს (დაახლ. VIII ს-ის 90-იანი წლების მიწურულიდან IX ს-ის 30-იან წლებამდე).
- გრიგოლის შემდეგ, მისსავე სიცოცხლეში, ხანცთის წინამძღვარი ეპიფანე ყოფილა – „ხოლო ეპიფანესი ბრძანა ჟამისწირვაჲ, რამეთუ იგი დაედგინა მამასახლისად ხანცთას“ (გიორგი მერჩულე 1963: 293). (სავარაუდოდ, IX ს-ის მეორე მეოთხედი).
- ხანცთის მესამე წინამძღვარი უნდა ყოფილიყო ბასილი. მის შესახებ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „მაშინ ნეტარმან გრიგოლ ჯერისაებრ განაგო ცხოვრება დედისა თჳსისაჲ და მისთანათაჲ მათ და მსახურსა ვისმე დედაკაცსა დედისა თჳსისასა ქმარი ესვა, და ბასილი, მამაჲ ხანცთელი, მისგან იშვა, რომელიცა ფრიადთა წელიწადთა წინამძღვრობდა ხანცთას კეთილად ვიდრე სიკვდილამდე“ (გიორგი მერჩულე 1963: 278) (სავარაუდოდ, IX ს-ის მესამე მეოთხედი).
- ბასილის შემდეგ ხანცთის წინამძღვარი იყო არსენი, რომლის განზრახვითაც იწყებს აშოტ კუხი ხანცთის ეკლესიის აშენებას, „ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყებაჲ ახლისა მის და შვენიერისა ეკლესიისაჲ ფიცხელსა მას კლდესა ზედა“ (გიორგი მერჩულე 1963: 277).
- ხანცთის მონასტრის მესამე ტაძრის მშენებლობის დასრულებისას სავანის წინამძღვარი ყოფილა იოვანე. (გიორგი მერჩულე 1963: 277)
- ხანცთის ჩვენთვის ცნობილი ბოლო წინამძღვარია თევდორე. მისი წინამღოლობის დროს დაამთავრა გიორგი მერჩულემ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დაწერა (გიორგი მერჩულე 1963: 317).

დეკანოზი იოსები, შატბერდის დეკანოზი თომა, ქაიხოსრო ამირსპასალარი (სავარაუდოდ, ქაიხოსრო I-ის ძმისშვილი, ორვაჟანდას ძე), ნავ-ყვარყვარეს ძე მზეჭაბუკი (დარეჯან კლდიაშვილი 2008: 153).

§ 3.3 შატბერდი

შატბერდის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, ართვინის რაიონის სოფელ ბოსელთადან დაახლ. 1 კმ-ში (Artvin İli, Artvin İlçesi, Okumuşlar köyü) (ბაგაური... 2017: 149). შატბერდის მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისა იყო („მაშინ სიხარულითა აღივსო, რამეთუ მოჰმადლა უფალმან გულისაებრ მისისა საქმე იგი კეთილი მადლითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, რომლისაცა სახელსა ზედა აღეშენა წმიდაჲ იგი მონასტერი მარადის დიდებად დედისა ღმრთისა“) (გიორგი მერჩულე 1963: 283).

შატბერდი IX საუკუნის 20-30-იან წლებში გრიგოლ ხანცთელმა ააშენა ბაგრატ კურაპალატის შემწეობით. მიწა, რომელზეც შატბერდის სავანე აშენდა, თავდაპირველად აშოტ კურაპალატმა ხანცთის მონასტერს აგარაკად უბოძა (გიორგი მერჩულე 1963: 262).

შატბერდის მონატრის ლოკალიზაციის პრობლემას დიდი ისტორია აქვს. პირველად მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენა დიმიტრი ბაქრაძემ სცადა. 1879 წლის მოგზაურობის შემდეგ, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ დოლისყანის მონასტერი შატბერდი იყო (ბაქრაძე 1885: 130).

1889 წელს პირველად გამოქვეყნდა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ნაწყვეტი. ამ ტექსტის მიხედვით, პირველად გაირკვა, რომ ძველი ქართული სავანე შატბერდი დაარსებული ყოფილა IX საუკუნეში. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, შატბერდი მოსაძებნი იყო სომხეთში, ევფრატის ხეობაში (ჟორდანია 1892: 97). თედო ჟორდანიას ვარაუდით, შატბერდი კლარჯეთ-არტანუჯში უნდა ყოფილიყო. იგი წერს: „შატბერდი რომ სასომხეთში ყოფილიყოს, ეფრატის ხეობაში, მაშინ ბერაჲ რად გაირჯებოდა იმ სიმშორით დედნის მოტანაზე? იშხანიდამვე მიჰქონდათ დედნები პარხალში ალბათ იმის გამო, რომ იშხანი ახლოს იყო პარხალზე და სჩანს შატბერდ-ხანცოეთზედაც. თუ თჳთ იოანე ბერამაც შატბერდ დაწერილი პარხალს შესწირა, საგულისხმოა, შატბერდი შორს არ უნდა იყოს პარხალიდამ“ (ჟორდანია 1892: 98).

თედო ჟორდანია წერს: „ჩვენი წარსულის მოტრფიალემ, განსვენებულმა გრიგოლ გურიელმა, მიამბო 1890 წ., რომ ძველი შატბერდი, აწ სოფელი შახბედი, მდებარეობსო ჭოროხის ხეობაში. მთაზედ“ (ჟორდანია, 1892: 97).

1904 წელს კლარჯეთ-შავშეთში მოგზაურობისას ნიკო მარმა ქვემო ფორთის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც შემდგომი კვლევებით ხანცთასთან გაიგივდა, შატბერდის მონასტრად მოიაზრა (Mapp 1911: 139-141). ეს „უსახელო სავანე“ შატბერდად მიიჩნია ივ. ჯავახიშვილმაც. 1923 წელს მისი რედაქტორობით გამოსულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ხანცთის მონასტერს შატბერდი აწერია, ხოლო ხანცთა მითითებულია მის ჩრდილოეთით, კარჩხლის მთასთან (შატბერდის მონასტერი 2006: 18).

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ არის სამი ეპიზოდი, რომლებიც შატბერდის მონასტრის ადგილსამყოფელის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს: 1) მარშრუტი, რომლითაც გრიგოლ ხანცთელმა და აშოტ კურაპალატის ძეებმა, ბაგრატმა, ადარნასემ და გუარამმა იმოგზაურეს კლარჯეთის სავანეთა მოსანახულებლად არტანუჯიდან; 2) მინიშნება, რომ შატბერდი კლარჯეთის დანარჩენ უდაბნოებთან მცირედით იყო დაშორებული; 3) შატბერდთან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არსებობა.

ამ მონაცემების ანალიზის შედეგად, პავლე ინგოროყვამ წამოაყენა ჰიპოთეზა შატბერდის არტანუჯის დასავლეთით, სოფ. შაგორასთან მდებარეობის შესახებ (ინგოროყვა 1954: 317).

1966 წელს ბიზანტინისტთა XIII საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებულ გამოცემაში, ტაო-კლარჯეთის ეკლესიების ვრცელ ნუსხაში 30-ე ნომრად შეტანილია იენი-რაბათია, რომლის გვერდზე კითხვის ნიშნით მიწერილია შატბერდი. ი. ზდანევიჩი პირველი ავტორია, რომელმაც იენი-რაბათი შატბერდის მონასტერთან გააიგივა. (Zdanevitch 1966: 32). ზდანევიჩის ეს მოსაზრება დაიმოწმეს ნიკოლ. და ჟან.-მ ტიერებმა. ავტორები აღნიშნავდნენ, რომ იენი-რაბათი თუ შატბერდია, ის ვერ იქნებოდა გრიგოლ ხანცთელის აშენებული ეკლესია, რადგან მათი დათარიღებით, იენი-რაბათი XI საუკუნის შუა ხანების ძეგლი უნდა იყოს (Thierry N. et M 1968: 51; ხოშტარია 2009: 138).

1981 წელს ვახტანგ ბერიძე წერდა, რომ შატბერდის ადგილმდებარეობა რეალურად უცნობია (Беридзе 1981: 189).

ვახტანგ ჯობაძე შატბერდის მონასტრისადმი მიძღვნილ ქვეთავში წერს: „შატბერდი სხვა მონასტრებზე ნაკლებად უნდა შორავდეს არტანუჯს. ამ დროს, არტანუჯსა და იმერხევს შუა ჩემი მოგზაურობისა და მუშაობის დროს, ვერსად მივაგენი რაიმე ნანგრევსა თუ ნაგებობას, რომელიც შეიძლებოდა შატბერდი ყოფილიყო. ერთადერთი მონასტერი, რომელიც ზემომოყვანილ მონათხრობში ხსენებულ შატბერდად შეიძლება მივიღოთ, უნდა იყოს ადგილი, რომელიც დღეს ენი რაბათის სახელითაა ცნობილი. მართლაც, აქ ნოყიერი ნიადაგიცაა და სათიბებიც, მეტადრე მის ჩრდილოეთით, რაც ძალზე სახარბიელო უნდა ყოფილიყო მზარდი და უმიწო ხანცთის სავანისთვის“ (ჯობაძე 2007: 57). თუმცა იენი-რაბათის ქვეთავში მკვლევარი აღნიშნავს, რომ იენი-რაბათის შატბერდთან „დანამდვილებით“ გაიგივება ვერ ხერხდება ისტორიული ფაქტების და ნაგებობაზე ისტორიული წარწერების არარსებობის გამო (ჯობაძე 2007: 96).

მოსაზრება შატბერდის ენი-რაბათში მდებარეობის შესახებ გაიზიარა და განავითარა დავით ხოშტარიამ. იგი წერს, რომ „ენი-რაბათის ეკლესია თავისი სოლიდური ზომითა და მაღალპროფესიული არქიტექტურით სავსებით შეეფერება „დიდებული ლავრის“ მთავარი ტაძრის როლს... უეჭველია, თავის დროზე აქ დიდი მონასტერი უნდა ყოფილიყო“ (ხოშტარია 2009: 134). ამ თემას დავით ხოშტარიამ სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა

ცნობები არტანუჯის დასავლეთით ეკლესიის ნანგრევების შესახებ თურქ მკვლევრებსაც ჰქონდათ. ოსმან აითექინი ვარაუდობს, რომ ეკლესია შუა საუკუნეების ძეგლია, ბაგრატიონთა ეპოქაში აგებული (Aytekin 1999: 281).

1995 წელს მ. ქადიროღლუმ შარბეთში, რომელიც მდებარეობს ბოსელთას ციხესთან, თანამედროვე ოქუმუშლართან, აღწერა ამ მონასტრის ნანგრევები. მან ივარაუდა, რომ შარბეთი გიორგი მერჩულის მიერ აღწერილი პერიოდის შეიძლება ყოფილიყო და ეკლესიის შემორჩენილ ნანგრევებს ბევრი საერთო აქვთ ოპიზასთან, წყაროსთავისა და პარეხის ჩრდილოეთ ეკლესიასთან. . ამის საფუძველზე მინე ქადიროღლუმ დაასკვნა, რომ შარბეთი ეკუთვნის IX საუკუნის I ნახევარს. მან

ივარაუდა, რომ შარბეთი შატბერდის მონასტერი შეიძლება ყოფილიყო (Kadiroğlu 1999: 8–19).

პოზიციას შატბერდის არტანუჯის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობის შესახებ იზიარებენ თანამედროვე ქართველი ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტები. 2003 წელს დაბეჭდილ „საქართველოს ისტორიის ატლასში“, რომელიც აკად. დ. მუსხელიშვილის რედაქტორობითაა გამოცემული, შატბერდი არტანუჯის სამხრეთ-დასავლეთითაა მითითებული (შატბერდის მონასტერი 2006: 26-27).

2004 წლის 19 აგვისტოს თემურ ხუციშვილმა და ვიქტორია შტორმმა, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში კახა შენგელიამ, შალვა მაჭავარიანმა, მარიამ ციბაძემ და „კავკასიის ბიზნეს სკოლის“ რამდენიმე თანამშრომელმა აზომეს და ფოტოფირზე დააფიქსირეს დიდი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მდებარეობს არტანუჯის სამხრეთ-დასავლეთით, სოფლებს – აგარასა და ბოსელთას შორის, ღრმა ხეობაში. მათი აზრითაც, სწორედ აქ არსებული ნანგრევებია შატბერდის მონასტერი. ქართველ მეცნიერთაგან ისინი იყვნენ პირველნი, ვინც ადგილზე შეისწავლა ნამონასტრალი. მათი კვლევა შატბერდის ადგილმდებარეობის გარკვევის საკითხში მნიშვნელოვანია ქართული ისტორიოგრაფიისთვის.

მკვლევრებს მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები: 1) თუ შატბერდი აგარასთანაა, გრიგოლ ხანცთელისა და სამეფო ოჯახის გზა ფრიად რაციონალურად გამოიყურება. აქედან უახლესი სავანე ჯმერკია და არც წინ და უკან სიარული უხდებათ; 2) რუკაზე ჩანს, რომ შატბერდი დანარჩენი მონასტრების ზონას მართლაც მცირედ დაშორებულია, როგორც ეს ჩანს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“; 3) ნამონასტრალთან ახლოს, სოფ. აგარიდან ვაზისხევამდე კილომეტრზე მეტი სიგრძის ნაყოფიერი მიწაა, რომელიც ირწყვება და სადაც ახლაც ბაღებია გაშენებული. ნამონასტრალთან ახლოს არის სოფ. ბოსელთა, რაც შეიძლება მიუთითებდეს სამესაქონლეო მეურნეობის არსებობაზე (შატბერდის მონასტერი 2006: 27).

ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიზიარებთ ავტორთა ჯგუფის მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ შატბერდის მონასტერი

მდებარეობს არტანუჯის სამხრეთ-დასავლეთით, სოფლებს – აგარასა და ბოსელთას შორის.

შატბერდის სამონასტრო კომპლექსიდან დღემდე შემორჩენილია: ა) 26.4X17.6 მ-ის ზომის ჯვრის გეგმის მქონე დიდი ტაძარი; საკურთხევლის აფსიდის სიმაღლეა 6-7 მ-ია; ბ) სავარაუდოდ, სატრაპეზო ან სკრიპტორიუმი 23.2 X 18 მ ზომებით; გ) სენაკი მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზომებით 4X6 მ. დარჩენილია ორი კედელი; დ) სენაკის ნაშთები მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დარჩენილია 4 მ. სიმაღლის კუთხე;

პირველადი ანალიზების და ფოტომასალის გაცნობის შემდეგ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დიმიტრი თუმანიშვილი აღნიშნულ ტაძარს IX-X საუკუნეებში აშენებულად მიიჩნევს (შატბერდის მონასტერი 2006: 28).

ექვთიმე თაყაიშვილის არქივში ინახება ართვინის მხარის, სოფელ ბოსელნის ეკლესიის წარწერის ჩანახატი. 1986 წელს, საარქივო მასალის მიხედვით, წარწერა გამოაქვეყნა გიორგი ოთხმეზურმა. სოფელ ბოსელნის ეკლესიის ლოკალიზების კუთხით წარწერას კი პირველად ყურადღება თემურ ხუციშვილმა მიაქცია. მან ბოსელნი და სოფელი ბოსელთა გააიგივა. სოფელ ბოსელთასთან მდებარე ნამონასტრალი კი, სავარაუდოდ, შატბერდის მონასტრად მიიჩნია.

წარწერას სპეციალური კვლევა მიუძღვნა ბუბა კუდავამ. იგი წარწერას ასე კითხულობს: „შ](ეიწყალე)ნ და ა(დი)დ(ე)ნ შ(ე)ნ მ(იე)რ დამყარ(ე)ბ(ო)ჯლი ბ(ა)გრ(ა)ტ კ(ო)ჯრ[ა]პ(ალა)ტი, მ(ა)რ(ია)მ დედ(ო)ფ(ა)ლი |.... | ...დ ძვე´ლ`... (?)“.

მისი დაკვირვებით, წარწერაში საქართველოს მეფე ბაგრატ IV და მისი დედა, მარიამ დედოფალი იხსენიებიან, წარწერა კი შესაძლებელია ქტიტორული ხასიათის იყოს. სავარაუდებელია, რომ მათი დახმარებით, XI საუკუნის 30-იან წლებში შატბერდის მონასტრის მთავარი ეკლესია განუახლებიათ. წარწერა, სავარაუდოდ, ტიმპანზე იყო შესრულებული (კუდავა 2019: 255-270).

გრიგოლ ხანცთლის მიერ დაარსებული მეორე მონასტერი – შატბერდი, ძლიერ მწიგნობრულ კერად იქცა. ამ მხრივ, ის ყველაზე გამორჩეული სავანეა „ათორმეტ უდაბნოში“. შატბერდში მოღვაწეობდნენ მწიგნობრები: სოფრომ შატბერდელი, იოანე ბერაი, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვაჩეძორელი და სხვ.

სოფრომ შატბერდელი IX-X საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ მან შატბერდის ეკლესია განაახლა. გიორგი მერჩულის თქმით, სოფრომ შატბერდელი ერთ-ერთი იმ პირთაგანია, რომელსაც შეეფერებოდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღწერა (გიორგი მერჩულე 1963: 294). იგი შატბერდის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო.

სოფრომის მოგებული უნდა იყოს ცნობილი ხელნაწერი, თარიღიან ოთხთავთა შორის უძველესი – ადიშის სახარება (გადაწერილია 897 წელს). პირდაპირი ცნობა ადიშის ოთხთავის შატბერდში გადაწერის შესახებ არ არსებობს, მაგრამ, სავარაუდოდ, ის შატბერდული უნდა იყოს, მისი მომგებელი სოფრომი კი – სოფრომ შატბერდელი. ამ მოსაზრებას ამყარებს სახარებაზე ნიკოლაოს ჯუმათელის მინაწერი: „მე ნიკოლაოს, ოდესმე ჯუმათის მამასახლის-ყოფილმან... აშენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი! შევიარენ და შევკრიბენ წმიდანი ესე წიგნნი: პირველად ესე სახარებაჲ ოთხთავი. და მრავალთავი. და ჴელთ კანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგებაჲ. უმეტესად აღაშენენ ღმერთმან შ[ატ]ბე[რ]დი: [ესე] ოთხთავი და ჴელთ [კანონი და] მამათა წიგნი [მა]თსა ეკლესიისა“ (მენაბდე, 1962: 416).

X საუკუნის I ნახევარში შატბერდში მოღვაწეობდა გაბრიელი, რომელმაც 936 წელს გრიგოლ მირდატის ძის დაკვეთით გადაწერა ჯრუჭის I ოთხთავი. მას გადაწერაში დახმარებიან გეორგი და სხვა გაბრიელი: „ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ჴელითა გაბრიელ მღდელთა ნარჩევისაჲთა თავად მეფესა ჩემსა სუმბატს სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა მირდატისათჳს, თაგუნაჲისთჳს და ძმათა და დათა ჩემთათჳს და ჩემთა ცოდვათა და თანამხორებულისა ჩემისათა საჴსრად და მკუდართა საჴსენებელად: ჲლარიონისთჳს და დაშელისთჳს... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს, ჴელითა უცბად მჩხრეკალისა გაბრიელისითა, თანა-შეწევნითა და მოღუაწებითა გაბრიელისითა და გეორგისითა... დასაბამთაგან წელნი იყვნეს ხფნ, ქრონიკონი იყო რნვ“ (291r). ჯრუჭის ოთხთავი შემკულია მინიატიურებით. ის მოუხატავს თევდორეს 940 წელს (შანიძე 1945: 011-032). სახარების გვიანდელი კოლოფონის მიხედვით, ჯრუჭის ოთხთავი XVI საუკუნეში ოსმალებმა „დაატყვევეს“. შემდეგ

ხელნაწერი ირანში, ხორასნის პროვინციაში მოხვდა. იქ ოთხთავი გამოისყიდა ქართველმა ხუცესმა იოვანე არწაᲘსშვილმა და საქართველოში დააბრუნა (ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა 2018: 72).

პავლე ინგოროყვას მოსაზრებით, შატბერდში მოღვაწეობდა იოანე-ზოსიმეც. X ს-ის 40-იან წლებში ჰიმნოგრაფი პალესტინაში წასულა და საბაწმინდის მონასტერში დამკვიდრებულა (ინგოროყვა 1954: 352; ინგოროყვა 1939 237). Sin 34 დამატების ანდერძში ვკითხულობთ: „აქ ესე ნიშნები სასწავლებლად შენ გულისხმა-ყავ, წმიდაო მამაო, რომელ მიწყებით განწესებულთა ჟამთანი არიან ფსალმუნნი და კანონი და ზედა ლოცვანი, რომელსა შატბერდელნი დაყუდებულნი ცხადად ილოცვენ...“ (სინური კოლექციის აღწერილობა 1978: 132). შატბერდული პრაქტიკის ცოდნა არ გულისხმობს მის შატბერდში მოღვაწეობას. აქედან გამომდინარე, იოანე ზოსიმეს შატბერდელობას მტკიცე საფუძველი არ აქვს.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, 951 წლისათვის შატბერდის მონასტრის წინამძღვარი გრიგოლ ლიპარიტის ძე იყო (გიორგი მერჩულე 1963: 317).

X საუკუნის II ნახევარში შატბერდში მოღვაწეობდა კალიგრაფი იოანე ბერაი. შემოგვჩა მის მიერ გადაწერილი ორი ხელნაწერი – პარხლის ოთხთავი და შატბერდის კრებული. იოანე ბერა მაღალ ფეოდალურ წრეს ეკუთვნოდა. ის იყო მიქაელ მოდრეკილის დისშვილი და იოანე ათონელის ძმის, ვარაზვაჩეს, შვილიშვილი. მისი ძმა დავითიც ბერი იყო, რომელსაც მიუღია მონაწილეობა შატბერდის კრებულის გადაწერაში (ჭუმბურაძე, 1997: 123).

იოანე ბერას შატბერდში 973 წელს გადაუწერია პარხლის ოთხთავი, რომელიც პარხლისთვის შეუწირავს: „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღმრთივ გჯრგჯნოსნისა მეფეთა მეფისა, ადიდენინ ღმერთმან, ღმრთივ დამყარებულისა დავით მაგისტროსისა, მამობასა სარწმუნოᲘსა მწყემსისა და კეთილად მო[ღ]უაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა... მე, ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძეთა შატბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან“ (238r) (A ფონდის აღწერილობა 1955: 1-3).

იოანე ბერაიმ გადაწერა ერთი დიდი კრებული, რომელიც მ. ალექსი-მესხიშვილმა შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავს. ექვთიმე თაყაიშვილმა მას „შატბერდის კრებული“ უწოდა: „კრებულს უწოდებთ ჩვენ ამ ხელნაწერს მიტომ, რომ ის თავისი შინაარსით წარმოადგენს კრებას სხვა და სხვა ნაწერებისას და შატბერდისას – მიტომ, რომ ის გადაწერილია შატბერდის მონასტერში და შეწირულია ამავე მონასტრისათვის“ (თაყაიშვილი 1890: 1). თ. ჟორდანიას მოსაზრებით, კრებული გადაწერილი უნდა იყოს 973-976 წლებში (ჟორდანია 1892: 105).

იოანე ბერაის მიერ ხელნაწერის გადაწერას კრებულის ანდერძი ამოწმებს: „მე ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მ(ო)წესეთაჲ, იოვანე ბერაჲ... მოღუაწებითა და (თანადგომითა) დედისა და ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისათა, და სხუა არაჲ არავის ჰრთავს, თჳნიერ სიგლახაკისა ჩემისა, და შევწირე შატბერდს საყოფელსა წმიდისა ღუთის მშობელისასა, რომელსაცა შინა აღვიზარდე“. როგორც ანდერძიდან ჩანს, იოანე ამავე მონასტერში აღზრდილა (S ფონდის აღწერილობა 1961: 37-38). ლევან მენაბდე წერს, რომ შატბერდის კრებულის შემადგენლობა გვიჩვენებს, თუ რა დიდი იყო შატბერდელ მოღვაწეთა გონებრივი ჰორიზონტი. ეს კრებული შატბერდელთა მაღალ კულტურას მოწმობს. კრებულში შედის: გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, „მოქცევაჲ ქარლისაჲ“, ეპიფანე კვიპრელის „თუალთაჲ“, იპოლიტე რომაელის თხზულებანი და სხვ. (მენაბდე 1962: 419).

შატბერდის სკრიპტორიუმის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხელნაწერია მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული, იგივე ნევმირებული იადგარი. ხელნაწერი ნაკლულია, მაგრამ დარჩენილი ნაწილი მაინც საკმარის წარმოდგენას გვიქმნის კრებულის მნიშვნელობის შესახებ. ხელნაწერი უნიკალურია როგორც შედგენილობის, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. კრებულის დამკვეთი იოანე მტბევარია, ხოლო მიქაელ მოდრეკილი – კრებულის რედაქტორ-შემდგენელი, ორიგინალური საგალობლების ავტორი და ერთ-ერთი გადამწერი. საგალობლების კრებული წარმოადგენს იმ დროისათვის „ახალ იადგარს“, ანუ ახალი რედაქციის საგალობელთა კრებულს, რომელშიც შეტანილია ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი და საკუთრივ ქართველ ჰიმნოდთა და ე. წ. „მეხელეთა“

მიერ დამუშავებული საგალობლები. მიქაელ მოდრეკილის იადგარმა შემოინახა ქართველი ჰიმნოგრაფების: ეზრას, კურადანაის, სტეფანეს სანანოჲსძის, იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის მიერ შედგენილი საგალობლები (ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა 2018: 74-75).

XI საუკუნის I ნახევარში შატბერდში მოღვაწეობდნენ დავით და იოანე ჯიბისძეები. მათ გადაწერეს ბასილი დიდის „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ (A-135): „მე დავით ჯიბისძემან, ტჳრთმძიმემან ცოდვითა და უდებმან სინანულითა დავწერე ესე წიგნი ბრძანებითა ეზრა მამადმთავრისა, შემოქმედისა და მწყალობელისა ჩემისაჲთა, რომლისა დამეკადრა და მერწმუნა საწყალობელი სული ჩემი. დავწერე ჴელითა სულიერითა ძმათა ჩემთაჲთა საბასითა, მიქაელისათა და გაბრიელისათა და გავასრულე ჴელითა შვილისა ჩემისა ივანესითა, და შევმოსე უღირსითა ჴელითა ჩემითა, და დავდევ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა“ (A ფონდის აღწერილობა 1976: 157-158). მწიგნობრები XI საუკუნის I ნახევარში შატბერდიდან შავ მთაზე გადავიდნენ, მაგრამ მათი შატბერდისადმი სიყვარული არ გამქრალა. ამის დასტურია იოანეს მიერ რომანაწმინდას მონასტერში გადაწერილი სვინაქსარის ანდერძი (მისი ბიძა დავითი ხელნაწერის მომგებელია): „დაინუსხა ესე წიგნი… ქუეყანასა ასურასტანისასა, სანახებსა წმიდისა სვიმეონ საკვირველთმოქმედისასა. მონაზონთა სიმრავლითა განშუენებულსა რომანწმიდას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მამობასა მიქაელ ტყემლობილისა... ვინ აქა იყოს არავის ხელეწიფების წაღებად, ვიდრემდე ესე ეკლესიაი იყოს და შიგან კაცი. და რაი ესე ეკლესიაი არა იყოს და შიგან კაცი არა იყოს, მაშინ წიგნი ამას ეკლესიისაი შატბერდისა დიდსა ეკლესიასა დაისხნენ“ (მენაბდე 1980: 157-158).

XI საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ბაგრატ IV-მ ეკლესიაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ათონიდან გიორგი მთაწმინდელი ჩამოიყვანა. ბაგრატმა იგი ჯერ ნეძვის მონასტერში, ხოლო შემდეგ შატბერდის ლავრაში მიიყვანა: „მოუწოდა ბერსა წინაშე მისსა და მისცნა ადგილნი შუენიერნი, ლავრანი დიდებულნი განსასუენებელად და საყოფელად მისა, პირველად ნეძჳ ქართლს

შინა და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებული ლავრაჲ კლარჯეთს შინა“ (გიორგი მცირე 1967: 161). დღეისათვის უცნობია, თუ რა სახის საქმიანობას ეწეოდა გიორგი ათონელი შატბერდში. საფიქრებელია, რომ იგი არც იქ შეწყვეტდა თავის ლიტერატურულ საქმიანობას (მენაბდე 1962: 420) .

XI საუკუნეში შატბერდში მოღვაწეობდა გრიგოლ ვაჩეძორელი. მან შატბერდში გადაწერა კრებული, რომელშიც შედიოდა ბასილი დიდის „ექვსთა დღეთა“ და გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათჳს კაცისა“ (ხეც, A-73): „დაიწერა დიდსა ლავრასა შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისა, ჴელითა ფრიად ცოდვილისა გრიგოლ ვაჩეძორელისაჲთა“ (A ფონდის აღწერილობა 1973: 258-259).

1085 წელს მოსე ხანცთელმა, ეგნატე ხუცესმონაზონის დაკვეთით, შატბერდის მონასტრისათვის გადაწერა საწელიწდო საწინასწარმეტყველო: „დიდებაჲ ღმერთსა, სამებით დიდებულსა, დაესრულა საწელიწდოჲ საწინაჲსწარმეტყუელოჲ წესსა ზედა ბერძულსა, ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩ˜ნისა გ[იორგ]ი მთაწმინდელისაჲ, სრული ყოვლითურთ და უნაკლოჲ. მე, სულითა საწყალობელმან ეგნატი, დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი საწინასჲსწარმეტყუელოჲ დიდებულისა ლავრისა შატბერდისათჳს, სალოცველად ღ˜თივ გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩნ˜თა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა. საუკუნომცა არს კეთილი საჴსენებელი მეფობისა მათსაჲ და კუალად სალოცველად ძმათა ჩემთა იოანე ჭყონდიდელ მთავარებისკოპოსისა და სინგელოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართა უხუცესისა და ჩემ ცოდვილისაცა ეგნატისთჳს ლოცვა ყავთ. ღმერთმან დაგაჯეროს. ქრონიკონი იყო ტ და ე. დაიწერა მოცე ხუცისა ხანცთელისა ჴელითა“. (H-1350, 77r-v) (H ფონდის აღწერილობა 1948: 306). ეგნატე ხუცესმონაზონი ქართულ მონასტრებში მიზანდასახულად ავრცელებდა გიორგი მთაწმინდელის თარგმანებს.

ეგნატე ხუცესმონაზონის (მომგებლის) ანდერძის სადიდებელ ფორმულაში გიორგი მეფეთ მეფე (II) კესაროსი და მისი ძე დავითი, მეფე და სევასტოსი მოიხსენიებიან. ზუსტად ასეთივე ტიტულით მოიხსენიებიან ერთიანი საქართველოს მეფეები ეგნატე ხუცესმონაზონის კიდევ ერთ, წყაროსთავის

უდაბნოში გადაწერილი ხელნაწერის (A-136) ანდერძში (ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა 2018: 79).

XII საუკუნის მოღვაწე უნდა იყოს სტეფანე შატბერდელი, რომელსაც გიორგი მთაწმინდელის ნუსხიდან სახარება გადმოუწერია. ვანის სახარების გადამწერი იოანე რომანაელი აღნიშნავს, რომ მისი ნუსხა სტეფანე შატბერდელის მიერ გადაწერილი ტექსტიდან მომდინარეობს: „გარდმოეწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს“. ვანის სახარება თამარის მეფობის პერიოდით თარიღდება (A ფონდის აღწერილობა 1954: 409) .

შატბერდში გადაიწერა XII-XIII საუკუნის ხელნაწერი – გამოკრებილი საკითხავები, რომელიც გიორგი მროველი ეპისკოპოსის დაკვეთით გადაუნუსხავთ. ხელნაწერის ანდერძში შატბერდი „დიდ ლავრად“ მოიხსენიება: „ადიდენ ღმერთმან სული გიორგი მამამთავრისა მროელისა პარეხთა, ბრძანებასა მათსა აღწერს(!) ესე ლავრას დიდსა შატბერთსა და ესეცა წმიდათა მოწამეთა და მამათა საკითხავნი თქმული წმიდისა მამისაჲ იოანე დამასკელისაჲ შესხმაჲ წმიდათა მოწამეთაჲ და“ (S-4939, 15r). ხელნაწერი შეიცავს პალიმფსესტურ ფურცლებს (S ფონდის აღწერილობა 1969: 252).

როგორც ჩანს, შატბერდს IX-XIII საუკუნეების განმავლობაში არ დაუკარგავს თავისი დიდება, ამ პერიოდში მას ანდერძებში ისევ „დიდებულ ლავრად“ მოიხსენიებენ გადამწერები.

შატბერდი XV-XVI საუკუნეშიც მოქმედი მონასტერი ჩანს. ალავერდის ოთხთავის (A-484) ერთ-ერთ მინაწერში (შესრულებულია XV-XVI საუკუნეების მხედრულით) მოხსენიებულია შატბერდის დეკანოზი თომა: „სულსა ... შატბერდის დეკანოზს თომას შეუნდნენ ღმერთმან“ (A ფონდის აღწერილობა 1986: 215).

სავარაუდებელია, რომ შატბერდის მონასტერი ბერებისგან დაიცალა და აქ სამონასტრო ცხოვრება შეწყდა XVI საუკუნის მეორე ნახევრისთვის. შატბერდი იყო მნიშვნელოვანი სასულიერო და სამწიგნობრო კერა, რომელმაც გამორჩეული როლი შეასრულა საქართველოს შემდგომ კულტურულ განვითარებაში.

§ 3.4 წყاროსთავი

წყاროსთავი მდებარეობს კარჩხლის ხეობის მარცხენა ნაპირზე, მთის ფერდზე (ართვინის მხარე, არტანუჯის რაიონი, სოფელი ჭედილა _ Artvin İli, Ardanuç İlçesi, Bağlıca köyü) (ბაგაური... 2017: 152). ტოპონიმი დღემდეა შემორჩენილი. თურქები ოდნავ ამახინჯებენ მას და „საროსთავს“ ან „ქაროთავს“ ამბობენ (ხოშტარია 2009: 54).

წყاროსთავის სავანე ააშენა დავით მიძნაძორელის მოწაფემ - ილარიონმა, შემდგომში ქართლის კათალიკოსმა, (გიორგი მერჩულე 1963: 275). მონასტერი, სავარაუდოდ, IX საუკუნის მეორე მეოთხედში დაარსდა. წყاროსთავი მაცხოვრის აღდგომის სახელობისა იყო. XI საუკუნეში ეგნატე ხუცესმონაზონის მიერ გადაწერილ ხელნაწერის ანდერძის თანახმად: „წყاროჲსთავისასა, აღსადგომელსა მჴსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ (A ფონდის აღწერილობა 1976: 159-160).

მონასტრის ბირთვი განლაგებულია დამრეც ფერდობზე. ზედა ნაწილში დგას მთავარი ეკლესია, მის სამხრეთით – მცირე დარბაზული სამლოცველო, სამხრეთ-დასავლეთით – დიდი სატრაპეზო. მთავარი ეკლესიისაგან დარჩენილია მკლავის კედლები, ნაწილობრივ დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელი და საკურთხევლის მიმდებარე ჩრდილოეთის სათავსი, რომელმაც დიდწილად გადახურვაც შეინარჩუნა - მთელია მისი აფსიდის კონქი და კამარის შუა და ჩრდილოეთი ნაწილები. სხვაგან კამარები ყველგან ჩაქცეულია (ხოშტარია 2009: 55-56).

ეკლესიის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი არათანაბარი სიგრძის მკლავებით. მკლავების გადაკვეთაზე იდგა გუმბათი, რომლებიც კედლის კუთხეებს ეფუძნებოდა. ამ ძირითადი ჯვრული სტრუქტურის მკლავებს შორის არეებს ავსებს უფრო დაბალი სათავსები.

საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთით მდებარე სათავსი (დავით ხოშტარია სამკვეთლოს უწოდებს) უჩვეულოდ დიდია. (ხოშტარია 2009: 56-57).

შესასვლელი - უთაღო, არქიტრავიანი კარი, ნიკო მარის ცნობით, ეკლესიას ჰქონდა დასავლეთიდან. ახლა ეკლესიის ეს ნაწილი მთლიანად დანგრეულია და კარის კვალიც არსად ჩანს (Марр 1911: 120-121; ხოშტარია 2009: 57).

წყაროსთავის მონასტრის მთავარი ეკლესია საკმაოდ თავისებური ნაგებობაა. მისი არქიტექტურული კომპოზიცია ენათესავება ე.წ. „გუმბათიანი დარბაზის“ ტიპს, მაგრამ ამ ტიპის არც ერთი ქართული (და არც სომხური) ეკლესია წყაროსთავის უშუალო კომპოზიციურ პარალელად არ გამოდგება.

ეკლესიის აშენების ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დასაზუსტებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაგებობების საშენი მასალისა და დეკორაციული შემკულობის ხასიათს. წყაროსთავში არსად გვხვდება სუფთად გათლილი, გლუვზედაპირიანი კვადრები გეომეტრიულად სწორი წიბოებით. შენობის ყველა ნაწილისათვის დაახლოებით ერთნაირად ზოგადად დამუშავებული ქვებია ნახმარი, მაშინ, როცა X საუკუნის I ნახევრისა და შუახანების კლარჯეთის ეკლესიებში უკვე თვალშისაცემია აშკარა სხვაობა ნაგებობის სხვადასხვა ნაწილისათვის განკუთვნილი მასალის ხარისხში: უხეშად დამუშავებული ქვები გამოიყენება კედლის საერთო წყობისათვის, ხოლო კუთხეები, ღიობთა წირთხლები, თაღები, პილასტრები გამოჰყავთ სუფთად თლილი კვადრებით. ამდენად, წყაროსთავის ეკლესიის სამშენებლო ტექნიკა IX საუკუნეზე მიგვანიშნებს. კიდევ უფრო მკაფიო ქრონოლოგიური მაჩვენებელია ქვაზე კვეთილი მორთულობა. X საუკუნიდან კლარჯეთში უკვე ჩნდება მაღალრელიეფური პლასტიკური დეკორი. წყაროსთავის თავსართებს მათთან შედარებით ბევრი უფრო არქაული იერი აქვს – ისინი პატარებია, ერთგვარად სქემატური და მსუბუქად, გრაფიკულად არის ამოჭრილი ქვაში, კიდევ უფრო ზედაპირულად იყო ნაკვეთი ჩუქურთმა ჩრდილოეთს მკლავის სარკმლის წირთხლებზე.

წყაროსთავის თავისებურებების გათვალისწინებით, დ. ხოშტარია ეკლესიას IX საუკუნით ათარიღებს (ხოშტარია 2009: 60-62).

ეკლესიის დასავლეთით დგას სატრაპეზო, რომელიც ამ სახის ნაგებობების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში უნდა ყოფილიყო. შენობა აღმართულია ზედ ხეობის პირას, ძლიერ დამრეც ფერდობზე. მის მოსასწორებლად აუშენებიათ

უზარმაზარი სუბსტრუქცია, რომელშიც ორ იარუსად დამხმარე სათავსები მოუწყვიათ. ქვედა ოთახი (თუ ოთახები) ახლა შეუღწეველია - მის არსებობაზე მიგვანიშნებს ოთხი სარკმელი ხეობის მხარეს.

თვით სატრაპეზო დიდი მართკუთხა ნაგებობაა. მისი გეგმა კვადრატს უახლოვდება, მხოლოდ ოდნავ არის წაგრძელებული ხეობის გასწვრივ. გადახურვა, და კედლების ნაწილი ამჟამად თითქმის მთლიანად განადგურებულია; სამხრეთ-დასავლეთ კედლისაგან უკეთ შემოინახა შუა ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთ კედლისაგან - დაახლოებით ნახევარი, ხეობის მხარეს. ამ კედელზე შემორჩა ორი წაკვეთილი შეკიდული პილასტრი, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ სატრაპეზოს შიდა არქიტექტურული დანაწევრება. მისი სივრცე ოთხი წყვილი თაღით დაყოფილია სამ ნავად. თაღები, როგორც ჩანს, მრგვალ სვეტებს ეყრდნობოდა. მთავარი შესასვლელი, რომლისაგანაც ახლა მხოლოდ კვალიღა განირჩევა საძირკვლის დონეზე, სამხრეთ-აღმოსავლეთდან იყო. სარკმელები მოწყობილია ხეობის მხარეს, სამხრეთ-დასავლეთის კედელში. სულ იყო რვა სარკმელი. ახლა ზედა რიგის სარკმელები ნაწილობრივ მორღვეულია.

სატრაპეზოს ჰქონდა ორკალთიანი სახურავი, სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადებზე ფრონტონებით.

ჩრდილო-დასავლეთიდან სატრაპეზოს ეკვრის ორი მართკუთხა სათავსი. ნიკო მარი მათ ერთგან სენაკებს უწოდებს, ხოლო მეორეგან სასტუმრო ოთახებს. დავით ხოშტარიაც ფიქრობს, რომ ეს სათავსოები უნდა იყოს სატრაპეზოს დამხმარე სადგომები - საკუჭნაო, სამზარეულო ან სხვა რამ მსგავსი.

წყაროსთავის მონასტრის სატრაპეზოსა და მისი მიმდებარე სათავსების დათარიღება ძნელდება. დავით ხოშტარიას აზრით, ისინი ეკლესიაზე გვიან, კერძოდ, X საუკუნეში უნდა იყოს აგებული (ხოშტარია 2009: 62-64).

მონასტრის დასავლეთით, რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით, კლდოვან კონცხებზე სამი პატარა დარბაზული ეკლესია დგას. ამათგან ზედა და შუა (მას სამხრეთიდან მინაშენიც აქვს) ძლიერ დაზიანებულია, გადარჩა მხოლოდ მათი აღმოსავლეთი ნაწილები. ქვედა შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, თუმცა

კამარა მასაც ჩანგრეული აქვს. ამ სამლოცველოების სამშენებლო ტექნიკა დიდი ეკლესიისას ჰგავს. დ. ხოშტარიას მოსაზრებით, ესენიც IX საუკუნისა უნდა იყოს (ხოშტარია 2009: 64).

X-XIII საუკუნეებში წყაროსთავის მონასტერი განათლებისა და მწერლობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. მასთან დაკავშირებული ხელნაწერებიდან ყველაზე ადრეული წყაროსთავის I ოთხთავია (A-98), რომელიც გადაწერილია X საუკუნეში გაბრიელისა და თევდორეს მიერ. ხელნაწერის გადაწერის ადგილი უცნობია, თუმცა სამეცნიერო ტრადიცია ხელნაწერს წყაროსთავის უდაბნოს უკავშირებს. 1070 წელს ხელნაწერი მეორედ შემოსა იოანემ (ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა, 2018: 80-81).

წყაროსთავში, სავარაუდოდ, მოღვაწეობდა ექვთიმე გრძელი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია 1046 წელს ღრტილაში ქართველ-სომხთა საეკლესიო-სარწმუნოებრივ პაექრობაში. წყაროსთავში მისი ზედამხედველობით აღიზარდა გიორგი-პროხორე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაშენებელი. გიორგი პროხორე შავშელი მცირეწლოვანი მიუყვანიათ წყაროსთავის უდაბნოში, სადაც მას განათლება მიუღია (ჟორდანია 1892: 126-127; მენაბდე 1962: 432).

ეგნატე ხუცესმონაზონიც წყაროსთავის უდაბნოში აღზრდილა, რაც მისივე გადაწერილი ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს. მას წყაროსთავში ბერ ეფთვიმეს სენაკში გადაუწერია იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება (A-136), რომელიც ამ უდაბნოსთვისვე შეუწირავს და სალოცავი განუწესებია. როდესაც წიგნის კითხვას დაიწყებდნენ, მონასტრის დეკანოზს და მთელ საძმოს უნდა ეთქვა, ეგნატე ხუცესს, მის მშობლებს, სულიერ და ხორციელ ძმებს ღმერთმა შეუნდოსო: „...ღირს ვიქმენ მე-უღირსი ეგნატი, სახელით ოდენ ხუცეს-მონაზონი, ხოლო საქმითა და გონებითა უდები, აღჭერად წმიდასა ამას წიგნსა თარგმანებასა წმიდისა სახარებისასა, განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, ღმრთვ-აღშენებულსა უდაბნოსა შინა წყაროჲსთავს, სენაკსა შინა ნეტარისა ბერისა ეფთჳმესსა, რომლისაცა ფერჴთა თანა აღზრდილ ვიყავ და შევწირე ეკლესიასა წყაროჲსთავისასა, აღსადგომელსა მჴსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გჴრგჴნოსანთა მეფეთა ჩუენთა,

სულითა განათლებულისა კურთხეულისა დედოფლისა მარიამისა და ძმისა მათისა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა, და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისა; და გამზრდელისა ჩემისა მამისა ეფთჳმესა და ყოველთა მამათა წყაროჲსთაველთა, და მშობელთა და ძმათა ჩემთა სულიერთა და ჴორციელთა, რომელნი შემწე და მოღუაწე მექმნეს, სიტყჳთ და საქმით სულიერსა ამას შრომასა და საწყალობელისა სულისა ჩემისათჳს. და გავაწესე სალოცავი: ოდეს წიგნის კითხვაჲ დაიწყებოდის, დეკანოზი და ძმანი ყოველნი იტყოდინ: ეგნატი ხუცესსა და მშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან, ყოველთა წიგნისა შემომწირველთა შეუნდვენ ღმერთმან…“ (392r-v) (A ფონდის აღწერილობა 1976: 159-160).

დავით აღმაშენებელი ეგნატი ხუცესმონაზონის ამ ანდერძში, ისევე როგორც 1085 წელს გადაწერილ შატბერდული ხელნაწერის (A-192) ანდერძში, მეფედ და სევასტოსად იწოდება. კოლოფონები ადასტურებს, რომ 1085 წელს დავითი უკვე თანამოსაყდრე და სევასტოსი ყოფილა. ხელნაწერის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია ბიზანტიის დედოფალ მარიამის მიმართ გამოყენებული გამოთქმა: „სულითა განათლებულისა კურთხეულისა დედოფლისა მარიამისა, რომელიც მარიამ დედოფლის შემონაზვნებამდე (1092) პერიოდს უნდა გულისხმობდეს. შესაბამისად, მკვლევრები ხელნაწერის შექმნის თარიღად 1085-1092 წლებს შორის პერიოდს განსაზღვრავენ (ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა 2018: 82).

ლელა შათირიშვილის დაკვირვებით, ეგნატე ხუცესმონაზონის მოღვაწეობა ნათლად აჩვენებს, რომ XI საუკუნის ბოლო მეოთხედში წყაროსთაველ მონაზვნებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ხანცთისა და შატბერდის მონასტრებთან (შათირიშვილი 2014: 91).

XI საუკუნეში წყაროსთავის სავანიდან არიან ცნობილი მწიგნობრები – ძმები ეგნატე და პეტრე ვესტი (ყოფილი პატრიკი) კავკასიძეები, იოანე ჭყონდიდელი (ინგოროყვა 1954: 355).

ეგნატე ხუცესმონაზონის მიერ გადაწერილი ხელნაწერის გარდა, წყაროსთავის უდაბნოდანაა წყაროსთავის (II) სახარება (Q-907). ეს ოთხთავი 1195

წელს გადაუნუსხავთ იოვანე ფუკარალის ძესა და გიორგი სეთაჲსძეს. სახარების დამკვეთი იოანე საფარელ-მტბევარი ყოფილა, რომელსაც შემდეგ იგი წყაროსთავისთვის შეუწირავს: „ღირს ვიქმენ მე, არაღირსი და სულითა საწყალობელი ი(ოვან)ე საფარელ-მტბევარი და წმიდაჲ ესე ოთხთავი დავაწერიე და მოვაჭედიე ყოვლად, სრულებით: თვალითა და მარგალიტითა, ხატითა და ზანდუკითა, კანონითა და ქრონიკონითა სრულითა და დავდევ წყაროჲსთავს ხატსა ღ˜თეებისა წინაშე...“ (273r)(Q ფონდის აღწერილობა 1958: 324).

სახარების ყდა ბექა ოპიზარს მოუჭედავს: „ქ[რისტ]ე შ[ეიწყალ]ე ოქრომჭ[ე]დელი ბექაჲ ოპიზარი“ (Q ფონდის აღწერილობა 1958: 326).

წყაროსთავის უდაბნოდანაა ე. წ. წალკის სახარებაც, რომელიც, როგორც ანდერძიდან ჩანს, სოფრომს უყიდია კლარჯეთის ამ სავანიდან და ანჩისათვის შეუწირავს. ვალერი სილოგავა წალკის სახარებას 1204-1207 წლებით ათარიღებს (სილოგავა... 2006: 60-61).

XIII საუკუნეში წყაროსთავის მონასტერში საბა მწერალი მოღვაწეობდა. მან იქ გადაწერა სახარება, რომელიც დიდხანს უბისაში ინახებოდა და, შესაბამისად, უბისის სახარების სახელითაა ცნობილი: „ესე ოთხთ(ა)ვი დაიწერა წყარ(ო)ჲსთავს წ(ინაშ)ე ხ(ა)ტსა ღთ(ა)ებისსა ჴ(ე)ლითა საბ(ა)ჲსითა კამარ(ა)ნი და თ(ა)ვნი შემოსაჲ ჩ˜ითავე ჴ(ე)ლითა იქნა ლ(ო)ცვა ყ(ა)ვთ ჩ(ე)მთჳს ღ˜ისა მ˜რ“. ხელნაწერის მომგებელია გიორგი მტბევარი: „ქ(რისტ)ე ღ(მერთ)ო, მფლ(ო)ბ(ე)ლო ყოველთა და მადლო მახარებელთაო, აჴმარე წ(მიდა)ჲ ესე ოთხთავი მ˜მპ˜სსა გ(იორგ)ი მტბ(ევა)რსა: და მიეც შ(ე)ნ მი(ე)რი ს(უ)ფ(ე)ვა აქა და უმეტეს საუკუნეთასა :. ღ˜ისათ˜ს ნუ ვინ დამწყევლ ამისსა მწერალსა საბას : იცის ღ(მერთმა)ნ დიდნი ჭირნი მინახვან ამისსა გასრ[ულებასა] შ˜ა“. ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით, სახარება XIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ხელნაწერის ბოლოს საბას ხელითვე მიწერილი ყოფილა გიორგი მტბევარისადმი მიძღვნილი ესქატოლოგიური მოტივების იამბიკური საგალობელი. მის მიერ სახარების შესწავლისას ხელნაწერს შერჩენილი ჰქონდა ჭედური ყდის ქვედა ფრთა, რომელზეც გამოსახული ყოფილა ჯვარცმა ორ ანგელოზთან ერთად წარწერით: „ესე არს“. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ყდის ნაკეთობა ქართული ხელოვნების

საუკეთესო ნიმუშების მსგავსი იყო (Такаишвили 1915: 34-36; ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა 2018: 83

§ 3.4.1 ნუკა-საყდარი

ნუკა-საყდარი მდებარეობს ართვინის მხარის ართვინის რაიონში, სოფელ კარჩხალში (Artvin İli, Merkez İlçe, Alabalık köyü), სოფლის სამხრეთით, 5კმ-ში (ბაგაური... 2017: 143). ნუკა-საყდარი საკუთრივ ეკლესიის სახელწოდებაა.

დავით ხოშტარიას აღწერით, ის აგებულია კლდის მცირე ბუნებრივ შვერილზე, რომელიც მაღალი სუბსტრუქციით არის გადიდებული. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიადნ სუბსტრუქციის სიმაღლე 8-10 მეტრს აღწევს. ჩრდილოეთით შენობა კლდის თითქმის შვეულ ფერდს ეკვრის და ნაწილობრივ მასშია ნაკვეთი. ეკლესია ძნელად მისადგომია მხოლოდ დასავლეთიდან, სადაც მის წინ მცირე ბაქანია მოწყობილი (ახლა ნაწილობრივ ჩამოშლილია). ეკლესია საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, თუმცა მთლად დაუზიანებლადაც ვერ გადარჩა – განძის მაძიებელთა საქმიანობის შედეგად ჩაინგრა სუბსტრუქციაში მოწყობილი კრიპტის გადახურვა, რასაც ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოჰყვა იატაკის ჩანგრევა. ჩაიქცა ნავების გამყოფი თაღები შუა სვეტითურთ. ჩამოშლილია აგრეთვე აფსიდის კონქის დიდი ნაწილი, სატრიუმფო თაღი და კამარათა საბჯენი თაღები. მეტ-ნაკლებად დაზიანებულია ყველა კარი. აფსიდი ნუკა-საყდარში თავისებურად არის ამოყვანილი: ჯერ აშენდა აღმოსავლეთის გარე სწორი კედელი და შემდეგ მას შიგნიდან მიედგა ნახევარწრიული კედელი. შედეგად, გვერდებში შეიქმნა ღრუ ადგილები, რომლებიც კონქისზედა სივრცით გადაბმულ ერთიან სამალავს ქმნის (ახლა ეს ყველაფერი კარგად ჩანს კონქის ჩამოქცევის გამო). ის ნათდება აღმოსავლეთის კედელში დატანებული ორი პატარა ღიობით. საკურთხევლის ჩრდილოეთით მდებარე ნახევრადგამოქვაბული სათავსი დიდ ნავს ორი თაღოვანი

კარით უკავშირდება. ეკლესიას აქვს ერთი შესასვლელი დიდი ნავის დასავლეთ კედლის შუაში. სხვა ადგილას კარი მას ვერც ექნებოდა – აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები (ასევე დასავლეთ ფასადის სამხრეთ ნაწილიც) მიუდგომელია, ხოლო ჩრდილოეთიდან შენობა მთელ სიგრძეზე კლდეს ეკვრის.

ნუკა-საყდარი შერეული მასალით არის ნაგები. კედლები შიგნით ამოყვანილია უხეშად ნატეხი ადგილობრივი კლდოვანი ქვით, რიგების დაუცველად. ზოგ ქვას ასე თუ ისე მართკუთხედს მიახლოებული ფორმა აქვს, უმეტესობა შემთხვევითი მოყვანილობისაა. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების ძირში ჩადგმულია დიდი, უფორმო, პირმოსწორებული ლოდები. კედლები შიგნიდან შელესილი იყო. ბათქაშის დიდი ფრაგმენტები შემორჩა აფსიდსა და ჩრდილოეთის კედელზე, აქა-იქ ასევე დასავლეთსა და სამხრეთის კედლებზეც (ხოშტარია 2009: 207-210).

კვეთილი საფასადო დეკორი ნუკა-საყდარს არ გააჩნია. კედლების გარე წყობა შიდა წყობის ანალოგიურია, სხვადასხვა ზომის, ხშირად შემთხვევითი ფორმის ნატეხი ქვები რიგების დაუცველად არის ნაწყობი. ეკლესიას ჰქონდა ცალკე შესასვლელი დასავლეთიდან, ეკლესიის კარის ქვემოთ. ახლა კრიპტის შესასვლელის მეშვეობით შეიძლება შეღწევა ეკლესიაში (თვით ეკლესიის კარი ძალზე ძნელად მისადგომი გახდა მას შემდეგ, რაც ჩაინგრა მის წინ მოწყობილი ბაქანი) (ხოშტარია 2009: 212).

გეგმის კომპოზიციით ნუკა-საყდარი უკავშირდება ორნავიან ეკლესიათა ჯგუფს, მაგრამ მას ახასიათებს ცალკეული თავისებურებები. „როგორც ჩანს, დიდწილად განსაზღვრული, ერთი მხრივ, რელიეფის უნიკალური პირობებით და, მეორე მხრივ, კლარჯეთის სამონასტრო არქიტექტურის სპეციფიკით. ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი ასეთი თავისებურებაა დიდი ნავის მკვეთრად გამოხატული დომინირება – ის საშუალოდ ხუთჯერ (შენობის დასავლეთ ნაწილში კი შვიდჯერ!) განიერია მცირე ნავზე. ასეთი შეფარდება არ გვხვდება არცერთ ქართულ ორნავიან ეკლესიაში, თუმცა, საგულისხმოა, რომ მცირე ნავის დამოუკიდებლობის დაკარგვისა და დიდ ნავთან შერწყმის ტენდენცია მათში IX საუკუნიდან იჩენს თავს. ძალიან ვიწრო გვერდითი ნავები ჩვეულებრივი მოვლენაა

შავშეთ-კლარჯეთის სანმავიან ბაზილიკებში (პარეხი, სათლე, სვეტი)“ (ხოშტარია 2009: 212-213).

დავით ხოშტარიას მსჯელობით, ეკლესიის დასათარიღებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საშენი მასალის გამოყენებისა და დამუშავების ხასიათს და ფასადთა შეუმკობლობას. უხეშად ნატეხი ქვის გამოყენება კედლების წყობაში და თლილი ქვისა – კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილებზე დამახასიათებელია IX საუკუნისათვის. ამ დროზე მიგვანიშნებს სრულიად სადა ფასადებიც. საფიქრებელია, რომ ნუკა-საყდარი აიგო მალევე კლარჯეთის დიდი მონასტრების დაარსების შემდეგ და ერთ-ერთი მათგანის (უფრო ალბათ ხანძთის ან მიძნაძორის) განშტოებას წარმოადგენდა (ხოშტარია 2009: 213).

ნიკო მარი ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღწერს მონასტრის სხვა ნაგებობებსაც – გალავნის კედელს შესასვლელი კარითურთ, რომელსაც თაღოვანი გადახურვა აქვს, მასშივე ჩაშენებულ კოშკისმაგვარ ნაგებობასა და ნიშებს. ყველა ეს შენობა ნიკო მარის დროს უკვე საკმაოდ დანგრეული, მიწით, ხეებითა და ბუჩქნარით დაფარული ყოფილა.

წერილობით წყაროებში ნუკა-საყდარი არ იხსენიება. სხვადასხვა დროს რამდენიმე მკვლევარი შეეცადა, გაეიგივებინა ის წყაროებიდან ცნობილ სხვადასხვა ეკლესიასთა ნიკო მარმა ნუკა-საყდარი ხანცთად მიიჩნია. ადგილზე მოხილვისა და აღწერის შემდეგ მკვლევარი დარწმუნდა, რომ ნუკას საყდარი (ნუკა ქილისა) ძველი ხანძთაა, ნუკის წყარო კი – ხანძთის წყარო (Марр 1911: 125).

ძეგლის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს პავლე ინგოროყვას. იგი წერს: „ეს ძეგლი, ნუკა-საყდარი, მდებარეობს სოფელ ფორთის ჩრდილოეთ ზონაში, სახელდობრ, ზემო-ფორთის ახლოს, სადაც ძირითადი ნაწილია სოფელ ფორთისა“. მკვლევარმა ტოპონიმ „ფორთის“ არსებობიდან გამომდინარე, ნუკა-საყდარი ფორთის საეპისკოპოსო ცენტრთან გააიგივა. მისი მსჯელობით, V-VII საუკუნეებში ფორთაში საეპისკოპოსო კათედრალი არსებობდა, 506 წლის ქართლის საკათალიკოსის საეპისკოპოსოთა ნუსხაში ფორთის საეპისკოპოსოც მოიხსენიებოდა. მისი დაკვირვებით, ნუკა-

საყდარი არქაული ტიპის ბაზილიკას წარმოადგენს, რომელიც თავისი სახეობით იმეორებს V-VII საუკუნეთა ბაზილიკების ტიპს (ინგოროყვა 1954: 314-316).[20]

ნუკა-საყდარი ჟამთააღმწერლის ასწლოვან მატიანეში მოხსენიებულ ძეგლთან, წმ. გიორგის ეკლესიასთან გააიგივა დავით ხოშტარიამ (ხოშტარია 2009: 207).

დარეჯან კლდიაშვილის მოსაზრებით, ის იგივე გურნათლის ვანია: „ნუკა-საყდარი თავის მცირე მაშტაბებითა და დანიშნულებით უფრო ადგილობრივი დიდებულის საგვარეულო მონასტრის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც სამარხის, კრიპტას დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. ამ მხრივ, იგი დაფანჩულ დედათა საძვალედ აგებულ მონასტრად შეიძლება მივიჩნიოთ. სავარაუდოა, რომ უსახელოდ მოღწეული ეს ტაძარი წმ. გრიგოლის კურთხევითა და გაბრიელ დაფანჩულის საქტიტორო ღვაწლით აშენებული, მათი სახლის დედათა ის საგვარეულო მონასტერი და საძვალე იყოს, რომლის სახელიც გუნათლეს ვანი ყოფილა“ (კლდიაშვილი 1998: 162-180).

ისმის კითხვა: ნუკა-საყდარი ხომ არ იყო მის მახლობლად მდებარე წყაროსთავის მონასტრის ნაწილი, სადაც შედარებით მკაცრი ასკეტიზმით მოღვაწე ბერები ცხოვრობდნენ?

ერთი მონასტრის მიერ სხვა მონასტრის დაქვემდებარება უცხო არაა არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთის მონასტრების, არამედ, ზოგადად, ჩვენი ისტორიული წარსულისათვის.

მაგალითად, ასკეტური ცხოვრებით გამორჩეული მცირე მონასტერი (ერთგვარი „ფილიალი“) ჰქონდა ოთხთა ეკლესიასაც. მისი ნაწილი იყო ანაქორეტული მონასტერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ოთხთა ეკლესიის არსენისეული მონასტრის სახელითაა ცნობილი. ეკლესიის თარიღს

[20] პავლე ინგოროყვას მსჯელობით, V-VII საუკუნეებში კლარჯეთსა და მიმდგომ მხარეებში (ნიგალის ხევი, შავშეთი და ზემო აჭარა) სამი საეპისკოპოსო არსებობდა: ახიზის, ფორთის და ანჩის. VIII-IX საუკუნეებში კი კლარჯეთი და მისი მიმდგომი მხარეები (ნიგალის ხევი, შავშეთი და ზემო აჭარა) ანჩის საეპისკოპოსოს ფარგლებში გაერთიანდა. 735 წელს მურვან ყრუს ლაშქრობის შედეგად კლარჯეთი განადგურდა. ლაშქრობის შედეგებმა განაპირობა სამი საეპისკოპოსოს ტერიტორიის ერთი საეპისკოპოსოს ფარგლებში გაერთიანება (ინგოროყვა 1954: 314).

საამშენებლო წარწერა გვამცნობს: „ქ. სახელითა ღ(მრ)თისაითა მე, არ(სე)ნი, აღვაშენე ესე წ(მიდა)ი ეკლესიაი ქრ(ო)ნიკონსა სდ (=984 წ.), მ(ე)ფობასა დ(ავი)თისასა.." (მარსაგიშვილი 1999: 89-95). აქ მოხსენიებული არსენი გაიგივებულია არსენ ნინოწმინდელთან, რომელიც, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრების მიხედვით, ოთხთა ეკლესიის ლავრაში „დაყუდებით ცხოვნდებოდა თჳსისა მოძღურისა თანა“ (გიორგი მთაწმინდელი 1967: 56).

საყურადღებოა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ შემდეგი ფრაგმენტი: „ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა გასვლაჲ ჴორცთაგან და ღმრთისა მისვლაჲ. და აუწყა უფალმან აღსრულებაჲ ნებისა მისისაჲ, ვითარცა თქუა დავით: „ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოდ უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინეს და აცხოვნეს იგინი“. მაშინ უბრძანა ძმათა თჳსთა შესაქმე კერეონთა სანთელთაჲ შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა, რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი, ბერთაჲ და მახლობელნი მისნი, მიძნაძოროჲ და წყაროჲს-თავი თანამკჳდრით მათითურთ…“ (გიორგი მერჩულე 1963: 314). თხზულების ამ პატარა ამონარიდიდან ჩანს, რომ ოპიზას რამდენიმე ფილიალი („ფრთა“), ანუ მცირე მონასტერი ჰქონია. მოხმობილ ციტატაში მიძნაძორსა და წყაროსთავთან ტერმინი „თანამკვიდრი“ გვხვდება, რაც ნიკო მარს ესმის, როგორც „მათი მცხოვრებლები“, ედიშერ ჭელიძის აზრით კიამ გაგების გაზიარება ძნელია, რადგან „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთში თავისთავად იგულისხმება დასახელებული მონასტრის მცხოვრებლები, რის გამოც წყაროსთავსა და მიძნაძორთან დაკავშირებით მათზე ხაზგასმა უსარგებლოა. მკვლევარი სვამს კითხვას: „თუ ოპიზა და ბერთა სწორედ მათთან ახლომდებარე მონასტრებითურთ არიან მითითებული, როგორ უნდა ვიფიქროთ, რომ მიძნაძოროს და წყაროსთავის მხრივ განსხვავებული მითითება გვაქვს?“ (ჭელიძე 2008: 909). „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ახალქართული ტექსტის გამოცემისას ედიშერ ჭელიძემ ზემოთ მოყვანილ ტექსტში აღადგინა და ჩაამატა სიტყვა – „მონასტრებითურთ“: „ბერთა და მასთან ახლომდებარენი, მიძნაძორო და წყაროსთავი მათთან მკვიდრი [მონასტრებითურთ]“ (ჭელიძე 2008: 675). ილია აბულაძის მიერ შედგენილი ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით,

„თანამკჳდრი“ გულისხმობს თანამემკვიდრეს, თანასახლეულს, თანამოსახლეს (აბულაძე 1973, 176). წყაროსთავთან „თანამკჳდრობა“ გვაფიქრებინებს, რომ მის დაქვემდებარებაში შესაძლოა ყოფილიყო ერთი განდეგილური სავანე მაინც.

ნუკა-საყდრის დამოუკიდებელ მონასტრად მიჩნევას ასევე სათუოს ხდის არსაკმარისი ტერიტორია და სამონასტრო ნაგებობის სიმცირე (ბაგაური... 2017: 143)

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გაათვალისწინებით, ფრთხილ ვარაუდს გამოვთქვამთ, რომ ნუკა-საყდარი წყაროსთავის მონასტრის კუთვლინი ერთგვარი განდეგილური სავანე შეიძლება ყოფილიყო.

§ 3.5 მიძნაძორი

მიძნაძორის მონასტერი ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარის ცენტრალურ რაიონში, სოფელ კარჩხალში მდებარეობს (Artvin İli, Merkez İlçe, Alabalık köyü) (ტაო-კლარჯეთი. კატალოგი 2017: 142). „მიძნაძორ / მიჯნაძორ“ სომხური წარმომავლობის ტოპონიმია და „შუა ხეობას“ ნიშნავს (ხოშტარია 2009: 64-65).

მონასტრის სახელის ფუძის განსხვავებული განმარტება აქვს მ. ფაღავას. მკვლევარი ეყრდნობა ჟამთააღმწერლის ასწლოვან მატიანეს, რომლის ერთ-ერთ რედაქციაში ტოპონიმი განსხვავებული ფორმითაა ნახმარი (მიძნაჯვარი) და, აქედან გამომდინარე, დასაშვებად მიიჩნევს მსჯელობას ამ სიტყვის ქართული წარმოშობის შესახებ (მიძნა-ჯვარი<მიჯნა-ჯვარი) (ფაღავა 2012: 206).

ქართულ წყაროებში მონასტრის სახელწოდების სხვადასხვა ფორმა გვხვდება: „მიძნაძოროჲ“ („და ჟამსა მასვე მოიწია წინამძღუარი მიძნაძოროჲსაჲ დიდი მამაჲ სანატრელი დავით“ _ მერჩულე 1963: 275), „მიჯნაძოროჲ“ („მეფეთა-მეფისაჲ, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისა გიორგი მეფისაი, რ(ომ)ლითა იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძოროისათუის დაემტკიცნეს“ _ ისტორიული საბუთების კორპუსი 1984: 33), „მიჯნაჯორო („შევწირე და მოვჴსნე (!)

მიჯნჯოროს“ _ ხეც, A-97, 93v). მიძნაძორული სვინაქსარის ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით, მონასტერი მოციქულთა სახელობისა იყო: „შევწირე და მოვჴსნე (!) მიჯნჯოროს და საყდრსა წმიდათაჲ მოციქულთასა“ (ხეც, A-97, 93v-94r).

IX საუკუნის მეორე მეოთხედში მიძნაძორში სამონასტრო ცხოვრება უკვე არსებობდა. საფიქრებელია, რომ მონასტერი დავით მიძნაძორელმა ააშენა. ამაზე მიანიშნებს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტში ერთი ცნობა – „წინამძღუარი მიძნაძოროისაჲ დიდი მამაჲ სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთაჲ“ (გიორგი მერჩულე 1963: 275). მიძნაძორის მონასტრის გარდა, სხვა რომელი მონასტერი დააარსა მან, წყაროების არარსებობის გამო, უცნობია.

მონასტერი მდ. კარჩხალის მარცხენა ნაპირზე, დაფერდებულ მინდორზე იყო გაშენებული. სამწუხაროდ, დღეისათვის მხოლოდ დანგრეულ ნაგებობათა მცირე ნაშთებია შემონახული. მონასტრის ეკლესიისაგან გადარჩენილია მხოლოდ სამკვეთლოში შემორჩენილა გადახურვა (ხოშტარია 2009: 66).

დავით ხოშტარიას აღწერით, ეკლესია ნახევრად თავისუფალი ჯვრის ტიპისაა. ძირითადი კორპუსი წარმოადგენს ჯვრულ მოცულობას შესამჩნევად წაგრძელებული დასავლეთის მკლავით. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს მოწყობილია აფსიდიანი პასტოფორიუმები. დასავლეთიდან, დასავლეთის მკლავის მთელ სიგანეზე, ეკლესიას აქვს თანადროული კარიბჭე. მთავარი შესასვლელი აქედან უნდა ყოფილიყო. ეკლესია ნაგები უნდა იყოს ადგილობრივი მორუხო-ქვიშისფერი კლდოვანი ქვით. საშუალო ზომის, უხეშად დამუშავებული ბლოკები წესიერ რიგებად არის დალაგებული. შემკულობა ამჟამად ნაგებობაზე არ ჩანს, რაც არ ნიშნავს, რომ მისი არსებობა გამოვრიცხოთ (ხოშტარია 2009: 66).

დავით ხოშტარიას მოსაზრებით, გეგმითა და საშენი მასალის დამუშავების ხასიათით მიძნაძორის ეკლესია IX საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს. იგი წერს, რომ შესაძლოა, ეს იყოს მონასტრის თავდაპირველი, თვით დავით მიძნაძორელის მიერ აგებული ეკლესია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკლესიის გარეთ შემორჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები უფრო გვიანდელ ხანას (X საუკუნის I ნახევარს) მიეკუთვნება. თავდაპირველი ეკლესია X საუკუნეში აღადგინეს ან გადააკეთესა და კვეთილი დეკორით შეამკეს (ხოშტარია 2009: 68).

ეკლესიიდან ექვსიოდე მეტრით ჩრდილოეთით მდ. კარჩხალის პირას იდგა სატრაპეზო, რომლისაგანაც თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. ნიკო მარის აღწერისა და ფოტოსურათის მიხედვით ირკვევა, რომ ეს იყო დიდრონი ქვებით ნაგები, მართკუთხა გეგმის კამაროვანი შენობა (Марр 1911: 134; ხოშტარია 2009: 68).

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, დაახლ. ათიოდე მეტრის მოშორებით გაურკვეველი დანიშნულების პატარა მრგვალი სათავსია. ეკლესიის სამხრეთით რამდენიმე სამონასტრო ნაგებობის ფრაგმენტებია. შედარებით უკეთ შემორჩა საძვალე. იგი წარმოადგენს ერთ რიგზე გამწკრივებულ ოთხ პატარა, მოგრძო კამაროვან ოთახს. მონასტრის შორიახლოს გვხვდება ასევე გამოქვაბულები (ხოშტარია 2009: 68).

როგორც აღინიშნა, მონასტერი, სავარაუდოდ, დაარსებულია დავით მიძნაძორელის მიერ, რომელიც ამავდროულად მისი წინამძღვარი იყო (გიორგი მერჩულე 1963: 275). „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“, დავითის გარდა, მოხსენიებულია იაკობ მიძნაძორელი (X ს-ის I ნახევარი). გიორგი მერჩულე მას ასე ახასიათებს: „ჟამთ ჩუენთა ბრწყინვიდა ჴევსა მას მიძნაძოროჲსასა დიდი იაკობ, ვითარცა მთიები შორის ვარსკულავთა, ზეშთა სიტყჳსა ჩუენისა შემკობილი მრავალფერითა მადლითა, მოყუასთა თანა საღმრთოთა“ (გიორგი მერჩულე 1963: 293).

დაახლ. IX საუკუნის I ნახევარში მიძნაძორში აღიკვეცა ბერად გრიგოლ ხანცთელის მოწაფე მიქაელი, რომელიც შემდეგ ბერთის პარეხთაში დამკვიდრდა (გიორგი მერჩულე 1963: 281).

X ს.-ში მიძნაძორელ მამათაგან ცნობილია კვირიკე მიძნაძორელი. ის მიძნაძორის მონასტრიდან სინას მთაზე წავიდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. იქ მოღვაწეობის პერიოდშიც იგი თავს მიძნაძორელად მოიხსენიებდა: „კჳრიკე მიძნაძოროელი და თუაჲსა ხუცესი, მთისა სინაწმიდისა დეკანოზი“. მის სახელთან არის დაკავშირებული სინას მთის მონასტერში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ქართველთა ეკლესიის აშენება და არაბთათვის სპეციალური სასტუმროს მშენებლობაც. კვირიკე მიძნაძორელის დაკვეთით, სინას მთაზე

გადაიწერა რამდენიმე ხელნაწერი: N/Sin 2, იადგარი, X ს (987 წლის შემდგომ); N/Sin 8, სამოციქულო, 977 წ.; N/Sin 95, იადგარი, X ს (987 წლის შემდგომ)[21]

XI საუკუნეში მიძნაძორის მონასტერს სამამულო დავა ჰქონია ოპიზის უდაბნოსთან. მათ შორის დავა გაარჩია ბაგრატ IV-მ (1027-1072). მიძნაძორელებს ხელთ ჰქონდათ გურგენ ერისთავთ-ერისთავის (გარ. 941 წ.), გურგენ მეფეთ-მეფის (გარ. 1008 წ.), ბაგრატ III-ის (978-1014) და გიორგი I-ის (1014-1027) სიგელები, რომელთაც მიძნაძორის მონასტრისთვის ტყეები დაემტკიცებინათ კათალიკოსთა მოწმობით და წყევლით. ბაგრატ IV-მ მიძნაძორის მონასტერს დაუტოვა ძველადვე შეწირული მამულები და დაუდგინა საზღვრები: სამხრეთით – სამწყრის წყალი შავშეთის წყლის შესართავამდე, ტიხარის კლდე, დასავლეთით – ეჟუანთა ქედი, ჩრდილოეთით – დიდუბის ხერთვისი და საქათმის კარი (ენუქიძე... 1984: 32-34).

მიძნაძორის მონასტერს მოიხსენებს ჟამთააღმწერელი თავის ასწლოვან მატიანეში. წყაროში აღნიშნულია, რომ „დადგეს (იგულისხმება მონღოლთა ჯარი – ნიკო ხ.) მთისა მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი, რომელსა ზედა შენ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს შორის ოპიზას და მიძნაძორს“ (ჟამთააღმწერელი 2008: 601).

მიძნაძორის მონასტერში ინახებოდა XI საუკუნეში გადაწერილი გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის სვინაქსარი (ხეც, A-97). ხელნაწერი მდიდარია მასზე დაცული აღაპ-მოსახსენებლებით. ხელნაწერზე 400-ზე მეტი მინაწერია.

ამ მინაწერებიდან ცნობილი ხდება, რომ მიძნაძორის მონასტრისთვის აბიდინს და მის მეუღლეს ელგანდის სულის მოსახსენებლად შეუწირავთ სამი ლიტრი ზეთი: „...სულისა ჩუენისა სამლოცველოდ, ტომთა და ნათესავთა ჩუჷნთჳს. ჩაგუწერეს სახარებასა, სუნაქსარსა მატიანეთა, სამოციქულოსა ში..“ (93v-94r) (A ფონდის აღწერილობა 1973: 435).

რუსია კოპასძეს[22] მიძნაძორის მონასტრისთვის ყოველწლიურად ორ-ორი „გრივი“ პურის შეწირვა განუჩენია და, როგორც მინაწერიდან ირკვევა, აღაპიც

[21] ზაზა ალექსიძს და დალი ჩითუნაშვილის შრომა სინას მთის სამწიგნობრო კერის შესახებ ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია, ავტორებმა მოგვცეს მისი გამოყენების უფლება

[22] კოპასძეები – ფეოდალური საგვარეულო ტაო-კლარჯეთის მხარეში. კოპასძეები მოხსენიებული არიან 1516 წ. ახლოს პერიოდში შედგენილი დოკუმენტში „ქართლის საპატრიარქოს სამცხის

ჰქონია განწესებული: „,მე ხ(ა)ვაღელმან კოპასძემან რუსია...ორ-ორი გრივი წმიდაჲ პური გამიჩენია მამანგლისით ყოველთა წელიწადთა და არცა უდაბნოსაი შინა მოეშალოს აღაპი. ვინცა მოიშალოს, კრულმცა ღ˜ისა პირითა და ამა წმიდათა მოციქულთა მადლითა“ (322v-323r) (A ფონდის აღწერილობა 1973: 445-446).

მიძნაძორული სვინაქსარის მინაწერში მოიხსენიება მიძნაძორის წინამძღვარი ბართლომე ბალავისძე: „სულსა ბალავაძესა მიძანძორის წინამძღუარისა ბართლომეს და მისათა დედა-მამათა და მისათა ძეთა შეუნდნენ ღმერთმან“ (292v) (A ფონდის აღწერილობა 1973: 444).

მიძნაძორის მონასტერში XVI საუკუნეში ხანთუბისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ. მათ შესახებ ცნობები ხელნაწერთა მინაწერებმა შემოგვინახეს:

XI საუკუნის სვინაქსარის (H-2211) XVI საუკუნით დათარიღებულ მინაწერში იხსენიება მიძნაძორის წინამძღვარი „ჴანთუმიძე“: „სულსა მიძნაძორისა წინამძღვარსა ჴანთუმიძესა შეუნდნეს ღმერთმან და დედა ...“ (H ფონდის აღწერილობა 1949: 151). აღწერილობისგან განსხვავებით, წინამძღვრის გვარს განსხვავებულად კითხულობენ ვ. კეკელია და ი. ხოსიტაშვილი. მათი მსჯელობით, გვარი იკითხება როგორც ჴანთუბიძე და არა ჴანთუმიძე.[23] მათი ვარაუდით, მინაწერში მოხსენიებული მიძნაძორელი ჴანთუბიძე უნდა იყოს იერუსალიმურ ხელნაწერში, XI საუკუნის ოთხთავში მოხსენიებული მიძნაძორის წინამძღვარი ზოსიმე ჴანთუმიძე. „მიძნაძორისა წინამძღუარსა ხანთუბისძეს ზო|სიმეს შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ, მისთა მიცვ(ა)ლ(ე)ბ(უ)ლთა ყ(ოველ)თ(ა)ვე შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ (Jer Geo 49, 214v). ზოსიმე ჴანთუმიძის ასევე მოხსენიებულია XVI საუკუნის თვენის (H-2338) მინაწერში: სულ<ა>სა მიძნაძორისა წინამძღუარი<ა>სა

სამწყსო – თავადური სახლები და სამფლობელოები“: „კოპასძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ (სურგულაძე 2016: 56);

[23] რ. ხალვაშის მსჯელობით კი, აღნიშნულ ხელნაწერთა მოსახსენებლებში იკითხება არა ჴანთუბიძე, არამედ „ჴანთუშისძე“ და „ჴანთუშიძე“. მისი დაკვირვებით, გვარი ჴანთუშისძე // ჴანთუშიძე // ხანთუშიძე კი უნდა უკავშირდებოდეს შავშეთში დადასტურებულ ოიკონიმ ხანთუშეთს. სავარაუდოდ, გვარ-სახელი ხანთუში(ს)ძე // ჴანთუ- ში(ს)ძე და ოიკონიმი ხანთუშეთი [ჴანთუშეთი] მომდინარეობს ანთროპონიმ „ხანთუშისაგან“. სწორედ ამ ფორმით იხსენიება ეს ანთროპონიმი A-97 ხელნაწერის სულთა მატიანეში (კლარჯეთი 2016: 159).

ზოსიმესა შეუნ<ა>დ<ა>ნეს<ა> ღმერ<ა>თ<ა>მა[ნ] (კეკელია, ხოსიტაშვილი 2011: 199-202). აღნიშნული ხელნაწერის აღწერილობაში მოსახსენებელი ამეტობის გარეშეა შეტანილი (H ფონდის აღწერილობა 1949: 233).

ვ. კეკელიას და ი. ხოსიტაშვილის აზრით, Jer. Geo. 49 კოლოფონში მოხსენიებული ზოსიმე მიძნაძორელი – ხანთუბისძე, H-2338 ხელნაწერის ზოსიმე მიძნაძორელი და H-2211 ხელნაწერის მიძნაძორელი – ხანთუბიძე ერთი და იგივე პირია. ამას, სახელის გარდა, მათ მოსახსენებლების ჩაწერის დრო აფიქრებინებთ, კერძოდ, კოლოფონები XVI საუკუნის, უფრო კონკრეტულად - XVI საუკუნის I ნახევრის, კალიგრაფიული ხელით არის შესრულებული.

ლევან მენაბდე H-2211 და H-2338 ხელნაწერებში მოხსენიებულ მიძნაძორის წინამძღვრებს ორ სხვადასხვა პირად მოიაზრებდა (მენაბდე 1962: 430).

ვლადიმერ კეკელიასა და ირმა ხოსიტაშვილის აზრით, მიძნაძორული ხელნაწერი უნდა იყოს XVI საუკუნეში გადაწერილი რიგის ოთხთავი (ხეც, A-503): „კოლოფონიდან ჩანს, რომ ხელნაწერის გადამწერი და მიძნაძორის მონასტრის წინამძღვარი ახლო ნათესავები არიან… თუ გავითვალისწინებთ Jer. Geo. 49, H-2338 და H-2211 ხელნაწერთა მინაწერების ცნობებს, რომლებიც ზოსიმე ხანთუბიძეს მიძნაძორთან აკავშირებს, საფუძველს მოკლებული არ იქნება, რომ იოსებ და იორდანე ხანთუბიძეებიც მიძნაძორთან იყვნენ დაკავშირებული. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, A-503 ხელნაწერი მიძნაძორულად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, მიძნაძორის მონასტერში, XVI საუკუნის პირველ ნახევარში, მის საბოლოო მოსპობამდე, აქტიური სამწერლობო საქმიანობა იყო გაჩაღებული ” (კეკელია, ხოსიტაშვილი 2011: 199-202).

ხელნაწერების ფურცლებზე დაცული მინაწერების და მათში მოხსენიებული პირების მოღვაწეობის პერიოდიდან გამომდინარე, მიძნაძორში XVI საუკუნეშიც აქტიური სამონასტრო ცხოვრება მიმდინარეობდა.

§ 3.6 ჯმერკი

მონასტერი ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, ართვინის რაიონის სოფელ ჯმერკში (Artvin İli, Artvin İlçesi, Çimenli köyü) მდებარეობს (ბაგაური... 2017: 156)

„ათორმეტ უდაბნოს“ ეს სავანე IX ს-ის მეორე მეოთხედში უნდა იყოს დაარსებული. კლარჯეთის მონასტრების მონახულებისას ბაგრატ I კურაპალატი, მისი ძმები და დიდებულებიჯმერკის მონასტერსაც ესტუმრნენ. მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისა ყოფილა (გიორგი მერჩულე 1963: 275).

მონასტერი განლაგებულია ძლიერ დამრეც ფერდობზე. აქ სამონასტრო ნაგებობებისათვის მოუწყიათ სუბსტრუქციებით ამოშენებული ოთხი ტერასა, ერთი მეორის ზემოთ. ზედა ტერასაზე იდგა ეკლესია, მომდევნოზე – მოზრდილი შენობა, ალბათ სატრაპეზო, ქვედა ორზე კი აღარაფერი შემორჩა. დიდწილად განადგურებულია ეკლესიაც: მთლიანად ჩაქცეულია მისი გადახურვა და შიდა კედლები; საკურთხევლის აფსიდი თითქმის მთლიანად გამქრალია. პირითი წყობა შერჩა მხოლოდ ჩრდილოეთ კედლის ფრაგმენტს. ის შედგება სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვისაგან. ჰორიზონტული რიგები დაცული არ არის.

დავით ხოშტარია წერს: „ამ ნაშთიდან ჩანს, რომ ჯმერკის ეკლესია იყო მართკუთხა ნაგებობა და ჰქონდა სამნაწილიანი საკურთხეველი. ნიკო მარის მოგზაურობის დროს ეკლესია არსებითად ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიც ახლა. მისი არქიტექტურული ტიპის დანამდვილებით დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ის ფაქტი, რომ შემორჩა მხოლოდ გარე კედლები, უფრო ბურჯებიანი (სვეტებიანი) სტრუქტურების - სამნავიანი ბაზილიკის ან „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის გუმბათიანი შენობის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. კედლის წყობის მიხედვით, ეკლესიას IX საუკუნით შეიძლება დათარიღდეს“ (ხოშტარია, 2009: 68-69).

სამწუხაროდ, ჯმერკის უდაბნოზე და იქ მოღვაწე სასულიერო პირებზე ისტორიული ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, ნარატიულ წყაროებსა თუ

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ამ მონასტრის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ მოიძებნა. ჩვენამდე არც ამ მონასტრის არტეფაქტებს მოუღწევია.

§ 3.7 ბერთა

სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, ართვინის რაიონ სოფელ ბერთაში (Artvin İli, Merkez İlçe, Ortaköy köyü) მდებარეობს. (ბაგაური... 2017: 20). ბერთის სავანე აშენებული უნდა იყოს IX საუკუნის მეორე მეოთხედში. ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე აგებულა – „მაშინ მოვიდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი, ღირსი და სასწაულთა მოქმედი, და პატივით მოიკითხეს ჴელმწიფეთა მათ და თანა წარმოიყვანეს, და მოიწინეს ჯმერკს და ბერთას წმიდისა ღმრთის-მშობელისა ეკლესიათა“ (გიორგი მერჩულე 1963: 275).

ნამონასტრალის ტერიტორიაზე შემორჩენილია ეკლესიისა და სატრაპეზოს ნანგრევები. ტაძარი ამჟამად მეჩეთად არის გადაკეთებული, ზედ მიდგმული მინარეთი კი ხეობაში შორიდანვე მოჩანს. ეკლესია სწორკუთხა ნაგებობაა, საკურთხევლისათვის აფსიდი არ ჰქონია, მხოლოდ მცირე ნიში, სადაც XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო მოხატულობის კვალი. ნიკო მარის ვარაუდით, ეს ტაძარი გუმბათიანი უნდა ყოფილიყო. ეს იყო ფართო, სამ ნავად დაყოფილი სივრცე კამაროვანი გადახურვით. სამხრეთ კედელზე ინტერიერში შემორჩენილი იყო 6 პილასტრი კაპიტელებით. ბერთის არქიტექტურა ჯერ კიდევ შესასწავლია (მარი 2012: 378-379; გივიაშვილი... 2006: 126). ალბათ ამის მიზეზი ისაა, რომ ბერთაში მოქმედი მეჩეთია და მკველევართათვის ნაკლებად არის ინტერიერი სამუშაოდ ხელმისაწვდომი.

ბერთის ეკლესიაზე წარწერა მხოლოდ ერთ ქვაზეა, აღმოსავლეთ კედელში გარედან, ცენტრალური ფანჯრიდან სამხრეთით. წარწერა შესრულებულია პატარა ნუსხური ასოებით. ჩაღრმავებები წითელი საღებავითაა შეღებილი. წარწერა

დაზიანებულია. „სახელითა ღვთისათა ესე ქვანი მე დავითმა ესაჲს ბრძანებითა მოვიტანე“ (მარი 2012: 377) – ვკითხულობთ წარწერაში.

ბერთელი ანაქორიტი ბერი, სავარაუდოდ, იყო გრიგოლ ხანცთელის მოწაფე მიქაელი, რომელიც, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, ბერთის პარეხებში მკვიდრობდა მოწაფესთან ერთად. მიქაელის გარდაცვალების შემდეგ ამ ადგილას ბასილი დამკვიდრდა (გიორგი მერჩულე 1963: 281).

ბერთაში გაიზარდა მიქელ-ზეკეპე, რომელიც შემდგომ ოლიმპოზე მოღვაწეობდა. მას X საუკუნის 60-იან წლებში – ნიკიფორე ფოკასა (963-969) და პატრიარქ პოლიევქტის (956-970) დროს, ე. ი., 963-969 წლებს შორის – ოლიმპზე მოუგია სამოციქულოს ხელნაწერი: „მე მიქელ მღდელმან, ზეკეპე ბერმან, ქუაბისა შვილმან, ბერთას აღზრიდლმან ესე წმინდაჲ პავლე მოვიგე“. დღეს სამოციქულოს ეს ხელნაწერი ათონზე, ივირონის მონასტერში ინახება (Ath 42) (მენაბდე 1980: 182).

ბერთის მონასტრის ხელნაწერი მემკვიდრეობიდან დღეისათვის ცნობილია ორი სახარება. ბერთის (I) ოთხთავი (MS Georgian 1) გადაწერილია 988 წლამდე. ოთხთავი აშშ-ში, ჰარვარდის ჰოუტონის ბიბლიოთეკაში ინახება) ხელნაწერი 257 ფურცლიანია, საწერი მასალა – ეტრატი, შესრულებულია ასომთავრული დამწერლობით, ანდერძი – ნუსხურად. ანდერძში, რომელიც ბოლონაკლულია და თარიღი არ ახლავს, მოხსენიებულია ერისთავთერისთავი სუმბატ არტანუჯელი (გარდ. 988 წელს) და მისი ვაჟები დავითი და ბაგრატი (კარანაძე... 2018: 24-25; შანიძე 1945: 022).

ბერთის (II) ოთხთავი (ხეც, Q-906) გადაწერილია XII ს-ში. ხელნაწერი 342-ფურცლიანია, საწერი მასალა – ეტრატი, შესრულებულია ნუსხურად. ოთხთავი ჩასმულია , ბეშქენ ოპიზარის მიერ მოჭედილ ყდაში. სახარებაზე დაცული მინაწერი საბუთები საინტერესო ცნობების შეიცავს ბერთის მონასტრის კუთვნილი ქონების გასარკვევად.

XII საუკუნეში ოპიზის მოძღვარს იოანეს, რომელიც იოანე მთვარაისძის დისწული იყო, ბერთის მონასტრისათვის შეუწირავს სახარება (რომელიც იოანე მთვარაისძემ აჩუქა თავის დისწულს სიმონს, მან სახარება იოანეს დაუტოვა – ნ. ხ.), იოანე მთვარაისძის ოქროს ჯვარი, ყანა და ვენახი. აღაპი განუწესებიათ მისთვის და

მისი ძმებისთვის სიმონ, ბასილი და ნიკოლოზისათვის: ,,მოვაჴსენე პირველად ესე სახარებაჲ დედასა ღ(მრ)თისასა და ბერთასა და მასვე ბერსა ებოძა ჯუარი ოქროჲსაჲ ჭეშმარიტითა ნაწილითა. – მოვაჴსენე იგიცა. ვენაჴი მეყიდა ბერთისაგანვე სამეოცდაათ ბოტინატად და დიდი ჭირი მენახა ვენაჴისა აშენებასა და ზედა სახლისა აგებასა – მოვაჴსენე იგი ვენაჴიცა. და კ[უა]ლად მოვიგონე რომელ უმიწოჲ საუკუნოჲ აღაპი არა დამტკიცდებოდა. მოვაჴსენე თორმეტი ბოტინატი და მათ მიბოძეს წისქულის-ჴევისა აგარაჲ, კარსა ზედა, ნაფუზრითა და სამსთჳსა ყანებითა. მსგავსი ჩემისა გულმოდგინებისაჲ და სასოებისა და სიყუარულისათჳს გამიკჳთეს აღაპი: დღესასწაული დიდებული – მიგებებაჲ უფლისა ჩ˜ნისა იესუ ქრისტესი, რომელ არს ლამპრობაჲ“. მისი დაწერილის მოწმე ყოფილა ბერთის წინამძღვარი მიქაელი, მოძღვარი ოქროპირი, დეკანოზი სტეფანე და ბერთის მონასტრის ყოველი ერი, დიდი და მცირე (Q ფონდის აღწერილობა 1958: 319-320).

ბერთის ღვთისმშობლისათვის კოპაჲსძე ამბრის და მის ძმებს – შუბამანს და ზავრას შეუწირავთ სამ-სამი ლიტრი სანთელი: ,,ესე წიგნი მოვაჴსენეთ ჩ(უე)ნ, კოპაჲძეთა: ამბრი, შუბამან და ზავრა და ყოველთა მომავალთა სახლითა ჩ(უე)ნისათა, თქ(უენ)ნ, ყ(ოვლა)დ წმიდასა ღ(მრ)თისმშობელსა ბერთისასა და სრულად ბერთასა შემოვსწირეთ წელიწადსა შიგან სამ-სამი ლიტრა სანთელი საუკუნოდ... და ვინცა [ესე] სანთელი საყდარს არა დაწუას, იგიმცა რისხავს“. მინაწერი შესრულებულია XIV-XV საუკუნის ნუსხურით (Q ფონდის აღწერილობა 1958: 320).

სახარებაზე დაცული ერთ-ერთი კოლოფონის მიხედვით, ოპიზის წინამძღვარმა დავით ...ლასიძემ ბერთის ღვთისმშობელს შესწირა მისგანვე ნაყიდი ვენახი, ყანა, მარანი და გაიჩინა საუკუნო აღაპი ხარების დღესასწაულზე. ამ საბუთის დამწერი ყოფილა დოლისყანის დეკანოზი მიქელი (მინაწერი შესრულებულია XV საუკუნის მხედრულით) (Q ფონდის აღწერილობა 1958: 321).

სახარების 264v-265r გვერდებზე დაცულია მთავარეპისკოპოს ანჩელი ქერაბინის მინაწერი საბუთი. მას დაუმტკიცებია ,,პატრონთა ათაბაგთა“ დამტკიცებული მირიანის მამული, რომელიც სანახევროდ ჰქონდათ ბერთისა და

პარეხთას უდაბნოებს. დასასრულს მინაწერს ახლავს მთავარეპისკოპოსის ხელრთვა (შესრულებულია მხედრული ასოებით) (Q ფონდის აღწერილობა 1958: 321-322).

ოსმალების მიერ კლარჯეთის მხარის დაპყრობის შემდეგ ბერთის მონასტერი გარკვეული პერიოდი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ისლამის გამავრცელებელთა წინააღმდეგ: „ოსმალთა მონების ქვეშ შესვლას შედეგად მოჰყვა მთელი ამ ადგილების გამაჰმადიანება, გამაჰმადიანებისთვის წამება, ხალხი დიდს უარს იყო გამაჰმადიანებაზე, მაგრამ ხსნა არ საიდგან იყო. უკანასკნელ იწყეს გამაჰმადიანება და რავდენიმე ხნის განმავლობაში მთელი ეს ადგილები ბერთამდის მცხოვრებნი ქართველნი მთლად გაამაჰმადიანეს. ამათ შემდეგ ბერთას მიადგნენ. ბერთაში ძველად მშვენიერი ეკლესია იყო და ამ ეკლესიას დიდი ზეგავლენა ჰქონდა ამ მხარის ქართველებზე; ბერთას ხსენება სასტიკად ამაგრებდა ქართველთა და ამათ მხნეობით მოსავდა გამაჰმადიანების წინააღმდეგ, მაგრამ ესეც შემცირდა. უკანასკნელ ოსმალთა სცნეს საქმის ვითარება და მალე ბერთას ტაძარსაც მოხვიეს ხელი, სამღვდელონი გაძარცვეს და ეკლესია ჯამედ გადააკეთეს“ (ჭიჭინაძე 1915: 6).

§ 3.8 ბარეთელთა

ბარეთელთა ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, არტანუჯის რაიონის სოფელ ჭედილაში (Artvin İli, Ardanuç İlçesi, Bağlıca köyü) მდებარეობს (ბაგაური... 2017: 20). სავანე აშენებულია IX ს.-ის მეორე მეოთხედში. ამის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ცნობა ბაგრატისა და მისი ძმების მიერ კლარჯეთის უდაბნოების მოლოცვის შესახებ. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ პირველად იხსენიება ბარეთელთას მონასტერი. ბაგრატ კურაპალატი აშოტ კურაპალატის გარდაცვალების, ანუ 826 წლის, შემდეგ ტაო-კლარჯეთის მხარის მმართველი გახდა. შესაბამისად, მონასტრების მოლოცვის დროის ქვედა ზღვარად 826 წელი, ხოლო ზედა ზღვარად – 861 წლამდე, გრიგოლ ხანცთელის

გარდაცვალებამდე პერიოდი უნდა მივიჩნიოთ. მონასტერი აუშენებია ზაქარიას, რომელიც მიძნაძორის წინამძღვრის დავითის მოწაფე იყო. ის ბარეთელთას წინამძღვარიც ყოფილა, მისი „მამაჲ“-დ მოხსენება ამის მანიშნებელია: „და ჟამსა მასვე მოიწია წინამძღუარი მიძნაძოროჲსაჲ დიდი მამაჲ სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთაჲ, და მოწაფენი მისნი, ნეტარნი: ილარიონ, მამაჲ და მაშენებელი წყაროჲსთავისაჲ, რომელიცა კათალიკოზ იქმნა მცხეთას, და მამაჲ ზაქარია, მაშენებელი ბარეთელთისაჲ, წინა მიგებებად ჴელმწიფეთა მათ“ (გიორგი მერჩულე 1963: 275).

1904 წლის მოგზაურობისას ბარეთელთას მონასტერს ნიკო მარმა მიაკვლია. სოფელ ჭედილაში მისვლის შემდეგ ნიკო მარმა გამოთქვა სურვილი, რომ დაეთვალიერებინა მდ. იმერხევთან ადგილი ბარათეული. ნიკო მარი ადგილობრივებმა მიწისქვეშა ნაგებობასთან მიიყვანეს. მათი რწმუნებით, ეს ძველი წისქვილი უნდა ყოფილიყო. თუმცა მონახულების და აღწერის შემდეგ ივარაუდა, რომ შესაძლებელია ეკლესიის ნაწილიც ყოფილიყო: „საკურთხევლის ნახევარწრე ზემოთ მთავრდება არა ნახევარგუმბათით, როგორც ჩვეულებრივ არის, არამედ თაღით. კედლისკენ თაღი ვიწროვდება და იქმნება მილი, სადღაც მაღლა მიმავალი. ახლა იგი ამოვსებულია. ამ მილს შეეძლო კიდეც წარმოეშვა აზრი აქ წისქვილის არსებობის შესახებ. მაგრამ ის, შესაძლებელია, გამოიყენებოდა სამერცხულად. ნებისმიერ შემთხვევაში არაზუსტი ორიენტირება არ შეიძლება ხელს უშლიდეს ამ ნაგებობაში ეკლესიის ამოცნობას“ (მარი 2012: 285-286).

მალხაზ ჩოხარაძის აღწერით, „ტოპონიმი ,,ბარეთევლა“ დღეს მოიცავს ტერიტორიას შავშეთისწყლის ნაპირიდან იმ ადგილამდე, სადაც ნაეკლესიარს აჩვენებენ. სოფელი ჭედილა ბარეთევლას ზემოთაა, დაახლოებით ხუთი კილომეტრის მოშორებით. ბარეთევლადან ჭიდილამდე სივრცეს უწოდებენ ,,დეფანეს”. ნაეკლესიარი ქვის ხიდის ნაშთებიდან სამასიოდე მეტრითაა მოშორებული და შავშეთისწყლის შენაკად პატარა მდინარის (ჭედილას) მარჯვენა ნაპირზეა, ზედ მდინარისპირა ფერდობზე“. მკვლევრის თქმით, მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ტოპონიმი ,,ბარეთევლა” გრიგოლ ხანძთელის ,,ბარეთელთას” გამოძახილი უნდა იყოს, სავსებით მისაღებია, მიუხედავად იმისა,

რომ ნამონასტრალის ზუსტი ადგილმდებარეობის მითითება დაბეჯითებით ვერავინ შეძლო და ლოკალიზაციის ნიკო მარისეული ცდა ყველაზე მისაღები ვერსიაა დღემდე. თუმცა იგი გარკვეულ ეჭვს გამოთქვამს მონასტრის ადგილმდებარეობის კონკრეტულ ადგილთან დაკავშირებით (ჩოხარაძე 2015: 272-274).

§ 3.9 დაბა

კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთაგან“ ერთ-ერთი, დაბის მონასტერი, დაარსებული უნდა იყოს IX ს.-ის მეორე მეოთხედში. როგორც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ ჩანს, ის აშენებულა წმ. დიდმოწამე გიორგის სახელზე („და მოიწინეს ჯმერკს და ბერთას წმიდისა ღმრთის-მშობელისა ეკლესიათა და დაბას წმიდისა მოწამისა გიორგის ეკლესიასა“) (გიორგი მერჩულე 1963: 275).

დაბის მონასტერი უნდა მდებარეობდეს მდ. იმერხევის ხეობაში, ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, ართვინის რაიონის სოფელ ჯმერკში (Artvin İli, Merkez İlçe, Çimenli köyü) (ბაგაური... 2017: 21). ნიკო მარის მოგზაურობის დროს, 1904 წელს მონასტერი სრულიად დანგრეული იყო. მკვლევარმა მხოლოდ ეკლესიის უმნიშვნელო ნაშთი ნახა. (Марр 1911: 180; ხოშტარია 2009: 36).

პავლე ინგოროყვამ ივარაუდა, რომ დაბა აშენებული უნდა ყოფილიყო ვახტანგ გორგასლის დროს: „V ს-ში დაბა ჯერ კიდევ არ ყოფილა განკუთვნილი მონასტრად, არამედ ეკლესია-ტაძარს წარმოადგენდა“ (ინგოროყვა 1954: 344-345). მალხაზ ჩოხარაძე აღნიშნავს, რომ პავლე ინგოროყვას მოსაზრება, როგორც ვერსია, დამაჯერებელია (ჩოხარაძე 2015: 239).

ჩვენი ვარაუდით, დაბის აშენების დათარიღებას V საუკუნით მყარი არგუმენტი არ უდევს საფუძვლად, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხის მიხედვით (ანასეული – „ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერნი, სამნი ეკლესიანი, ბაბა მერისა, შინდობის და ა[ხ]იზის“ (ხეც, Q-795, 94r); ჭალაშვილისეული – „ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და

მონასტერი, რომელ არს ოპიზა და სამნი ეკლესიანი: ბაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა“ (ხეც, Q-207, 131r); მარიამისეული – „ხოლო: არტევაზ: აღაშენა არტანუჯსა: მონასტერი: და: სამნი: მონასტერნი: დაბასა: მერისა: ბიდონიასა: და: ახიზისა: და: ქმნა: იგი: ქუაბად:“ (ხეც, S-30, 184r). ამ ფრაგმენტში „დაბა“ შესაძლებელია დასახლებული პუნქტის მნიშვნელობით იყოს ნახსენები. მარიამისეული ნუსხის ამ ფრაგმენტს ზუსტად იმეორებს ქართლის ცხოვრების „ძველი ციკლის“ ორი ხელნაწერი ე. წ. კლიმიაშვილისეული (ხეც, Q-1219) და მაჩაბლისეული (ხეც, H-2135) ნუსხები), არც პირდაპირ და არც ირიბად არ ჩანს დაბას აშენების ფაქტი. უფრო სავარაუდებელია, რომ გორგასლის მეფობის დროს აშენდა მერეს ეკლესია, რომელიც შემდეგ გადაკეთდა მონასტრად. ვახუშტი ბატონიშვილთანაც გვხვდება ცნობა, რომლის მიხედვითაც, მერე V საუკუნეში ვახტანგ გორგასალს აუშენებია (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 682).

§ 3.10 მერე

მერეს დედათა მონასტრის მდებარეობა დღეისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველია და ლოკალიზებას საჭიროებს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „მერე“ სწორ ადგილს, სწორ ვაკეს ნიშნავს: „მერე არს მდინარეს კიდე, ვაკე, ჭალა“ (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 465).

1904 წელს კლარჯეთში მოგზაურობისას ნიკო მარი მერეს მონასტრის მოძიებას შეეცადა. მან ყურადღება მიაქცია, რომ იმერხევში ორი ადგილი ყოფილა, რომელსაც მერე ეწოდება: სოფ. წყალსიმერთან, მერე და სოფ. სურევანთან, ქვემოთ, მდინარესთან სახნავი ადგილი – დიდმერე (მარი 2012: 42, 150). მოგვიანებით, როცა იგივე ტოპონიმი – მერე – კარჩხალის ხეობაშიც აღმოჩნდა, მკვლევარმა უპირატესობა მიძნაძორისა და წყაროსთავის სექტორში მდებარე ამ პუნქტს მიანიჭა, თუმცა თავად იქამდე აღარ ასულა. (მარი 2012: 314, ჩოხარაძე 2015: 269). მალხაზ ჩოხარაძის მსჯელობით, „მერეს დედათა მონასტერი მდებარეობდა კარჩხალის ხეობაში, წყაროსთავსა და მიძნაძორს ზემოთ, გზატკეცილიდან ათიოდ

კილომეტრზე. „თუ გავითვალისწინებთ სოფლის მდებარეობას, სხვა სავანეებთან მეზობლობას, შემორჩენილ ტოპონიმს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქვე უნდა ყოფილიყო მონასტერიც. დანამდვილებით ნაეკლესიარ ადგილსაც ვერ აჩვენებენ“ (ჩოხარაძე 2015: 269).

საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრმა შავშეთში, სოფ. მერიას განაპირას, მცირე ბორცვზე მიაკვლია მოსწორებულ ადგილს, რომელსაც ადგილობრივები „მონასტერს“ უწოდებენ. მათივე თქმით, იქ ქალთა სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. დღეისათვის აღნიშნულ ადგილას ნაგებობის არავითარი კვალი არ გაირჩევა. იმავე სოფლის მოლოხორის უბანთან ახლოს, ტყეში მდებარეობს დარბაზული ტიპის ეკლესია. ცენტრის თანამშრომლები გამოთქვამენ ჰიპოთეზას, რომ აღნიშნული ძეგლი შეიძლება იყოს მერეს დედათა მონასტერი (ტაო-კლარჯეთის ექსპედიციები (2015), 2016: 16-17).

პავლე ინგოროყვა ვარაუდობს, რომ მერეს მონასტერი აშენებული უნდა იყოს V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „კუალად აქავ არტანუჯს აღაშენა გორგასლან მონატერნი მერისა, შინდობისა და ახიზისა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 682).

ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული მერეს ეკლესიისა და მერეს დედათა მონასტერის გაიგივებას მტკიცე საფუძველი არ აქვს. სახელების დამთხვევა მექანიკურად გვაფიქრებინებს ამ ორი ძეგლის იგივეობაზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ „მერე“ საკმაოდ გავრცელებული ტოპონიმია კლარჯეთის მხარეში და სხვადასხვა პუნქტი შეიძლება იყოს.

კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოში“ მერე ერთადერთი დედათა მონასტერია. მისი ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აშენებული: „და შენცა იქმენ მორჩილ სიტყუათა ჩემთა, ვითარცა ყოლადვე თავსიდევ ყოლადვე წმიდისა ღმრთის-მშობელისა ეკლესიასა მერეს მღდელობაჲ“ (გიორგი მერჩულე 1963: 283).

IX საუკუნის დამდეგს მერეში მკვიდრდება გრიგოლ ხანცთელის მეგობარი, „სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკობილი“ დედა ფებრონია, რომელიც იქ სამცხიდან მივიდა. ამ მონასტერში მოღვაწეობდნენ ხანცთელი მღვდლები („ხუცესი მერისაჲ ხანცთით არნ“) (გიორგი მერჩულე 1963: 261). ორმოცი წლის

განმავლობაში მერეს ხუცესი იყო მატოი, გრიგოლ ხანცთელის მოწაფე, რომელიც საკმაოდ დაუძლურებული ბერთას მონასტერში აღესრულა. გიორგი მერჩულეს თხზულების ცნობით, მატოის მიცვალების ჟამს, მერეს დეკანოზი დედა თემესტია ყოფილა. ამ დროს სავანეში ასევე მოღვაწეობდა დედა ანატოლე, რომელიც დაყუდებული მონაზონი უნდა ყოფილიყო (გიორგი მერჩულე 1963: 285-286).

ეს მონასტერი, როგორც ჩანს, მთლიანად განადგურებულა, მისი კვალიც აღარ ჩანს. ნიკო მარიდან მოყოლებული, დღემდე ვერც ერთმა მკვლევარმა ვერ შეძლო მისი მიკვლევა (ხოშტარია 2009: 36).

§ 3.11 დოლისყანა

კლარჯეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-სამონასტრო ცენტრი დოლისყანა მდებარეობს ართვინის მხარეში, ართვინის (ცენტრალურ) რაიონში, სოფ. დოლისყანაში (Artvin İli, Merkez İlçesi, Hamamlı köyü) (ტაო-კლარჯეთი. კატალოგი 2017: 24).

დოლისყანა, როგორც დასახლებული პუნქტი, მოიხსენიება 826 წელს აშოტ კურაპალატის მკვლელობის ისტორიასთან დაკავშირებულ ამბავში. სუმბატ დავითის ძესთან ვკითხულობთ: ,,ხოლო ესმა რაჲ ესე ამბავი ერსა მისსა, რომელი იგი იყვნენ დოლისყანასა, ვითარმემ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ ჴელითა ოროზ-მოროზის ძეთაჲთა. წარვიდეს დოლიყანით და დევნა უყვეს უფლისა თჳსისათა“ (სუმბატ დავითის ძე 2008: 364). სოფელ დოლისყანას სახელი მომდინარეობს პურეულის ერთ-ერთი ჯიშის სახელისაგან, დოლის პურისგან. ამ სოფელში აშენებულმა ტაძარმაც სახელი სოფლისაგან მიიღო (ცეცხლაძე 2004: 53).

IX საუკუნის მეორე მეოთხედში როდესაც მეფე-მთავრებმა წმინდა მამებთან ერთად მოილოცეს კლარჯეთის სავანეები, დოლისყანა ჯერ კიდევ არ იყო მონასტერი: ,,ხოლო დოლის ყანაჲ მონასტრად უკუანაჲს იქმნა“ (გიორგი მერჩულე 1963: 275). როდის დაიწყო დოლიყანაში სამონასტრო ცხოვრება, ამის შესახებ

გიორგი მერჩულე არაფერს წერს, იგი, სავარაუდოდ, უნდა დაარსებულიყო დაახლოებით 850-950 წლებს შორის (ხოშტარია 2009: 111). ყველა სამონასტრო ნაგებობა, გარდა ეკლესიისა, მთლიანად იყო განადგურებული უკვე მე-19 საუკუნის ბოლოს. ეკლესიის მდგომარეობა ცუდი არ არის. მის ძირითად ჯვრულ ნაწილში ბოლო ხანებამდე ჯამე ფუნქციონირებდა. ეკლესია ჯამედ იყო ქცეული 1888 წელსაც, როცა ის ანდრეი პავლინოვმა ინახულა. 1999 წელს ჯამე ეკლესიიდან გაიტანეს) და, ამდენად, უკეთ იყო დაცული. აქ მთელია კედლებიცა და გადახურვაც.

ეკლესია ნაგებია შერეული მასალით. კედელის შიდა და გარე წყობას შეადგენს საშუალო ზომის უხეშად დამუშავებული ქვები. მშენებლობის ხარისხი საკმაოდ მაღალია, ფორმები სუფთად, წესიერად არის გამოყვანილი.

კომპოზიციურად, დოლიყანის ეკლესია წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას ჯვრული ძირითადი სივრცითა და ოთხსავე კუთხეში მოწყობილი დამატებითი სათავსებით. შენობის გეგმა წაგრძელებულ მართკუთხედში იწერება. ძირითადად ჯვრულ კორპუსს შეადგენს ცენტრალური კვადრატი და გამომავალი ოთხი მკლავი – ერთი (აღმოსავლეთისა) აფსიდური და სამი მართკუთხა. დასავლეთ მკლავში, რომელშიც ჩაშენებულია. წინა კედლის კამარამდე ამოშენების შემდეგ პატრონიკე განცალკევებულ, დახურულ სათავსად იქცა და ამრიგად, დასავლეთის მკლავს მოწყდა მისი დასავლეთ ნაწილი.

მთავარი შესასვლელი ეკლესიას აქვს დასავლეთის მკლავის სამხრეთ კედელში. ამ კარამდე მისასვლელად საჭიროა სამხრეთ-დასავლეთ კუთხის სათავსის გავლა. საფიქრელია, რომ ამ სათავსის სამხრეთ კედელი (ამჟამად მთლიანად დაქცეული) თაღებით იქნებოდა გახსნილი და მთლიანად მას სტოა-კარიბჭეს სახე ექნებოდა. მეორე კარი ეკლესიაში შეიძლება ყოფილიყო დასავლეთის მკლავის დასავლეთ ბოლოში. ახლა აქ ყველაფერი ნაყარი ქვებითა და მიწით არის ამოვსებული და დაზუსტებით თქმა ჭირს (ხოშტარია 2009: 111-114).

დოლისყანის ეკლესიის კედლებმა შემოინახა წარწერები, რომელთა ნაწილი ქტიტორული ხასიათისაა, საიდანაც ირკვევა, რომ ტაძრის ხუროთმოძღვარი

გაბრიელი იყო და დოლისყანის ეკლესია განახლდა 954-958 წლებში, სუმბატ I-ის მეფობის დროს.

დოლისყანის ტაძრის გუმბათის ყელზე მოთავსებულია რელიეფი – ტაძრის ქტიტორის სუმბატის ქანდაკება. სუმბატს სახე მიპყრობილი აქვს აღმოსავლეთისაკენ და ხელთ უპყრია გუმბათიანი ეკლესიის მოდელი, მასზე მოთავსებულია ორსტრიქონიანი წარწერა:

„ქ(რისტ)ე, ად(ი)დ(ე)ნ | მეფე ჩ(უე)ნი ს(უმ)ბ(ა)ტ“ (შოშიაშვილი 1980: 291).

დოლისყანის ტაძრის სამხრეთ ფასადის სარკმელს ნალისებურად შემოვლებული აქვს რელიეფური ორნამენტი, მის ქვეშ, ზედ სარკმლის თავზე ამოღარულია ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

,,ქ(რისტ)ე, ადიდე მეფჲ | ჩ(უენ)ის(უმ)ბ(ა)ტ მზ(ე)გრძ(ელო)ბ(ი)თ“ (შოშიაშვილი 1980: 291).

ეკლესიის სამხრეთის ფასადის სარკმლის ორ მხარეზე მთავარანგელოზთა რელიეფებია ამოკვეთილი: აღმოსავლეთით გაბრიელის, დასავლეთით მიქაელის. გაბრიელ მთავარანგელოზის გამოსახულებასთან გამოქანდაკებულია მისდამი ვედრებით მიმართული ადამიანის ბიუსტი, მის ქვემოთ ამოკვეთილია მთავარანგელოზთა ქანდაკების ოსტატის ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

,,შ(ეი)ქმნ(ა) (ე)ს(ე) ჴ(ე)ლ(ი) | თა გ(ა)ბრ(იე)ლ | დ(ია)კ(ო)| ნ(ი)ს(ა)ჲ | თა“ (შოშიაშვილი 1980: 292).

დოლისყანის სამხრეთ-დასავლეთ ეგვტერის აღმოსავლეთ კედელზე ამოკვეთილია საკურთხევლის ჩაღრმავება-ნახევარწრე, ნახევართაღი, რომელშიც წყობის მე-3 რიგზე ქვემოდან ერთ-ერთ ქვაზე გამოქანდაკებულია ანგელოზის რელიეფი. ამ ჩაღრმავების ზემოთ მოთავსებულია ნახევარწრედ წყობის ერთი რიგი, მის ზემოთ კი ჩასმულია ქვა წმინდა ესტატეს რელიეფით. როცა ეს რელიეფი ნიკო მარს უნახავს, იგი ძლიერ დაზიანებული ყოფილა. მასზე დაცულია შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

,,წ (მიდა)ო| სტე | ფან | ე შ(ეიწყალ)ე | მ (ო) | ძ | ღ(უა)რ [ი] გ (ა)ბ(რიე) ლ.“ (შოშიაშვილი 1980: 292).

მეორე რელიეფი – მაცხოვრის ფიგურა-მედალიონში – ნაწილია სამფილიანი კომპოზიციისა, რომელიც შეიცავს წარწერას. წარწერა ნაკლულია, ქვედა ფილა დაკარგულია:

,,ი(ეს)უ ქ(რისტ)ე,

წ(მიდა)ჲ ესე ეკლესი(ა)ჲ წ(ინაშ)ე დღესა

... მეფეთა ჩ(უე)ნთა

... ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე“ (შოშიაშვილი 1980: 293-294).

დოლისყანის ეკლესიის არქიტექტურული გადაწყვეტა მოწმობს, რომ ის აგებული უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ხელოვნების აყვავების ხანის უშუალოდ წინა პერიოდში, ოშკსა და ხახულზე ცოტა ადრე, X საუკუნის შუა ხანებში. თარიღის დასაზუსტებლად მნიშვნელოვანი საყრდენია ეკლესიის წარწერები, რომლებშიც ქტიტორად იხსენიება სუმბატ მეფე. თავდაპირველად დიმიტრი ბაქრაძემ და ანდრეი. პავლინოვმა გააიგივეს იგი ადარნასე ქართველთა მეფის უმცროს შვილთან სუმბატ კურაპალატთან და, შესაბამისად, ნაგებობის აშენების დრო მისი მეფობის პერიოდით – 954-958 წლებით განსაზღვრეს (ხოშტარია 2009: 122-123). განსახვავებული მოსაზრება ჰქონდა ნოდარ შოშიაშვილს, მისი შეხედულებით, სამხრეთ-დასავლეთ სათავსის აღმოსავლეთ წარწერაში დაკარგულ ფილაზე სუმბატთან ერთად იხსენიებოდა მისი უფროსი ძმა ბაგრატიც. ასეთი აღდგენის საფუძველზე ნოდარ შოშიაშვილმა დოლისყანის ეკლესია X საუკუნის პირველი ნახევრით დაათარიღა (შოშიაშვილი 1980: 290).

ნოდარ შოშიაშვილის მოსაზრებას იზიარებს ვახტანგ ჯობაძე. მისი მსჯელობით, დოლისყანის ეკლესია დაახლოებით 937-945 წლებს შორის აუგია ბაგრატ მეფეს, ხოლო 954-958 წლებში განუახლებია მის ძმას – სუმბატს (ჯობაძე 2007: 88).

ნოდარ შოშიაშვილის და ვახტანგ ჯობაძის მოსაზრებას მხარს უჭერს დოლისყანის ახლად გამოვლენილი წარწერები, რომლებიც შეისწავლა და გამოაქვეყნა ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ.

ერთი წარწერა ეკლესიის მთავარი შესასვლელის – სამხრეთის კარის ტიმპანის მთავარ ნაწილზე – დიდი ზომის ბალავრის ქვაზეა ამოკვეთილი. იგი

მთელ ქვაზე უნდა იყოს დატანილი, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ მოჩანს. წარწერა 6 სტრიქონიანია, აქედან 4 სტრიქონი ნუსხურადაა შესრულებული, ხოლო 2 სტრიქონი – ასომთავრულით. წარწერა დაქარაგმებულია, მსუბუქად ნაკვეთი ადგილები სინგურითაა დაფერილი, ფრაგმენტულად სხვადასხვა სიდიდეზე ამოცვენილი ოთხი ადგილიდან წარწერაში, სავარაუდოდ, დოლისყანა იკითხება. ბუბა კუდავა წარწერას X ს-ის I ნახევრით ათარიღებს.

გუმბათის ყელზეა მოთავსებული მეორე წარწერა, ასომთავრული დამწერლობით შესრულებული, თითო სტრიქონი თითო თაღზე. წარწერა ეკლესიის პირველი ეტაპის მშენებლობის თანადროული, ანუ X ს-ის I ნახევრის უნდა იყოს.

მკველვარი ტიმპანისა და გუმბათის ყელის წარწერების შინაარსის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს, რომ ორივე მათგანი საქტიტორო ხასიათისა უნდა ყოფილიყო და მშენებლობის პირველ ეტაპს – X საუკუნის I ნახევარს უნდა უკავშირდებოდეს. ბუბა კუდავას მოსაზრებით, ორივე წარწერა სპეციალურად უნდა დაეზიანებინათ: „ტიმპანის წარწერა საგანგებოდ გადალესეს და მოხატეს, გუმბათის ყელის მოხდენილი წარწერის შემცველი ქვები კი გათალეს, ადგილები გადაუნაცვლეს და მეორედ გამოიყენეს. დაზიანების შედეგად, წარწერის შინაარსი ფაქტობრივად უცნობი გახადეს“ (კუდავა 2016: 19-29).

დოლისყანის ეკლესიის სამხრეთის და დასავლეთის მკლავებზე შემორჩა ნაკაწრი და საღებავით შესრულებული წარწერები, სავარაუდოდ, XIV-XV საუკუნეებისა. მათი ნაწილი სამეცნიერო საზოგადოებას ზაზა სხირტლაძემ გააცნო.

დასავლეთ მკლავში გრაფიტები თავმოყრილია სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ კიდეში, კარის მარცხნივ. აქ ბათქაშის ფენა, ისიც ფრაგმენტულად, მხოლოდ კედლის ზედა ნაწილს შემორჩა. მასზე სხვადასხვა დროის წარწერებია შესრულებული.

კედლის ამ მონაკვეთზე შემორჩენილი წარწერებიდან ყველაზე მაღლა ორსტრიქონიანი ასომთავრული ტექსტი ამოუკაწრავთ. ტექსტის დასაწყისი

ბათქაშის ჩამოშლის გამო დაზიანებულა, მაგრამ შესაძლებელია მისი სრული სახით აღდგენა: „[ქ(რისტ)ე] შ(ეიწყალ)ე მოძღ(უა)რი მაკ(ა)რი გაბელისძე

[უღ]ირსი, დღესა პ(ეტრ)ე პ(ა)ვლობ(ა)სა ი˜ კ˜თ“.

წარწერა, სავარაუდოდ, XV ს-ის I ნახევრით თარიღდება. ტექსტის ბოლოს მინიშნებული ორი რიცხვიდან პირველში (10) ივნისი უნდა იგულისხმებოდეს, ქრისტიანული საეკლესიო წელიწადის მეათე თვე, ხოლო მეორეში (29) – წმ. პეტრეს და წმ. პავლეს ხსენების დღე.

წარწერაში მოხსნიებული მაკარ გაბელისძე სხვა წყაროებში არ ჩანს. ზაზა სხირტლაძის ვარაუდით, მაკარი შესაძლებელია დოლისყანაში მოღვაწეობდა, რადგან საეკლესიო დღესასწაულებზე აღაპები და მოსახსენებლები იმ პირთათვის იდებოდა, რომლებსაც ტაძრის ან მონასტრის მიმართ გარკვეული ღვაწლი ჰქონდათ.

ამ წარწერის ცოტა ქვემოთ ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერის ფრაგმენტია: „[...]ვლისა მოწაფენი, ამინ“.

თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი ამის ქვემოთ ამოკაწრული ნუსხური ორსტრიქონიანი წარწერა: „წ. საშინე(ლნ)ო მთავარანგელოზნო მ(ი)ქ[(აე)ლ] | და გაბრიელ, ღარიბს მახარე[ბელს შეეწიეთ]“. წარწერა XIV-XV საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

იქვე ამოკაწრულ მეორე, XV-XVI სს. მხედრულით შესრულებულ ერთსტრიქონიან წარწერაშიც მოიხსენიება სიტყვა „მახარებელი“: „[ქ]რ(ი)სტე შ(ეიწყალ)ე მახარებელი“.

მომდევნო ერთსტრიქონიანი წარწერა სავედრებელი შინაარსისაა. ის ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. მხოლოდ ორი დაქარაგმებული სიტყვა იკითხება: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე [...] [...]“. წარწერა, სავარაუდოდ, XIV-XV სს. განეკუთვნება.

ამ წარწერების გარდა, ეკლესიის სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელზე შეინიშნება ნაკაწრი და საღებავით შესრულებული გრაფიტები. მათი დიდი ნაწილი დაფარულია კედელზე დაკრული სქელი ქაღალდით. ამის გამო წარწერების მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტების წაკითხვაა შესაძლებელი. ამ

წარწერების შესრულების სავარაუდო თარიღია XIV-XV სს. შედარებით უკეთესად იკითხება მხედრულით ნაწერი ხუთსტრიქონიანი წარწერა, რომელიც საკმაოდ მაღლა, 220 სმ სიმაღლეზეა შესრულებული შავი ფერის საღებავით: „ქ. ᲰᲐ მე ქრისტე მაცხოვარ ვი[...] | საწყალობელმან ᲰᲘ ვი[თარ] ვი[...] | განმიკითხავდე, არამედ შემიწყალე[...] | შემდგომი პირველი წ[აიკით]ხოსა გ[...] | ო[- -]უნსა, დიდებაᲲ ყოლადვე აწ და მა[რადის] [...]“ (სხირტლაძე 1993: 126-130).

დოლისყანის ეკლესია მოხატული იყო. შემორჩენილია მეტნაკლებად დაზიანებული ექვსი ფიგურა საკურთხევლის აფსიდის ქვედა რეგისტრში, სარკმლის მარჯვნივ (მარცხნიდან მეორე, წარწერის მიხედვით, არის წმინდა ილარიონი, მესამე _ წმინდა გრიგოლ საკვირველმოქმედი. სხვების ვინაობა ვერ დგინდება) და განკითხვის დღის სცენის ფრაგმენტები სამხრეთის კარის ტიმპანში. 1964-1967 წლებში ნ. და ჟ.-მ. ტᲐერებს მხატვრობა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში დახვდათ. ჯერ კიდევ არ იყო შეთეთრებული საკურთხევლის შუა (მოციქულთა ფიგურები) და ზედა (მაცხოვრის დიდი ფიგურა) რეგისტრები. ჩანდა აგრეთვე დიდი ფრაგმენტები გუმბათის ყელსა (წინასწარმეტყველთა ფიგურები) და საკუთრივ გუმბათში (მაცხოვრის ამაღლების კომპოზიცია). ნ. ტᲐერი საკურთხევლისა და გუმბათის ნახევარსფეროს მხატვრობას XI-XII საუკუნეთა მიჯნით ათარიღებს, გუმბათის ყელისას – XII-XIII საუკუნეთა მიჯნით, სამხრეთით კარის ტიმპანისას – XIII ს.-ის I ნახევრით (ხოშტარია 2009: 124). ვახტანგ ჯობაძე, პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ფიქრობს, რომ დოლისყანის მოხატულობა XIII საუკუნისა უნდა იყოს (ჯობაძე 2007: 74).

დავით ხოშტარიას მართებული მოსაზრებით, დოლისყანის ეკლესია წმ. მთავარანგელოზთა სახელობისა უნდა ყოფილიყო. ამას აფიქრებინებს შენობის სკულპტურულ დეკორში მიქაელისა და გაბრიელის გამორჩეული წარმოდგენა და ნაკაწრ წარწერებში მთავარანგელოზთადმი მიმართვა. (ხოშტარია 2009: 124).

დოლისყანაში მოღვაწე მამების შესახებ მწირი ცნობებია შემორჩენილი. სტეფანე დოლისყანელი ყოფილა დამწერი გიორგი ხუცისძის მიერ კორიდეთის ეკლესიისათვის მიცემული ვენახის შეწირულობის დაწერილისა. იგი, სავარაუდოდ, XI საუკუნის მოღვაწეა (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 2007: 198).

XII საუკუნეში გადაწერილ ბერთის სახარებაში (ხეც, Q-906) დაცულია რამდენიმე მინაწერ-საბუთი. ერთ-ერთ ასეთ მინაწერში იხსენიება დოლიყანის დეკანოზი მიქელი. იგი ოპიზის წინამძღვრის – დავით [...]ლასიძის მიერ ბერთის მონასტრისათვის მამულის შეწირვის ფაქტის მოწმე ყოფილა. „მე, დოლისყანისა დეკანოზსა მიქელსა დამიწერია და მოწამეცა ვარ... ღმერთმან“. მინაწერი შესრულებულია მხედრულით, XV ს-ის ხელით (Q ფონდის აღწერილობა 1958: 321).

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში C 25 ნომრით ლიტურგიკული კრებულია დაცული. ხელნაწერი, პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება. მკვლევარ თემო ჯოჯუას მოსაზრებით, ხელნაწერის მომგებელია დოლისყანის წინამძღვარი ეფდჯმოზი:[24] „ღმერთო და ნათლისმცემელო ქრისტესო და წმიდათ მთავარანგელოზთ მადლო, ადიდე ორსავე სოფელსა შინა ცხორებაჲ[სა] პ(ატრონი)(?) წ(ინამძღუარი) დოლისყანისა ეფდჯმოზ, ა(მი)ნ“. ხელნაწერზე, გადამწერისვე ხელით, შესრულბულია ორი კრიპტოგრამული კოლოფონი. ამ ანდერძებში იხსენიება ვინმე იაკობი: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ი(აკო)ბ“ (მეორე ანდერძიც მსგავსი შინაარსიაა). იაკობი ხელნაწერის გადამწერია (ჯოჯუა 2018: 100-104). აღნიშნული ლიტურგიკული კრებული დოლისყანის მონასტრიდან შემორჩენილი ჯერჯერობით ერთადერთი ხელნაწერია.

[24] ხელნაწერის აღწერილობის მიხედვით, ეფდჯმოზი, სავარაუდოდ, ხელნაწერის გადამწერი უნდა ყოფილიყო (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის სასულიერო შინაარსის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 2016: 439).

§ 3.12 პარეხთა

მონასტერი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, ართვინის რაიონის სოფელ ბერთას (Artvin İli, Artvin İlçesi, Ortaköy köyü) ჩრდილოეთით, 4 კმ-ში (ბაგაური... 2017: 145).

მას სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, „პარეხის“ სახელით იხსენიებენ, თუმცა როგორც ხელნაწერთა კოლოფონებმა გვიჩვენა, მონასტერს „პარეხთა“ ერქვა. სახელწოდების სხვა ფორმა წყაროებში არ იძებნება. პავლე ინგოროყვა ამ მონასტრისადმი მიძღვნილ ქვეთავს „პარეხი (პარეხნი, ბერთისა პარეხნი)“ უწოდებს (ინგოროყვა 1954: 345) ლევან მენაბდეც „პარეხს“ უწოდებს (მენაბდე 1962: 423), ვახტანგ ჯობაძე კი „პარეხთას“ სახელით მოიხსენიებს (ჯობაძე 2007: 65).

სამონასტრო ნაგებობები განლაგებულია თითქმის შვეული კლდის ვიწრო და გრძელ ბაქანზე, რომლის თავზეც კლდის ზედა ნაწილია გადმოკიდებული. მონასტრის ბირთვს შეადგენს ერთმანეთის გვერდიგვერდ აგებული ორი ეკლესია. ამათგან ჩრდილოეთისა სამხრეთისაზე მაღლაა აშენებული, განსხვავება მათი იატაკის დონეებს შორის 6 მეტრია.

ჩრდილოეთის ეკლესია დიდი დარბაზული ნაგებობაა. მისი სამხრეთ ნახევარი სუბსტრუქციაზე დგას. შენობა ძლიერ დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა, კონქი, სამხრეთ კედელი თითქმის მთლიანად და სხვა კედლის ზედა ნაწილები. ეკლესიის ძირითად სივრცეს წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა აქვს. აღმოსავლეთიდან მას ეკვრის საკურთხევლის აფსიდი, რომელიც გარეთ ნახევარცილინდრული მოცულობის სახით არის გამოშვერილი. მის ქვეშ სუბსტრუქციაც, შესაბამისად, მრგვალდება. შესასვლელი დასავლეთ კედელშია. ჩრდილოეთიდან ეკლესიას აქვს თანადროული მომცრო ეგვტერი, ასევე აფსიდიანი. ისინი ერთმანეთს კარით უკავშირდება (სხვა შესასვლელი ეგვტერს არ გააჩნია). ეკლესია ნაგებია უხეშად ნატეხი ქვით. შემკულობის კვალი არსად ჩანს. დ. ხოშტარიას აზრით, დარბაზული ეკლესია შეიძლება IX საუკუნის II ნახევრით

დათარიღდეს, როდესაც მიქაელისა და ბასილის გარდაცვალების შემდეგ აქ დამოუკიდებელი მონასტერი აღმოცენდა (ხოშტარია, 2009: 202-203)

დარბაზული ეკლესიის სამხრეთით, მასზე ქვემოთ დგას მეორე, უფრო დიდი ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკა. შენობები მცირეოდენ განსხვავებულად არის ორიენტირებული და ერთმანეთის პარალელურად არ დგას. ბაზილიკა მთლიანად სუბტრუქციაზეა დაფუძნებული. ის დარბაზულ ეკლესიაზე მეტად არის დაზიანებული: მთლიანად ჩაქცეულია გადახურვა, ნავების გამყოფი ბურჯები, თაღები და მათზე აღმართული კედლები, სანახევროდ დანგრეულია აფსიდი და გარე ჩრდილოეთი კედელი. გადარჩენილი ნაწილები მოწმობს, რომ ნავები გაყოფილი იყო სამ-სამი დაბალი თაღით, რომლებიც ეფუძნებოდა ორ წყვილ ბურჯს.

ეკლესიას აქვს ორი შესასვლელი – სამხრეთიდან და დასავლეთიდან, ორივე შიგნით თაღოვანი, გარედან ზღუდარიანი. ახლა ორივე მიუდგომელია. ადრე დასავლეთ კარის წინ იყო პატარა ტერასა, რომლისკენაც ზემოდან კიბე ჩადიოდა. საკურთხევლის აფსიდსა და სამხრეთ ნავის სამხრეთ კედელში თითო დიდი სარკმელია.

პარეხთას ბაზილიკის მშენებლობის ხარისხი უკეთესია, ვიდრე დარბაზული ეკლესიისა. კედლების შიდა და გარე წყობას შეადგენს სწორ რიგებად დალაგებული თანაბარზომიერი ქვები. ისინი სუფთად არ არის გათლილი, მაგრამ, ასე თუ ისე, მიცემული აქვს სუფთა ფორმა. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე გამოყენებულია თავისებური მხატვრული ხერხი – ქვის წყობის დაბალი და მაღალი რიგების მონაცვლეობა.

პარეხთას ეკლესია, გეგმის პროპორციებისა და ზოგადი სტრუქტურის მხრივ, ძალიან ახლოს დგას შავშეთ-კლარჯეთის ორ სხვა სამნავიან ბაზილიკასთან – სათლესა და სვეტთან. დ. ხოშტარია მიიჩნევს, რომ სამივე IX საუკუნის მიწურულს და X საუკუნის I ნახევარში უნდა იყოს აგებული. სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით, პარეხთა ყველაზე ადრეული ჩანს. ამის საფუძველზე, მკვლევარი პარეხთას ბაზილიკას IX-X საუკუნეთა მიჯნით ათარიღებს (ხოშტარია, 2009: 205-206).

პარეხთას მონასტრიდან დღეისათვის მხოლოდ ერთი წარწერაა შემორჩენილი. 1904 წელს შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობისას ნიკო მარს პარეხში არც ერთი წარწერა არ უნახავს. 1995 წელს დავით ხოშტარიამ პარეხის სამლოცველოში მიაკვლია ასომთავრულ წარწერას, რომელიც 2007 წელს გიორგი და ნინო ბაგრატიონებს აღარ დახვდათ. 2007 წელს გიორგი კალანდიამ სამლოცველოში ნუსხურით შესრულებული წარწერა შეამჩნია და საზოგადოებას სატელევიზიო გადაცემით გააცნო. აღნიშნული წარწერა შეისწავლა და გამოაქვეყნა ბუბა კუდავამ.

კალიგრაფიული ნუსხურით, მელნით შესრულებული წარწერა სამლოცველოს ინტერიერში, სამხრეთ კედელზე, შელესილობაზე მდებარეობს. წარწერა 7-სტრიქონიანი უნდა ყოფილიყო:

1)... ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერთმა)ნ ბაგრატ კურა[პალატი] ...

2) ... [ც(ა)თ[ა] ზ(ედა)ი: თ..რ] სიწმიდე გარ...

3) ... წ ... სეთ თქ(უე)ნ უ(ფალ)ო ცო[დვილი](?) ...

4) ... ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერთმა)ნ [სერაპიონ(?); სპირიდონ(?)] ...

5) ... სერობასა ზ(ედ)ა: ... [ადიდე]ნ ღ(მერთმა)ნ

6) ... დ..ელს(ა)ი: კ(ვრიელეი)ს(ო)ნი: ყ(ოვე)ლ[თა] ... ა(მი)ნ

7) ... [...-ს შე]უნდ(ვე)ნ

წარწერაში მოხსენიებული ტიტულით საქართველოს ისტორიაში სამი ბაგრატია ცნობილი: ქართველთა კურაპალატი ბაგრატ I (826-876), ერთიანი საქართველოს მეფეები – ბაგრატ III (978-1014, კურაპალატი 1001 წლიდან) და ბაგრატ IV (1027-1072, კურაპალატი 1029/1030 წლებიდან). როგორც ბუბა კუდავა აღნიშნავს, სამონასტრო კომპლექსში შემავალი ეკლესიების ქრონოლოგიის, წარწერიანი ნაგებობის მშენებლობის ტექნიკისა და ზოგადი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თითქოს ყველაზე ლოგიკურია წარწერაში მოხსენიებული პირი აშოტ კურაპალატის ძე – ბაგრატ I კურაპალატი (826-876) იყოს, რომელიც, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მიხედვით, სხვადასხვა საეკლესიო ცენტრის (შატბერდი, იშხანი, ხანცთა და სხვა) ქტიტორი თუ შემწირველი იყო. თუმცა თუ წარწერის დათარიღებას IX საუკუნით მხარს უჭერს

ისტორიული კონტექსტი, მეორე მხრივ, ხელს უშლის პალეოგრაფიული მონაცემები. დაზიანების მიუხედავად, წარწერაში კარგად ჩანს X-XI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კალიგრაფიული ხელი. შესაბამისად, მკვლევრის აზრით, სრულიად დასაშვებია, რომ წარწერაში ბაგრატ III (978-1014 წწ.) ან ბაგრატ IV (1027-1072 წწ) იხსენიებოდეს, (კუდავა 2010: 246-266). ალბათ უფრო სავარაუდებელია, რომ წარწერის ბაგრატ კურაპალატი ერთიანი საქართველო მეფე ბაგრატ IV იყოს (პარეხთას უდაბნოში ბაგრატ IV-ის მიერ განხორციელებული შეწირულობის თუ გარკვეული სახის მშენებლობის ფაქტი ისტორიული წყაროებიდან არ დასტურდება, თუმცა მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება კლარჯეთის მონასტრების მიმართ კარგად ჩანს ოპიზისა და მიძნაძორის მონასტრებს შორის დავის განხილვისას და მის მიერ გიორგი მთაწმინდელის შატბერდის მონასტერში მიყვანის ფაქტითაც).

წარწერის შინაარსიდან და ნაგებობის დომინანტური მდებარეობიდან გამომდინარე, ბუბა კუდავა ვარაუდობს, რომ ეს იყო ეკლესია / სამლოცველო, საგანგებოდ აგებული მონასტრის დამაარსებლის, იმ ეპოქისათვის საკმაოდ ცნობილი საეკლესიო მოღვაწის – მიქაელ პარეხელის საძვალედ. მას დამაჯერებლად არ მიაჩნია ნიკო მარის მოსაზრება, რომელიც წმინდა მამების საფლავად მონასტრის ძირითადი ნაგებობებიდან მოშორებით მდგარ ოთხკუთხა ნაგებობას („მავზოლეუმს“) გულისხმობს (კუდავა 2010: 266-268).

პარეხთას ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხის გარკვევა:

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: ,,რაჟამს ხანცთაჲ იქმნა სახელოვან მადლითა და სიხარულევან სულიერთა შვილთაგან, მას ჟამსა მიძნაძოროჲთ ხანცთად მოვიდა დიდი მეუდაბნო მიქაელი მამაჲ, რომელიცა დაემკჳდრა პარეხთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა. და ეძიებდა მარტოდ-მყოფებასა და პოვა თავისა თჳსისა სამკჳდრებელი ბერთისა პარეხთა და განზრახვითა ამის წმიდისაჲთა დაემკჳდრა მათ შინა და კეთილად წარემართა სათნოებათა მიმართ უფლისათა. ....ხოლო იყო ნეტარი მიქელ

ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგიალისაჲ და მიძნაძოროს მონაზონ იქმნა, ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხონდა და აღ-რაჲ-ესრულა, მუნვე დაემარხა“ (გიორგი მერჩულე 1963: 281).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ კი შემდეგს მოგვითხრობს: „არამედ აწ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა დიდთა მათთჳს უდაბნოთა და მონასტერთა მოვიჴსენოთ, თუ ვინა[ჲ] იქმნა შენება[ჲ] მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იგი, პირველად - სული იგი და მადლი საღმრთოჲ, და მერმე – მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნო[ჲ] ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა[ჲ] ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ ეწოდიან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკჳრველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა[ჲ], ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა. ამისა ნეტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა-ჰყვა ძმა[ჲ] მცირე ჰასაკითა. რამეთუ დიდსა მიქაელს, ვითარცა რაჲ მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჰვედრა თავი თჳსი. ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქაელს ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანა შეივედრა ნეტარი სერაპიონ თანა-ძმითურთ და თანააღრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა“ (ბასილი ზარზმელი 1963: 321-322).

ზემოთ მოყვანილმა ფრაგმენტებმა სამეცნიერო ლიტერატურაში ორი განსხვავებული მოსაზრება დაამკვიდრა მიქაელ პარეხელისა და პარეხთას მონასტრის დაარსების თარიღის შესახებ.

პავლე ინგოროყვას მოსაზრებით, პარეხთას მონასტერი დაარსებული უნდა იყოს VI საუკუნის შუა წლებში (ინგოროყვა, 1954: 345). ლევან მენაბდის მსჯელობით, კლარჯეთის ეს უდაბნო აღმოცენებული უნდა იყოს IX საუკუნეში (მენაბდე, 1962: 427) მარინა ჩხარტიშვილი თქმით კი, პარეხში სამონასტრო

ცხოვრება იწყება V საუკუნის II ნახევარში (ჩხარტიშვილი, 1993: 173). დავით ხოშტარია კი ვარაუდობს, რომ პარეხთა ბერთის განშტოება უნდა ყოფილიყო და დამოუკიდებელ მონასტრად იგი IX საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა (ხოშტარია, 2009: 203).

ჩვენ ვიზიარებთ დავით ხოშტარიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პარეხთაბერთის განშტოებაა. ჩვენი აზრით, შესაძლოა, პარეხთა დამოუკიდებელი მონასტერი არასდროს ყოფილა. იგი ბერთის დაქვემდებარებაში უნდა დარჩენილიყო, ერთგვარი ავტონომიით.

როგორც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტიდან მოტანილი ფრაგმენტიდან ჩანს, მიქაელი დამკვიდრდა ბერთის პარეხებში. ანუ გამოდის, რომ ეს პარეხები ბერთის საკუთრებაა, მიქაელი კი – ბერთის მონასტრის მეუდაბნოე. პარეხთა, როგორც მონასტერი, არც ბაგრატ კურაპალატისა და მისი ძმების კლარჯეთის მონასტრების მოლოცვის მარშრუტში იხსენიება და არც „ცხოვრების“ ტექსტშია მოთხრობილი მონასტრის დაარსების, აშენების რომელიმე ეტაპის ისტორია. ბერთის II ოთხთავში (Q-906) დაცულია მინაწერი დოკუმენტი, რომელიც ანჩელ მთავარეპისკოპოს ქერაბინს ეკუთვნის. კოლოფონს პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVI საუკუნით ათარიღებენ (Q ფონდის აღწერილობა 1958: 321-322). ანრი ბოგვერაძის მართებული მოსაზრებით, ბერთის სახარების მინაწერში მოხსენიებული ქერობინი უნდა იყოს ანჩელი არქიმანდრიტი ქერობინ აბელისძე, რომელმაც ერთგულების ფიცის წიგნი გაუგზავნა დავით IV კათალიკოსს (ბოგვერაძე 1964: 53; ენუქიძე... 2014: 70). ბერთის ოთხთავის ამ მინაწერის პალეოგრაფიული დათარიღება არაა მყარი არგუმენტი მთავარეპისკოპოს ქერაბინეს სხვა სასულიერო პირად მისაჩნევად. საბუთი „ფიცის წიგნი ანჩელ ქერობინ აბელისძისა დავით კათალიკოსისადმი“ XV 1453-1459 წლებით თარიღდება. შესაბამისად, მინაწერიც იმავე პერიოდით შეიძლება დავათარიღოთ.

ქერაბინ ანჩელი კოლოფონში ბერთის წინამძღვრად და პარეხთას მოძღვრად იხსენიება: „ქ. სახელითა ღ˜თისათა მეოხებითა არსებადაუბადებელისა მამისა,

ძისა, სულისა წმიდისათა, თავსდებობითა თვით თავადისა სასწაულთაგან ანჩისხატისათა, თავსდებობითა და შუამდგომლობით ყ(ოვლა)დ წმიდისა ღ˜თისმშობლისათა ბერთისა და პარეხთა ღ˜თისმშობელისათა. | ესე წიგნი მოვაჴსენე მე, მთავარებისკოპოზმან ანჩელმან ქერაბინ და ბერთისა წინამძღუჷრმან [!] და პარეხთამან მოძღუარმან [!], თქუჷნ, ბერთისა და პარეხთა ღ˜თისმშობელსა მირიანისა მამაუჷლისა [1] საქმისათჳს, როგორაცა პატ[რ]ონთა ათაბაგთა დაემტკიცა, აგრეთვე ჩუჷნ დავამტკიცეთ, რ˜ ორისავე უდაბნოსათჳს სრულად ლავრამან ბერთისა და პარეხთამან ერთმანე[რ]თისა კითხულობითა და ბრძანებითა, როგორცა სანახევროდ დადებულ იყო, აგრევე დავამტკიცეთ, რომელმანცა შალოს... რისხამცა მამა, ძე და სული წ˜ა... ვინცა [დაამტკი]ცოს ღმერთმან აკურთხოს (მთავარებისკოპოზი [ქერაბინ])“ (264v-265r) (Q ფონდის აღწერილობა 1958: 321-322).

ბერთის ოთხთავის ეს მინაწერი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ პარეხთა XV საუკუნეშიც არ ყოფილა დამოუკიდებელი მონასტერი. ეს კოლოფონი იურიდიული ძალის მქონე საბუთია და მისი დამტკიცება მხოლოდ მონასტრის უმაღლეს ხელისუფალს ხელეწიფება, საბუთის მიხედვით კი, პარეხთას უდაბნოს უმაღლესი იერარქად მოძღვარი ჩანს და არა წინამძღვარი. პარეხთას წინამძღვარი რომ ჰყოლოდა, ქერობინე საბუთში მოხსენიებული იქნებოდა არა როგორც მოძღვარი, არამედ წინამძღვარი.

აღსანიშნავია, რომ წყაროებში მხოლოდ პარეხთას მოძღვრების შესახებ გვხდება ცნობები. ამ მხრივ, ჩვენთვის უმთავრესი წყარო ხელნაწერთა კოლოფონებია. XIII საუკუნის ნუსხურით გადაწერილი სხვადასხვა საეკლესიო თხზულების კრებულის (ხეც, A-182) ერთ-ერთ მინაწერში იხსენიება პარეხთას მოძღვარი რაფაელ მაკარიძე. მინაწერი XVI საუკუნეების ხელით არის შესრულებული: ,,ღმერთო და ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო შეიწყალე ფრიად ცოდვილი მაკარიძე პარეხთ მოძღვარი რაფაელ...“. (A ფონდის აღწერილობა 1976: 298) 1241 წლის პარხლის ოთხთავზე დაცულია მინაწერი, რომელშიც იხსენიება პარეხის მოძღვარი - მაკარი. მინაწერი XV-XVI საუკუნით თარიღდება: „სულსა გლახაკისა და ცოდვილისა პარეხთ მოძღურისა მაკარისა სულსა შეუნდნეს

ღმერთმან“ (S-110. 9v) (შარაშიძე 1982: 69). პარეხთ მოძღვარი მაკარ გაბელისძე იხსენიება მოსკოვში დაცული ოთხთავის მინაწერებში (კლდიაშვილი, 2019: 125).

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, სავარაუდებელია, რომ პარეხთა იყო არა დამოუკიდებელი მონასტერი, არამედ ბერთის ლავრის საკუთრება გარკვეული ავტონომიით.

შემდეგ საკითხად უნდა განვიხილოთ, გრიგოლ ხანცთელის სულიერი შვილი მიქელი და სერაპიონ ზარზმელის მოძღვარი მიქაელ პარეხელი ერთი და იგივე პიროვნებაა თუ ორი სხვადასხვა სასულიერო პირი?

პირველად მიქელ პარეხელის შესახებ თავისი მოსაზრება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ გამომცემელმა მოსე ჯანაშვილმა გამოთქვა. ბასილ ზარზმელის თხზულების მიხედვით, მიქაელი საკვირველთმოქმედი შიოს ანუ შიო მღვიმელის მოწაფე იყო. აქედან გამომდინარე, მისი მოღვაწეობა VI საუკუნის მეორე ნახევრით დაათარიღა (ჯანაშვილი 1909: LII-LV). მისი ეს ვარაუდი განავითარა და არგუმენტებით შეავსო პავლე ინგოროყვამ. შიო მღვიმელის მოწაფეობის გარდა, მან ყურადღება მიაქცია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ და „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ცნობების განსხვავებულობას: 1) ბასილ ზარზმელის მიქელი ოპიზიდან მიდის – გრიგოლ ხანცთელის მოწაფე კი ხანცთიდან; 2) სერაპიონ ზარზმელის მოძღვარი ცნობილი და სახელგანთქმული სასულიერო პირია, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა, გიორგი მერჩულეს თხზულების მიხედვით კი, მიქელი მარტოდმყოფი, ანაქორეტი ბერია; 3) ბასილ ზარზმელის მიქელი ქართლიდანაა, ხოლო გიორგი მერჩულის – შავშეთიდან (ინგოროყვა 1954: 334-339).

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს, ლევან მენაბდეს. ივანე. ჯავახიშვილი პირველი მკვლევარია, ვინც სერაპიონ ზარზმელის მოძღვარი მიქელ პარეხელი და გრიგოლ ხანცთელის მოწაფე მიქელი ერთი და იმავე პირად მიიჩნია და მისი მოღვაწეობაც IX საუკუნით დაათარიღა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ექვთიმე თაყაიშვილმა. კორნელი კეკელიძემ და ლევან მენაბდემ. ლევან მენაბდე შეეცადა ეჩვენებინა პავლე ინგოროყვას მსჯელობის უსაფუძვლობა:

იგი წერს, რომ ოპიზის VI საუკუნეში არსებობა არ დასტურდება. ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში მოცემული ცნობა არ დასტურდება სხვა წყაროებში ვდა მას გადამწერის ან რედაქტორის გლოსად მოიხსენებს. ლევან მენაბდის მსჯელობით, ბასილ ზარზმელის ცნობა ოპიზის მონასტრის შესახებ საკითხის გადასაჭრელად არ გამოდგება. რაც შეეხება მიქელ პარეხელის შიო მღვიმელის მოწაფეობას, ის იზიარებს კორნელი კეკელიძის მოსაზრებას, რომ ეს ცნობა ბასილ ზარზმელს არ ეკუთვნის. ლევან მენაბდის მსჯელობით, ეს სიტყვები მეტაფრასის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც ზუსტი და სრული წარმოდგენა არ ჰქონდა სერაპიონ ზარზმელის მოძღვარზე. ამის შედეგად თხზულებაში ნატყუარი ცნობა შეიტანა, რომელიც აშკარა ანაქრონიზმს წარმოადგენს. ბასილ ზარზმელის თხზულების მიხედვით, გიორგი მაწყვერელი მიქელ პარეხელის თანამედროვეა. ამ ცნობის მიხედვით, მიქელი IX საუკუნის მოღვაწე უნდა ყოფილიყო; 2) პავლე ინგოროყვა, შიო მღვიმელის ფაქტორის გამო მიქელის ქართლურ წარმომავლობასაც ვარაუდობდა. თუმცა რამდენადაც ლევან მენაბდე უარყოფდა ცნობას შიო მღვიმელის მოწაფეობის შესახებ, შესაბამისად, მიქელ პარეხელის ქართლელობის შესაძლებლობას უარყოფდა. მკვლევარი შენიშნავს, მიქელი რომც ყოფილიყო შიო მღვიმელის მოწაფე, მარტივი შესაძლებელია, ის სხვა კუთხის წარმომადგენელიც ყოფილიყო, ; 3) გრიგოლ ხანცთელის სულიერ შვილსა და მეგობარ მიქელსაც ჰყავდათ მოწაფეები მიქელ პარეხელის მსგავსად; 4) ექვთიმე თაყაიშვილმა ადრევე შენიშნა მცირე სხვაობა ბასილ ზარზმელის და გიორგი მერჩულეს ცნობებს შორის. მისი აზრით, გიორგი მერჩულეს, როგორც ხანცთელ მოღვაწეს, უფრო ზუსტი ცნობები უნდა ჰქონოდა მიქელის შესახებ, ვიდრე ბასილ ზარზმელს, რომელიც სხვის სიტყვას ემყარებოდა. ლევან მენაბდის მსჯელობით კი, ბასილ ზარზმელს გიორგი მაწყვერელისაგან შეეძლო მიეღო ზუსტი ცნობები მიქელის მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნული ორი მონასტრის ტრადიცია კი არ გამორიცხავს ერთმანეთს, პირიქით – ავსებს. მიქელმა მოღვაწეობა დაიწყო ოპიზაში, შემდეგ გადავიდა მიძნძორსა და ხანცთაში, ბოლოს კი პარეხში დამკვიდრდა (მენაბდე 1962: 425-427).

ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა მიქელის შიო მღვიმელის მოწაფეობა. ედიშერ ჭელიძე აღნიშნავს, რომ მიქელ პარეხელის შიო მღვიმელის მოწაფეობის შემთხვევაში სრულიად არ არის აუცილებელი ისტორიულ დროში თანხვედრა. აგიოლოგიის თანახმად, ესა თუ ის წმინდანი შეიძლება დაკავშირებული იყოს მასზე რამდენიმე საუკუნით დაშორებულ პირთან და მხოლოდ სულიერად ემოწაფებოდეს მას (ჭელიძე 1991: 188-213).

მოწაფეობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ისტორიკოსმა თემო ჯოჯუამ. მკვლევარი წერს: „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თავდაპირველ ტექსტში XI საუკუნის უცნობი მწიგნობრის მიერ შეტანილ მოგვიანო ჩანართში, რომლის მიხედვითაც მიქაელ პარეხელი იყო „მოწაფე დიდისა შიოჲსი“, ერმინი „მოწაფე“ კონკრეტული წმიდანის საფლავის ეკლესიასა თუ მონასტერში ამ წმიდანის გარდაცვალებიდან ათწლეულებისა თუ საუკუნეების შემდეგ სამოღვაწეოდ დამკვიდრებული სასულიერო პირის მნიშვნელობით არის გამოყენებული და არა უშუალო მოსწავლისა თუ შეგირდის ან კიდევ, შორეული სულიერი მოსწავლის მნიშვნელობით“.მკვლევარს ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“[25] და შიომღვიმის მონასტრის კრებულის მიერ ზოსიმესათვის მიცემული საბუთში[26] ტერმინ „მოწაფის“ მნიშვნელობის მსგავსება აძლევს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თემო ჯოჯუა გამოთქვამს მართებულ მოსაზრებას, რომ მიქაელი კლარჯეთში, კერძოდ, ოპიზაში დამკვიდრებამდე შიომღვიმის მონასტერში მოღვაწეობდა.

---

[25] „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ტექსტში წერია: „და მათ თანა იყვნეს ორნი კაცნი: პეტრე მღდელი, მოწაფეთაგან გრიგოლი ღმრთისმეტყუელისათა რამეთუ საფლავსა მისსა ზედა მღდელობდა, და სამოელ მონაზონი. წარდგეს წინაშე ვახტანგისსა მადლისა მიცემად განტევებისათჳს ტყუეთასა და განთავისუფლებისათჳს ეკლესიათასა და მღდელთასა" (ყაუხჩიშვილი 1955: 163-164).

[26] შიომღვიმის მონასტრის კრებულის მიერ ზოსიმესათვის მიცემული 1200 წლის ახლოხანების დაწერილში" აღნიშნულია: „...[ესე დაწერილ]ი დაგიწერეთ ჩ(უე)ნ, მღჳმელთა ერთობით სრულად კრ(ე)ბ(უ)ლ[თა, წმიდისა მამ]ისა შიოჲს შვილთა და მ(ო)წ(ა)ფეთა, შ(ე)ნ, ზოსიმეს..." (ენუქიძე... 1984: 89).

ვიზიარებთ მოსე ჯანაშვილისა და პავლე ინგოროყვას მოსაზრებას, რომ ამ ორ აგიოგრაფიულ თხზულებაში მოხსენიებული მიქელი და მიქელ პარეხელი ორი სხვადასხვა ისტორიული პირია, მაგრამ არ ვეთანხმებით მიქელ პარეხელის მოღვაწეობის პერიოდის თარიღში. ჩვენი ვარაუდით, მიქელ პარეხელი IX საუკუნის II ნახევრის მოღვაწე იყო. თუ ეს მართებულია და ორივე მიქაელი IX საუკუნის მოღვაწეა რამდენიმე ათწლეულის დაშორებით, ჩნდება კითხვა – ერთსა და იმავე მონასტერში მოღვაწეობდნენ თუ სხვადასხვაში, ასეთ შემთხვევაში რომელი მათგანი შეიძლება ყოფილიყო პარეხთას დამაარსებელი?

სულხან-საბას განმარტებით, ,,პარეხი“ არის კლდე გამოქვაბული“ (სულხან საბა ორბელიანი 2013: 385) ილია აბულაძის მიხედვითაც, ,,პარეხი“ იგივეა, რაც კლდის ნაპრალი ან გამოქვაბული“ (აბულაძე 1973: 337). ანრი ბოგვერაძე აღნიშნავს, რომ სიტყვა „პარეხი“ უძველეს ქართულ ტექსტებში ქუაბის, ნაპრალის, კლდის სინონიმად იხმარებოდა (ბოგვერაძე 1964: 53).

,,პარეხი“ ,,ქუაბის“ მნიშვნელობით რამდენჯერმეა მოხსენიებული დავით გარეჯელის ცხოვრებაში: 1),,ამით სიტყუათა მიერ განმტკიცნა ლუკიანემ და ჰრქუა: ,,ვითარცა ჰბრძანო, წმიდაო მამო, ეგრეთ ვყოთ ყოველივე“. და მიმოვლეს იმიერ და ამიერ და პოვეს პარეხი რაჲმე კლდისაჲ, რომელსა ქვეშე დაინაბეს. და რაჟამს დასცხის ანუ იყვის წჯმაჲ, პარეხსა მას ქუეშე განისუენიან“; 2),,ხოლო ქუემო კერძო პარეხისა მის, რომელსა შინა იყოფებოდეს წმიდანი იგი, იყო სხუაჲ პარეხი“ (დავით გარეჯელის ცხოვრება 1963: 230-232). ილია აბულაძის მსჯელობით, ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ შემთხვევაში პარეხი საზოგადო მნიშვნელობით უნდა იყოს ნახსენები და არა გეოგრაფიული ადგილის აღსანიშნავად, რადგან ბასილ ზარზმელის თხზულებაში მისი ფუძე იხმარება არა მრავლობითი რიცხვის ფორმით, არამედ მხოლობითში. მკვლევარი აღნიშნავს, რომ უბრალოდ ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოცემულია ამ სახელის მნიშვნელობა: ,,ადგილი კლდოანი და უვალი კაცთაგან“ (აბულაძე 1941: 138-139). ილია აბულაძის იდენტურ მოსაზრებას გამოთქვამს ანრი ბოგვერაძე, მისი დაკვირვებით, ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტში ,,პარეხი“ საგნის სახელისაგან წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელია და თან ამ სახელის მნიშვნელობაცაა ნაჩვენები (ბოგვერაძე

1964: 53). ანრი ბოგვერაძე წერს: „ნიკო მარმა თავისი მოგზაურობის დროს შავშეთ-კლარჯეთში „პარეხი“ , როგორც ადგილის სახელი , სწორედ, ბერთის მახლობლად დაადგინა. ეჭვ გარეშეა, რომ ზარზმელის „ცხოვრების“ „პარეხი“ სწორედ ეს ადგილია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ „ხანძთელის ცხოვრების“ „ბერთის პარეხნიც“ სადღაც აქ, ამ ადგილას უნდა ვეძებოთ“ (ბოგვერაძე 1964: 54).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ნიშთა და სასწაულთა მოქმედი მიქელ პარეხელი მკვიდრდება არა ბერთის პარეხთაში, არამედ სხვა პარეხში, საფუძველს უყრის სხვა ანაქორეტულ მონასტერს და არა ჩვენთვის ცნობილ პარეხთას უდაბნოს. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მიქელ პარეხელი აშენებს ეგვტერს, მცირე ეკლესიას. ხოლო როგორც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ ჩანს, გრიგოლი კრძალავდა ეგვტერების აშენებას. მიქელი, რომელიც თავმდაბლობით გამოირჩევა, მოძღვრის განჩინების წინააღმდეგ ვერ წავიდოდა (როდესაც ბოროტმა იგი კლდიდან გადააგდო, იგი არ ენდო საკუთარ ძალებს და საშველად მოძღვარს, გრიგოლ ხანცთელის უხმო) (გიორგი მერჩულე 1963: 280-281). რეალურად, პარეხთაში მართლაც არის ეგვტერი აშენებული, რომელიც მიდგმულია სამნავიან ბაზილიკაზე, მაგრამ იგი დათარიღებულია IX საუკუნის ბოლოთი. ამ პერიოდში გრიგოლის სულიერი შვილი მიქაელი უკვე გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო.

გრიგოლ ხანცთელის სულიერი შვილი მიქელი კი, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, მაშენებელი ბერი არ იყო. გიორგი მერჩულე არაფერს წერს მის მიერ პარეხთაში განხორციელებულ მშენებლობაზე (აღსანიშნავია, რომ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტში მიქელი არსად იხსენიება პარეხელად). ვერც ამ მიქელს მოვიაზრებთ მონასტრის დამაარსებლად, რადგან იმ ადგილას ცხოვრება, სადაც მოგვიანებით მონასტერი შენდება, არ ნიშნავს, რომ მონასტრის დამაარსებლად ვიგულისხმოთ. ჴუედიოსი ხანცთის მონასტრის ტერიტორიაზე ცხოვრებდა გრიგოლ ხანცთელის მისვლამდე, თუმცა იგი არ ითვლება ხანცთის მონასტრის დამაარსებლად. დავით ხოშტარიას

მართებული მოსაზრებით, აქ მონასტრული ცხოვრება იწყება IX საუკუნის მეორე ნახევარში, მიქელისა და ბასილის[27] გარდაცვალების შემდეგ (ხოშტარია 2009: 203).

IX საუკუნის II ნახევარში პარეხში მოღვაწეობდა ილარიონ პარეხელი: ხოლო ყოველი ვერ შეუძლე აღწერად უმეცრებისა გზითა, რამეთუ ვჰგონებდ ცხორებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა... და ღმერთ-შემოსილი მამაჲ ილარიონ პარეხელი...“ (გიორგი მერჩულე 1963: 294).

მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია მდიდრულად შემკული ქართული ოთხთავი (მოსკოვი, ГИМ, Щук. 760). სახარება გადაწერილია 1070 წელს.

XV-XVI საუკუნეებში, შესაძლოა უფრო ადრეც, ოთხთავი კლარჯეთის ერთ-ერთი მონასტრის წიგნსაცავში ინახებოდა. დარეჯან კლდიშვილის მსჯელობით ამას ადასტურებს ხელნაწერის თავისუფალ გვერდებსა და ერთ-ერთი კამარის აშიაზე XVI საუკუნის პირველ მესამედში ათაბაგთა ოჯახის წევრებისა და ადგილობრივი სასულიერო პირების სახელზე შესრულებული მოსახსენებლები.

ხელნაწერის 10v-ზე ერუშნელი მღვდელმთავრისა და მოძღვრის, დავით სოლომონისძის მიერ პარეხთა ღვთისმშობლის უდაბნოსათვის სააღაპედ მიცემული შეწირულების დოკუმენტია შესრულებული. საბუთი უთარიღოა, კოლოფონში აღნიშნულია, რომ შეწირულება გაიცა დავით სოლომონის ძის ერუშნელობის დროს. პალეოგრაფიული და ისტორიული მონაცემების (ოთხთავის აშიებზე მოგვიანოდ ჩაწერილი მოსახსენებლების) გათვალისწინებით, ჩანაწერი XV საუკუნის მეორე ნახევრით შეიძლება თარიღდებოდეს. მინაწერი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გვიან საუკუნეებში ოთხთავის დაცულობის ადგილზე.

[27] „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით, მიქელ პარეხელს ჰყავდა მოწაფე ბასილი. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში კი აღნიშნულია, რომ მიქელის გარდაცვალების შემდეგ პარეხათაში ბასილი დამკვიდრდა. წყაროებში მოწაფეების სახელების იდენტურობის გამო ორივე მიქელი ერთი და იმავე პირად არის მიჩნეული. ხოლო იმ მეცნიერთათვის, რომლებიც მიქელ პარეხელის მოღვაწეობას VI საუკუნით ათარიღებენ, ეს პრობლემა გადაჭრილია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექტი არ გვაძლევს საშუალებას, დავამტკიცოთ, რომ გრიგოლ ხანცთელის სულიერ შვილს მიქელს ნამდვილად ჰყვადა მოწაფე სახლეად ბასილი. მიქელს ნამდვილად ჰყავდა მოწაფე, მაგრამ მის სახელს გიორგი მერჩულე არ მოისხსენიებს. ის შეიძლება ბასილიც ყოფილიყო, ისიც შესაძლებელია, რომ მიქელის გარდაცვალების შემდეგ ბასილი სხვა რომელიმე მონასტრიდან მისულიყო პარეხთაში.

როგორც საბუთიდან გაირკვა, ოთხთავი პარეხის ღმრთისმშობლის უდაბნოს ეკუთვნოდა. სწორედ პარეხის მონასტრის „საუდაბნოდ“ დაუწერინებია დავით ერუშნელს მის მიერ შეწირული „თუხარელთეული“ მამულის „ნასყიდობისა დედა წიგნი“, რომელიც მონასტერში ინახებოდა. ოთხთავში შეტანილ ათაბაგთა ოჯახის წევრების და სასულიერო პირების სახელზე დადებულ მოსახსენებლებს შორის იხსენიება პარეხთ მოძღვარი მაკარ გაბელისძე (კლდიაშვილი 2018: 122-128).

§ 3.13 სვეტის უდაბნო

სვეტის მონასტერი მდებარეობს თურქეთში, ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, ართვინის რაიონში, სოფელი სვეტი (Seytler köyü) (ბაგაური... 2017: 40). დარეჯან კლდიაშვილის ვარაუდით, სვეტის უდაბნო ღმრთისმშობლის სახელობის უნდა ყოფილიყო (კლდიაშვილი 2017: 201).

სოფელის შუა უბანში, საცხოვრებელი სახლებისგან მოშორებით დგას, სამნავიანი ბაზილიკაა, სამეცნიერო ლიტერატურაში ის მოიხსენიება აგრეთვე როგორც ნიგალის ეკლესია. ეკლესია დღეისათვის საკმაოდ დაზიანებულია.

გეგმის პროპორციებით და საერთო კომპოზიციით სვეტის ეს ეკლესია ენათესავება პარეხის სამნავიან ბაზილიკას (IX-X სს-ის მიჯნა). განსაკუთრებით შესამჩნევია ორივეგან გვერდითი ნავების უჩვეულო სივიწროვე. დავით ხოშტარია სვეტის ამ ეკლესიას X საუკუნის I ნახევრით ათარიღებს ხოშტარია 2009: 213-216).

ბაზილიკიდან 1 კმ-ში იდგა კიდევ ერთი ეკლესია და კოშკი, თურქები მას „ქაზიფი ქილისეს“ უწოდებდნენ. ქაზიფ-ქილისესი ცნობილია მხოლოდ ანდრეი პავლინოვის 1888 წლის ექსპედიციის მასალებით და პრასკოვია უვაროვას მოკლე ცნობით. მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება ქაზიფ ქილისესი დაკარგული არ არის, კოშკი და ეკლესია იქ ვერ იძებნება. სოფლელები ქაზიფ-ქილისეს ახლა ძველი შენობის ნაშთს უწოდებენ, რომელიც მოიცავს ერთ ძლიერ დაზიანებულ კედელსა და მისი მართობული კედლების ფრაგმენტებს კუთხეებში. დავით

ხოშტარიას მოსაზრებით, ეს ნაშთი დარბაზული ეკლესიის დასავლეთ კედელს ჰგავს და მისი ზედა ნაწილის მოხაზულობა – შუაში შემაღლებული, კიდეებისაკენ დაფერდებული – თითქოს ორკალთიან სახურავს უნდა გულისხმობდეს. მკვლევრის აზრით, მთლიანად ეს ფრაგმენტი არ ეთანხმება ანდრეი პავლინოვის ნახაზებს და ფოტოსურათს და შესაძლოა ეს სხვა ეკლესიის ნაშთია, რომელზეც მოსახლეობამ გადმოიტანა დანგრეული ეკლესიის სახელწოდება.

ანდრეი პავლინოვის მასალებით ცნობილი სვეტის ეკლესია წარმოადგენდა უგუმბათო ტეტრაკონქს. საკურთხევლის აფსიდის წინ იდგა კანკელი, რომელიც 1888 წლისთვის უკვე ძლიერ დაზიანებული იყო. შიგნით კედლები მოხატული ყოფილა. ანდრეი პავლინოვმა აღნიშნა მხატვრობის ერთი შემორჩენილი ფრაგმენტი – წითლად დაფერილი ჯვარი შავ ჩარჩოში, თუმცა მოგზაურს არ აქვს მითითებული, თუ რა ადგილას ნახა ის. დასავლეთიდან და სამხრეთიდან ეკლესიას ჰქონდა იმ დროს უკვე სანახევროდ დანგრეული მინაშენები. დავით ხოშტარია სვეტის ამ ეკლესიას, სავარაუდოდ, X საუკუნის შუა ხანებით ათარიღებს.

სვეტის ეკლესიის ჩრდილოეთით, 7-8 მეტრის მოშორებით, რამდენიმესართულიანი მართკუთხა კოშკი იდგა. სართულები ერთმანეთს შიდა კიბით უკავშირდებოდა. სართულშუა გადახურვები კამაროვანი იყო. ანდრეი პავლინოვის თქმით, ჩვეულებრივი შესასვლელი კოშკს არ ჰქონია – ღიობები იყო მაღლა, მიწიდან 4-5 მ-ის სიმაღლეზე. ანდრეი პავლინოვმა ივარაუდა, რომ ეს დაყუდებული ბერის კოშკი, ე.ი სვეტია. პრასკოვია უვაროვას მოსაზრებით კი, კოშკს თავდაცვის დანიშნულება ჰქონდა (Павлинов 1893: 60-62; ხოშტარია 2009: 217-220).

სოფელ სვეტის ამ ორი ეკლესიიდან რომელი ეკუთვნის სვეტის მონასტერს, დადგენილი არაა.

სვეტის უდაბნოს დაარსების შესახებ ცნობა არ მოგვეპოვა. ხელოვნებათმცოდნეობითი მასალის შესწავლისა და მიღებული დასკვნების მიხედვით, მონასტერი X საუკუნის I ნახევარში უკვე არსებობდა. სვეტის უდაბნო

„კლარჯეთის ათორმეტ უდაბნოს“ ნაწილი უნდა ყოფილიყო და კლარჯეთის მონასტრების მსგავსად, ისიც ანჩის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა.

სვეტის მონასტრის წიგნთსაცავის კუთვნილი ხელნაწერების კოლოფონების მიხედვით, უდაბნოს ადრეული ხანიდან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ტაო-კლარჯეთის სხვადასხვა სკრიპტორიუმთან. სვეტში მდიდარი წიგნთსაცავის არსებობას ადასტურებს ამ უდაბნოდან მოღწეული რამდენიმე ხელნაწერი წიგნი. იყო თუ არა უშუალოდ სვეტში სკრიპტორიუმი, ძნელი სათქმელია, რამდენადაც ამ სამონასტრო ცენტრიდან მოღწეული X-XII საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერებიდან (ხეც, H-341; ხეც, S-4999; ხეც, A-844; ხეც, A-89) არც ერთი არაა გადაწერილი სვეტში (კლდიაშვილი 2017: 201-202).

H-341 ხელნაწერი შეისწავლა ისტორიკოსმა თემო ჯოჯუამ. მისი მსჯელობით, ხელნაწერი ოთხი განსხვავებული ხელით შესრულებული ნაწილისაგან შედგება და დღევანდელი მდგომარეობა მიიღო XVIII საუკუნეში, როდესაც უცნობმა მწიგნობარმა XI საუკუნის ოთხი სხვადასხვა ფრაგმენტი ერთ წიგნად აკინძა. აღნიშნული აგიოგრაფიული კრებული მხოლოდ „მარტვილობათა“ ტექსტებს შეიცავს. ხელნაწერის ცალკეული ფრაგმენტების შესწავლამ მკვლევარი შემდეგ დასკვნებამდე მიიყვანა:

1) მარტვილოლოგიური კრებულის I ნაწილი 106 ფურცელს შეიცავს (1rv-106rv). ეს ფურცლები ეკუთვნოდა ჰაგიოგრაფიულ კრებულს, რომელშიც „მარტვილობების“ გარდა, როგორც ჩანს, „ცხოვრება-მოქალაქობათა“ ტექსტებიც იყო შეტანილი. ხელნაწერი გადაწერილი იყო XI საუკუნეში იოვანე „უცბად მჩხრეკელის“ მიერ სტეფანე მამამთავრის (1. ერუშნელი ეპისკოპოსი სტეფანე (?) 2. ჭყონდიდელი ეპისკოპოსი სტეფანე სასანოისძე(?)) დაკვეთით;

2) მარტვილოლოგიური კრებულის II ნაწილი 135 ფურცელს შეიცავს (107rv-240rv, 269rv). ხელნაწერი გადაწერილი იყო ვინმე გიორგის მიერ XI საუკუნეში;

3) მარტვილოლოგიური კრებულის III ნაწილი 39 ფურცელს შეიცავს (241rv-268rv, 270rv-280rv). ხელნაწერის ეს ნაწილიც გადაწერილი იყო XI საუკუნეში ვინმე მოსეს მიერ და XII-XIII საუკუნეებში ინახებოდა სვეტის უდაბნოში, კლარჯეთში;

4) კრებულის IV ნაწილი 153 ფურცელს შეიცავს (281rv-433rv). ხელნაწერი, შესაძლოა, X-XI სს-ში გადაიწერა ვინმე იოანეს მიერ. ხელნაწერის ეს ფრაგმენტი XVIII საუკუნის დასაწყისში თრიალეთის სოფელ ტაბაწყურში ინახებოდა. 1716-1724 წალკელმა ეპისკოპოსმა, შემდგომ ქართლის კათალიკოსმა ნიკოლოზ X ხერხეულიძემ ტაბაწყური ააოხრა და იქ მოპოვებული მარტვილოლოგიური კრებული წალკის საეპისკოპოსო ტაძარს შესწირა (ჯოჯუა 2013: 113-115).

ხანცთის უდაბნოს სკრიპტორიუმიდანაა XII საუკუნეში ხანცთელი დიაკონის, სტეფანეს მიერ სვეტის კრებულის ხარჯით („საფასოჲთ“) სვეტის უდაბნოსათვის გადაწერილი გიორგი მთაწმინდელისეული დეკემბრის თვენი (ხეც, S-4999). ანდერძიდან ირკვევა, რომ სვეტის უდაბნოს ჰყოლია საკუთარი მოურავი (აბრამადი/იკონომისი/ეპიტროპოსი) ანტონი, რომელსაც მონასტრის საფასით ხანცთელ დიაკონ სტეფანესთვის სვეტისათვის გადაუწერინებია ხელნაწერი.

სვეტის უდაბნოს ეკუთვნოდა XI საუკუნის, რიგის ოთხთავის სახელით ცნობილი, ეტრატზე ნაწერი ხელნაწერი (ხეც, A-844), რომლის ძირითადი ნაწილისათვის ნუსხის გადამწერს, კვირიკე ნადღუნს გამოუყენებია V-VI საუკუნეების ოთხთავის ეტრატის ფურცლები. კვირიკე ნადღუნს ხანმეტი სახარების ეტრატის ფურცლები იმავდროულად გამოუყენებია კიდევ ერთი ხელნაწერის (ხეც, A-89) შესაქმნელად, რომელიც იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანების ექვთიმე ათონელისეულ თარგმანს წარმოადგენს. შეიძლება ეს ხელნაწერიც სვეტის უდაბნოს ეკუთვნოდა, თუმცა ამჯერად გადაჭრით ამის თქმა ძნელია, რამდენადაც მასზე არსებული მინაწერები, ძირითადად, ტექნიკური ხასიათისაა.

XX საუკუნის დასაწყისში რუისის ეკლესიაში ნანახი ოთხთავი ე. თაყაიშვილმა XI საუკუნით დაათარიღა და შეცდომით შავშეთში მდებარე სვეტის საკუთრებად მიიჩნია. როგორც ეს ხელნაწერის აშიებზე შესრულებული მოსახსენებლების მიხედვით ჩანს, ოთხთავი სვეტის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერს ეკუთვნოდა.

სვეტის უდაბნოს გვიანი ხანის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოთხთავის ტექსტის გარშემო ნუსხურით და მხედრულით

ჩაწერილი მრავალრიცხოვანი მოსახსენებლები. ეტრატის ფურცლებზე მიწერილი ადრეული მოსახსენებლების მნიშვნელოვანი ნაწილი საგანგებოდ ამოუშლიათ და მათი ნაწილის ამოკითხვა ამჟამად უკვე შეუძლებელია. XV-XVI საუკუნეებში სვეტის მონასტრისთვის დადებულ მოსახსენებლებში იხსენიებიან: ათაბაგთა სახლის წევრები, ამილახორისშვილები, შალიკაშვილები, კოპასძეები, ლასურისძეები, ერისთავები, თუხარელები, კავკასიძეები, ხანთუბისძეები, ავალიშვილი და ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ საგვარეულოთა სხვა წარმომადგენლები. XV-XVI საუკუნეების მიჯნის მოსახსენებლების ნაწილში მოხსენიებულნი არიან ადგილობრივი სასულიერო პირები: სვეტის დეკანოზი მათე კუციძე (40v), ხანცთის დეკანოზი ათანასე შარაბიძე (69v), დეკანოზი დემეტრე და მისი ძმა იოვანე (86v), სვეტში შევედრებული წინამძღვარი იოსებ ახალაძე (112r), დაყუდებული იაკობი (145v), დეკანოზი გერმანე პაპიძე და მისი გაზრდილი ბერაკა (178v).

ათაბაგთა მფლობელობისას სვეტის უდაბნო ჯაყელთა სახლის განსაკუთრებული მზრუნველების ქვეშ ჩანს. ამაზე მიუთითებს ოთხთავის ტექსტის დასასრულს ჩაწერილი სვეტის კრებულის დაწერილი, რომლის თანახმადაც, პატრონმა ივანემ მონასტერი საბაზიარო გადასახადისაგან გაათავისუფლა და „სხუა მრავალ კეთილ საქმე უყო სჳეტსა“ (212r). დარეჯან კლდიაშვილის ვარაუდით, კოლოფონში მოხსენიებული პატრონი ივანე უნდა იყოს ათაბაგ ყვარყვარე II-ის (1416-1492) შთამომავალი, მისი მეხუთე ვაჟის, ორვაჟანდას ძე. ორვაჟანდა ყვარყვარეს ძე და მისი ვაჟები – ქაიხოსრო და ივანე კლარჯული ხელნაწერებისა და სინას მთის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანეების მოსახსენებლებში „ათაბაგად“, „დიდად“, „ათაბაგ-ამირსპასალარად“ იწოდებიან (კლდიაშვილი 2017: 201-203).

თავი 4: ანჩის ეპარქია

ანჩის საკათედრო ეკლესია მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის მხარეში, არტანუჯის რაიონის სოფელ ანჩაში, თანამედროვე სახელწოდებით– ინჯილში (Artvin İli, Ardanuç İlçe, İncilli köyü), სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 600 მ-ზე, მდ. სამწყარის მარცხენა მხარეს (ბაგაური... 2017: 128).

ანჩის საყდრის მდებარეობა არასდროს ყოფილა სამეცნიერო დავის თემა, თუმცა 2015 წელს საქართველოს კულტურისა და ტურისტული კვლევის ცენტრმა გამოთქვა განსხვავებული მოსაზრება საეპიკოპოსო ტაძრის მდებარეობის შესახებ. მათი ექსპედიციის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ ანჩის თანამედროვე არდანუჩის რაიონის (Ardanuç İlçe) სოფელ ინჯილიში (İncilli), ხევის პირას მოსახლეობა მიუთითებს დიდი ტაძრის არსებობაზე. ამ ეკლესიისგან ამჟამად გათლილი ქვები (მათ შორის შირიმის) და დუღაბის მოზრდილი ფრაგმენტებია შემორჩენილია. (ტაო-კლარჯეთის ექსპედიციები (2015) 2016: 90). ექსპედიციის წევრები[28] ამ ადგილას მოიაზრებენ ანჩის ეკლესიის მდებარეობას, თუმცა აღნიშნავენ, რომ მისი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება (ტაო-კლარჯეთის ექსპედიციები (2015) 2016: 90).

XVIII ს-ის I ნახევარში ანჩის ეკლესიას ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: „ანჩის ღმრთაების ეკლესია არს გუმბათიანი, დიდ-შუენიერად ნაგები“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1974: 677-678). 1879 წელს ანჩაში დიმიტრი ბაქრაძეს უკვე ტაძრის ნანგრევები დახვდა (Вакрадзе 1880: 49). ნაგებობების განადგურების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ტაძრისათვის შემოუძარცვავთ მოსაპირკეთებელი ქვის ფილები მეჩეთისა და თავიანთი საცხოვრებელი სახლების ასაგებად (სილოგავა... 2006: 49)

1904 წლის 4 აგვისტოს ანჩის ტაძრის ნანგრევები დაათვალიერა ნიკო მარმა. მის დროს ჯერ კიდევ იდგა ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ნაწილი, მთლიანად შემოძარცვული ქვის პერანგისაგან, საკურთხევლის ნახევარწრის

[28] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: თეიმურაზ ხუციშვილი (ხელმძღვანელი), ანა გელაშვილი, ბებურ გოზალიშვილი, ანა იმედაშვილი, შალვა კოღუაშვილი, ლევან წიქარიშვილი.

კედელი და მის ზემოთ ბემის ნაწილი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენების კედლების ფრაგმენტები. სამხრეთი მინაშენისათვის გვიან მიუშენებიათ კიდევ ოთახი, რომლის ნარჩენებიც შემორჩენილი ყოფილა (მარი 2012: 249).

ანჩის ეკლესიიდან წაღებული სამი ჩუქურთმიანი ქვის (ფრაგმენტები ჩაშენებულია სოფ. ანჩის მეჩეთის ფასადში და ადგილობრივი მოსახლის სახლში) დათარიღების საფუძველზე, ვახტანგ ჯობაძის ვარაუდით, ანჩის ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთეს X საუკუნის შუა ხანების შემდეგ, უფრო ზუსტად კი XI საუკუნის I ნახევარში. ვახტანგ ჯობაძის მოსაზრებით, ამ დროს შეიმოსა ანჩის ეკლესიის ფასადები სუფთა თლილი ფილებით და შეიმკო ორნამენტული კვეთილობით (ჯობაძე 2007: 71-72). აქვე აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ქართველმა სპეციალისტებმა ანჩის ეკლესიიდან წაღებული კიდევ ერთი ფრაგმენტი ნახეს. სოფლის ერთ-ერთი სახლის გომურის კედლის ქვედა ნაწილში ჩატანებულია წნულორნამენტიანი ქვა, დაზიანებული ზედაპირით (ტაო-კლარჯეთის ექსპედიციები (2015) 2016: 91).

ანჩის ეპარქიის ისტორია საგანგებოდ ორ მკვლევარს აქვს შესწავლილი: ვალერი სილოგავას (ანჩის ეპარქია, ლიტერატურული მესხეთი 2002, N11 ნოემბერი, გვ.2-4; ანჩის ეპარქია, ნათელი ქრისტესი საქართველო, წ. 1, თბილისი, 2003, გვ. 281-288; ანჩის ეპარქია, თანაავტორი კახა შენგელია, „ტაო-კლარჯეთ“, 2006 წელი) და ნიკოლოზ გურგენიძეს (ანჩის ეპარქია, „православная энциклопедия“, მესამე ტომი, 2000 წელი, გვ. 14-16, თეა ქართველიშვილის და მზია სურგულაძის თანაავტორობით; ანჩის ეპარქია, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია, ენციკლოპედია, 2015, გვ. 242-247).

ანჩის საეპისკოპოსოს ადრეული პერიოდის შესახებ ცნობას გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში ვხვდებით. გიორგი მერჩულის თქმით, კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობამდე ანჩის საყდარს მრავალწლიანი ისტორია ჰქონდა და ბევრი გამორჩეული ეპისკოპოსიც ჰყოლია: „დაღაცათუ ფრიად ურიცხუნი ჟამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღშენებისანი და ეპისკოპოსნიცა მრავალნი კეთილად სასწაულთა მოქმედნი ყოფილ არიან“ (გიორგი მერჩულე 1963: 303).

მეცნიერებაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ანჩის ეპარქია დაარსდა VI-VII სს-ში. ამ თარიღს იზიარებდნენ პავლე ინგოროყვა (ინგოროყვა 1954: 377-378), ლევან მენაბდე (მენაბდე 1962: 436), ვახტანგ ჯობაძე (ჯობაძე 2007: 70), ვალერი სილოგავა (სილოგავა... 2006: 46).

ვალერი სილოგავას მოსაზრებით, VIII საუკუნის 30-იან წლებში მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ განადგურებული ახიზის საეპისკოპოსო ანჩის ეპარქიას შეუერთდა და ეპარქიის ცენტრმა გადაინაცვლა ანჩაში (სილოგავა, შენგელია 2006: 46).

სუმბატ დავითის ძის ცნობით, მურვან ყრუს ლაშქრობის (735 წ.) შედეგად განადგურდა არტანუჯი (სუმბატ დავითის ძე 2008: 364), მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ცნობა არ გვაქვს, სავარაუდებელია, რომ ამ შემოსევის შემდეგ შეწყვიტა არსებობა ახიზის საეპისკოპოსომ (სილოგავა... 2006: 17). უცნობია ახიზის ეპარქიის ისტორიული საზღვრები, თუმცა საფიქრებელია, რომ ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული ოპიზის მონასტერიც აშენების დროს ახიზის ეპარქიას უნდა დაქვემდებარებოდა (მათითაშვილი 2018: 134). კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ანჩისა და ახიზის ეპარქიების თანადროული არსებობა. IX საუკუნის შემდეგაც, როდესაც კლარჯეთში დიდი სამონასტრო მშენებლობა დაიწყო და ეს მხარე პოლიტიკურადაც დაწინაურდა, არ დამდგარა ორი ეპარქიის არსებობის საჭიროება. აღსანიშნავია, რომ გარდა ახიზის საეპისკოპოსოსი, V-VIII სს-ში, ისტორიული წყაროების მიხედვით, ტაო-კლარჯეთის რეგიონში რამდენიმე ეპარქიაა ცნობილი: წყაროსთავის (წყაროსთავის ეკლესია... რომელი აღაშენა მირდატ გორგასალის ძემან. იჯდა ეპისკოპოზი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 669; ჯუანშერი 1955: 205), ერუშეთის („და დასუა ერთი ეპისკოპოსად... არტანს, ერუშეთს (ყაუხჩიშვილი 1955: 198)

ახიზის საეპისკოპოსო საყდრის განადგურების შემდეგ, როგორც ჩანს, ეპარქიის ცენტრმა გადაინაცვლა ანჩაში. გაერთიანდა არა ორი ეპარქია, არამედ შეიცვალა საეპისკოპოსო ცენტრი. ანუ V-VIII საუკუნეებში იყო ახიზის, ხოლო საკათედრო ტაძრის ანჩაში გადატანის შემდეგ ანჩის ეპარქია.

კლარჯეთის უდაბნოების დიაკვნებს და მღვდლებს ანჩელი ეპისკოპოსი ასხამდა ხელს და კლარჯელი სასულიერო პირების წერილობითი დასტურის გარეშე ქართლის კათალიკოსი სასულიერო პირს ანჩელ მღვდელმთავრად არ აკურთხებდა (გიორგი მერჩულე 1963: 303). ანჩის ეპარქიის მღვდელმთავრები ანჩელებად იწოდებოდნენ.

ანჩის საეპისკოპოსო და ანჩელი ეპისკოპოსები აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის შინაფეოდალურ, პოლიტიკურ ბრძოლებსა და კულტურულ-მწიგნობრულ საქმიანობაში.

IX საუკუნის I მეოთხედში თბილისის ამირა საჰაკის დახმარებით და აშოტ კურაპალატის თანხმობით, ანჩის ეპისკოპოსო გახდა ვინმე ცქირი, რომელიც ამირა საჰაკ ისმაილის ძეს აღუზრდია თბილისში და დიაკვნობის პერიოდში დიპლომატიური მისიით გაუგზავნია აშოტ კურაპალატთან. გიორგი მერჩულის ცნობით, ცქირმა უამრავი სიბოროტე დამართა გრიგოლს და იმ პერიოდში მოღვაწე სხვა წმინდა მამებს, რომელთაგანაც მუდამ სამართლიანად იყო მხილებული. „და მრავალი ბოროტი შეამთხჳა მამასა გრიგოლს და მას ჟამისა წმიდათა მამათა და სხუათაცა მორწმუნეთა ერისკაცთა. და რომელნი მარადის სამართლად ამხილებდეს მას“. კლარჯეთში მოღვაწე ბერ-მონაზვნებმა ერთად მიმართეს დასახმარებლად აშოტ კურაპალატს. მათ, აშოტის ბრძანებით, წერილი გაუგზავნეს ქართლის კათალიკოსს. „და მის მიერ (იგულისხმება ქართლის კათალიკოსი) ეპისკოპოსნი ღირსნი მოიწინეს ანჩს და მათ თანა შემოკრბეს ყოველნი იგი მეუდაბნოენი მამანი“. კრებამ ცქირი განკვეთა საეპისკოპოსო პატივისაგან. ანჩის საყდარს ჩამოშორებული ცქირი, თავის პატრონთან, ამირა საჰაკთან წავიდა. უკან, კლარჯეთში, მობრუნებულმა ცქირმა ანჩის საეპისკოპოსო კათედრა „მძლავრებით“ დაიპყრო, რათა გრიგოლ ხანცთელზე შური ეძია. გრიგოლი, რომელიც კლარჯეთში სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელი იყო და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ცქირის შურისძიების მთავარი ადრესატი გახდა.

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების თანახმად, ცქირმა ანჩელი „ერი“ შეკრიბა და ხანცთის დასარბევად გაგზავნა. გრიგოლ ხანცთელმა ცოტა დრო ითხოვა ლოცვისათვის. ღმერთმა კლარჯელი ბერების ცრემლიანი ვედრება შეისმინა. მათ

ანგელოზის მიერ ეუწყათ, რომ მოვიდოდა „ქადაგი“, რომელიც ცქირის სიკვდილის ამბავს აცნობებდა. გრიგოლს სიტყვით, ცქირი ორი დღე ცოცხალი იმის გამო რჩებოდა, რომ ანჩისაგან შორს გარდაცვლილიყო (ანჩელი ეპისკოპოსები გარდაცვალების შემდეგ ანჩის საყდრის საძვალეში იკრძალებოდნენ), რათა საეპისკოპოსო საყდარში დამარხვის ღირსი ვერ გამხდარიყო და ყველას ერწმუნა მისი განკვეთა: „დაღაცათუ ორ დღე ცოცხალ ამისათჳს არს, რაჲთა ვერ ღირს იქმნეს დამარხვად საყდარსა საეპიკოპოსოსა, და ყოველთა ჰრწმენეს განკუეთაჲ მისი, ხოლო გული მისი აწვე მომუკვდარ არს“. მას შემდეგ, რაც ხალხი გაგზავნა ხანცთის დასარბევად, ცქირი ქორთაში წავიდა, სადაც გარდაცვლილა კიდეც და იქვე დაუმარხავთ (გიორგი მერჩულე 1963: 305-307).

ცქირის მაგალითის საფუძველზე საფიქრებელია, რომ აშოტ კურაპალატს შეეძლო, ეპისკოპოსობის მსურველი ნებისმიერი პირისთვის ეშუამდგომლა კათალიკოსთან ანჩის საყდრისათვის და მას კლარჯი მონაზვნები შედეგიან წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ. ყურადღებაა მისაქცევი იმ ფაქტისთვისაც, რომ დიპლომატიური მისიის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცქირი დიაკონი იყო. სავარაუდოდ, ნაჩქარევად და საეკლესიო წესების დარღვევით მოხდა ჯერ მისი მღვდლად, ხოლო მალევე ანჩის ეპისკოპოსად ხელდასხმა. ხომ არ დავუშვათ, რომ აშოტ კურაპალატმა აღადგინა საეპიკოსკოპოსო კლარჯეთში და ამიტომაც შეუძლია დასვას ეპისკოპოსი? მაგალითად, ბაგრატიონების შტოებად გაყოფის შემდეგ სხვადასხვა პროვინციაში დამკვიდრებულებმა დაიწყეს ეპარქიების დაარსება. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის ვაჟმა, ტაოს შტოს წარმომადგენელმა ადარნასე II ქართველთა მეფემ ბანაში დააარსა საეპისკოპოსო, ხოლო კლარჯეთის ხაზის წარმომადგენელმა გურგენ კურაპალატის ვაჟმა აშოტ კუხმა შავშეთში ააშენა ტბეთის საეპისკოპოსო ტაძარი და დასაბამი დაუდო ტბეთის ეპარქიას (სუმბატ დავითის ძე 2008: 366-367). გრიგოლ ხანცთელი აფხაზეთის მეფის დიმიტრისთან საუბრის დროს, კლარჯეთის უდაბნოების აღწერისას აღნიშნავს, რომ ღმერთმა მორწმუნე მეფეებს მისცა უფლებამოსილება საეპისკოპოსო საყდართა აშენების: „არამედ მისცა ღმერთმან ჴელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საებიკოპოსოთა“ (გიორგი მერჩულე 1963: 269).

ის, რომ კათალიკოსი კლარჯელი მამების ნებართვით ანჩის ეპისკოპოსად გამორჩეულ კანდიდატს ვერ აკურთხებდა, შეიძლება ცქირის ისტორიის შემდეგ გახდა საჭირო, მსგავსი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით. ვალერი სილოგავასა და ანრი ბოგვერაძის მოსაზრებით, ცქირი ანჩის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო IX ს-ის 40-იან წლებში. როგორც ზემოთ ვნახეთ, ცქირი ამირა საჰაკის და აშოტ კურაპალატის თანამედროვე იყო, ეს ფაქტი მკვლევართა ნაწილისთვის შეუსაბამოა. ამ გარემოებას ყურადღება პირველად ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია და აღნიშნა, რომ შეცდომა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში იყო. გიორგი მერჩულეს ან თბილისის ამირას სახელი შეეშალა ან კურაპალატის (ჯავახიშვილი 1945: 123).

კორნელი კეკელიძემ ეს ფაქტი აშოტის გარდაცვალების თარიღის შეცვლით ახსნა. მან გაიზიარა მოსაზრება, რომ ამირა საჰაკი თბილისის ამირად დაინიშნა 830 წელს: „ამრიგად გამოდის, რომ 830 წელზე ადრე, როდესაც საჰაკი ტფილისის ამირა ხდება, აშოტის სიკვდილი საგულვებელი არაა... ყველა მოსაზრებათა გამო შეიძლება ითქვას, რომ სუმბატის ქრონიკის მვ-ში წარყვნილი და შეცვლილია ათეულის მაჩვენებელი ასო, მ-ს მაგიერ იქ საფიქრებელია ნ, ასე რომ აშოტის გარდაცვალების წლად უნდა მიჩნეულ იქნეს არა მვ ქორონიკონი, არამედ ნვ, ე,ი, 836 წელი“ (კეკელიძე 1935: 103).

სიმონ ჯანაშიამ ცქირის ისტორია IX ს-ის 20-იანი წლებით დაათარიღა: „ეს ამბავი... მომხდარა IX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც არაბები ქართლში უკვე საკმაოდ დასუსტებული იყვნენ“ (ჯანაშია 1952: 410).

თამარ ლომოურმა ყურადღება მიაქცია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ერთ ცნობას: „ხოლო უწესოებაჲ მისი (ცქირის - ნ. ხ.) მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან მამათა და ყოველთა მათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა, უფროჲს ხოლო მამისა გრიგოლისგან, რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთაჲ” (გიორგი მერჩულე 1963: 305). „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ გრიგოლმა არქიმანდრიტობა აშოტის მემკვიდრეების დროს მიიღო. აქედან გამომდინარე, თამარ ლომოური ვარაუდობდა, რომ ცქირმა ანჩის საყდარი დაიპყრო არა აშოტის, არამედ ბაგრატ კურაპალატის მმართველობის პერიოდში.

მკვლევარმა თხზულებაში ისტორიულ პირთა სახელების არევა ახსნა იმით, რომ გადამწერს ან იმ პირს, რომელმაც გიორგი მერჩულეს ეს ამბავი მოუთხრო, მცდარი ინფორმაცია ჰქონდა (ლომოური 1925: 55-56).

თამარ ლომოურის ამ მოსაზრებას იზიარებს ანრი ბოგვერაძე. მან ცქირის ისტორიაში ყველა ის ადგილი, სადაც იხსენიება აშოტ კურაპალატი, ბაგრატ კურაპალატით ჩაანაცვლა: „ამირა-კურაპალატის ეს კავშირი ბაგრატისთვის თავზე მოხვეულია... ცქირის მისვლა-მოსვლაში ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი გარდაიცვალა. პატივმოყვარე დიაკონმა „საჰაკ ამირასა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი ბაგრატ კურაპალატისაგან“. აქედან გამომდინარე, ანრი ბოგვერაძის ვარაუდობს, რომ ცქირი ანჩელი ეპისკოპოსი IX ს-ის 40-იან წლებში იყო (ბოგვერაძე1970: 136).

არაბულ წყაროში დაცულია ერთი ცნობა, რომელიც აშოტ კურაპალატისა და თბილისის ამირა საჰაკის თანადროული მოღვაწეობის სისწორეს ადასტურებს. XVII ს-ის არაბულენოვანი თურქი ავტორის მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში დაცულია ერთი ნაწყვეტი არაბული ქრონიკიდან, რომელიც IX საუკუნის ავტორს[29] ეკუთვნის და რომელსაც ამ ქრონიკის მკვლევარი და გამომცემელი ვლ. მინორსკი პირობითად „თარიხ ბაბ ალ-აბვაბს“ უწოდებს. ამ წყაროს მიხედვითაც საჰაკი თბილისის ამირად უნდა დაენიშნათ უფრო ადრე, ვიდრე 829-830 წელია. „ისჰაკ იბნ ისმაილ იბნ შუაყაიბის (საჰაკის - ნ. ხ.) ურჩობა (არ ემორჩილებოდა არაბთა ხალიფას - ნ. ხ.) გრძელდებოდა მის სიკვდილამდე 35 წელი და დაკარგეს სამეფო მისმა შვილებმა მისი ურჩობის გამო“ (სიხარულიძე 1976: 139-142). ჩვენთვის კარგადაა ცნობილი საჰაკის მოკვლის თარიღი - 853 წელს თბილისის აღების შემდეგ სიკვდილით დასაჯა ბუღა თურქმა. „და თუ მისი ურჩობის წელი 35 წელი გრძელდებოდა - მაშინ იგი თბილისის ამირად უნდა დაენიშნათ არა უგვიანეს 817 წლისა დაახლოებით ამ დროიდანვე უნდა დაწყებულიყო მისი მცდელობაც

[29] აღნიშნული ქრონიკის ავტორი უნდა იყოს შაიხ აბუ აბდ ალაჰ მამუს იბნ ალ-ჰასან იბნ მუჰამად ალ ლაქზი ად დარბანდი (გარდ. 504/1110 წ). ამ ავტორის იდენტიფიკაცია დაღესტნელ ისტორიკოს ა. ალიკბეროვს ეკუთვნის (ჯაფარიძე 2014: 17) ამ არაბული წყაროს მიხედვით, გოჩა ჯაფარიძე საჰაკის პირველ გაამირებას 818 წელს ვარაუდობს, ხოლო როდის დაკარგა მან ძალაუფლება, უცნობია. მკვლევარი ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხელახლა საჰაკი ამირა 832 წელს გახდა (ჯაფარიძე 2014: 18).

დამოუკიდებლობისათვის. ამის მიხედვით, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს აშოტ კურაპალატისა და საჰაკის ურთიერთობის ფაქტი. ქართულ ისტორიოგრაფიაში საეჭვოდაა მიჩნეული საჰაკისა და აშოტ კურაპალატის ურთიერთობა, რადგანაც მიღებული თარიღები აშოტის გარდაცვალებისა 826 წელი და საჰაკის დანიშვნის ამირად - 831 ან 842 წელი - არ შეესაბამება ერთმანეთს“ (სიხარულიძე, 1976: 139-142). როდის დაკარგა მან ძალაუფლება, უცნობია. გოჩა ჯაფარიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხელახლა საჰაკი ამირა 832 წელს უნდა გამხდარიყო (ჯაფარიძე 2014: 18).

სარწმუნო წყაროდ მიგვაჩნია სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, რადგან სხვადასხვა დროს გამოვლენილი ისტორიული ფაქტები ადასტურებს სუმბატის ნაშრომის სანდოობას. მაგალითად, სუმბატ დავითის ძის მიხედვით, აშოტ II, იგივე აშოტ IV კურაპალატი, გარდაიცვალა 954 წელს. აშოტ II-ის გარდაცვალების თარიღის უტყუარობას ამტკიცებს 2017 წელს ისტორიულ ტაოში, არზრუმის ილის შენქაიას ილჩეს სოფელ მერედისში მიკვლეული ასომთავრული წარწერა. გარდა წელისა, წარწერაში აშოტის გარდაცვალების დღე და რიცხვიცაა აღნიშნული - 25 იანვარი (ჯოჯუა 2018: 103-104).

აშოტ კურაპალატისა და თბილისის ამირა საჰაკის მოღვაწეობის პერიოდიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ცქირი ანჩის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო 817/818-826 წლებს შორის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის ერთ-ერთ სტელაზე არის წარწერა, რომელშიც იხსენიება ვინმე ცქირი: „მე, ცქირი შემ(ი)წ[ყალე...]“. (სილოგავა 1999: 48). მკვლევრის ვარაუდით, იგი შესაძლოა ანჩელი ეპისკოპოსი ცქირი ყოფილიყო (სილოგავა...2006: 55). ცქირს, როგორც ამირა საჰაკის მიერ გაზრდილს და მასთან დაახლოებულ პირს, შესაძლებლობა ექნებოდა თბილისის საამიროს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აეშენებინა, განეახლებინა ან რომელიმე ეკლესიისათვის შეეწირა შესაწირავი, რის გამოც მის მოსახსენებელ წარწერას გააკეთებდნენ. თანაც აღსანიშნავია, რომ სახელი ცქირი არ არის ისეთი ხშირი მოხსენიების და, ვფიქრობთ, დასაშვებია სტელის წარწერაში მოხსენიებული ცქირის და ანჩელი ცქირის გაიგივების აზრი.

კიდევ ერთი ეპისკოპოსი, რომელიც მოხსენიებულია გიორგი მერჩულის თხზულებაში, არის ზემოთ მოხსენიებული ზაქარია ანჩელი. ზაქარია ანჩელმა ბაგრატ კურაპალატთან და მთავრებთან ერთად მოიარა კლარჯეთის უდაბნოები. მისი და მასთან ერთად წმიდა მამათა განზრახვით, გრიგოლი დაადგინეს „ყოველთა კლარჯეთის უდაბნოსა ზედა“ არქიმანდრიტად. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ ზაქარიას მიერ მოხდენილი არაერთი სასწაულის შესახებაა მოთხრობილი (გიორგი მერჩულე 1963: 304).

ცქირის გარდა, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებამ“ შემოგვინახა რამდენიმე ანჩელი მღვდელმთავრის ვინაობა. ანჩელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში უნდა შევიყვანოთ ის მღვდელმთავარიც, რომელმაც ზაქარია ანჩელი გაზარდა. გიორგი მერჩულეს გადმოცემით, ყრმობისას ზაქარია ანჩელმა, მღვდლის მსგავსად, პატიოსანი ჯვრის წინ შესაწირავი გაამზადა. მას გარს მცირეწლოვანი ბავშვები შემოერტყნენ და დაუდუმებლად ანგელოზთა გალობას ღაღადებდნენ... „და კჳრიელეისონი ფრიად მრავალთ თქჳან. ხოლო ზეცით მოწევნულ იყო სუეტი ფრიად ბრწყინვალე ნათლისაჲ უმანკოსა მას ზედა მღდელსა ყრმასა“. გზად მომავალი ვინმე ანჩელი ეპისკოპოსი ხედავდა ამ სასწაულს. იგი მივიდა და ეზიარა „ჴელითა ღირსისა მის ყრმისაჲთა და თანაწარიყვანა ანჩს. ხოლო დეკანოზსა გამოუცხადა ზიარებაჲ თჳსი“. მღვდელმთავრის ბრძანებით, ზაქარია „ღირსთა კაცთა“ ტბის მონასტერში აღზარდეს (გიორგი მერჩულე 1963: 304). სამწუხაროდ, გიორგი მერჩულე ამ ეპისკოპოსის სახელს არ ასახელებს. სავარაუდოდ, იგი ანჩის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო ცქირის შემდეგ და ზაქარიამდე, IX ს-ის 20-იანი წლების მეორე ნახევარში.

რაც შეეხება მაკარი ანჩელს, გიორგი მერჩულე მას ასახელებს იმ ისტორიულ პირთა შორის, რომელთა დროსაც დაიწერა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, გრიგოლის გარდაცვალებიდან (861) 90 წლის შემდეგ, ანუ 951 წელს. მაშასადამე, მაკარი ანჩელი X ს-ის შუა ხანების მოღვაწე იყო ანჩის კათედრაზე (სილოგავა, შენგელია, 2006: 56).

ეზრა I ანჩელი, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მიხედვით, დაფანჩულთა საგვარეულოს სახლის წარმომადგენელი იყო. დაფანჩულნი სამხრეთ

საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური სახლის წევრები იყვნენ. ამასთანავე, ეზრა შემოქმედი პიროვნებაც იყო - მიქაელ მოდრეკილის „საწელიწდო იადგარში“ შეტანილი საგალობელი 20 იანვრისა, ეფთვიმე პალესტინელის სახელზე, სწორედ მას დაწერა მიეწერება. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მიხედვით იგი იყო ადარნასე კურაპალატის ვაჟის ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის თანამედროვე (გიორგი მერჩულე 1963: 307). ვალერი სილოგავა ეზრას მამათმთავრობას X ს-ის 30-40-იანი წლებით ათარიღებს, რადგან აღნიშნულ ბაგრატ ერისთავთ-ერისთავში მოიაზრებენ ადარნასე II ქართველთა მეფის ძეს, მაგრამ სხვადასხვა წყაროს შესწავლამ განსხვავებული მოსაზრების გამოთქმის საშუალება მოგვცა.

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება წყარო, რომელიც ადარნასე II ქართველთა მეფის ძის - ბაგრატის ერისთავთ-ერისთავობას დაადასტურებს. ბაგრატი, იშხნის წარწერის მიხედვით, ქართველთა მეფის ტიტულს ატარებდა 937-945 წლებს შორის (თაყაიშვილი 1960: 22), სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებასა“ და კონსტანტინე პორფიროგენეტთან კი იგი მხოლოდ მაგისტროსის ტიტულით მოიხსენიება (სუმბატ დავითის ძე 2008: 368; მერჩულე 1963: 316; ყაუხჩიშვილი 1952: 269, 271). ვახუშტი ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ ბაგრატს, მაგისტროსის ტიტულის გარდა, კურაპალატობაც ჰქონდა (ვახუშტი ბატონიშვილი 1979: 699).

სუმბატ დავითის ძის მიხედვით, ცნობილია მისი თანამედროვე გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი, რომელმაც ეს ტიტული 918 წელს აშოტ კუხის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. ამავე წყაროს თანახმად, გურგენი გარდაიცვალა 941 წლის 14 თებერვალს (სუმბატ დავითის ძე 2008: 368). ანრი ბოგვერაძის მართებული დასკვნით, გურგენის გარდაცვალების შემდეგ, სავარაუდებელია, რომ ერისთავთ-ერისთავად ადარნასე II-ის ძე სუმბატი დასვეს. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დაწერისას, ანუ 951 წელს, ერისთავთ-ერისთავობას სუმბატი ფლობდა (გიორგი მერჩულე 1964: 316). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონთა სახლში ერთდროულად ერთი და იგივე პატივი, ქართული თუ უცხოური, სხვადასხვა პირს

არასდროს უტარებია, რაც მათი კოლეგიალური მმართველობის ერთ-ერთი მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო (ბოგვერაძე 1993, N3-4: 22, 32).

ეზრა უნდა ყოფილიყო მაკარი ანჩელის არა წინა, არამედ შემდეგი ეპისკოპოსი ანჩის საყდარზე, მისი თანამედროვე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი კი - დავით III კურაპალატის ძმა, რომელიც 966 წელს გარდაიცვალა.ადარნასე III კურაპალატის ვაჟის ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის მოღვაწეობის პერიოდიდან გამომდინარე, ეზრას მღვდელმთავრობა ანჩის ეპარქიაში X ს-ის 60-იანი წლებით შეიძლება დავათარიღოთ.

1028 წელს საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII. ქართველ აზნაურთა (ტაოელთა და კლარჯთა) ნაწილი ბიზანტიის მხარეს გადავიდა. ანჩის ეპისკოპოსმა ეზრამ უერთგულა ბაგრატ IV-ს (1027-1072) და საბა მტბევარის აგებულ სვეტის ციხეში გამაგრდა: „ხოლო აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელ-სდვა მას სვეტი. და შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი და შევიდეს მას შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი და ეზრა ანჩელი ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი“ – წერს XI ს-ის ავტორი სუმბატ დავითის-ძე (სუმბატ დავითის ძე 2008: 374; მატიანე ქართლისაჲ: 2008: 279).

„ქართლის ცხოვრების“ გარდა, ეზრა (II) ანჩელი მოხსენიებულია 1035 წელს გადაწერილი ხელნაწერის - ბასილი დიდის „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲს“ ანდერძში. იგი ყოფილა ხელნაწერის მომგებელი (დამკვეთი): „...ამისთჳსცა მე, დავით ჯიბისძემან... დავწერე ესე წიგნი ბრძანებითა ეზრა მამადმთავრისა... დავწერე ჴელითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა საბასითა მიქაელისითა და გაბრიელისითა და გავასრულე ჴელითა შვილისა ჩემისა ივანესითა, და შევმოსე უღირსთა ჴელითა ჩემითა, და დავდევ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სამოძღურებელად მორწმუნეთა, სალხინებლად ცოდვათა ჩემთა და სალხინებლად საწყალობელისა სულისა ჩემისა. და სადიდებლად ეზრა მამადმთავრისა და მამისა ეფრემისჳს...“. (A ფონდის აღწერილობა 1976: 157). ანდერძში ეზრა არ იხსენიება ანჩელ ეპისკოპოსად, თუმცა მისი „მამათმთავრობა“ და ხელნაწერის შეწირვა ანჩის

სამწყსოს გამორჩეული მონასტრის - შატბერდისათვის, სწორედ მის ანჩელობაზე უნდა მეტყველებდეს. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ეს იგივე პიროვნებაა, რომელიც იხსენიება „მატიანე ქართლისაჲში“ და სუმბატ დავითის-ძესთან.

XII საუკუნეში იოვანე ანჩელს შეუდგენია „გალობანი ანჩის ხატისა“, რომელსაც კორნელი კეკელიძე მაღალ შეფასებას აძლევს და წერს, რომ „იოვანე ანჩელის გალობა გან(?)მსჭვალულია თბილი მამულიშვილური გრძნობით“ (კეკელიძე 1980: 323). საინტერესოა, რომ საგალობლის სტროფების პირველი ასოები ქმნის წინადადებას: „საშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდოი იოვანე ანჩელი“ (სილოგავა, შენგელია 2006: 57).

იოვანე ანჩელმა, თამარ მეფის მიერ მიცემული საფასით, ბექა ოპიზარს შეუკვეთა ანჩისხატის მოჭედილობა, რომელიც დღეისათვის შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდშია დაცული: „ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა ღმრთივგჳრგჳნოსნისა დიდისა დედოფალთა დედოფლისა თამარისითა, მე, იოვანე ანჩელმან, რკინაელმან, ჴელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჭედად; მფარველ-მცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა ხელითა ბექასითა; ქრისტე შეიწყალე“ (ამირანაშვილი 1956: 8).

იოანე რკინაელის შემდეგ ანჩის საეპისკოპოსო ტახტი თეოდორე ანჩელმა დაიკავა, რომლის შესახებ ცნობა ანჩის სახარების ანდერძმა შემოგვინახა: „და ამის სახარებისათჳს თეოდორე ანჩელ მთავარებისკოპოსმან და სულით და ჴორცით შესავედრებელთა ჩემთა საყდრისშვილთა მისსივე სიწმიდის გარდმოყენებასა ზედა განმიწესეს: სჳმეონს და ძმათა მისთა, შეუნდვენ ღმერთმან, და კედელსაცა ზედა დაწერაჲ აღმითქუჳს; მათცა მიანიჭენ სასყიდელი ღმერთმან შრომათა მათთაჲ“. თეოდორე ანჩელი იყო თამარ მეფის თანამედროვე, აქედან გამომდინარე, ვალერი სილოგავას მართებული ვარაუდით, მას ანჩის საეპისკოპოსო ტახტი ეკავა XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისში (სილოგავა... 2006: 65).

დემეტრე II თავდადებულის (1270-1289) თანამედროვე ჩანს მთავარეპისკოპოსი იოვანე ანჩელი. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება ეტრატზე დაწერილი XIII საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებული

დემეტრე თავდადებულის მიერ გაცემული დოკუმენტი (სცსა, 1449, N№1596), რადგან საბუთში დემეტრე II თავს „წამებულს“ უწოდებს („ჩუენ მეფეთა მეფემან დიმიტრი წამებულმან, წარსამართებლად სულისა ჩუენისა, როდეს საქართველოს ჴსნისათვის ვიწამე“), იგი ნაყალბევად ჩაითვალა და ამ მიზეზით არ შევიდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ I ტომში. თედო ჟორდანიას მოსაზრებით, საბუთი დემეტრე მეფის მიერ გაცემულია 1289 წელს მონღოლთა კარზე, მუღანის ველზე წამების წინ. საბუთის ტექსტი გამოქვეყნებულია თედო ჟორდანიას მიერ. საბუთს ახლავს დამტკიცება, რომელიც იოვანე ანჩელს ეკუთვნის: „მე, მათი მიწა მლოცველი, ქრისტეს მიერ ანჩელ მთავარეპისკოპოსი და ათორმეტ უდაბნოთა არქიმანდრიტი, უნდოი იოვანე კანონითა მტკიცე ვყოფ, შემცვალებელნი ამისნი იყავნ კრულ...“ (ჟორდანია, 1897; 167; სილოგავა, შენგელია 2006: 62).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, იოვანე II ანჩელის ფრესკული გამოსახულება შემორჩენილია გარეჯის მრავალთავის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილია ახალგაზრდა დემეტრე II-ის ფრესკული გამოსახულება, ხოლო მის მოპირდაპირედ, ეკლესიის სამხრეთ კედელზე – იოვანე ეპისკოპოსი ეკლესიის მოდელით ხელში, ე. ი. ქტიტორის პოზაში. გიორგი ჩუბინაშვილმა, რომელმაც ეს მხატვრობა შეისწავლა, ხარების ეკლესიაში გამოსახული იოვანე გააიგივა დემეტრე II-ის მიერ გაცემული საბუთის დამამტკიცებელ ანჩელ მთავარეპისკოპოს იოვანესთან და მიიჩნია, რომ ის იყო დემეტრე მეფის სულიერი მოძღვარი, მან დემეტრეს ახალგაზრდობაში (როდესაც იგი დაახლოებით 18 წლის იყო, ანუ 1280 წლის ახლო პერიოდში) მოახატვინა უდაბნოს ხარების ეკლესია, ხოლო 1289 წელს მეფის მონღოლთა კარზე გამგზავრების წინ მოინახულა იგი და დაამტკიცა მის მიერ გაცემული უკანასკნელი საბუთი (Чубинашвили 1948: 74, 80; შენგელია, სილოგავა 2006: 62).

უდაბნოს ხარების ეკლესიის მოხატულობა შეისწავლა მარინე ბულიამაც. იგი იზიარებს გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ ჩრდილოეთ კედელზე არის დემეტრე თავდადებულის გამოსახულება, ხოლო სამხრეთ კედელზე

გამოსახული პირი, ეკლესიის მოდელით ხელში, – იოვანე ანჩელი მთავარეპისკოპოსი. მკვლევარი ეცადა, დაეზუსტებინა მოხატულობის შესრულების თარიღი (1289-1295) და გამოთქვა ვარაუდი, რომ დემეტრე აქ წარმოდგენილია არა როგორც ღვთის ძალით დაჯილდოებული მეფე, არამედ როგორც წმინდა მოწამე (ბულია, 1991,).

იოვანე ანჩელის სახელს უკავშირდება ერთი საეკლესიო ნივთი – ცაიშის ომოფორი (თავდაპირველად - ოლარი), რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ომოფორზე მნიშვნელოვანი წარწერებია ამოქარგული. მასზე მოთავსებული სამი წარწერიდან ორში ანჩელი მღვდელმთავრები – იოვანე და თეოფანე, ხოლო ერთში ცაიშელი დავით ჯოლია იხსენიებიან. 1652 წელს ომოფორი შეუძენია თამარ ჯოლიას და ძმის, ცაიშის ეპისკოპოსის დავით ჯოლიას დავალებით ხელახლა შეუმკია: „აგარიანთაგან ჴელითა გაძარცული ომოფორი მოიტანეს გასასყიდლად და ვიყიდეთ... და შევაკერინე დასა ჩემსა თამარს ჴელაჴლათ და შევამკევით თვალითა და მარგალიტითა...“ (დავითიშვილი 1970: 33). ანჩის შემდეგ, ომოფორი ცაიშის ეკლესიაში ინახებოდა.

როგორც წარწერებიდან ირკვევა, 1312 წელს წარჩინებულმა მესხმა ქალბატონმა, ჴერჴმლისძის ასულმა თამარმა იოვანე ანჩელისათვის ოლარი დაამზადებინა. დღეისათვის ეს წარწერა აღარ არსებობს, მაგრამ მისი ტექსტი შემორჩენილია თედო ჟორდანიასა და ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემების მიხედვით (წარწერა მესამედ ქეთევან დავითიშვილმა წინა გამოცემებზე დაყრდნობით გამოსცა, რადგან იმ დროისთვის ის ომოფორს უკვე არ მოეპოვებოდა) (თაყაიშვილი 1913-1914: 182-183; ჟორდანია 1897: 186; დავითიშვილი 1970: 30-31).

ექვთიმე თაყაიშვილი და მის მიხედვით ქეთევან დავითიშვილი წარწერაში მოხსენიებულ იოვანე ანჩელს სხვა წყაროებიდან უცნობ პიროვნებად მიიჩნევდნენ (თაყაიშვილი 1913-1914: 183; დავითიშვილი 1970: 30). თეორიულად დასაშვებია, რომ დემეტრე II-ის დოკუმენტსა და ომოფორის წარწერაში მოხსენიებული იოვანე ანჩელი ორი სხვადასხვა ეპისკოპოსი იყოს

ანჩის საყდარზე, თუმცა, ვფიქრობთ, მართებულად უნდა ვარაუდობდეს ვალერი სილოგავა, რომ წარწერაში მოხსენიებული იოვანე ანჩელი, უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში გამოსახული და 1289 წელს დემეტრე II-ის სიგელის დამამტკიცებელი იოანე ანჩელი ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო. „ამ სიგელის სავარაუდო თარიღიდან 1312 წლამდე 23 წელია გასული; თუ მას მანამდე გასულ კიდევ 10 წელს დავუმატებთ, 33 წელი, ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია ერთი პირის მღვდელმთავრობისათვის მისაღები იყოს“ (შენგელია2006: 62-63).

1358-1360 წლებში ამირსპასალარისა და სამცხის სპასალარის ყვარყვარეს ასულმა, იმერეთის მეფის ბაგრატ I-ის მეუღლემ, დედოფალთა დედოფალმა ნათელმა, იოვანე ანჩელისათვის 1312 წელს მიძღვნილი, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დროისათვის უკვე დაძველებული ოლარი ომოფორად გადააკეთებინა. ამ მიზნით, სამოსს ვედრების გამოსახულებით ნაქარგობა დაუმატა და თეოფანე ანჩელს მიართვა (თაყაიშვილი 1913-1914: 183; სილოგავა, შენგელია 2006: 63). ვალერი სილოგავას მართებული მოსაზრებით, ანჩის საყდარზე თეოფანე XIV საუკუნის 50-60-იან წლებში უნდა ვივარაუდოთ (სილოგავა, შენგელია 2006: 63).

XV საუკუნის დამდეგს სამცხის ათაბაგი ივანე (1391-1444) თავის გაზრდილს, ერთიანი საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ს (1412-1442) განუდგა და სამცხე ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოაცხადა, 1415 წელს კი კოხტასთავის ბრძოლაში დამარცხდა და კვლავ მეფეს დაემორჩილა. საინტერესოა, რომ ივანე ათაბაგს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად ეკლესიური თვითმწყსობაც – ქართლის საკათალიკოსოსგან სამხრეთ საქართველოს ეპარქიების გამოყოფა განუზრახავს. სამხრეთ საქართველოს ორი უმნიშვნელოვანესი სამწყსოს საჭეთმპყრობელი – იშხნელი მთავარეპისკოპოსი და ანჩელი მთავარეპისკოპოსი იოსები ივანეს მხარდამჭერნი ყოფილან და საეკლესიო კანონით ემუქრებოდნენ იმათ, ,,ვინც პატრონსა ივანეს შენდობასა დააკლებდა“. „შენდობის დაკლება“ თუ „მინიჭება“ მხოლოდ სასულიერო პირს შეეძლო. აქედან ცხადია, რომ ივანე ათაბაგისადმი დამოკიდებულებაში სამცხის საეპისკოპოსოებს შორის თანხმობა არ ყოფილა. (შარაშიძე 1982: 85-91). ვალერი სილოგავას ვარაუდით, იოსებ ანჩელი ასე

შეიძლება პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის გამო მოიქცა. საბოლოოდ იოსებმა და სხვა სეპარატიულად განწყობილმა მღვდელმთავრებმა ქართლის კათალიკოსის მხარი დაიჭირეს და მის შემადგენლობაში დარჩნენ (სილოგავა, შენგელია 2006: 63).

სამხრეთ საქართველოს გამოყოფის შემდეგი მცდელობა ყვარყვარე ათაბაგს ჰქონდა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ დავით III-ს განუდგნენ სამცხის სამღვდელოების წარმომადგენლები, მათ შორის იყო ანჩის ეპისკოპოსი ქერობინეც. ყვარყვარემ მოკლე დროით, მაგრამ მაინც მიაღწია საწადელს: ,,სამცხის ეპისკოპოსებს თვითონ ნიშნვდა და მცხეთაში კათალიკოზ-პატრიარქთან საკურთხებლად აღარ უშვებდა“. (შარაშიძე 1982: 92). ამას წინ აღუდა კათალიკოზ-პატრიარქი დავითი. საფარის თავზე მოწვეულ კრებაზე დავით კათალიკოსს სამცხეში განდგომილი სამღვდელოება და მათ შორის მაწყვერელიც შეუჩვენებია. საეკლესიო კანონების თანახმად, შეჩვენებულ მღვდელმთავრებს არც საეკლესიო მსახურების უფლება ჰქონდათ და მკაცრი საეკლესიო სასჯელიც – უზიარებლობა ედებოდათ. დანაშაულის ,,ახსნა-შენდობა“ კი მხოლოდ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს შეეძლო. შეჩვენებულ-განკვეთილმა სამცხის მაღალმა სამღვდელოებამ დაიწყო მცხეთაში მისვლა მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის წინაშე ერთგულების გამოსაცხადებლად. ქრისტინე შარაშიძის ვარაუდით, ბრძოლის ბედი გადაწყვიტა არა მარტო საფარის თავზე მოწვეული კრების შემაძრწუნებელმა სახემ, არამედ მთელი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის განწყობილებამ (შარაშიძე 1982: 93).

სამცხე-საათაბაგო პოლიტიკურად, მართალია, გამოეყო საქართველოს, მაგრამ ეკლესიურად იგი მაინც მის შემადგენლობაში დარჩა.

ანჩელი ეპისკოპოსი ქერაბინე დავით ქართლის კათალიკოსისადმი გაგზავნილი ერთგულების დოკუმენტის გარდა, ასევე მოხსენიებულია ბერთის სახარების (Q-906) მინაწერში. მინაწერი საბუთი, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVI საუკუნით თარიღდება: „ესე წიგნი მოვაჴსენე მე, მთავაებიკოპოზმან ანჩელმან ქერაბინ და ბერთისა წინამძღუჱრმან და პარეხთამან მოძღუჱრმან, თქუჱნ, ბერთისა და პარეხთა ღ˜თისმშობელსა

მირიანისა მამუწლსა საქმისათჳს, როგორაცა პატ[რ]ონთა ათაბაგთა დაემტკიცა, აგრეთვე ჩუწნ დავამტკიცეთ. რ˜ ორისავე უდაბნოსათჳს სრულად ლავრამან ბერთისა და პარეხთამან ერთმანე[რ]თისა კითხულობითა და ბრძანებითა, როგორცა სანახევროდ დადებულ იყო, აგრევე დავამტკიცეთ“ (Q ფონდის აღწერილობა 1958: 322).

ანრი ბოგვერაძის მართებული მოსაზრებით, ბერთის სახარების მინაწერში ნახსენები ანჩელი ეპისკოპოსი ქერაბინე და მცხეთის ეკლესიისადმი დაწერილ ერთგულების საბუთში მოხსენებული ქერობინე არქიმანდრიტი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს (ბოგვერაძე 1964: 53).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება XIII საუკუნის ნუსხურით გადაწერილი სხვადასხვა საეკლესიო თხზულების კრებული (A-182), რომელსაც ახლავს მოგვიანო პერიოდის, მხედრულით შესრულებული 30-ზე მეტი მინაწერი. ერთ-ერთ მათგანში მოხსენიებულია ანტონი ანჩელი („სულსა ანჩელსა ანტონის შეუნდვნეს ღმერთმან“), რომელიც მინაწერის შესრულების დროისათვის გარდაცვლილი ყოფილა („სულსა... შეუნდოს“). ვ. სილოგავა ანტონის მოღვაწეობის პერიოდს მინაწერის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XV-XVI საუკუნეებით ათარიღებს (შენგელია, სილოგავა, 2006: 64-65).

წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი ბოლო ანჩელი ეპისკოპოსი იოაკიმე ბარამისძეა. მისი მოსახსენებელი შეტანილია „გერგეტის სულთა მატიანეში“: „ანჩელ მთავარეპისკოპოზსა და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტსა ბარამის ძესა უღირსსა იოაკიმს შეუნდვენ ღმერთმან ცოდვანი“ (შარაშიძე 1954: 264).

იოაკიმე ანჩელი მოხსენებულია „სინის სულთა მატიანეშიც“: *„სულსა ბარამისშვილსა ანჩელსა ღმერთმან შეუნდოსა, მისა დედა-მამასა, ძმათა მომავალთა ყოელთა“.* ამავე მატიანეში იოაკიმეს კიდევ ორი მოსახსენებელია (კლდიაშვილი 2008: 179-182).

დარეჯან კლდიაშვილი წერს, რომ ანჩელი ეპისკოპოსი იოაკიმე ბარამისძე არის მარკოზის თანამედროვე. იოაკიმეს ანჩელობის დროს აშენდა ხანცთის სამრეკლო. სამრეკლოს აგების შესახებ ინფორმაციას გუმბათის დასავლეთ მხარეს ამოკვეთილი მოსახსენებელი გვაწვდის: „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე

მ(ა)რკ(ო)ზ, დედა-მამა მისი, შ(ეუნდე)ნ ღ(მერთმა)ნ“. იგივე მარკოზია „სინის სულთა მატიანის“ ბოლო შემავსებელი, რომელიც მატიანეში წმ. გრიგოლ ხანცთელის ყმად და ხანცთის სამრეკლოს აღმშენებლად წარმოგვიდგენს თავს. ხანცთის სამრეკლო XVI საუკუნის მეოთხე ათწლეულში უნდა იყოს აგებული (კლდიაშვილი, 2008: 143-144, 149).

მარკოზის ფენის მოსახსენებლებში მოხსენიებული პირები (ყვარყვარე III (1516-1535), მისი ძეები: მზეჭაბუკი (1535 წლამდე), ქაიხოსრო II (1545-1573), ზარზმის წინამძღვარი სერაპიონ ხურციძე (XVI საუკუნის 40-50-იანი წლები, აფხაზეთის კათალიკოსი იოსებ მაჭუტიძე (1540-1550-იანი წლების ახლო ხანები) და სხვ.) XVI საუკუნის მეორე მეოთხედის მოღვაწენი არიან. აქედან გამომდინარე, დარეჯან კლდიაშვილი მართებულად ვარაუდობს, რომ იოაკიმე ბარამისძე ანჩელი ეპიკოპოსი XVI საუკუნის 40-იან წლებში იყო (კლდიაშვილი 2008: 179-182). საფიქრებელია, რომ გარდა მარკოზის მაკურთხევლობისა, იოაკიმე ბარამისძემ შეწირულობები გაიღო სინას მთის და გერგეტის ეკლესიებისთვის და ამიტომაც შეიტანეს მისი მოსახსენებელი სულთა მატიანეებში

ზემოთ მოყვანილი წყაროებიდან გამომდინარე, ჩვენთვის ცნობილია ანჩის 14 ეპისკოპოსი:

- ცქირი – IX ს-ის 10-იანი წლების ბოლო, 20-იანი წლების დასაწყ.
- უცნობი ანჩელი[30] – IX ს-ის 30-იანი წწ.
- ზაქარია – IX ს-ის II მეოთხ.
- მაკარი – X ს-ის 50-იანი წწ.
- ეზრა (I) – X ს-ის 60-იანი წწ. (?)
- ეზრა (II) – XI ს-ის 20-30-იანი წწ.
- იოვანე რკინაელი – XII ს-ის II ნახ.
- თეოდორე – XII ს-ის დასაწ.- XIII ს-ის დასაწ.
- იოვანე (II) – XIII ს-ის 80-იანი წლები - 1312 წელი.

[30] უსახელოდ არის მოხსენიებული „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“, როგორც ზაქარია ანჩელის გამზრდელი.

- თეოფანე – XIV ს 50-60-იანი წწ.
- იოსებ – XIV ს-ის ბოლო - XV ს. 40-იანი წწ.
- ქერობინე (აბელისძე) – XV ს. შუა ხანები (სავარ. 50-60-იანი წწ.)
- ანტონ – XV-XVI სს.
- იოაკიმე – XVI ს-ის II მეოთხ.

ანჩის ეპარქიის ადრეული პერიოდის საზღვრების შესახებ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტში არაფერი წერია, თუმცა სამონასტრო მშენებლობის ტერიტორიული არეალი გვაფიქრებინებს, რომ ეპარქია თავდაპირველად მოიცავდა კლარჯეთ-შავშეთის ტერიტორიას. 914 წელს აშოტ კუხის მიერ ტბეთის ეკლესიის აშენებისა და იქ საეპისკოპოსო ცენტრის დაარსების შემდეგ შავშეთი მტბევარ ეპისკოპოსს დაექვემდებარა.

მოგვიანო დოკუმენტში - XVI საუკუნის დასაწყისში შედგენილ ისტორიულ საბუთში – „კათალიკოზის ხელქვეშეთი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“, ანჩის ეპარქიის საზღვრები ასეა დადგენილი: „სამწყალ აქეთი ხანძთას და ოპიზას შუა დახატულა. იმას ქვემოთ ნიგალი-ხევი გაღმა და გამოღმართი, გონიოს სამღვრამდი“. საბუთში ანჩის საეპისკოპოსოს XV-XVI საუკუნის პერიოდის საზღვრები უნდა იყოს მოცემული. ამ დოკუმენტის მიხედვით, ანჩელი პატივით მე-4 ადგილზეა სამცხე-საათაბაგოს 13 მღვდელმთავარს შორის, მაწყვერელის, კუმურდოელისა და იშხნელის შემდეგ. ვახუშტი ბატონიშვილი ეპარქიის საზღვრების შესახებ წერდა: „იჯდა ეპისკოპოსი, მწყემსი ლიგანის ჴევისა გაღმა-გამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 678). ზემოთ ხსენებული ისტორიულ საბუთის მონაცემები და ვახუშტის ცნობა უმეტესად ემთხვევა ერთმანეთს, გარდა ერთი ასპექტისა – ბატონიშვილი არაფერს წერს – „სამწყალ აქეთი ხანძთას და ოპიზას შუა დახატულა. იმას ქვემოთ ნიგალი-ხევი“ – ამ ტერიტორიაზე.

XVI საუკუნის დასაწყისში შედგენილი ზემოთ ნახსენები ისტორიული საბუთის მიხედვით, კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ ნაწილი – ხანცთა, წყაროსთავი, მიძნაძორი და ბარეთელთა *ტბეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში ჩანს (კლარჯეთი 2016: 221). ტბეთის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილის წერს, რომ

მტბევარ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა არტანუჯიც: „იჯდა აქ (ტბეთში - ნ. ხ.) ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 679).

მონოგრაფიის „კლარჯეთი“ ავტორები[31] ვარაუდობენ, რომ სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხის შემცველ დოკუმენტში ანჩის და ტბეთის ეპარქიის საზღვრები XV-XVI საუკუნეებში განსხვავდებოდა X-XI საუკუნეების სურათისაგან (კლარჯეთი 2016: 221-222).

წყაროებში ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ პირდაპირი მინიშნება, თუ როდის და რა უნდა გამხდარიყო კლარჯეთის მონასტრების ნაწილის ტბეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში გადასვლის მიზეზი. გვაქვს ერთი ვარაუდი: ანჩის ეპარქიის ისტორიაში შავ ლაქად რჩება მღვდელმთავრების ათაბაგებისადმი მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიის გამოყოფის საქმეში. ხანცთის, წყაროსთავის, მიძნაძორისა და ბარეთელთას მონასტრები, იმის გამო, რომ არ გამხდარიყვნენ ეკლესიის რღვევის მონაწილენი, საკუთარი ნებით ხომ არ გადავიდნენ ტბეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში? მაკურთხეველი ეპისკოპოსისგან მონასტრების გამოყოფის მცდელობა და სხვაზე დაქვემდებარების სურვილის მაგალითი გვაქვს დავით გარეჯის შედარებით გვიანდელი ისტორიიდან. XVIII საუკუნის I ნახევარში ნინოწმინდელსა და გარეჯელებს შორის მწვავე კონფლიქტი ჩამოვარდა, რაც გარეჯის ნინოწმინდელის სამწყსოსგან გამოყოფის მცდელობამდე მივიდა. დავითისა და დოდოს ბერებმა ერთმანეთს შეფიცეს, რომ ნინოწმინდელ მღვდელმთავარს აღარ დაემორჩილებოდნენ, შეწყვიტეს მისი მოხსენიება და უშუალოდ კათალიკოსს მიმართეს, რომ მას აეღო გარეჯის მაკურთხევლობა. კათალიკოსთან შესაერთებლად მათ ნათლისმცემელიც მიიმხრეს, რომელიც სამებელის ეპარქიაში იყო. კონფლიქტის მიზეზი, სავარაუდოდ, ნინოწმინდელის „საერთო სიმკაცრე და უდიერი მოპყრობა“ გახდა (ლომინაძე 1966: 145).

XVI საუკუნეში ხანცთა ისევ ანჩის სამწყსოში ჩანს. ხანცთის სამრეკლოს მაშენებელ მარკოზს სინის სულთა მატიანის მისეულ მოსახსენებელში შეჰყავს

[31] მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე

ანჩელი ეპისკოპოსი იოაკიმე. დარეჯან კლდიაშვილის მართებული ვარაუდით, ამის მიზეზი ისაა, რომ იოაკიმე მარკოზის, როგორც ხანცთელი ბერის, მაკურთხეველია (კლდიაშვილი 2008: 81).

მაღალია ქართველ მღვდელმთავართა შორის ანჩელი ეპისკოპოსის პატივი „ჴელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამეფო კარზე დარბაზობის დროს, „სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ იმიერით – იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი...“. აქ ანჩელი მესხეთიდან მოწვეულ ხუთ მღვდელმთავარს შორის მესამე ადგილზეა დასახელებული (თაყაიშვილი 1920: 14).

„განგება დარბაზობის“ დოკუმენტის ცნობით, მეფის კურთხევის დროს გამართული დარბაზობისას დამსწრე მღვდელმთავართა შორის ანჩელი მღვდელმთავარი მე-11 ადგილზეა დასახელებული: „შემოვიდეს ანჩელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ნინოწმინდელსა ქუემოთ (დოლიძე 1965 :48).

ანჩის საყდრის სიწმინდეებიდან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე არტეფაქტმა მოაღწია. მათგან გამორჩეულია ანჩისხატი – კარედი ხატი (ტრიპტიქი). ვერცხლით ნაჭედ კარებიან კუბოში ასვენია მაცხოვრის ხატი („პირი ღმრთისა“), რომლის ჩარჩო, ეზო და შესამოსელი მოჭედილია მოოქროვილი ვერცხლით, ხოლო პირისახე წარმოადგენს ენკაუსტიკის წესით შესრულებულ ფერწერას. ხატის კუბოს აქვს ორფრთიანი კარი, რომელიც მოჭედილია. როგორც შიგნიდან, ისე გარედან კარებზე გამოსახულია „ათორმეტი დღესასწაული“: შიგნიდან – ხარება, შობა, ნათლისღება, ფერისცვალება, ჯვარცმა, ჯოჯოხეთის წარტყვევნა; გარედან – ლაზარეს აღდგინება, მიძინება, სერობა, იერუსალიმში შესვლა, თომას დარწმუნება და სულიწმიდის მოფენა; ხატის კუბოს ზედა ნაწილზე გამოსახულია ამაღლება.

კარედი ხატის ძირითადი ნაწილი მაცხოვრის ხატია. მკერდამდე გამოსახულ მაცხოვარს მარცხენა ხელში დახურული წიგნი უჭირავს, ხოლო მარჯვენით ლოცავს; ნიმბი შემკულია ძვირფასი თვლებით; იგი მოცემულია რელიეფით. მაცხოვრის კვართი და მთელი ხატის შიდა არე, რომელსაც „ეზო“ ეწოდება, 1825 წელს დამზადებულია დიდი ზომის ვერცხლის მთლიანი ფირფიტისგან; ამას ამტკიცებს შესრულების ტექნიკა და ფონის ორნამენტის მოტივი. ხატის ეს ნაწილი

გვიანი ხანის რუსული ხელობის ნიმუშია და სრულად არ შეეფერება მაცხოვრის გამოსახულების პირვანდელ ტიპს.

ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ძეგლია ხატის ჩარჩოს ის მოჭედილობა, რომელიც ბექა ოპიზარს მიეკუთვნება. ჩარჩოს ზედა ნაწილზე ცენტრში გამოსახულია „საყდარი“, ხატის მარჯვენა კუთხეში – მთავარანგელოზი მიქაელი, მარცხენა კუთხეში კი მთავარანგელოზი გაბრიელი; ხატის მარცხენა გვერდით ჩარჩოზე შუა ადგილას, ვედრების პოზაში, მთელი ტანით გამოსახულია იოანე ნათლისმცემელი, მეორე გვერდზე კი სიმეტრიულად, მსგავს ვედრების პოზაში – ღვთისმშობელი; ქვედა ჩართვაზე წელზევით გამოსახული არიან მარჯვენა კუთხეში პეტრე მოციქული, შუაში პავლე მოციქული, ხოლო მარცხენა კუთხეში იოანე მახარებელი (ამირანაშვილი 1956: 8-10; ბურჭულაძე 2016: 323-324).

ხატის ასომთავრული წარწერების მიხედვით, კუბო შექმნილია XIV საუკუნეში სამცხის ათაბაგის ბექა ჯაყელის (1240-1306) და მისი შვილების სარგისის, ყუარყუარეს და შალვას ქტიტორობით. სამუშაო დაიწყო ბექა ჯაყელმა და დამთავრდა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1306 წლის ახლოს (ბურჭულაძე 2016: 324). შალვა ამირანაშვილის მოსაზრებით, ანჩის მაცხოვრის ხატი მოჭედილ კარედ კუბოში ჩასვეს 1308-1334 წლებში (ამირანაშვილი 1956: 10).

ანჩისხატი XVII საუკუნეში კლარჯეთიდან ქართლში წააბრძანეს. 1664 წლის 3 დეკემბრით დათარიღებული საბუთის მიხედვით იგი ერთმა თბილისელმა ვაჭარმა, ამირჯანა ივანგულიშვილმა კათალიკოს დომენტი III-ს (1660-1675 წწ) მიჰყიდა (ხეც, Ad-612, ჟორდანია 1897: 482; პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1993: 388). კათალიკოსმა ხატი ქალაქის ერთ-ერთ უძველეს, ღვთისმშობლის ეკლესიაში (VI ს.) დააბრძანა, რომელიც საგანგებოდ შეაკეთებინა და სამრეკლოც აუშენა (1675 წ.) (ბურჩულაძე 2016: 324).

ანჩის საეპისკოპოსო საყდარში დაცული იყო წყაროსთავში გადაწერილი სახარება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ანჩის ან წალკის სახარების სახელითაა ცნობილი. ხელნაწერის შესახებ პირველი ცნობა XIX საუკუნეში გავრცელდა. 1890 წელს მღვდელმონაზონმა კალისტრატემ გაზეთ „ივერიაში“ ინფორმაცია გამოაქვეყნა (ივერია 1890, N 187), 5 წლის შემდეგ კი ხელნაწერი

ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა. მისი ცნობით, ანჩის სახარება წალკაში, სოფელ წინაწყაროში, გურჯანოვების ოჯახში ინახებოდა (თაყაიშვილი 2018: 200; ასათიანი, ვაჭარაძე: 487). იმის გამო, რომ ოთხთავი გარკვეული პერიოდი წალკაში ინახებოდა, წალკის სახარების სახელითაც მოიხსენიება.1923 წელს ხელნაწერი წალკიდან ჩამოიტანა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა (სილოგავა... 2006: 60). დღეისათვის ოთხთავი საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული. ხელნაწერს დართული აქვს ვრცელი ანდერძი.

ანჩის სახარების ანდერძში თამარ მეფისა და დავით სოსლანის ერთდროულმა მოხსენიებამ ექვთიმე თაყაიშვილს საფუძველი მისცა, რომ სახარება 1193-1208 წლებით დაეთარიღებინა (თაყაიშვილი 2018: 205). შალვა ამირანაშვილი, იმავე მონაცემებზე დაყრდნობით, მიიჩნევდა, რომ სახარების ყდის მოჭედილობა (რომელიც დღეისათვის დაკარგულია) ბექას მიერ უნდა ყოფილიყო შესრულებული (ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, რომ ოთხთავი ბექა ოპიზარს მოუჭედია) არა უადრეს 1193 წლისა (ლაშა-გიორგის დაბადება) და არა უგვიანეს 1206-1207 წლებისა (დავით სოსლანის გარდაცვალება) (ამირანაშვილი 1956: 7). ვალერი სილოგავას მართებული დასკვნით კი, ხელნაწერი 1204-1207 წლებს შორის უნდა იყოს გადაწერილი(სილოგავა... 2006: 60).

ანჩის სახარების დამკვეთია სოფრომი, რომელიც, საკუთარი მითითებით, ზოგჯერ ვაზირთა და ზოგჯერ მეფეთა მწიგნობარი იყო. მან ოთხთავი წყაროსთავის მონასტერში შეიძინა ანჩის ეკლესიისთვის, რადგან „სიმდიდრე და სამკაული საყდრისაჲ ხრწნილებასა დაენთქა და ყოვლად შეკნინებულ იყო ხრწნილებას“. სოფრომმა ეს სახარება ანჩის საყდრის მთავარი სალოცავის, ღმრთაების ხატის წინაშე თავისი ძმის, სჳმეონის, სალოცველად დაასვენა (სილოგავა, შენგელია 2006: 60).

ანჩის სახარების ანდერძიდანვე ხდება ცნობილი, რომ უფრო ადრე (ანჩაში სახარების შეწირვამდე - ნ. ხ.) სოფრომს შეუმკია „ხატი ღმრთისა განკაცებისაჲ“ – ასევე ბექა ოპიზრის ხელით და დაუბრძანებია იმავე მთავარი ხატის („ხატსა თავადსა“) გვერდით. დღეისათვის დაკარგული ღმრთის განკაცების ხატის

შემკობისთვის იმ დროისთვის მოღვაწე ანჩელ ეპისკოპოსს იოვანე რკინაელს სოფრომისთვის დაუდგენია სალოცავი, კერძოდ, სიწმინდის „გარდმოყენებისას“ იგი უნდა მოეხსენებინათ: „და გამიკუჴთეს სალოცავი იოვანე რკინაელმან ნეტარებით მოჴსენებულმან სიწმიდის გარდმოყენებასა ესრეთ: სოფრომს და მარიამს, მშობელთა და ძმათა მათთა შეუნდვენ ღმერთმან; გიორგას, მისსა გაზრდილსა, შეუნდვნეს ღმერთმან“. ხოლო ამ ახალი სახარების (წალკის სახარების) შეძენა-შემკობა-შეწირვისთვის უკვე თევდორე ანჩელ მთავარეპისკოპოსს და ანჩის საყდრისშვილებს (საყდრიშვილები საეკლსიო აზნაურები იყვნენ და კათალიკოსთან, ეპისკოპოსთან თუ წინამძღვართან ერთად განაგებდნენ საეკლესიო საქმეებს (კლიმიაშვილი 1963: 102) დაუდგენიათ სოფრომის ძმის მოხსენიება: „სჯმეონს და ძმათა მისთა შეუნდვენ ღმერთმან“. ამასთანავე, მას ანჩის ტაძრის კედელზე მიწერასაც დაჰპირებიან (სილოგავა, შენგელია 2006: 61).

ანჩაში ინახებოდა XIII საუკუნეში ნუსხურით გადაწერილი კრებული (ხეც,A-182). ანჩაში ამ ხელნაწერის დაცულობის ფაქტზე მიანიშნებს ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერი: „ღმერთო და ანჩისხატო, შეიწყალე სულითა და ჴორცითა აქა და მას საუკუნესა ამა წიგნისა ახლა შემკაზმავი იოანე და მისთა დედა-მამათა შეუნდნენ ღმერთმან“ (A ფონდის აღწერილობა 1976: 292-298).

ანჩის საყდრის სიწმინდეებიდან თუ ხელნაწერი მემკვიდრეობიდან მხოლოდ რამდენიმე არტეფაქტმა მოაღწია. აქვე აღსანიშნავია, რომ ბექა ოპიზრის მიერ მოჭედილი ანჩის ეკლესიის სიძველეებიდან მხოლოდ ანჩისხატმა მოაღწია ჩვენამდე.

დასკვნა

კლარჯეთის ათორმეტი უდაბნოს ისტორიის შესწავლა ემყარება სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროს: აგიოგრაფიულ ძეგლებს, საისტორიო თხზულებებს, ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებს.

ისტორიული წყაროების გარდა, კლარჯეთის ათორმეტი უდაბნოს ისტორიის და ძეგლების შესწავლისთვის მნიშვნელოვანია იმ მოგზაურთა ჩანაწერები და დღიურები, რომელებმაც XIX-XX სს.-ში იმოგზაურეს კლარჯეთში და შეისწავლეს ამ ისტორიული მხარის კულტურული მემკვიდრეობა.

დიდი სამონასტრო მშენებლობა კლარჯეთში VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში დაიწყო და მას საფუძელი გრიგოლ ხანცთელმა ჩაუყარა. თავდაპირველად წმინდა მამა საბა იშხნელთან, ქრისტეფორესა და თეოდორესთან ერთად ოპიზაში დამკვიდრდა, ორი წლის შემდეგ ხანცთაში ხის ეკლესია ააშენა. აქედან ეყრება საფუძველი ამ მხარეში დიდი სამონასტრო ცხოვრების დასაწყისს.

IX საუკუნის I ნახევარში კლარჯეთში ოპიზის, ხანცთის, შატბერდის, ბერთის, ბარეთელთას, დაბის, ჯმერკის, მიძნაძორის, წყაროსთავის, მერეს მონასტრებში აქტიური სამონასტრო ცხოვრება მიმდინარეობდა. IX საუკუნის მეორე ნახევარსა და X საუკუნეში კლარჯეთის მონასტრებს შეემატა პარეხთას, დოლისყანის, სვეტის სავანეები.

IX საუკუნის მეორე მეოთხედში გრიგოლ ხანცთელი კლარჯეთის უდაბნოების არქიმანდრიტად დაადგინეს. გრიგოლ ხანცთელის არქიმანდრიტად დანიშვნის დროიდან იღებს სათავეს კლარჯეთის მონასტრების ერთობა.

კლარჯეთის უდაბნოების ნაწილი ლავრის ტიპის მონასტრები, ხოლო ნაწილი, სავარაუდებელია, რომ ჰიბრუდული კვინობის ტიპის მონასტრები იყოს.

კლარჯეთის მონასტრები თავიდანვე ტაო-კლარჯეთის მმართველთა მფარველობა-შემწეობაზე იყო დამოკიდებული. ბაგრატიონთა კლარჯეთისა და ტაოს შტოებად გაყოფის შემდეგაც, კლარჯეთის უდაბნოები მათ საერთო

საზრუნავს წარმოადგენდა. საქართველოს გაერთიანების შემდეგ ეს „უდაბნოები“ საქართველოს ერთიან მეფეთა მფარველობაში გადავიდა. XIII საუკუნის მეორე ნახევარში კლარჯეთის მონასტრები ბექა ჯაყელის პატრონობაშია.

კლარჯეთის მონასტრები ანჩის საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა. ადგილობრივ დიაკვნებს და მღვდლებს ანჩელი ეპისკოპოსი ასხამდა ხელს და კლარჯელი სასულიერო პირების წერილობითი დასტურის გარეშე ქართლის კათალიკოსი სასულიერო პირს ანჩელ მღვდელმთავრად არ აკურთხებდა. გრიგოლ ხანცთელის გარდაცვალების შემდეგ ანჩელმა ეპისკოპოსმა შეითავსა ანჩელი არქიმანდრიტის პატივი.

წინამდებარე კვლევაში შევეცადეთ, შეგვესწავლა კლარჯეთის თითოეული მონასტრის ისტორია დამოუკიდებლადაც და სამონასტრო ერთობის შემადგენლობაშიც. შევეცადეთ, დაგვედგინა ამ მონასტრებთან დაკავშირებული სასულიერო და საერო პირები, მათი საქმიანობა და როლი მონასტრის განვითარებაში. ვეცადეთ დაგვედგინა ოპიზის მონასტრის წინამძღვრები და გაგვემართა მათი ქრონილოგიური რიგი; შევისწავლეთ კლარჯეთის მონასტრების ერთობის საკითხი და მათი რაოდენობის პრობლემა.

როგორც აღმოჩნდა, „ათორმეტი უდაბნო“ სიმბოლური დატვირთვისაა და მონასტერთა ზუსტდ რაოდენობას არ აღნიშნავს – სავარაუდებელია, რომ ამ სასულიერო და კულტურულ არეალში სინამდვილეში გაერთიანებულია თორმეტზე მეტი მონასტერი. დავსვით ანჩის ეპარქიის დაარსების საკითხის პრობლემა. მასალის შესწავლამ კი გვიჩვენა, რომ ახიზის საეპისკოპოსო საყდრის განადგურების შემდეგ ეპარქიის ცენტრმა გადაინაცვლა ანჩაში. გაერთიანდა არა ორი ეპარქია, არამედ შეიცვალა საეპისკოპოსო ცენტრი. ჩვენი დაკვირვებით, V-VIII საუკუნეებში იყო ახიზის, ხოლო საკათედრო ტაძრის ანჩაში გადატანის შემდეგ – ანჩის ეპარქია. ასევე შევასწორეთ ანჩელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგი,

როგორც ჩვენი კვლევა ცხადყოფს, კლარჯეთის მონასტრებმა მნიშნელოვანი სამონასტრო და კულტურული როლი ითამაშა შუა საუკუნეების საქართველოს განვითარებაში. კლარჯელ მოღვაწეებს აქტიური კავშირი ჰქონდათ საზღვარგარეთ არსებულ დიდ სასულერო და კულტურულ ცენტრებთან, კლარჯელებმა ათორმეტ

უდაბნოს სასულიერო პირებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს როგორც ხელნაწერთა გადაწერის, ისე ორიგინალური თხზულებების შექმნის საქმეში.

ბუნებრივია, ამით არ ამოიწურება კლარჯეთის მონასტრების ისტორიის კვლევა. ჩვენს თვლასაწიერშიც არსებობს პერსპექტიული კვლევის კონტურები.

დამოწმებული ლიტერატურა

1. **A ფონდის აღწერილობა 1955:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. 5, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1955

2. **A ფონდის აღწერილობა 1973:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. 1 [ნაკვ. 1], ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1973

3. **A ფონდის აღწერილობა 1976:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ე. მეტრეველის რედაქციით, ტ. 1 [ნაკვ. 2], თბილისი, 1976

4. **A ფონდის აღწერილობა 1986:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ე. მეტრეველის რედაქციით, ტ.2 [ნაკვ. 1], თბილისი, 1986

5. **H ფონდის აღწერილობა 1948:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ქრ. შარაშიძის რედაქციით, ტ. III, თბილისი, 1948

6. **H ფონდის აღწერილობა 1949:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. V, თბილისი, 1949

7. **Q ფონდის აღწერილობა 1958:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ილ. აბულაძის რედაქციით, ტ. 2, თბილისი, 1958

8. **S ფონდის აღწერილობა 1969**: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ე. მეტრეველის რედაქციით, ტ. 6, თბილისი, 1969

9. **აბუსერიძე ტბელი 1941**: აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, თბილისი, 1941

10. ამირანაშვილი 1956: ამირანაშვილი შ., ბექა ოპიზარი, თბილისი, 1956

11. **ანტონ პირველი 1991**: ანტონ პირველი, სპეკალი, თბილისი,1991

12. **ბაგაური... 2017**: ტაო-კლარჯეთი – ისტორიისა და კულტურის ძეგლების კატალოგი, ავტორ-შემდგენლები: ბაგაური ნ., ბატიაშვილი ზ,, ბერიძე ი., კუდავა ბ., ჟღენტი ნ., საითიძე გ., ხიზანიშვილი ნ, თბილისი, 2017

13. **ბატონიშვილი 1973**: ბატონიშვილი ვ., „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა) ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბილისი, 1973

14. **ბაქრაძე 1885**: ბაქრაძე დ., ვახუშტი - საქართველოს ისტორია (განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით), ნაწილი პირველი, ტფილისი, 1885

15. **ბერძენიშვილი 1971**: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბილისი, 1971

16. **ბოგვერაძე 1964**: ბოგვერაძე ა., „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თარიღისათვის, მაცნე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა), N 3, 1964

17. **ბოგვერაძე 1970**: ბოგვერაძე ა., ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I დიდი კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ), კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წ. 1, თბილისი, 1970

18. **ბოგვერაძე 1993**: ტაო-კლარჯეთის მფლობელი ზოგიერთი ბაგრატიონის პატივის გარკვევისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N3-4, 1993

19. **ბულია 1990**: ბულია მ. „მეფე დემეტრე თავდადებულის გამოსახულება უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლსიაში“, ხელოვნება, №5, 1990

20. **ბულია 1991:** ბულია მ. „დავით გარეჯის მოხატულობათა იკონოგრაფიული პროგრამების თავისებურებანი“, ლიტერატურა და ხელოვნება, №4, 1991

21. **ბურჭულაძე 2016:** ბურჭულაძე ნ., ქართული ხატები, თბილისი, 2016

22. **გივიაშვილი... 2006:** გივიაშვილი ი. კოპლატაძე ი. საქართველოს „სინაᲐ“, ანუ კლარჯეთის თორმეტი სავანე (კლარჯეთის არქიტექტურის მოკლე მიმოხილვა), კრებულში: წმ. გრიგოლ ხანძთელი, თბილისი, 2006

23. **გიორგი მერჩულე 1963**: შრომაᲐ და მოღუაწებაᲐ ღირსად ცხორებისაᲐ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი არქიმანდრიტისაᲐ, ხანცთისა და შატბერდის აღმშენებლისაᲐ, და მის თანა ჴსენება მრავალთა მამათა ნეტართაᲐ, ძვ, ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ტ. I, თბილისი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1963

24. **გიორგი მერჩულე 2006**: შრომაᲐ და მოღუაწებაᲐ ღირსად ცხორებისაᲐ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი არქიმანდრიტისაᲐ, ხანცთისა და შატბერდის აღმშენებლისაᲐ, და მის თანა ჴსენება მრავალთა მამათა ნეტართაᲐ, კრებული: წმ. გრიგოლ ხაძთელი, თბილისი, 2006

25. **დავითიშვილი 1970**: დავითიშვილი ქ., ქართული ნაქარგობის უძველესი ნიმუში, „ძეგლის მეგობარი“, N 22, 1970

26. **დოლიძე 1965**: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) გამოსცა ი. დოლიძემ, თბილისი, 1965

27. **დოლიძე 1970**: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III: საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) გამოსცა ი. დოლიძემ, თბილისი, 1970

28. **ენუქიძე... 1984:** ქართულ ისტორიულ საბუთთა კორპუსი, წ.1. ქართული ისტორიული საბუთები (XI-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: ენუქიძე თ., სილოგავამ ვ., შოშიაშვილი ნ., ტომის რედაქტორი შოშიაშვილი ნ., „მეცნიერება“, 1984

29. **ენუქიძე**... 2014: ქართული ისტორიული საბუთები (XV საუკუნის მეორე ნახევარი), შეადგინეს ენუქიძე თ., კლდიაშვილი დ., სურგულაძე მ., გამოსაცემად მოამზადა სურგულაძე მ., 2014

30. **ვაჩნაძე 1975**: ვაჩნაძე ნ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1975

31. **თაყაიშვილი 1890**: თაყაიშვილი ექ., სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა), ტფილისი, 1890

32. **თაყაიშვილი 1913-1914**: თაყაიშვილი ექ., ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი III, 1913-1914

33. **თაყაიშვილი 1920**: თაყაიშვილი ექ, ხელმწიფის კარის გარიგება, ტფილისი, 1920

34. **თაყაიშვილი 1960:** თაყაიშვილი ექ., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი,1960

35. **თაყაიშვილი 1991**: დაბრუნება, ემიგრანტული ნაშრომები. ტ.1. თბილისი 1991

36. **თაყაიშვილი 2018**: ექ. თაყაიშვილი, თხზულებანი, ტომი 5, თბილისი, 2018

37. **ინგოროყვა 1939:** ინგოროყვა პ. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, N 10-11, 1939

38. **ინგოროყვა პ. 1954**: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954

39. **კაკაბაძე 1924**: კაკაბაძე ს., საისტორიო ძიებანი, 1924

40. **კაკაბაძე 1949:** კაკაბაძე ს., ცენტრალური სახელმწიფო სასიტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, თბილისი, 1949

41. **კარანაძე... 2018**: კარანაძე მ., კეკელია ვ., შათირიშვილი ლ., ჩხიკვაძე ნ., ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, თბილისი, 2018

42. **კახაბრიშვილი 2001:** კახაბრიშვილი ც., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ანდერძი, მრავალთავი, N 19, 2001

43. **კეკელია, ხოსიტაშვილი 2011**: კეკელია ვ. ხოსიტაშვილი ი. Jer. Geo .49 ხელნაწერის მინაწერები და ხანთუბისძეთა საგვარეულოს მოღვაწეობის გეოგრაფიული არეალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV თბილისი. 2011

44. **კეკელიძე 1935**: კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბილისი 1935

45. **კეკელიძე 1957**: კეკელიძე, კ., ესქატოლოგიური მოტივები ძველს ქართულს მწერლობასა და ცხოვრებაში, (გამოკვლევა), ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.4., თბილისი, 1957

46. **კეკელიძე 1980**: კეკელიძე კ. ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I, 1980

47. **კლდიაშვილი 1998:** კლდიაშვილი დ., კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის სათავეებთან, გუნათლეს ვანი, ლიტერატურა და ხელოვნება, N 4, 1998

48. **კლდიაშვილი 1999:** კლდიაშვილი დ, ავაგ ათაბაგის წარწერა გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტერში, მრავალთავი, ტ. 18, 1999

49. **კლდიაშვილი 2005:** კლდიაშვილი დ., მიძნაძორის მონასტრის სულთა მატიანე, მრავალთავი, ტ. 21, 2005

50. **კლდიაშვილი 2008**: კლდიაშვილი დ. წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბილისი, 2008

51. **კლდიაშვილი 2017:** კლდიაშვილი დ., სვეტის სულთა მატიანე, მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), N 25, 2017

52. **კლდიაშვილი 2018:** კლდიაშვილი დ., ახალი მასალა მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ქართული ოთხთავიდან, ერუშეთის ეპარქია, ელენე მეტრეველის 100 (საიუბილეო კრებული), 2018

53. **კლიმიაშვილი 1961**: კლიმიაშვილი ა., საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, N 3, 1961

54. **კუდავა 2010**: კუდავა ბ., უცნობი ნუსხური წარწერა პარეხის მონასტრიდან, I საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი: ისტორია და პერსპექტივები უახლესი კვლევების ფონზე“ (მასალები), თბილისი, 2010

55. **კუდავა 2016:** კუდავა ბ., ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები დოლისყანიდან (საქტიტორო დოკუმენტაციის წაშლის მცდელობა?), გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, N 3-4, 2016

56. **კუდავა 2016**: კუდავა ბ., ხანცთის მონასტრის უცნობი ნაგებობა, ისტორიანი N2 (62), 2016

57. **კუდავა 2019:** კუდავა ბ., შატბრედის მონასტრის დაკარგული წარწერა, კრებული მეისტორიე, თბილისი, 2019

58. **ლომინაძე 1979**: ლომინაძე ბ. საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, „მეცნიერება“, 1979

59. **ლომოური 1925**: ლომოური თ., სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები მე-IX-X სს. ქართველთა ბაგრატონიანთა შესახებ, არალი, 1925

60. **ლორთქიფანიძე 1973**: ლორთქიფანიძე მ. ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ II, თბილისი, 1973

61. **მათითაშვილი 2018**: მათითაშვილი შ., ქართული ბერმონაზვნობა IV-VIII საუკუნეებში (დისერტაცია), სამეცნიერი ხელმძღვანელი გ. ოთხმეზური, თბილისი, 2018

62. **მარსაგიშვილი 1999**: მარსაგიშვილი გ., ოთხთა ეკლესიის მონასტრის ზედა (არსენისეული) ეკლესია, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, N 5, 1999

63. **მატიანე ქართლისა 2008**: „მატიანე ქართლისაჲ“, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2008

64. **მელიქსეთ-ბეგი. 1940**: მელიქსეთ-ბეგი ლ. „გარეჯის მრავალმთის სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა - ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული“, ენიმკი, 1940, N5

65. **მენაბდე 1962**: მენაბდე ლ. ძვ. მწერლობის კერები საქართველოში ტ.I [ნაკვ. 2], თბილისი, 1962

66. **მენაბდე 1980**: მენაბდე ლ. ძვ. მწერლობის კერები საქართველოში ტ.II, თბილისი, 1980

67. **მეტრეველი 1996**: მეტრეველი ელ., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996

68. **მჭედლიძე 2006**: მჭედლიძე გ., გელათის აკადემიის მოძღვართ-მოძღვრები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, N 11, 2006

69. **პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1993** პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), გამოსაც. მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. 2, თბილისი, 1993

70. **პირთა ანოტირებული ლექსიკონი 2007:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), გამოსაც. მოამზადეს: გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მზ. სურგულაძემ, დ. ჟღენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, ტ. 4, თბილისი, 2007

71. **ჟამთააღმწერელი 2008**: ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2008

72. **ჟორდანია 1892**: ჟორდანია თ. ქრონიკები ტ. I. ტფილისი,1892

73. **ჟორდანია 1897**: ჟორდანია თ. ქრონიკები ტ. II, ტფილისი, 1897

74. **რამიშვილი 1986**: რამიშვილი რ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, მნათობი, N8, 1986

75. **სილოგავა 1999**: სილოგავა ვ., წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (XI-XIII), თბილისი, 1999

76. **სილოგავა... 2006**: სილოგავა ვ. შენგელია კ. ტაო-კლარჯეთი, თბილისი, 2006

77. **სინური კოლექციის აღწერილობა 1978**: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I ნაკვეთი, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1978

78. **სიხარულიძე 1976**: სიხარულიძე ე., ერთი ცნობა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 180, 1976

79. **სულხან-საბა ორბელიანი 1991**: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, 1991

80. **სუმბატ დავითს ძე 2008**: სუმბატ დავითის-ძე, „ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ“, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2008

81. **სურგულაძე 2016**: ქართული ისტორიული საბუთები (XVI საუკუნე, ქართლი და სამცხე-საათაბაგო), შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზ. სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თ., აბაშიძემ, ტ. IV, თბილისი, 2016

82. **სხირტლაძე 1993**: სხირტლაძე ზ., უცნობი ეპიგრაფიკული მასალები საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციებიდან, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N 2, 1993

83. **ტაო-კლარჯეთის ექსპედიციები (2015) 2016:** ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2015 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, მოამზადეს: თ. ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ლ. წიქარიშვილმა, დ. მაისურაძემ, ნ. არაბულმა, დ. გაჩეჩილაძემ, ა. გელაშვილმა, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოღუაშვილმა, ნ. ხუსკივაძემ, თბილისი, 2016

84. **ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა 2018**: სურგულაძე მ., ჩხიკვაძე ნ., შათირიშვილი ლ., კარანაძე მ., ჟღენტი ნ, ედიშერაშვილი ე, ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა, თბილისი, 2018

85. **უძველესი იადგარი 1980**: უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, 1980

86. **ფაღავა 2007**: ფაღავა მ., ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის, ჟურნალი მნათობი, N 1, 2007

87. **ფაღავა 2012:** ფაღავა მ., ძეგლისა და მიძნაძორის ეტიმოლოგიისათვის. კრებული ჩვენი სულიერების ბალავარი, IV, ბათუმი, 2012

88. **ფაღავა... 2016:** ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., კლარჯეთი, ბათუმი, 2016

89. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი 2013: ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, ავტორები: გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, თბილისი, 2013

90. **ქუთათელაძე 1889:** ქუთათელაძეა., „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“, გაზეთი „ივერია“, N70, 1889

91. **ყაზბეგი 1995:** ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995

92. **ყაუხჩიშვილი 1952**: ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა, ტ. IV (II), თბილისი, 1952

93. **ყაუხჩიშვილი 1955**: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955

94. **შათირიშვილი 2014**: შათირიშვილი ლ., ეგნატე ხუცესმონაზონი - XI საუკუნის კლარჯელი მწიგნობარი, III საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2014

95. **შანიძე 1945**: შანიძე ა., ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული რედაქციის მიხედვით, თბილისი, 1945

96. **შარაშიძე 1961:** შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. XV-XVI სს. თბილისი, 1961

97. **შარაშიძე 1982:** სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ, თბილისი, 1982

98. **შოშიაშვილი 1980:** შოშიაშილი ნ., ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები ტ.1: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980

99. ჩოხარაძე 2015: ჩოხარაძე მ., ხანძთა და "ათორმეტ სავანეთა" მხარის ძველი სალოცავები, ბათუმი, 2015

100. ჩხარტიშვილი 1993: ჩხარტიშვილი მ., სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღოსა და ატრიბუციისთვის, მნათობი, N 7-8, 1993

101. **ცერაძე 2001**: ცერაძე თ., სამონასტრო ცხოვრება და განსწავლა ქრისტიანულ ასკეზაში, მრავალთავი, N 19, 2001

102. **ცერაძე**... 2016: რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის სასულიერო შინაარსის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ცერაძემ და ლ. ხოფერიამ, რედაქტორები: თ. მგალობლიშვილი, ლ. ხევსურიანი, თბილისი, 2016

103. **ცეცხლაძე 2004**: ცეცხლაძე ნ. ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან, „გამომცემლობა აჭარა“, 2004

104. **ცხვილოელი 1900**: ცხვილოელი პ., ტბეთის ტაძრის სახარება, ტყავზედ დაწერილი 1162წ., გაზეთი „ივერია,N 229, 1900

105. **ჭელიძე 1991**: ჭელიძე ე. როდის დაიწერა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, საღვთისმეტყველო კრებული, N1, 1991

106. **ჭელიძე 2008:** ძვ. ქართული საეკლესიო ლიტერატურა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისი, 2008

107. **ჭიჭინაძე 1915**: ჭიჭინაძე ზ., ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქართველების გათათრება, თბილისი, 1915;

108. **ჭუმბურიძე 1997**: ჭუმბურიძე ზ., იოანე-ბერა, მწიგნობარი, N 97, 1997

109. **ხეც, Q-207**: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერ წიგნთა ფონდის წერა-კითხვის გამავრცელები საზოგადოების ხელნაწერთა კოლექცია, ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხა, Q-207

110. **ხეც, S-30:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართულ ხელნაწერ წიგნთა ფონდის წერა-კითხვის გამავრცელები საზოგადოების ხელნაწერთა კოლექცია, მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხა, S-30

111. **ხოშტარია 1999**: ხოშტარია დ., ოპიზის დაარსების თარიღისათვის, „ძეგლის მეგობარი“, N2, 1999

112. **ხოშტარია 2009:** ხოშტარია დ. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბილისი, 2009

113. **ხუციშვილი 2006**: შატბერდის მონასტერი, თბილისი, „კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 2006.

114. ჯავახიშვილი 1945: ჯახავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945

115. **ჯავახიშვილი 1977**: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი ტ VIII, თბილისი. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლოაბ“, 1977

116. **ჯანაშვილი 1909**: ჯანაშვილი მ. ქართული მწერლობა, წიგნი მეორე, 1909

117. **ჯანაშია 1935**: ჯანაშია ს, არაბობა საქართველოში, 1935

118. **ჯაფარიძე 2014:** ჯაფარიძე გოჩა, თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილ ალ-უმავი ათ-თიფლისი შუა საუკუნეების აღმოსავლურ წერილობით წყაროებსა და ისლამურ მხატვრობაში, საისტორიო კრებული, ტ. 4., 2014

119. **ჯობაძე 1995**: ჯობაძე ვ., ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი, არტანუჯი, N 4, 1995

120. **ჯობაძე 2003**: ჯობაძე ვ., ხანძთის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის ჯვარი და მისი არსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 349 (ისტორია. არქეოლოგია. ხელონებათმცოდნეობა. ეთნოლოგია), თბილისი, 2003

121. **ჯობაძე 2006**: ჯობაძე ვ. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბილისი, 2006

122. **ჯობაძე 2007**: ჯობაძე ვ. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბილისი, 2007

123. **ჯოჯუა 2013**: ჯოჯუა თემო, XI საუკუნის მარტვილოლოგიური კრებულის (H-341) შედგენილობისათვის (კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი), ქართული ხელნაწერი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი (25-30 ივნისი), მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2013

124. **ჯოჯუა 2017**: ჯოჯუა თ., ვინმე იაკობის მიერ დოლისყანის მონასტრის წინამძღვრის ეფდჯმოზის დაკვეთით გადაწერილი ლიტურგიკული კრებული (C 25) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტიდან (კრიპტოგრამული ანდერძები; მომგებლისა და გადამწერის ვინაობა; გადაწერის ადგილი), საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო - ბიზანტია - ქრისტიანული აღმოსავლეთი“ , მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2017

125. **ჯოჯუა 2018:** ჯოჯუა თ., ტაო-კლარჯეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები: მერენესის ეკლესიის 954 წლის წარწერა, საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“ (28-30 ივნისი), მოხსენებათა თეზისები, 2018

126. **ჯუანშერი 2008:** ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2008

127. **Aytekin 1999:** Osman Aytekin, Ortaçağ'dan Osmanlı Dönemi Sonuna Kadar: Artvin'deki Mimarı Eserler, Ankara: Kültür Bakanliği Yayinlari, 1999

128. **Kadiroğlu 1999:** Kadiroğlu, M Untersuchungen an mittelalterlichen georgischen Baudenkmälern in Nordost Anatolien. Georgica, 22, 1999

129. **Peeters 1923**: Paul Peeters, Histoires monastiques Géorgiennes, Brüxelles, 1923

130. **Thierry 1984**: Thierry N., Peintures géorgiennes en Turquie, *Bedi karthlisa: Revue de karthvélologie, vol. XLII*, 1984

131. **Thierry 1968:** Thierry N. et M., Notes d'un nouveau voyage en Georgie turque, *Bedi Karthlisa: Revue de karthvélologie, vol. XXV*, 1968

132. **Zdanevitch 1966**: Zdanevitch I., *L'Itineraire géorgien de Ruy Gonzales de Clavijo et les églises aux confines de l'Atabegat*, Paris, 1966.

133. **Беридзе 1981:** Беридзе В., *Архитектура Тао-Кларджети*, Тбилиси, 1981.

134. **Марр 1911**: Марр Н.,Дневник поездки в Шавшию и Кларджию, С.-Петербург, 1911 ст.

135. **Павлинов 1893**: Павлинов А. М., Экспедиция на Кавказ 1888 года, «Материалы по археологии Кавказа», в. 3, 1893

136. **Такаишвили 1905**: Такаишвили Е., *Археологические экскурсии, разыскания и заметки*, вып.II, Тифлис, 1905

137. **Цагарели: 1894:** Цагарели, А.А, Сведения о памятниках грузинской письменности. Т. 1 : вып. 3, С портретом проф. Д.И. Чубинова, 1894

138. **Чубйнашвили 1948:** Чубйнашвили Г, Пещерные монастыри Давид-Гареджи : Очерк по истории искусства Грузии, Тбилиси, 1948